

KIL. 937  
3

କୁଳାଙ୍ଗ



# କୁଳାଙ୍ଗ

ଲେଖକ: ରଜବିନ୍ଦୁ



17/प्राचीन विद्या  
National Library  
Sri Lanka

Н. АЗИАНИ  
П Ե Ը  
ՖԵԴԵՐԱԾԻ  
1936





6. ၁ၯ၀၃ၬၦ

899, 969  
ပြည်သူများ  
ပြည်သူများ

၃၀၉၆၀၂၈၀

K 11.937  
3



1 9 ၃၀၉၆၀၂၈၀၃ ၈ ၆

## ნეტელია ეზიანის მემორალებები

ნატალია აზიანი სამწერლო ასპარეზზე წარსული საუკუნის ოთხმოცდათიან წლებში გამოვიდა, როდესაც საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება ხდებოდა. ეს იყო პერიოდი კლასობრივი ურთიერთობის გამწვავებისა ჩვენ ბი,—პერიოდი, როდესაც მუშათა მოძრაობა შეგნებულ პოლიტიკურ-კლასობრივ ბრძოლის ხასიათს იღებდა.

ბურჯუაზისა და თავად-აზნაურობის თარეში სოფლად და ქალაქად—მუშათა კლასისა და ღარიბ გლეხობის ულმობელი ექსპლოატაცია, —აღვირახსნილი მოქმედება მეფის მოხელეთა, რომლებთან ერთად გაბატონებული კლასი ხელს უწყობდა თვითმპურობელობის უხეშ წესების კიდევ უფრო განმტკიცებას ჩვენში—იწვევდა მშრომელი მასების დამსახურებულ პროტესტს, რომელიც განსაზღვულ პერიოდში აჯანყების ხასიათსაც იღებდა. ყოველივე ეს თავისთავად მდიდარ მასალას წარმოადგენდა იმ დროინდელ მწერლობისა თვის.

ნატალია აზიანის კომედიების მასალად, მის შემოქმედების საფუძვლად წეიქნა მხოლოდ გადაგვარების გზაზედ დამდგარი თავად-აზნაურობა, მამულების დაგირავებისა და ლოთობაში რომ ატარებდა დროს, —ქალაქის ბურჯუაზია, ქონების შეძენასა და გამდიდრებაზე რომ ოცნებობდა და მოლიბერალო ხალხი, რომელმაც რეაქციის უამს ზურგი უჩვენა მშრომელ ხალხს.

ნატალია აზიანმა თავიდანვე ლიტერატურის ისეთი დარგი აირჩია თავის სამოღვაწეოთ, რომელსაც მტკიცე საფუძველი უკვე მომზადებული ქონდა ჩვენს ლიტერატურაში. გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, აქვსენტი ცაგარელისა და სხვათა ორიგინალურ კომედიებს, ერთი ბხრივ, და ფრანგულსა და რუსულ (მოლიერისა და ოსტროვსკის) კომედიებს, მეორეს მხრივ, უკვე იცნობდა ქართველი საზოგადოება—ჩვენს სცენაზე განსახიერებით. ტრადიცია კომედიე-

ბისა და ვოდევილების შექმნისა ჩვენში უკვე არსებობდა. თვით  
ცხოვრება იძლევოდა მეტად მდიდარ მასალას ამისათვის. და გადა-  
ჭრით უნდა ითქვას, რომ ნატალია აზიანმა ეს მასალა წარმატებით  
გამოიყენა. მან მოგვცა მთელი რიგი საყურადღებო კომედიების: „ფული  
და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ხან ისე და ხან ასე“ და სხვა,  
რომელიც ნათლად ავიწერებ ჩვენი ქვეყნის იმ დროინდელ ყოფა-  
ცხოვრებას, —საეუცხოვოდ გაღმოგვცემდენ ქართულსა და სომხურ  
საზოგადოებრივ ცხოვრების მახინჯ მოვლენებს.

ნატალია აზიანი ქართველ მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთხოდა,  
რომელმაც წვრილ-ბურუჟუაზიულ იდეოლოგიის ზეგავლენით დაიწყო  
წერა და მოლვაწეობა ჩვენში.

მის კომედიებს უსათუოდ პროგრესიული მნიშვნელობა ჰქონდა  
თავის დროზე და ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლების საქმეს ემსახუ-  
რებოდა. მწერალი ქალი თავად-აზნაურობის, მოხელეთა და სომხის  
ბურუჟუაზის სწორედ იმ სამარცხინო და სასაცილო ნაკლს გადმო-  
გვცემდა თავის ნაწარმოებში, რომელიც მკითხველში და მაყურებელ-  
ში, სიცილსა და ამასთანავე ზიზქს რომ იწვევდა.

ნატალია აზიანის კომედიები უმთავრესად აღმოსავლეთ სა-  
ქართველოსა და ძველი ტფილისის ტიპებით არის მდიდარი. მის  
პიესებში ცოცხლდებიან ძველი ქალაქის სახეები სომხის სოველაგარი-  
სა, ჩარჩის, გალატაკების გზაზე დამდგარ თავადისა, მდიდარი სომ-  
ხის ქალის შერთვით რომ უნდა დროებით აიცდინოს თავიდან საბო-  
ლოო დალუპვა.

აფალაპარაკოთ თვით მწერლის გმირები, გავეცხოთ მათ სუ-  
ლიერ აელადიდებას.

მდიდარი მოიჯარადრე — არტემ პეტრუზიჩ შარბათოვი — ტფილი-  
სელ ბურუჟუაზის ეს შესანიშნავი ტიპი — აი როგორ აგვიწერს თავის  
მოქმედების გეგმას.

— „ეხლა მოგება, ჩემო ბაგრატ, ისევ აღებ-მიცემობაშია: თუ  
გინდა რომ ერთი ორი გროში იშოვო, იეფად იყიდე. და ძვირად  
გაჰყიდე, ნახევარ ფასად ჭირნახული დაიკვეთ თავადებისაგან“.

საქონლის იაფად შეძენა და ძვირად გაყიდვა, უხეირო თავადე-  
ბის ჭირნახულის — ნახევარ ფასში შესყიდვა — აი, მთავარი მიზანი  
„შარბათოვების“, რომელიც წარსულ საუკუნეში კალიასავით მოედ-  
ვენ ჩვენს ქვეყანას და დიდის ენერგიით იყაფავდენ გზას სიმდიდრი-  
საკენ, კაპიტალის შეძენისაკენ.

შარბათოვს სასაცილოდაც არ ყოფნის „ბრწყინვალე“ თავადის  
განზრახვება მასთან დამოყვრებისა.

— „იცი რა, ბაგრატ, იცი რა გაცინო, ეს ორი სამი დღება, რ  
კნიაზ ლამბაძიანთგან მომდის და მომდის მაჭანქლები: შენი ქალი  
მოგვწონს და მოგვათხოვეო. მითომ რა არი: ჩვენი მიწები დაგვიძ-  
რუნეო. რა სულელი მნახეს... ერთი უსწავლელი, უხეირო შვილი  
ჰყავს—აქამდის ხელმწიფის სამსახურში იყო, შარშან სამსახურიდან  
გამოსულა, ეხლა ჩერქესკა და შინელი ჩაუცვამს და აქ დაეხეტია-  
ლება.“

თავადი ლამბაძე კი თავისი „ბრწყინვალე“ წოდებით აწონებს  
თავს შარბათოვს და მოწალინებულია დაჯეროს იგი:

— „ესეც იცოდე ჩემგან, არტემ პეტრუზიჩ, როგორც ხარისხი  
არ ვარგა უფულოდ, ისე ფული—უხარისხოთ“.

აი, იმ დროინდელი დევიზი გამდიდრებული ჩარჩისა და გაკო-  
ტრებული თავადისა. და ტყუილად კი არ უწოდა ნატალია აზიანმა  
თავის საუკეთესო პიესას „ფული და ხარისხი“. სწორედ ფული და  
ხარისხი, სიმდიდრე და წოდება იძყრობდა იმ უამაღ გაბატონებულ  
კლასის ყურადღებას,—აქეთკენ იყო მიპყრობილი მისი გულისყური.  
თავადა-აზნაურობა და ბურუუზია მოწადინებული იყო სიმდიდრისა  
და წოდების შეულლებით, ფულისა და ხარისხის მტკიცე კავშირით,  
თავადისა და ბურუუზის დამოყვრებით დროებით შეეჩერებინა ცხოვ-  
რებისა და ისტორიის მიერ განწირული კლასი და წოდება.

ეს არის მთავარი მოტივი, მთავარი შინაარსი ნატალია აზიანის  
პიესისა, გაშლილი და განვითარებული მწერლის მიერ კომედიურ  
ხერხებით, ჩვენი ცხოვერების წარსული სინამდვილისა ცოდნითა და  
ნიჭით.

ნატალია აზიანს თავის პიესებში ყოველთვის უფრო ეხერხებოდა  
უარყოფითი ტიპების შექმნა. ამისათვის მწერალი არ ზოგადა არც  
თავის მახვილ გონებას და ნიჭს, არც მწვავე და მკეთრ სიტყვას=  
ამ მხრივ მის მიერ შექმნილი უარყოფითი ტიპები სომხის სოედვარისა,  
ჩარჩის, უსაქმო თავადის, ცრუ და პლუტი დემოკრატის მეტად დამახა-  
სიათებელია. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მწერალს არ შეეძ-  
ლო დადებითი ტიპების შექმნა. ნატალია აზიანის ნაწარმოებში თქვენ  
ნახავთ დადებით ტიპებსაც, რომელნიც მწერალს დიდის სიყვარულით  
და გრძნობით აქვს განსახიერებული. ეს არის ახალი თაობა, პრო-

გრესიულად განწყობილი ინტელიგენციისა, რომელიც ებრძვის ძველი  
თაობის დახავსებულ ადათებსა და მორალს.

ბრძოლა შემებსა და შვილებს შორის—ეს ძველი და ამასთანავეჯე  
მუდამ ახალი თემა, რომლის მხატვრულ ფორმებში გადმოცემას მრა-  
ვალ მწერლის კალამი შეხებია,—ნატალია აზიანსაც არ დაუტოვე-  
ბია უყურადღებოთ. მწერალს სავუცხოვოთ აქვს განსახიერებული  
„გაცრუებულ იმედებში“ ის ღრმა უფსკრული, რომელიც არსებობდა  
მამებსა და შვილებს შორის. ამ პიესაში—გაიძვერა ვაჭარ მამის გვერ-  
დით, რომელიც ოცნებობს შვილების სწავლაზე დახარჯულ ფულების  
ორმაგად ანაზღაურებას, ჩვენ გვევლინება იდეურად განწყობილი  
ახალგაზრდობა, რომელიც მჩად არის უანგაროთ ემსახუროს მშრომელ  
ხალხს. რასაკირველია აქ არის ერთგვარი იდეალიზაცია სინამდვილის  
და, თუ გნებავთ, ოდნავი გადაჭარბებაც, მაგრამ ფაქტი მაინც  
ფაქტად რჩება: ნატალია აზიანი თავის პიესებში—უარყოფითი ტი-  
პებთან ერთად, ჰქემნიდა დადებით სახეებსაც...

გადის წლები. საქართველოს სინამდვილეში შემოიჭრება პირ-  
ველი რევოლუციის ქარიშხალი. მუშები და გლეხები დროშებით გა-  
მოდიან ქუჩებში, რათა ბოლო მოუღონ თვითმმარობელობასა და გა-  
ბატონებულ კლასს. ბარიკადებს—ბარიკადები სცელის. აჯანყებას—  
ახალი აჯანყება მოჰყვება. ახლოვდება 1905 წელი. ამ დიდ ამბებს  
უნაყოფოდ არ ჩაუვლია ნატალია აზიანისათვის. ისიც გაიტაცა რე-  
ვოლუციის ტალღამ. თუ წინად მის კომედიებში კანტი-კუნტად შეხვ-  
დებოდით სიტყვებს: „რევოლუცია“, „სოციალიზმი“, „სოციალისტი“  
და მოისმენდით გადაკრულ ლაპარაკს კაცობრიობის მომავლის შესა-  
ხებ, ახალ პიესებში იგი უფრო რაღიკალურ იდეების მღალადებლად  
გვევლინება.

დიდის გონებამახვილობით აქვს განსახიერებული მწერალს  
კომედია „ხან ისე და ხან ასე“-ში დემოკრატიის ცრუ მეგობრები,  
რომელნიც რეაქციის ქამს ლალატობენ მშრომელ ხალხს და რეაქციის  
მორევში ეფულებიან.

თავის დროზე, ნატალია აზიანის კომედიებმა დიდი გამოხმაუ-  
რება ჰქოვეს ჩვენს პრესაში. ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერია-  
ში“ (1998 წ. 18 იანვ. № 12) დაიბეჭდა ვრცელი წერილი „მე გახ-  
ლავარ“ ის ფსევდონიმია ნატალია აზიანის პირველი კომედიის—

„ინჯილერი ან დოხტური“-ს დადგმის გამო, ომელშიაც ვკითხულობთ:

„ქართულს მწერლობას, საზოგადოთ, და ქართულს უთხოებოს კერძოთ, უნდა მოვულოცოთ შეძენა ახალის და უტყუარის ჰეშმარიტის ნიჭიერებისა. ეს ნიჭიერი და დიდის იმედების აღმძვრელი კალამი არის ახალგაზრდა ავტორის ქალისა აზიანის. ახალგაზრდა ჯერ გამოუცდელი კალამი და ესოდენი სიამოვნება და აღტაცება საზოგადოებისა. რა არის ეს, თუ არა უტყუარი სიგელი ნიჭისა... მოვწონს ეს პიესა აზიანისა უბირველესად იმიტომ, რომ იგი არის ფურცელი, ამოგლეჯილი ნამდვილი ჩვენი დროის ცხოვრების წიგნიდან, სურათი არა შეთხული, არამედ თითქოს გადმოწერილი ცხოვრებიდან. ჩვენ არა ვართ ჩვეულნი და განებივრებულნი ქართულ სკენაზედ ცხოვლად დახასიათებულ ადამიანების ხილვით. უფრო ხშირად ჩვენ ვხედავთ კარიკატურებს... ნიჭიერია იგი ავტორი, რომელიც ათასფეროვანს ცხოვრებაში იპოვის საზოგადო მოვლენას, ტიპს. ამ მხრით სწორედ მოგვეწონა აზიანის პიესა. ქ-ნი აზიანი იმითი არის შესანიშნავი, რომ შექმნა ლიტერატურაში ახალი ტიპები, ცხოვრებამ დიდი ხანია შექმნა იგინი, მხოლოდ ლიტერატურაში მათის დახასიათების პატივი ეკუთვნის ქ-ნ აზიანს... კვლავ ქ-ნ აზიანის სასახლოდ უნდა ვთქვათ, რომ ზეობრივი ზეგავლენა მისი პიესისა მაყურებლებზე საუცხოვა: ახალი „მაზუთიანები“ ფრაკ-მუნდირში იწვევენ დამსახურებულ ზიზლს და ქრულვა-ქოლვას თავის და მიმართ... და უკეთესსაც რაღას ინატრებდა ავტორი“...

ამგვარი ხოტით და ქება-დიდებით შეხვდა „ივერია“ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მწერალ-ქალს და ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან ნატალია აზიანი მართლაც უტყუარი ნიჭით არის დაჯილდოვებული, უდიდესი დაკვირვების უნარითა და მახვილი გონებით. მის მიერ შექმნილი ტიპები მართლაც რომ ჩვენი ქვეყნის წარსულის სინამდვილიდან არის ამოღებული და შემომქმედის დიდის ოსტატობით განსახიერებული.

ნატალია „აზიანი 19 წლის არჭ კი იყო, პირველი ქომედია— „ინჯილერი ან დოხტური“ რომ დასწერა. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნახული დიდი თეატრი, არ იცნობდა თეატრის კულისებს, მის რთულ ტექნიკას, დეტალებს. ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელი იყო

ახალგაზრდა მწერლისათვის უნაკლო პიესის დაწერა. და ეს, ასე ვსთქვათ, ახალგაზრდობის ნაკლი, მის პირველ ნაწარშორებს ეცნუ თან  
ახლავს.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ნატალია აზიანის პიესებს თავიდანვე ბედი სწყალობდა. არ იყო საკარისი მარტო ის, რომ მისი კომედიები ნიჭიერების კალმით იყო შექმნილი და მაშინდელ თეატრულ ცხოვრებისათვის უსათუოდ საგრძნობ განძს წარმოადგენდენ. საჭირო იყო ამასთანვე ისიც, რომ ეს პიესები ნიჭიერ მსახიობებს განესახიერებიათ სცენაზე. და მართლაც—მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო კომედია „ფული და ხარისხი“ პირველად ქართულ სცენაზე 1899 წლის 21 ოქტომბერს დაიდგა, ამავე სცენის სახელოვნი მსახიობების მონაწილეობით: ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნიაცაგარელის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, ალექსანდრე იმედაშვილის, კოტე შათრიშვილისა და სხვების. ცხადია პიესის დადებითი მხარეები კიდევ უფრო ნათლად გადაიშლებოდენ მაყურებლის წინაშე ასეთ ნიჭიერ მსახიობების თამაშისა შემდეგ:

სხვათაშორის, ამ პიესის დადგმის გამო, იმ დროინდელ უურნალ „კვალში“ (1899 წ. № 3), მოთავსებული იყო ვრცელი რეცენზია, რომელშიაც ნატალია აზიანის პიესა დიდის ქებით არის მოხსენებული.

ქართული პრესის ორივე ბანაკიდან („ივერია“ და „კვალი“) ერთნაირის აღფრთოვანებით გამოეხმაურენ ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებს, რადგან ნატალია აზიანის კომედიები იმ დროისათვის მართლაც შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენენ ჩვენს ლიტერატურაში.

მწერალმა ქალმა სრულიად გააშიშვლა, ნიღაბი ჩამოხადა არა მარტო გარყენილების მორევში ჩაფლულ თავად-აზნაურობას, გაიძვერა ჩარჩებს, არამედ ეგრედწოდებულ მოლიბერალო ხალხსაც, რომელმაც გაჭირების დროს ზურგი უჩვენა შშრომელ ხალხს და თავის პირად კეთილდღეობის განმტკიცებას დაუბრუნდა.

ნატალია აზიანის დამსახურებუბა, სწორედ იამში გამოიხატება, რომ მან თავის მწვავე და გესლიანი კალმით, შეუბრალებლად გაამათრახა უარყოფითი თვისებები იმუამად გაბატონებული კლასის,—მან ნათლად გამოააშკარავა მახინჯი და მავნე მხარეები ქარ-

თულ და ხომისურ „საზოგადოებრივ“ ცხოვრებისა, რომელიც წინ  
ელობებოდა ჩვენი ქუეყნის განვითარებისა და წინსვლის საქმეს მართვისა  
ნატალია აზიანი უაღრესად რეალისტი მწერალია, ზოგ შემთხვევაში ნატურალისტიც. მის პიესებს ეტყობა საგრძნობი გავლენა  
ცნობილ რუს დრამატურგის — ისტროვსკის შემოქმედებისა.

ნატალია აზიანის მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე მარტო კომედიების წერით როდი განისაზღვრებოდა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა და ფელეტონი ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან აღებული.

მწერალი უახლოესი თანამშრომელი იყო ქურნალ-გაზეთების: „ჩვენი გზა“, „სიტყვა“, „ჩვენი ცხოვრება“, „ტალღა“, „ლახვარი“ და „მნათობი“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემგეგ, ნატალია აზიანმა მხოლოდ ერთი კომედია — „დეზერტირკა“ დასწერა, რომელიც დაიდგა ჩვენს სცენაზე 1925 წელში. ამ პიესამ მწერლის შემოქმედებას, ჩემის აზრით, ვერაფერი შემატა. პირიქით, ამ კომედიაში იყო ერთგვარი იდეოლოგიური გადახრა მწერლისა მარჯვნივ.

დღეს, როდესაც საბჭოთა მწერალს აქვს სრული საშუალება თავისი ნიჭის ამაღლებისა და გაშლის, ნატალია აზიანმა უნდა გამონახოს ახალი გზა, ახალი საშუალებანი, ახალი მასალა საბჭოთა ნამდვილი კომედიის შექმნისათვის.

პ. აბაშიძე

1997. 11. սტ

## მოკლე გილგადაფიული ცხობები

ნატალია მიხეილის ასული აზიანი (დონდაროვი) დაიბადა 1878 წლის 4 იანვარს, ქ. გორში, გაქართველებულ, კარგად შეძლებულ სომხის ოჯახში. სწავლა მწერალს არსად არ დაუმთავრებია, თუმცა მისი მშობლები შვილების სწავლისათვის არაფერს ზოგავდენ. სად არ მიაბარეს ნატალია, აზიანის მშობლებმა: დაწყებული გორის ყველა კერძო პანიკონებიდან და სახელმწიფო „პროგიმნაზიდან“—გათავებული ტფილისის წმინდა ნინოს სასწავლებლით, მაგრამ მწერალი, თავის დაუდევგარი და მოუსვენარი ხასიათის გამო, დათხოვნილ იქნა ყველა სასწავლებლიდან. ბოლოს იგი, გამორიცხული წმ. ნინოს სასწავლებლის მე-3 კლასიდან, ისევ გორში დაბრუნდა და მუჟაითად შეუდგა წიგნების კითხვას და თვითგანვითარებას. მეტად შეუყვარდა ოსტროვსკის კომედიების კითხვა, რადგან მის პიესებში ბევრ თავის ახლ. მ-ბაზო პირს სცნობდა.

პირველი პიესა—„ინჯილერი ან დოხტური“—მან დასწერა 1897 წელს და ჩაიტანა ტფილისში. ეს პიესა ძალიან მოიწონა „ივერიის“ რედაქტორმა ილია ჭიათუაძე და გადასცა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას. უკანასკნელმა ეს კომედია დასდგა ქართულ თეატრის სცენაზე (ამჟამად ვოროშილოვის კლუბი) 1898 წელს.

ნატალია აზიანმა პირველი პიესა ისე დასწერა, რომ მას არ ჰქონდა ნახული დიდი თეატრი და მისი წარმოდგენები. ეს ნაკლი მწერალმა დაგვიანებით გამოასწორა. მან სწავლა განაგრძო, როდესაც უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი იყო. ერთხანს იგი სწავლობდა მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში—თავისუფალ მსმენელად. იმ ხანებში, ნატალია აზიანი, გაეცნო მოსკოვისა და ლენინგრადის დიდ თეატრების მუშაობას.

მის კალამს ეკუთხნის შემდეგი პიესები: „ინჯილერი ან დოხტური“, „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ხან ისე და ხან ასე“, „გაი კალმისაგან“, „პოლიტიკური დურაჩქა“, „სამშობლოს ბურჯინი“, „ცოდვა“ და „დეზერტიკა“. გარდა ამისა, მწერალს ამ ოცდაოცრამეტი წლის განმავლობაში, მრავალი სატირული ფელეტონი და მოთხრობა აქვს მოთავსებული სხვადასხვა ქართულ უურნალგაზეთებში.

„ଦେଖିଲେବାରୁ କାନ୍ଦିଲେବାରୁ“  
ତୁ ଲୁହ କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ  
ଧାରେବାରୁ ଧାରେବାରୁ  
„କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ“  
କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ  
କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ  
କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ କାନ୍ଦିଲୁ

## ინჯილერი ან დოსტური

კომედია 4 მოქმედებად

მომზადები პირნი:

სალომე უზარნოვი, 50 წლის ქვერივი დედა-კაცი.  
 გასპარ მიკირტუმოვიჩი, გზების ინჟი. } სალომეს  
 ნერი, ახალგაზრდა დასანიშნავი ვაჟი } შეილები.  
 ავეტიქ მიკირტუმოვიჩი, დოქტორი,  
 ახალგაზრდა დასანიშნავი ვაჟი  
 ანუშკა გულადოვი, 40 წლის ქვერივი დედა-კაცი.  
 სანდურტა, ამისი მდიდარი გასათხოვარი ქალი.  
 ქვერივანა { მაჭანკლები.  
 ბარბარე {  
 პრისტავი

## მოძმედება პირველი

სცენა ჭარმოადგენს ძველებურად მორთულ ოთახს. გრძელი დიდი ტახტი, ტახტები მუთაქები. სალომე უზარნოვი ჰგვას ოთახს.

გამოსვლა პირველი

სალომე უზარნოვი (მარტო)

**სალომე.** (გვის, შემძევ ცოცხას დაიგდებს, ფასცები წამოწვევა და დაიწყებს) ღმერთო, როდის იქნება ამ წევა და დაგვას მოერჩე! მთელი დღე შამფურივით ვტრიალებ. ერთი როდის იქნება, ე ჩემთა შვილებმა ცოლი შაირთონ და მე ჩემთვის ერთ კუთხეში დავეგდო!.. **რა ცოლი უნდა შაირთონ!** ე ქალების პატრონები ფულს კი არ იმეტებენ-და!.. (სფროს თოლებზე) ეს ოფოფაანი ექვსას თუმანს გაიძახიან, წურილანი წვიდასს გვპირდებიან, ყაზულაანიც რეასს ფეხს არ უცვლიან!.. მხოლოდ ეს ერთი გულადაანთ ანუშკაა, რომელიც ათას თუმანს იძლევა! მაგ სასიკვდილეს კაი შეძლება აქვს, მაგრამ ძან კრიფანგია. მერე ვის სარჩიზე ფლაურობს და!... მაგის ქმარი არ იყო, რომ სამჯერ



გაკოტრდა და ისე შეიძინა მაგოდენა შეძლება!..  
 (დადიანტება და შერ) იმდონი უნდა ვეცადო, იმდონი,  
 რომ ეგ საქმე უნდა მოვახერხო!... **როცა** მუსტუჭის მოვუ-  
 ჭერთ, შეტი რა ჯანი აქვს, რომ საში ათასებსაც არ  
 გამოიმეტებნ! **სუ** იმ ბარბარეს ეშმაკობა კია, აი!...  
 (აჯანტება) რა ვქნა, ათას თუმან მეტს არ იძლევია-  
 ნო... ტყუის ის გასაწყვეტი, ტყუის! ჩემ შვილს, გზების  
 ინჯილერს, ორ და სამ ათასებსაც ვინ დაუჭერს!.. ჩემი  
 შვილების სწავლა მე თითონ, თავსნარგებლით, კაკალი  
 საში ათასი თუმანი მიზის!.. რაც იმათხე დაიხარჯა,  
 ახლა რომ ორი იმდონიც არ ავიღო, მა როგორ ავა-  
 შენოთ დანგრეული ოჯახი!.. სამიათასს ერთი აიღებს,  
 სამიათასსაც მეორე და მაშინ გაიჩისტება ჩენი საქმე! **ქალები** ჩამციებიან თუ: „საღომე, რა ბედნიერი ხარ!  
 ნეტავი შენა, კაი შვილები გყავს, კაი ჯამაგირში არიან! მე რომ შენ ალაგას ვიყო, ერთიორიათ გაგხდები—პოვარ  
 და ლაქიას დავიჭერ, განათლებულათ ვიცხოვრებო“. რა-  
 თა ქა!.. პოვარი და ლაქია ვისთვის უნდა დავიჭირო?..  
 ჩემი შვილები ნახევარზედ შინ არ არიან. ე ჩემ ჭიან  
 თავისთვის რა პოვარი და ლაქია მინდა!.. მე ის დედა-  
 კაცი არა ვარ, რომ ჩემს შვილებს ჯიბე ამოუცარიელო!  
 მადლობა ღმერთს, არც ჩემი შვილები არიან ბედოვლა-  
 თები!.. ვენაცვალე იმარ!.. **ჩემს შვილებს, სწავლაში ტვი-**  
 ნი არ გამოუპნევიათ! მე რომ ზოგიერთა ეხლანდელ ნას-  
 წავლ ვაერებს ვხედავ, რუსეთში სწავლის და ჭკუის შესა-  
 მატებლად კი არ ყოფილან—ტვინის გამოსაფანტად!..  
 (აჯანტება) „ეს ფული რათ გვინდაო, ჯამაგირს არ ვე-  
 ძებთო“! ახლა ვთქვათ: თუ ჭკუაზე არ არი დამოკიდე-  
 ბული, მაშ ზოგიერთი—ინჯილერია თუ დოხტური, რათ  
 არი ჯიბე—გახვრეტილი და ხახა—გამშრალი, როდესაც  
 იმათი აჩხანაგები ფულში კოჭაობენ?.. (აჯლის თითოები)  
 ე სწავლახომ ერთი მიიღეს, ერთ სკოლაში და ერთ ჭვე-  
 ყანაში იყვნენ. ჩანს იმათშიაც არი რამე!.. როგორც ჩემ-  
 მა შვილებმა მიამბეს, რომელიც ჭკიანია, ყველგან  
 ხერხს ხმარობს. ეხლა ავიღოთ ჩემი გასპარა: ხემწიფე

ფულს აძლევს და უბძანებს: „უზარნოე.. წადიშალმისალი  
ფულით მოჯამაგირე დაიჭირე, მასალა იყიდე და უსა  
და ეს გზა გააკეთე..!.. კარგი, ბატონი ბძანდები! ჩესტს  
გაუქეთებს და გამოტრიალდება. წამოვა და მე შენ გი-  
თხრა, სხვასავებ ტუტუცურათ არ გაფლანგოს ის ფული!..  
საცა მანათად დღეში მოჯამაგირეა, ის ათშაურათ იქერს;  
საცა მასალა ას თუმნობით ჯდება, ის ორმოც თუმნათ  
ისვამს და ~~და~~<sup>და</sup> არჩენს, თავის სიყოჩადეში, ჯიბეში უკრამს. ✓  
ერთი მიბრძანეთ: ეგ სიტუტუცეა?.. აგრეთვე დოხტურები!  
ზოგიერთა დოხტური სამ წელიწადში სამ მანათს ვერ  
აიღებს, როდესაც იმის ამხანაგი თვეში სამოც თუმანს  
არ დასჯერდება!.. ჩისვან. არის ეგა?.. \*ეგეც ისვე ჰეუის  
და ხერხის სმარებისაგან. \*აი, ეხლა ჩემი ავეტიქა: რთხი  
თუ წუთი თვეა რაც რუსეთიდან მოვიდა და ზოგიერთა  
დიდი ხნის ნამსახური დოხტური წინ არ წაუდგენ! იმ-  
დონი ღმერთმა მე მიშველოს, რამდონი კა დოხტურიც  
ჩემ ავეტიქას დაპნატროდეს; ვენაცვალე იმასა, რომ თა-  
ვის საქმე კარგად წაიკვანა! ჩემი ავეტიქა სხვასაებ მიწა-  
ჩაუშვებელი არ არი! ზოგიერთა დოხტური ამაყობს:  
„პრაქტიკას მე რათ მოვძებნიო! ვისაც ჩემი თავი უჭირ-  
სო, თვითონ მომნახოსო, თვითონ მიპოვნოსო“! პო, სწო-  
რედ, ელოდე და მაძლარი იქნები! ჩემმა ავეტიქმ კი,  
მოვიდა თუ არა, ყველა გაიცნო, ყველას ვიზიტები გაუ-  
კეთა, ყველას დაუმეგობრდა, ყველას თვალში ჩაუგარდა;  
იქ იმას ასიამოვნა, აქ ამასა და ამითი დიდი პრაქტიკა  
იშოვნა! ~~ან~~ მიბრძანეთ: რომელია იმათში ტუტუცი, ისა,  
რომელიც თავის სიამპარტაგნის გამო მშერია, თუ რო-  
მელიც თავის თავდამბლობით მაძლარია?.. (შემოღის მაჭარ-  
ვალი ქუთუვანი).

## გამოსვლა მიორე

სალომე უზარნოვი და მაჭანკალი ქეთევანა

ქეთევანა. (თავს უკრაფ) სალომეს გახლაგარ!

სალომე. შენა, ქეთევან!.. როგორა ხარ, დედაკაცო?.. დაჯერი.

(ქუთუვანა ფაფუზი ჩამოჯღება).

ქეთევანა. სხვა?.. როგორა ბრძანდებით შენი შვილების მართვას  
შვრები, ვაჟებს არა ნიშნამ, ადამიანო?..

სალომე. რა შეჩეარება!.. ვაჟები არიან, ქალები ხომ არ არიან, რომ  
✓ დრო გადაუვიდეთ! თუ კაი მდიდარი ქალები გამოჩნდნენ  
რატომაც არ დავნიშნამ!..

ქეთევანა. შე დალოცვილო, სულ სიმდიდრე რას დაგიქინიათ!.. შენი  
შვილები, რაკი კაი ჯამაგირში არიან, ფულს როდილა  
უნდა გამოუდგნენ! უნდა ერთი ჰქვიანი და ლამაზი ქა-  
ლი ღარიბ ოჯახიდან გამოიყვანონ და ჯვარი გადი-  
შერონ!..

სალომე. რაო ქა?.. რაო?.. ერთი კიდევ გაიმეორე, დედაშვილობას!..  
არა, ერთი მითხარ, შე შეჩენებულო, თუ, რომელმა ნა-  
სწავლმა ვაჟმა დაიწერა უფულო ქალზე ჯვარი?..

ქეთევანა. ბევრმა!.. ისე ღმერთმა ჩემ წვრილშვილს უშველოს, რო-  
გორც ბევრმა ინჯილერმაც და ღოხტურმაც მდიდარაშარ  
ქალს ღარიბი ქალი ირჩიეს!..

სალომე. მეც ვიცი!.. უშენოთაც ვიცი, რომ ტუტუცი ქვეყანაზე დ  
ბევრია!.. არა, შენ ჰქვიანი მიჩვენე, თორემ ტუტუცებს  
მეც ვიცნობ! რათა, როცა შეიძლება, რომ ლამაზიც იყვეს,  
ხაზეიკაცა და ერთი სამიათას, ან ორი ათასი თუმანიც  
ჰქონდეს, რათა, მეტი სარჩო ვის დაუწუნია?..

ქეთევანა. აბა, სალომე, ჩემგან კი რა ღარიგება გეკადრება, მაგრამ,  
ღმერთს გეფიცები, ვისაც კი ფული მოუძებნია, ბოლოს  
ბევრი უნანია. ამიტომ რომ იფულიანი ქალები მეტ-მეტ-  
საც ნდომულობენ! ეხლა მე შეს გასპარასთვის კარგი ქა-  
ლი მყავს; ყოვლისფრით კარგი: თუ ხასიათით, თუ სილა-  
მაზით, თუ სწავლით, თუ მხეობით...

სალომე. შენ ეს მითხარ, ფული აქვს?

ქეთევანა. ფულად კი არაფერი, მაგარამ მზითევი კი კარგი!

სალომე. მაშ, ჩემო ქეთევან, ტყუილათ პირს ნუ იცდენ! ჩემმა შვი-  
ლებმა, ინჯილერმა ან ღოხტურმა, უფულო, ცარიელ-  
ტარიელი ქალი უნდა შაირთონ? მერე მეხი კი ჩამასკდეს  
ამ თავში! მერე მიწაში კი ჩაძრეს სალომე!..

ქეთევანა. კარგი სალომე! შენს მტერს და დუშმანს! მე ხომ საწყენათ  
არ მოგახსენე!.. შენი ნებაა, ძალის არავინ გატანს!

**სალომე.** ხო და, მაშ ისეთი არა უნდა სიქვა-რა, რომ კაცს გული  
გაუშფოთდეს!.. (ძეთვანა წამოღება) მოიცა ქა!.. სად მიე-  
ჩქარები?.. ი შენი ლარიბი ქალი ერთ სამთუმნიან ჩინო-  
ნიკს გაურიგე!..

**ქეთევანა.** დარიგებისათვის გმადლობთ!.. ისიც ალბად თავის ტოლს  
იშოვნის. მშვიდობით!.. (გადის).

## გამოსვლა მისამი

## სალომე (მარტო.)

**სალომე.** (ძოვთლით — კარტბის კარი) ი, მენი კი ჩაგასკდეს, მეხი, მაგ  
თავში!.. (საჭირო განახლების) არა, ერთი მიბრძანეთ თუ, ან კი  
როგორ გაბედა მაგის თქმა!.. (აჯავრებს) შენმა შვილებმამ,  
რაკი კაი ჯამაგირში არიანო, უნდა ღარიბი შაირთონო.  
ხო, მამა გიცხონდა, აღარას დაგიკლებ, რომ ჩემმა შვი-  
ლებმა, რუსეთში დაზღიულებმა ცარიელ-ტარიელი ქალი  
სახლში შემოიყვანონ!.. (ხელია ძრევით) აბა რაღა მიქნია!..  
გესმით, ერთ ათ თუმნიან დაპირებიან და აქ უნდა მა-  
გას თავის ჭიუაში, სალომე მიკირტუმა უზარნოვის ცო-  
ლი მოატყუოს!.. უი ჩამისკდი, ჩამისკდი შენა! არა, ვინც  
მოგიტყუებია და მახეში ჩაგიბამ, ჩვენ ტყუილად ის ნუ  
აგონივართ!.. ტყუილად, ვერც მე და ვერც ჩემ შვილებს  
შენ ვერ მოატყუებ! ჩემი შვილები ისეთი წვა და დაგვით  
გამომიზდია, იმდელი მშიერი დღეები მინახავს იმათ სწა-  
ვლის გულისავის და ეხლა კი ღარიბ თჯახიდან რძალი  
შემოვიყვანო! აღარას ჩაუკლებდ!.. ჩემი შვილები სხვა ტუ-  
ტუც ვაჟებს არა ჰგეანან, რომლებიც რუსეთშივე რუსის  
„მათუშას“ გადააშეცდებიან და ჯვარს გადიწერენ ხოლ-  
მე! ბიჭო!.. ჯანაბა ყველას: ე ჯვარის გადაწერა რაღა!..  
(აჯავრებს) როცა შევიყვარეთო, მა როგორ იქნება,  
რომ ჯვარი არ გადაიშეროთო!.. რაკი შეიყვარე,  
უთუოთ რუსის გოგო ცოლათ უნდა გაიხადო?.. უთუოდ  
ჯვარი უნდა გადაიშერო?.. ჩემ გასპარსაც ვიღაც „მათუ-  
შაა“ აეთრია. ოთხ-ოთხი შეილიც მისცემოდა, მაგრამ  
ჯვარი კი არ გადაიშერა!.. ქენაცვალოს დედა იმასა, რომ ის  
ტუტუც ვაჟებს არა ჰგეას!.. ეხლაც ბევრს ეხვეწება: ჯვარი



დაიწერე ჩემზეო, მაგრამ ჩემი შვილი ჯერამ ეგრე არ  
გაგიუებულა, რომ რუსის გოგო ცოლათ გაიხადოს!.. იმა-  
სა ჰერნია, რომ ჩემი შვილები ძალიან ეჩქარებიან ცო-  
ლის შერთვასა!.. იმდელი დღე მოემატოს ჩემ ორ შვილ-  
სა, რამდელ ლამაზ მზითვიან ქალსაც ჩემ გასპარა და ავე-  
ტიქაზე თვალი ეჭიროთ!... მაგრამ ვენაცვალე იმათა, ისი-  
ნი მაინც ჰქონას არა ჰკარგავენ, უკეთეს და უკეთეს ეძე-  
ბენ. თავშემოვევლე მე იმათა! ჩემმა გასპარა და ავეტიქამ  
იციან: ფული პატარა ლმერთიაო! (შემთხვევაში მაჭარებლი-  
ბარბარე)

### გამოსვლა მოოთხე

სალომე და ბარბარე

**ბარბარე.** (სელს უშვერს სალომე) სალომე, დაპკა ხელი! დაპკა და  
პირჯვარი გადაიწერე!

**სალომე.** (გაოცემით) რა დაგემართა, დედა-კაცო? ცოფიანმა ძალმა  
ხომ არ დაგგლიჯა?

**ბარბარე.** არა, ღმერთმანი, არ გეხუმრები. მოიტა ყური მოგწიო,  
უნდა გახარო რამე!

**სალომე.** რა დედა-კაცო, რა? არ იტყვი?

**ბარბარე.** (ჩამოჯვეულ ფახცხვი) ისა, რომ შენი შვილი გასპარა ამაღამავე  
დაგინიშნო!

**სალომე.** დანიშვნა ადვილია, შენ მხოლოთ მითხარ, ვისზე?

**ბარბარე.** ვისზედაც, ის ეს ორი კვირაა, ლაპარაკი გვაქვეს: გუ-  
ლაღანო ანუშავას ქალზედ.

**სალომე.** მოილაპარაკეთ? დაპყაბულდა?

**ბარბარე.** ეს არი ეხლა იქიდან მოგდიგარ. შენმა სამძახლომ მოგი-  
კითხა და მოგახსენა, რომ, ჩემო სალომეო, შენ შვილს კა  
ქალს მივცემო და ფულათ ათას ხუთასი თუმანი გე-  
ყოფაო.

**სალომე.** (სელის გააფაფანებს) უი დამიღეს თვალები, ქა! აბა რო-  
გორ იქნება!

**ბარბარე.** დამაცადე-და! ათას ხუთასი თუმანი ხომ ნალდი, მაგის გარ-  
და ხუთასი თუმნისა მშეგნიერი მზითევი!

**სალომე.** შე გამოჩერჩეტებულო, შენა, მაშ უმზითო ქალი ვის უსაფრთხოები  
ხში შესულა! მზითევი რა ჩასათვლელია, შენ წაღლდი  
ფული თქვი! გვაქვი და გავათავე, რომ ორი ათას თუმან  
ნაკლებ არ იქნება! ჩემი შვილების მხემა, კაპიკს ფეხს არ  
მოუცვლი! იქნება ანუშკას ჩემი შვილი უბრალო ჩინო-  
ნიკი ჰერონია! უი დამიდგეს თვალები, ქა, ჩემი შვილი ნამ-  
დვილი ინჯილერ-პუტიცის—ლერსის გზის ნაჩანიკის  
ინჯილერია! გულის მარცხენა მხარეზე მასკვლავი აკრია!  
შენ და ანუშკას ჩემი შვილი, ვინ იცის, უბრალო ვინმე  
გვინიათ?

**ბარბარე.** ვკით, ვკით, სალომე! შენ ეს მითხარი, ყაბულსა ხარ?  
დედაკაცო, რათა ხარ ეგრე ხარბი! სხვა რაღა გინდა:  
ლამაზი, კურს დასრულებული ქალი...

**სალომე.** მე იმი კურსები არ მინდა!.. ქალი ოლონდ თჯახის ბურჯი  
იყვეს, კურსი-მურსი რას მიევიან!

**ბარბარე.** ოჯახის ბურჯით? რას მიძხანებთ, მთელი თჯახია და ისა!

**სალომე.** ეგ ყველა კარგი და ფული კოტა!

**ბარბარე.** (პირავას გირისახავს) დიდება შენდა ღმერთო! დედაკაცო,  
ფული რა ღმერთათ გაგიხდია! მართლა არც ეგრე ვარგა  
ფულის რეყვარება! კოტა! ათას ხუთასი თუმანი კო-  
ტა! ეგრე რომ მივყვეთ, შენ ჩითახოვის ბანქსაც იკო-  
ტავებ!

**სალომე.** დედაკაცო, შენ რა გაბრაზებს? ყველა თავისას აფასებს,  
ერთი ხუთასი თუმანიც მოუმატოს და!..

**ბარბარე.** (თავის ძრევით) ი, მართლა? ხუთასი თუმანიც რომ მოუმა-  
ტოს, მაშინ შენ შვილს ალარც კი მისცემს! ორი ათას  
თუმანათ ღენერალი კი არ შეირთამს?

**სალომე.** რაო, ქა? ჩემი შვილი ღენერალს არა სჯობიანი?... ახალგაზ-  
რდა, გზების ნაჩანიკის ინჯილერი, გულზედ ვერცხლის  
მასკვლავი, თვეში ორმოცი თუმანი ჯამავირი!

**ბარბარე.** ორმოცი თუმანი კი არა და, შენმა თავის მზემა!

**სალომე.** ის არ მომიკედეს! ორმოცი თუმანი ხომ ჯამაგირი აქვს,  
ორმოცაც ისე შოულობს!..

**ბარბარე.** ხო და სხვა რაღა გინდა, ადამიანო? ი საწყალმა ქვრივ-  
ოხერმა დედაკაცმა რაღა ქნას? ისიც წვრილშვილის პა-  
ტრონია!



**სალომე.** კარგი, შენი ხათრისთვის, ათას რვაასს დავჯერდები უნდა შეს  
პარა და ავეტიქა არ მოუკვდეს თავი დედას, რომ მე  
კაპიქს ფეხს აღარ მოუცელი!.. ათას რვაასი თუმანი ნალდი  
ბილეობათ და ხუთასი თუმანისაც კაი მზითევი!.. ახლა,  
დედაკაცო, შენ რა გჯისი ანუშეკას შეძლება შენ რაში  
გშურს? თუ იმისაგან მოელი რასმე, მეც, ხომ იცი, ჩემი  
სვინდისი მაქცეს! შენ ერთი ეგ საქმე როგორმე მომიხერხე,  
ე შენ ანუშეკას პატარა ფულები გამოამეტებინე, მე ვიცი  
და შენა!.. ხომ იცი, ჩემი შვილი ნასწავლი კაცია, შენ  
შრომას არ შეიტევს!

**ბარბარე.** აბა ჩემისთანა საწყალი ადამიანის ცოდოს რას დაიდებთ!..  
აი, ხვალ ანუშეკასთან მოვილაპარაჟებ და ვნახოთ, რას  
იტყვის! (ებება).

**სალომე.** მოიცა, ჰო, დამავიწყდა!.. რა ჰქვიან იმასა? რაღაც ჯანა-  
ბური სახელი აქვს!.. შავი რომ არი, აი, თითებით რომ  
უტყაპუნებენ! (ხელი დწევით) დასწყევლა, პურის სახელი  
დაავიწყდება ადამიანს! (იგორებს) როლიარიო... თუ რო-  
ლიარიო, ჰო, მომავონდა! როლიარი! როლიარი აქვს თუ  
არა?

**ბარბარე.** ახლა როლიარი! როლიარი კი არა და, დუხორ-მუზიკა არ  
გინდა! როლიარი რათ ვინდა? ვინ უნდა დაუკრის? სწო-  
რე მოგახსენო, ანუშეკას ქალმა როლიარზე დაკვრა არ  
იცის! მაშ ვინ უნდა დაუკრას? შენა? ხო, სწორეთ მამა-  
შენმაც როლიარზე არ დაიშტერია თითები!

**სალომე.** დედაკაცო! ახალი ნახადი ღვინო ხომ არ გადაგიკრავს? არა,  
არ გეხუმრები ღმერთმანი! როლიარი უთუოდ უნდა მო-  
ჰყეს!.. აბა რომელმა ნასწავლმა კაცმა შიირთო უროლი-  
აროთ ცოლი?

**ბარბარე.** კარგი, კარგი!.. ანუშეკასთან მოვილაპარაჟებ!

**სალომე.** მოიცა! მზითებიც მზითებია! დიდი სარკიანი შკაფი, „ტურ-  
მოაო“ თუ რაღაც ჯანაბა! მარმარილოს პირის-საბანი...

**ბარბარე.** ე შენ დაღრეჯილ პირს ტაშტში კი ვერ დაიბან!

**სალომე.** კრაოტი, კამოდი, ოროლი შკაფი...

**ბარბარე.** კარგი, კარგი, გავიგე! შენი სწავლა არ უნდა. ანუშეკა სხვა  
სვინდისის დელა-კაცია! რასაც დაგპირდება, კიდეც აგი-  
სრულებს! (კარგის კავკა მიღიას).

სალომე. კაი ფარჩის ექვსი საბანი...

ბარბარე. ექვსი რაღა არი! თუ შენ ფარჩის საბანში არ გამოხვიდე!...

სალომე. კარგი, დედაკაცო, ღორის ქონით ხომ არა გაქვს ეგ ყბები  
მოქნილი! ყური მიგდე-და! გავიგე, ანუშქას კაი ხალიჩე-  
ბი და ფარდაკები ჰქონია, ვინძლო ქალი არ გამოს-  
წიროს!

ბარბარე. ხო, ბარე სულით ხორცამდის გაიყიდოს და შენ მოგინდეს!  
(გადის).

სალომე. (მიამასებს) როლიარი არ დაგავიწყდეს!

### გამოსვლა მეზოთ

სალომე (მარტო)

სალომე. (ხელიში სტეიტ) ეგ საქმეც თითქმის გარიგებულია! ანუ-  
შეს მეტი რა ჩარა აქვს, რომ არ დასჯერდეს! მამა  
უცხონდა, რა, ჩემი შვილისთანას კიდევ იშოგნის! (და-  
ფირდება) მეც არ მოვტყუვდი, ლმეროთმანი! ათას რვა-  
ასი თუმანი ნაღდი, ხუთასი თუმნისაც მზითები, კაი  
როლიარი და ახლა ისე ფეშქაშები, ეგ თითქმის სამი ათას  
თუმნამდინაც გასჭრის! მეტ უველა კარგი, მაგრამ ის რუ-  
სის „მათუშა“ როგორ მოვისხლიტოთ თავიდანა? ის გა-  
საწყვეტი ჩემ გასპარის ძან ემუქრება: „თუ ცოლ შეირ-  
თამო, მე ვიცი და შენაო!“ (დაფირდება) მეტი ჭარი არ  
არი, უნდა როგორმე ფული დავახარბოთ და თავიდან  
მოვიწყებიტო! ამისთანა უბედურება გინახამთ, რომ  
საწყალ ბიჭს იმი შიშით ცოლი ვერ შეურთამ! (აჯა-  
ვრებს) ჯვარი დაიწერე ჩემზეო! აბა აღარის ჩაგილებს!

X საცა ყმაწვილმა კაცმა ქალი შიიყვაროს, ყველაზე თუ  
ჯვარი იშერა! ამ სასიკვდილე საწყალ ჩემ შვილს გულს  
უხეოქამს: რა დღესაც სხვაზე ჯვარ დაიწერ, იმ დღესვე  
ყველას შევატყობინებო, რომ შენგან ოთხი შეილი მყავსო!  
მეტი ჭარი არ არი, უნდა, როგორც იყვეს, ფულით თუ  
დავაგებით მოვატყუოთ! არა უშავს-რა, ერთი ე ცოლის  
ფულები დაითვალოს თუ არა, აილოს ერთი ასი თუმანი  
და თავში ახეოქოს! ერთი თავიდან მოიწყვიტოს! ერთი



ჩქარა მოვესწრო ჩემი გასპარას ბედნიერებას შემოიტავ  
გონა, რომ ეს ჩქარა მოხერხდებოდა ეს საქმე! (პირჯვარს  
ისახავს) დიდება შენდა ღმერთო!.. წუხანდელი სიზმარი  
ეს ჩქარა სად ამიხდა! წუხელი სიზმარში მითომ ჩემ გა-  
სპარას ჩემთვის ახალი ჩიხტი, კოპი და კავები ეყიდნა.  
მევ მითომ თანაც ვიშუნებდი და თანაც კავებ ვიგრე-  
ხამდი! (პირჯვარს ისახავს) კურტხეულ არს, უფალო, შენა!  
სწორეთ რომ სიზმარი ძღამიანის მოკიქულია! (შემოდის  
მისი უმცროსი შვილი, ავაცია ბიჭირცუმოვინი).

### გამოსცლა მეექვთი

ხალომე და ავეტიქა

სალომე. შენა, შეილო ავეტიქან? რა ქენ, დღეს როგორ ფეხზე  
იარე, ერთი სამიოდე თუმანი მაინც ვერ აჰკარ?  
ავეტიქა. სამიოდე კი არა-და! რა სამიოდე, როდესაც მთელი ჩემი  
ავადმყოფები სულ ფეხზე ჭამოდგნენ!

სალომე. არა უშავს-რა, ღმერთი მოწყალეა! სუ ხომ კარგა არ იქ-  
ნებიან, ერთხელაც იქნება და გახდება ვინმე ავათა! ჯე-  
რამ ამ სამ დღეში ერთი ოკი მაინც არ გასოხრის ლო-  
გინსა! ბედნიერი დღეებია, ზოგი სოფრება, ზოგიც მომე-  
ტებულსა სჭამს და!..

ავეტიქა. მაინც იმ წარსულ თვისთანა შემოსავალი იღარ იქნება!

სალომე. არა უშავს-რა! შენ ღმერთი ადიდე! გასპარა ხომ არ გი-  
ნახამს? ისეთი, ისეთი მდიდარი ქალი გავურიგე მე იმა-  
სა, რომ!

ავეტიქა. მე და გასპარა მოვლიოდით შინა და ვნახოთ, ხილზე და-  
გვიხვდა იმისი...

სალომე. ის გასაწყვეტი მათუშეკა ხომ, არა?

ავეტიქა. სწორედ ისა, დედა!.. საწყალ გასპარას მოსვენებას არ  
აძლევს!.. საცა კი შეხვდება, საქმეს უჭირებს!..

სალომე. უი ის სასიკვდილე, ისა!.. არა, დღეს მაინც რას ეუბნე-  
ბოდა?

ავეტიქა. რასაც ყოველთვის! დღეს კი ეს უთხრა: გავიგე, რომ  
ცოლის შერთვას აპირებო...

**სალომე.** მერე რა გნებავს-თქო?..

**ავეტიქა.** ისა მნებავსო, რომ ან ჯვარი უნდა დაიწერო ჩემზედაო...  
სალომე. უი შენს თვალებსა თქო!..

**ავეტიქა.** ან ხუთასი თუმანი მამცეო!

**სალომე.** (გაცემით) რაო, ქა!.. ხუთასი თუმანიო?.. ხუთას თუმანს რომ კაპიკი აკლდეს, არ შეიძლება-თქო! იშტა კი გაქ, შე სასიკვდილე და!..

**ავეტიქა.** მე რომ მკითხო, ამაში სულ გასპარა სტყუის!.. მე რომ გასპარას ალაგას ვიყო, ისე ვიწერი იმ „შლიუხას“, ისე, რომ, სად თავი ჰქონდეს, სად ბოლო, გელარცე იცნოს! ეთაკა ძრახ!

**სალომე.** არა შეიღო, ცემა როგორ იქნება! უფრო საქვეყნოდ დავი- დებით! მაშინ წადი და შაირთე ცოლი!.. როცა მშობლე- ბი გაიგებენ, ქალს ვიღა მოგვცემს!.. იმისთანებს ხომ არაფრისა სცხვენიათ!..

**ავეტიქა.** რომ სცხვენოდეს, ხომ გასპარას რუსეთიდან აქ არ გამო- უდგებოდა!..

**სალომე.** მერე გასპარამ რა უპასუხა?..

**ავეტიქა.** გასპარამ მე მითხრა: შენ შინ წადიო და მე ამას მოური- გდებიო!..

**სალომე.** (მუსლი სალა დაიკრავს) უი დაუდგეს დედა-შენს თვალები!.. ემანდ ქუჩაში არა სცემოს და პოლიციაში არ ჩაითრიონ!..

**ავეტიქა.** არა, დედა, ფულზედ უნდა მოურიგდეს!.. აი, თვითონ გა- სპარაცა!.. (შემოღის ინტერაქცია განხორციელდება).

### გამოსალა მეშვიდე

იგინივე და გასპარ მიერტუმოვინ უზარნოვი

**სალომე.** სადა ხარ, შვილო გასპარჯან, აქამდინ, გენაცვალოს დედა- შენი!.. რა ქენი, მოურიგდი იმ თავსასიკვდილეს, თუ არა?..

გასპარა. უპ!.. ძლიერ არ მოვიშორე ის ჭირი თავიდან!..

**სალომე.** (სისატულით) როგორი?.. უფულოდ მოურიგდი?..

გასპარა. (ცელის ძრევით) რა უფულოდ!.. ან ჯვარი დაიწერე ჩემზეო ან ემ წუთში ხუთასი თუმანი დამითვალეო!..

**ავეტიქა.** ერთ კაი ხუთას წაურტყამდი ი თავში და ხუთასიც ის იქნებოდა!



გასპარა. ხალხისა არა მცხვენოდეს!.. (მუშაოს ძლივთ) ე ნიშან ვა-  
და!

სალომე. მეტე, გენაცვალოს დედა, როგორ მოურიგდი?..

გასპარა. მე იმას თავის შვილებით თვეში თხუთმეტი მანეთი დაუ-  
ნიშნე!..

სალომე. როგორ?.. სამუდამოთ?

გასპარა. ჰო, სანამ შვილები დაიზდებიან!..

სალომე. მიკვირს დაპყაბულდა!..

გასპარა. როგორ თუ დაყაბულდა!.. რევოლუციი ამოვილე და ვუთ-  
ხარ, ემ წუოში, ან აქედან გადაიღუპე სადმე ან ემ წუ-  
თშივე აქვე ფეხებ გაგიპარუშიკებ მეთქი!.. ლეთის წყალო-  
ბა გაქვს, მე იმას მჭყრები ავუფრინე.. მე უნდა ცოლი  
შევირთო, ჩამომეხსენ-მეთქი!.. ფულათ თვეში თხუთმეტი  
მანეთი დაუნიშნე და საღამოზე რუსეთში უნდა გავი-  
სტუმრო!..

სალომე. კაი დროს მოიწყიტე ის ჭირი, გენაცვალოს დედა შენა!..  
აი ამ ორ დღეში კიდეც დაგნიშნავ!..

გასპარა. რა პენით, მორიგდით შენ და გულადაანი?..

სალომე. მოვრიგდით!.. ბედი კი გაქვს, გენაცვალოს დედა და!.. ისე-  
თი ლამაზი ქალი და ათას რგაასი თუმანი გეძლევა რომ!..

გასპარა. ქალი კი ლამაზია, მაგრამ ფული ცოტა!..

სალომე. ათას რგაასი თუმანი ხომ ნაღდი, კაი ხუთასი თუმანისაც  
მზითევი, ჩემო ბატონო, კაი როლიარი!..

გასპარა. კ ყორთ მზითევი და როიალი! შენ ნაღდი ფული თქვი,  
თორემ „ტრიაპეზი“ რა ჩასათვლელია!..

სალომე. მაშ ფულები გეცოტავება, შვილო?

გასპარა. კონეცხი მეცოტავება!.. ათას რგაასი თუმანი რა ფულია!  
მეტადრე ეხლა ი გოგოსაც უნდა ვუგზავნო!.. ერთი ორა-  
სი თუმანი კიდევ მაინც მომიმატონ!..

სალომე. კარგი, შვილო, ბარბარეს დავიბარებ და მოუელაპარაკები.

ავეტიქა. (ძმის ხელს დაპკრავს) რას შერები, შე „დურაკო“, შენა!  
მდიდარი დედა-კაცია: ფეხი დააჭირე და კაი სამი ათა-  
სებიც წაართვი! ვიღაც გულადოვის ქალი შაირთოს ნა-  
სწავლმა კაცმა და ერთი ხუთი ათასებიც არ აიღოს!.

**სალომე.** აბა, შვილო, კიდეც მოურიგდი და ეხლა რაღა უშემოდება...  
აი, ეხლა შენ გაგირიგებ ხუთი-ათას თუმნიან ქალსა!

**ავეტიქა.** მე შენი რჩევით ცოლს არ შევირთამ!..

**სალომე (გარცებით)** როგორ თუ არ შეირთავ, ქა?. უი დამიდეს  
თვალები, ქა, მა შენ დედას თუ არ შეატყობინებ...

**ავეტიქა.** კარგი, დედა, ნუ ბრაზობ, ვისაც მე შევირთამ, შენც შე-  
იტყობ!

**გასპარა.** (ღერაც) შენ ჯერ ეს მითხარ, ჩემი საქმე ნამდვილად გათა-  
ვებულია? კიდეც მოურიგდი?

**სალომე.** მოურიგდი, მაგრამ აი ეხლა ისევ უნდა დავიბარო ის სა-  
სიკვდილე ბარბარე და როგორც იყვეს უნდა ერთი ეგ-  
ორასი თუმანიც მოვამატებინო. მაგრამ რა მიზეზი  
მოუდო?

**გასპარა (ცოდნას დაფიქტრება)** აი რა, დედა, შენ წალი, ბარბარე  
დაიბარე და უთხარ: თუცა კიდეც მოგირიგდითქო, მა-  
გრამ ჩემ შვილს აღალც უსახელო წიგნები მიელო-თქო,  
რომელშიაც გულადოვის ქალზე დიდი ძაგება სწერია-  
თქო! თუ რომ გინდათ, ჩემ გასპარამ მაგ ქალზე ჯვარი  
დაიწეროს, ერთი ორასი თუმანიც კიდევ მოგვიმატე-  
თქო. აბა მეტი რა ჭარი აქვთ!

**სალომე.** ეგ კარგი მოიგონე, გენაცვალოს დედა შენა! ეხლავ წავალ  
რა დავიბარებ!

**გასპარა.** მოიკა! მითხრეს, გულადოვის ცოლს თავის ქმრის დანარ-  
ჩენი კარგი ბრილიანტის ბეჭედი ჰქონია, ეგება ეზეც  
როგორმე მომიხერხო!

**სალომე.** წავიდე, დავიბარო ბარბარე და ველაპარაკო! (გადის).

გამოსხლა მირვი

ავეტიქა და გასპარა

**ავეტიქა.** (ბშას სელს დაკრაჭა) მაშ ეგრე? მაშ შენ გულადოვის ქალის  
შერთვაზე უარს არა ხარ?

**გასპარა.** თუ რომ როგორც ქალია ლამაზი, ისე ლამაზი ფულებიც  
დამითვალეს, უარს რათ ვიქნები, ბიჭო! ამაზე კარგი რა



გინდა: ლამაზი ცოლი და ბანქშიც კაპიტალი! შენიშვნა  
ჩევ, ერთი მდიდარი და ლამაზი ქალი მონახო.

აფეთიქა. მე სილამაზეს ისე არ დავდევ, როგორც გვარიშვილობასა.  
ამაზე კარგი რა გინდა: ღიდაკაცის ქალი შეირთე და  
იმის ნათესავებიდან კარგი პრაქტიკა იშოვნე!

გასპარა. ღილკაცობა რას მარგებს, თუ ცოლი გონჯი მყავს და  
ჯიბე ცარიელი?

აფეთიქა. შენ მაგ აზრისა ხარ, მაგრამ მე კი, რაც უნდა ლამაზი ქა-  
ლი იყვეს, თუ „არისტოკრატეკა“ არ არის, არ შევირთამ!  
რა ვიცი, თუ ერთი ხუთიათასები ექნება, მაგაზე კი ვე-  
რას ვიტყვი.

გასპარა. ისე რომ შენ თუ არ „პრინცესსა“, ჯვარს არ დაიწერ! ნე-  
ტაი კი მაჩვენა, როგორი, რა სახისა იქნება ი შენი  
„პრინცესსა“!

აფეთიქა. რახან ეგრე ჩქარობ იმის ნახვას, ხვალვე გაგაცნობ ჩემ  
დანიშნულსა!

გასპარა. ე... ე!.. ხუმრობ, თუ მართლა ამბობ?..

აფეთიქა. მართლა, ღმერთმანი! აბა მიხვდი, ვიზედ ვამბობ?.. მაგრამ  
მოიცა, მე თვითონ გეტყვი!.. ის არის... არის... ის არის...  
კნაუნა ნაზიკოვა!..

გასპარა. გასწი ერთი-და!.. ჩიქო!.. ვა! ის ხომ საშინელი გონჯია?..

აფეთიქა. რა ვნეა-რა!.. ვა თი კაი წარჩინებული მამა და ნათესავე-  
ბი ჰყავს, კაი ათასი თუმანიც ნაღლი აქვს!..

გასპარა. სად გაიცანი შენ ისა?..

აფეთიქა. იმის მამას ვწამლობდი.

გასპარა. კარგი-და, საქმე კიდეც გათავებულია?.. Предложение კი-  
დეც გაუკეთე?..

აფეთიქა. მე იმის მამას კიდეც მოველაპარაკე. ახლა ამ სამ დღეში  
ქალს უნდა მოველაპარაკე.

გასპარა. იცი, მე კიდევ მაინც როდი მჯერა, რომ პროტეკციისთვის  
იმისთანა გონჯს ირთავ!..

აფეთიქა. ეხლანდელ ღროში საქმე — პროტექცია! პროტექციით ღირ-  
სებასაც იშოვნი და ფულსაც!..

გასპარა. რახან ფული ჰქონია, კიდევ არაფერი!.. მაგრამ სჭორედ  
ვინდა გითხრა, ი მაიმუნის ცეკვა ძან ძნელია!

**ავეტიქა.** (ღაბილი) ახლა შენცა!.. სწორედ იმას ვუცემერი ჟერებული გამოსახულების გარეშე მე გადასახლდები, მეორეც ესა, ლამაზი ქალი ხომ ქვეყანაზე არ დალეულა!..

**გასპარა.** ეგ კი მხოლოდ ე ფულში არ მოსტყველე!

**ავეტიქა.** შენ შენი თავისთვის იზრუნე, შენ ჩემთვის ნუ სწუხდები!.. შენ დღეს შინა ხარ? ..

**გასპარა.** არა, მე დღეს იმ გოგოსთან ვარ, ძან მთხოვა: ეს უკანასკნელად მაინც იყავ ჩემთანაო! სადილათ იქ ვიქნები და სალამოზე რუსეთში გავისტუმრებ!.. შენ სადღა ხარ დღესა?..

**ავეტიქა.** მე...ე?.. ნაზიკოვიაანცა. სადილათა მთხოვეს. უნდა წავიდე, ფრაკი ჩავიცვა (გადის).

### გამოცვლა მიხერვი

გასპარ მიყირტუმოვიჩ უზარნოვი (მარტო)

**გასპარა.** (ჰაბილიტაცია) აჩა სწავლა რას ნიშნავს! აბა სწავლა რა არი... ჩვენი მამა ვინ იყო და ჩვენ ვინა ვართ!.. უბრალო ორ თუმნიანი ჩინოვნიკი იმასთან ამაყობდა და ხელს არც კი ართმევდა, ჩვენ კი ეხლა ყველა სიძეო გვნატრულობს!... ეხლა საქმე სწავლაა, სწავლა! უბრალო ვაჭარმაც კი ვაიგო სწავლა რას ნიშნავს! მე და ჩემი ძმა ნას. წავლი რომ არ ვიყვეთ, ჩვენი ხარისხის პატრონს ორი ათას თუმნიან ქალებს ვინ მიართმევს? ჩვენ ჩვენი თავი სწავლით დავიმსახურეთ! სხვა რაღა მინდა: ლამაზი ცოლი, ბანკშიაც კაპიტალი! ცოლის ფულთან, მეც, რასაც ვიშოვნი, მიუმატებ, ერთ ათი შელის შემდეგ ათი ათას თუმანს თავს უყრი, ოტსტაციაში გამოვალ და ხემშიფესავით ვიცხოვრებ! (თავჭე სელს ისვამს) მოლოდი, გასპარ მიკირთუმისი, მოლოდი! კარგა წაიყვანე შენ შენი საქმე, კარგათ! თუმცა შენც სხვასავებ ქალებთან ცელქობა გიყვარდა, მაგრამ შენ სხვასავებ ქალები ფასათ არ დაისვი! მარტო ე მაგას უნდა თვეში თხეთმეტი უგზავნო. ისიც რაკი შვილები ჰყავს! მაგრამ, რათა! ერთი ეს ჯვარი კი გადავიწერო და მეტე თავში ქვა იმასაც უხლია და იშვილებსაცა! წავიდე ერთი აქ არ მომეჭრეს ის სასიკვდილე! (ძეგლი დაფლებს სელს და გადის).

## მოქმედება მოორი

სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულ გულადანთ ოთახს. კედლზე სარკე  
და სურათები, სანდუხტი ზის დივანზე და წიგნს კითხულობს.

გამოსცლა პირველი

სანდუხტა (მ.რტო)

**სანდუხტა.** (დააგდებს წიგნსა და საბოგადოებას) რა მემართება! აი ორი  
საათია წიგნი ხელზ მიყირავს და ჯერ ორი სტრიქონიც  
არ წამიკიახავს!.. ავიღებ წიგნს თუ არა, იმისი სახე წინ  
მელანდება, ასოები თვალ წინ დახტიან და სულ ვე-  
ლარას ვიგებ!.. გუშინ, მაზურკაში მომაძახა: ცენოგла-  
ვა კრასოტკა!.. რა ლამაზია!.. რა ყოჩალია!.. მეტადრე  
როცა ტანცაობს და თან შპორებს აწყარუნებს!.. გუშინ  
მეუბნება: შენისთანა თვალები არავის აქვთ!.. (ღიმილით  
მიღის სარკესთან) აბა ერთი ვნახო ე რა სხვანარი თვალე-  
ბი მაქვს, რომ ის გიუდება იმათთვის!.. (სარკეში ისეღმა)  
მართლაც და რა სხვანარიად ბრჭყყინვალებენ!.. ტყუილად  
კი არ გაუდება ის ამ თვალებისთვის!.. კიდევ იმ დღეს,  
მოიცა, რაღაც მითხრა!, ჰმ! Ah, კარა უ ვას ივა-  
ვათელია ულინკა!.. (სარკესთან) აბა ერთი როგორვიცი-  
ნი? (კოტა მომეტებულად უნდა ვიცინო, რომ ეს თეთრი  
კბილები უფრო გამოჩნდნენ! მგრანი თმა რომ გავიხუჭუ-  
ჭო, უფრო ინტერესული გავხდე!.. უთუოთ ვცადამ და, თუ  
მომიხდა, ხვალ საბრანიაში ისე წავალ. (სარკესთან იგრისე-  
ბა) აბა, როცა ვტანცაობ, როგორი, რა მიხრა-მოხვრა  
მაქვს? (დაავლებს სკამს სელს) ეს მითომ კავალერია და მეუ-  
ბნება: ძალია ს ვამდე მადმუაზე, პროტანცოვათ ტუ-  
ვენსკი ვალის ანგარიშთ: С უდის მონსიერ  
(სკამს აცევაკავებს) ხვალ სობრანიაში დიდი ვეჩერია და თუ  
ეხლა რეპერიციია არ გავაკეთე, ხვალ უთუოდ შევრცხვები!..  
(დასდგამს სკამს თავის ალაგან). აბა რაღა თქმა უნდა, რომ  
ლაკონიძეც იქ იქნება!.. გუშინვე, ხვალისათვის მესამე  
კადრილი შოთოვა და თანაც დაატანა: იმ მნიშვნელობის მიხედვის  
თი ეგ ზნაჩენიების წიგნი არ იქნა, ვერ ჩავიგდე ხელში!..  
რამდენჯერაც კატიასა ვთხოვე, იმდენჯერ უარი მითხრა:

ნადიამ წაიღო დღესათ, გუშინ სირანუშამაო, ხვალისთვის  
 ლიზამა მოხვევაო... თვითონ ზეპირათ იცის გასაშუალება  
 და არხენათ არი. მე კი არა მკითხამს, რო აქ სირცხვი-  
 ლია ვიწურები!... „ვეირისა“ და კადრილისა მეც ვიცი,  
 მაგრამ სხვა კიდევ ბევრია!.. ახლა საბრანიაში რა კაბა  
 ჩავიცვა? როზოვი, ბორდი თუ არანუევი?.. არა, ისევ მორ-  
 დორე სჯობიან! ახლა ეგ ყველა კარგი, მაგრამ, ლაკონი-  
 ძემ რომ მესამე კადრილში პრედიქტოს, რა  
 ვუპასუხო?.. დედასა ვკითხო?.. არა, მომკლამს! დედა თა-  
 ვის დღეში ქართველს არ მიმცემს. ისიც აფიცერსა!..  
 სწორე მოგაბასენო, უბრალო აფიცერს მე თვითონაც არ  
 შევირთამ, მე ჩადრე ქართველსა! Փი!.. ჩემმა პადრუებმა  
 უნდა დამცინონ: არავინ შაირთოო, მეტი ჭარი არა ჰქონდა  
 და ობრალო აფიცერს გაშუაო!.. რაზ! დიალ! ~~ა~~ იმათ  
 ინუინერი და დობტურები შეირთონ და მე კი, უბრალო  
 აფიცერი! ვაეტრა ც მეშკო!.. რაზ!.. არა, აფიცერი  
 მარტო დროს გასატარებლად არი კარგი, ან სატან-  
 ცაოდ, და უჯარია!.. ქმრათ კი — ინჟინერ! ~~ა~~ В осо-  
 бенности инженер путей сообщения!.. თუ ინუინერი არ  
 იქნება, დოკტორსაც არა უშავს რა!.. ~~ინუინერ~~ და დოქ-  
 ტორს დიდი პატივი აქვთ, იმიტომ რომ ისინი დიდ ჯა-  
 მაგირს იღებენ და დიდი ნასწავლები არიან!.. აფიცერი  
 კი რალაც ეჭვს თუმანს იღებს თვეში და უბალლესი სწავ-  
 ლაც არ მიუღია; ამიტომ იმათ მალჩიშვათ, ტუტუცათა  
 და უსწავლელათ სახმენ! როცა ქალი ინუინერს ანუ  
 დოკტორს ირთამს, ყველასაგან ისეთი პატივი აქვს, ისე  
 ყველგან მიღებულია! აფიცერი და სხვა ჩინონიკები კი!..  
 მა თუ ინუინერი და დოქტორი დიდი რამე არ არი, მაშ  
 ისე ძვირათ რათ შოულობენ იმათა? ~~7~~ აი ეხლა, ხაშუე-  
 რაანთ სირანა რომ მიათხვეს იმ გორნი ინუინერსა, კაი  
 სამიათასი თუმანიც დაუთვალეს!.. (შემოხები ტერაზანი და  
 ანუშკა გულაბოვის ცოლი).

ანუშკა. (სანდეულის) სანდუქტაჯან!.. პატარა ხან იმ ოთახში გადი.  
 (სანდეულის გადის).

### გამოსვლა მოღვა

ანუშკა გულადოვის ცოლი და მაჭანკალი ქეთევანა.

ანუშკა. აბა, ქეთევან, რა საქმე გქონდა?..

ქეთევანა. თქვენ ჯერ ეს შიბრძანეთ: კნეინა დარო ლაკონიძისა მო გეხსენებათ?..

✓ ანუშკა. როგორ არა!... ვიცნობ!.. იმ დღესაც ლოტოს კლუბში ერთათ ვიყავით!.. მერე რა არის?..

ქეთევანა. ესეც ხომ მოგეხსენებათ, რომ იმას ერთი ვაჟიშვილი ჰყავს?

ანუშკა. როგორ არა! აფიცარია, სანდუხტას კლუბში ეტანციება ხოლმე. რა, ჩემი სანდუხტასთვის ხომ არ გინდა?..

ქეთევანა. მოითმინეთ პატარა, გენაცვა, მოგახსენოთ! დიალ, კნეინა დარო ჩემი ძველი ნაცნობია; დღეს დილას დაუბარებევარ და მეუბნება თუ: ჩემი შვილი დათიკო დიდი გაგიუებულია გულადაანთ ანუშკას ქალისათვის და...).

ანუშკა. (მასხატული ღიამილი) მერე, მერე?

ქეთევანა. მერე ისა, ჩემო ბატონო, რომ ეგება როგორმე გაგვირიგოო?..

ანუშკა. (გამრაბილო) როგორ თუ გაგვირიგოო.

ქეთევანა. ჩენ მხოლოდ ქალი გვინდაო! რასაც თავის ნებით მისცემს რასმეო, ხომ კარგიო, თუ არა-და, არც ის გვინდაო, ოლონდ ქალი კი...

ანუშკა. დედაკაცო, შენა ცოტა ხომ არ გაქლია?.

ქეთევანა. რათა, შენი ჭირიმე? ვაჟი თვალ-ტანათ კარგი რამ არა, კარგი შეძლება: მგონი მთელი სალაკონიძო სულ მაგისია, რაკი დედის ერთაა! ყმაწვილი ხომ, ისეთი კარგია, ისეთი რომ...

ანუშკა. კარგი, გაათავე, დედაშვილობასა! სანდუხტა არ მომიკვდეს, ქეთევანა, რომ ეგ სიტყვები მე სხვებისთვის არ დამეტონ! ეგ რომ ჩემთვის სხვას ეთქვა, ჩემგან დიდი გალანძლული დარჩებოდა!.. (ფეხს დააცყაპუნებს) როგორ თუ ლაკონიძეს ჩემი ქალი უნდა! მერე უწინ დღე დამელიოს, რომ ჩემი სანდუხტა ქართველს არ მივცე, ისიც აფიცარსა!

ქეთევანა. აბა, ანუშკი, ტყუილად გულს რათ იშფოთებ! შენ არ მომიკვდე, რომ დათიკო ლაკონიძე ყოვლის ფრივ ბევრ კაი სომეხსა სჯობიან!

- ანუშკა. არა, ერთი მითხარ თუ, რა გაჭირება მაღვია, რომ ქალი ქართველს არ მივცე? ✓
- ქეთევანა. უთუოდ გაჭირებაზეა! ვაუს შენი ქალი უყვარს. მგონი, შენ ქალსაც... ✓
- ანუშკა. რაოდ?.. ჩემ ქალსაო?.. როგორ თუ ჩემ ქალს უყვარსო? ერთი უნდა მითხრა თუ ქალს ვინ უყვარს?
- ქეთევანა. არა, ანუშკიჯან! მე ხომ არ მოგახსენე თუ, შენ ქალს უყვარს ვინმე! მე მხოლოდ...
- ანუშკა. ყურებში კარგა დაიცე, რომ ჩემი ქალი, თუ არ ინჯილერი ან დოხტური, არავის შეიყვარებს!
- ქეთევანა. შე დალოცვილო, სუ ინჯილერი და დოხტური რას და-გიუინიათ! ინჯილერი და დოხტურიც კაი ხუთი ათასებს ნდომულობენ!
- ანუშკა. (თავის ძოვით) ნდომულობენ!.. ღირსი არიან და ნდომუ-ლობენ! იმათ მშობლებს იმათი სწავლა რა დაუჯდათ, იცი შენა? იქ სწავლაში თავს იხეთქამენ და ისე იმსახურებენ თავიანთ თავსა. ეხლანდელ დროში საქმე არც ფულია, არც ღირსება, შარტო სწავლაა, სწავლა! ყველას მიგაირ-მოვაგრავებ და ჩემ სანდუხტას მაინც ან ინჯილერს მივ-ცემ, ან დოხტურს, რაც უნდა იყვენს! ✓
- ქეთევანა. შენი ნებაა. ღმერთმა ხომ იცის, რომ მე თქვენთვის კი-თილი მინდოდა! მშვიდობით! (გვერდა).
- ანუშკა ~~X~~ შენ დარო ლაკონიქს ასე მოახსენე ჩემ მგივრად, რომ მე მშეირ ქართველს ქალს არ ვაძლევ-თქმ! ✓
- ქეთევანა. (სელის ძოვით) უკაცრაოთ! ის სხვა ქართველ თავადი-შვილს არა ჰყავს! მშიერიო! ერთი შითხარ, პურისთვის კარჩე როდის მოგადგა?
- ანუშკა. დედა-შვილობას, გაათავე, თავი ნუ ამიფრინე! ერთი სიტ-ყვით, შენ მაგისთანები ჩემთან კვლავ აღარ გაბედო!
- ქეთევანა. აბა კიდეც ეგ არი უბედურება, რომ შენისთანა ერთ ორ გროვიანი პოიო, რას არ გინდა ჰყადრებს იმათ, ვისაც შენისთანაები მოჯამაგირეთ ექუთვნით!
- ანუშკა. (ღოანჯით) როგორ თუ მოჯამაგირეთ! უი შე პირგასაშავე-ბელო, შე თავლაფშიანო, შენი! შენ იცი, ჩემი ქმარი ვინ იყო? იცი შენ, რომ ჩემი ქმარი პირველი გილდის კუპე- 5

წი იყო, წელიწადში სამი ათას თუშიანს ატრიალებდა და ყოველ წლისა და წლის თავზე მოსკოვში და პეტრებუხში მიდიოდა? ის რომ მოკვდა, კაი შეიღი-რვა ათასი თუშანი ხაშახუში ბილეთებით ზანდუქში დარჩა!

**ქეთეგანა.** ისიც ვიცი, რომ შეიღვერ გაკოტრდა და ისე შეიძინა იმოდენა შეძლება!

**ანუშკა.** (ყერ-მისიანი) როგორ თუ გაკოტრდაო? შენისთანა თავ-ლაფშიანმა დედა-კაცმა ეგ უნდა ჰქადროს ქეთხუდას ცოლ-სა! გადი, გადი! ემ წუთში შენი დუბი აქ აღარ იყვეს!

**ქეთეგანა.** მე კი გავალ, მაგრამ ამ ცხვირს მოვიტრი, თუ შენ ბო-ლოს ბევრი არ ინანო! (გადია).

**ანუშკა.** (გიმარტინი) ხო, მამა გიცხონდა, შენ ლაკონიძეს არ შევეხვეწო! (შემოტრის სანდეგაცა).

### გამოსმლა მესამი

**ანუშკა გულადოვი და მისი ქალი სანდუხტა**

**სანდუხტა.** მამაშა! რა ამბავია, რა არის? ე რა ყვირილია!

**ანუშკა.** მოდი შენ იქა! (სანდეგაცა მიღის ღებასთან) ერთი მითხარი, შე გასაშეყვეტო, თუ, რა პირობა მიგიცია შენ ლაკონი-ძესთვის?

**სანდუხტა.** რას ამბობ, მამაშა!.. რა პირობა უნდა მიმეცეს მე იმის-თვის?


**ანუშკა.** იცი მაგ თავსასიკვდილემ, მაგ თვალებ-გასაშავებელმა რა მითხრა? შენ ქალს და ლაკონიძეს დიდი ხანია ცოლ-ქმრობის პირობა აქვთო! ერთი მითხარ, შე სასიკვდილე, შენ უჩემოთ რა „პრავა“ გაქვს, რომ პირობა მისცე ვისმე?

**სანდუხტა.** მამაშა არ მომიკვდეს, მამაშა, რომ ეგ სულ ტყუილია!

**ანუშკა.** მევ ვიცი, რომ სულ ტყუილათ მოჭორა მაგ თავსასიკვდი-ლემა, მაგანა! გესმით! ერთ ორმოც თუშან დაპპირდებო-დნენ და თავის ჭკუაში ერთს ორმოცსაც აქ აპკრავდა-და სანამ ნურა ჭამოს-რა!

**სანდუხტა.** არა, მამაშა! სულ ტყუილათ უთქვაშს! აბა მე უშენოთ „უენის“ პირობას როგორ მივცემ!

ანუშკა. (ჰკოცის ძალებ) ხო, გენაცვალოს დედა, ხო! ხომ იცი, რომ  
მამაშა შენთვის ცუდს არ მოინდომებს! ეგრე ასიამოვნე  
მამაშა! მამაშა შემოველოს შენ თაგს!

სანდუქტა. ვისაც შენ ამირჩევ, მამაშა, მეც იმას შევირთავ!   
ანუშკა. ვენაცვალე, ქა, ქალსა, ქალსა—ქალბატონსა! უწინ დედა-  
შენს დაუდგეს თვალები, რომ შენ ქართველს არ შიგცეს,  
ისიც აფიცარსა!

სანდუქტა. მე თავი დღეში უბრალო აფიცარს არ შევირთავ!

ანუშკა. რა გაჭირება გადგია, როცა ამ ორ დღეში ინჯილერ პუ-  
ტიიცხე დაგნიშნავ! თანაც სომებზე!

სანდუქტა. ვიზე? ვიზე, მამაშა? ვინ ინუინერია? რა გვარია?

ანუშკა. ჯერ, მანამ საქმე არ გათავდება, არ გეტყვი, ვინც არი! აი  
ეხლა პარბარეს ველი, ვნახოთ რა პასუხს მოიტანს-და!  
თუ ეგ საქმე როგორმე მოხერხდა, „საბრანიაში“ წაგი-  
ყვან. ის ინჯილერიც იქ იქნება და დაგნიშნავს!

სანდუქტა, მართლა, მამაშა?

ანუშკა. მართლა, მამაშა გენაცვალოს შენა, შენ რომ ინჯილერის  
ცოლი მეყოლები! მაშინაც გამოიდოს შენმა „პალრუგა“  
ლიზამ თავი!

სანდუქტა. ხო-და! იცი ისა და ნადია რა თავს იდებდნენ, აქაო და  
დოკტორი შევირთეთო!..

ანუშკა. შენ უმცროც ინჯილერს არ შეირთამ!..

სანდუქტა. ნეტაი კი ვიცოდე, მამაშა, რა გვარია ის ინუინერი?..  
იცი, როდი მჯერა, იქნება მეხუმრები?..

ანუშკა. შენ არ მოუკვდე მამაშისა, რომ მამაშა შენ არ გატყუბდეს!..  
ეს საქმე თითქმის გაჩისტებულია, აი მხოლოთ ბარბარე  
რა პასუხს მოიტანს, მე იმას ველი!.. ის დალოცვილები  
შეტათ ბევრს თხოულობენ!..

სანდუქტა. რამდონს, მამაშა?..

ანუშკა. ძაან ბევრსა!.. ორი ათას თუმან ნაღდსა და ხუთასი თუმ-  
ნისაც მზითებსა!..

სანდუქტა. ეგ არი ბევრი, მამაშა?.. იცი, ეხლა ინუინერი რა ძვი-  
რია!.. ჩემ პალრუგა სონიას კაი სამი ათასიც გაჰყვა!...

ანუშკა. რა ვქნა, შვილო!.. იმათ ჰქონდათ და გაჰყვა .. მე საიდანლა  
ვიშოვნო?.. ასე ჰქონიათ, ხმა რომ გავარდნილა ანუშკა  
შდიდარიავო, მართლა ასსიგნაციებით მეწყოს!

**სანდუხტა.** არა, მე კი ჩემზე არ ვამბობ, მამაშა, მე სულაც ჭრთხოვება არ მინდა, მაგრამ ინუინერები ისეთი წასწავლები არიან და ისეთ ჯამაგირს იღებენ, რომ ორთქმას მანიც ცოტაა!.

**ანუშკა.** ერთი სიტყვით, რაც ძალი და ლონე მაქვს, ველდები, სულით ხორცმდინ გავიყიდები და მაინც შენ ან ინჯილერს მიგცემ ან დოხტურს!..

**სანდუხტა.** მამაშა, მერე მე რომ გავთხოვდები, ისევ შენ გიშველი!.. ჩემ ქმარს ფულს გამოვარომევ ხოლმე და შენ მოგცემ!..

**ანუშკა.** ხო, გენაცვალოს დედა შენა!.. ერთი ბარბარე დროზე მოვიდეს რომ მოვეროვდეთ და ნიშნობა და ქორწილიც ბარე ზედ მივადევნოთ!

**სანდუხტა.** (ენას იჩლეუნგებს) ალა, მამასა, ალა!.. ლა დლოს ცემი გატკოებაა, მე სენთან მინდა ვიკო! არ გავტკოვდები აქლა!..

**ანუშკა.** (გათცებით) როგორ თუ არ გათხოვდები?.. მაშ ცას ხომ არ შეაბერდები! კაი ინჯილერი რომ გითხოვს, კარგა გაჰყები!..

**სანდუხტა.** ალა, მამასა, ალ გავკვები!... მცკვენიან!.. (ღეღის გულპე დამალაქს თავს).

**ანუშკა.** კარგი, შე ეშმაკო, შენა, კარგი!.. მიგინვდი!.. (მოწვევა) ვენაცვალე ჩემ ქალსა!.. ინჯილერის ცოლი რომ მეყოლება და კარეტით კარზედ მომადგება!

V **სანდუხტა.** ზამთარში კარეტითა და ზაფხულში ლანდოთი.

**ანუშკა.** ხო, გენაცვალე, ხო! ზამთარში ქალაქში და ზაფხულში დაჩებზე! აბასთუმანში რო გაქეიფოს ი შენმა ინჯილერმა შე კი არ დამივიწყო!

**სანდუხტა.** აბასთუმანს, მამაშა, ბორჯომი სჯობიან!

**ანუშკა.** ხო, გენაცვალე, ხო!

**სანდუხტა.** ალა, მამასა, ალ გავტკოვდები აქლა!.. (მოწვევა ღეგას).

**ანუშკა** (ჰეთცების ძალს) როცა საბრანიაში ი შენი ინჯილერი დაგნიშნამს, კარგა გათხოვდები!

**სანდუხტა.** მამაშა, საბრანიაში რა კაბა ჩავიცვა? პულრი წავისვა?

**ანუშკა.** მაშ ქა! პულრიც და უმარილიცა!

**სანდუხტა.** გუბნოი პამადაცა?

ანუშკა. წაისვი, რომ პატარა წითლათ გაშოგიჩნდეს ეგ გაცრეცილი  
ტუჩები! საბრანიაში კარგა გეჭიროს თავი, რომ შენმა  
ინჯილერმა სთქვას: ხო, მართლაც, რომ ამისთანა ქალიშვილი  
აქ არავინ არის! მომეტებული არ ილაპარაკო, მეტეშეტი  
არ იცინო! შენ ხომ ცოტა მეტი სიცილი იცი!  
სანდუხტრა. მაშია არ მომიკვდეს, ხმას არ ამოვილებ! რა კაბა ჩა-  
ვიკვა?

ანუშკა. უთუოთ „ბორდო“, ის ძიენ გიხდება!

სანდუხტრა. არა, „ბორდო“ გლეხურია! მე ჩავიცვამ „პალევი“ კაბას,  
ის უფრო არისტოკრატულია!

ანუშკა. წალი მაშ, ბანტი რომ არღეული გაქვს, დაიკერე.

სანდუხტრა. მართლა, სუ დამაგიშყდა! (გარშის).

### გამოსცლა მოოთხი

ანუშკა გულადოვი (მარტო)

ანუშკა. ე ბარბარებ რათ დაიგვიანა? ალბათ ფულს კიდევ ცოტა-  
ობენ! (სამოგადოება) ათი ვაჟის ყოლა უფრო ადვილია,  
ერთ გასათხოვარ ქალზე! მანამ სახლში გყავს, მარტო იმი  
ტანისამოსი ას თუმნამდი გიჯდება წელიწადში! ახლა გა-  
თხოების დრო მოვა და, წალი და წალი! თუ ერთ ათა-  
სებს არ გაატან, კარგ სიძეს ვერ იშოვნი!.. ინჯილერი  
და დოხტურიც საპი ათასებს თხოულობენ!.. (თავის ძიებით)  
რა ქნას კაცია! ისევ უსწავლელ სიძის ყოლას, სჯობს  
მშიერი დადგე და ნასწავლ მისცე! ხომ მოგეხსენებათ:  
„უსწავლელთან ლხინსაო, ნასწავლთან ჭირი სჯობიანო!“  
(შემოდის მაჭარე მარტო შარშატე).

### გამოსცლა მხელეთი

ანუშკა გულადოვი და მაჭარე ბარბარე

ანუშკა. რა იქნ, ადამიანო? სადა ხარ აქამდინ?

ბარბარე (წარმ-შეკრული) რალა რა ვიქენ! არც შენი ორმოცი თუ-  
მანი მინდოდა და არც ეს წვალება!

ანუშკა. რა დეგემართა, რა არი?

ბარბარე. რაღა რა არი! ჯვართ მაცვა ი სასიკვდილე სალომემა!  
ჯერამ პირველათ რომ ურიგდებოდი და უთხაო ბთას  
ხუთასი თუმანი... სარიცხული

ანუშეკა. მარტო ხომ ეგ არა; კაი ხუთასი თუმნისაც მზითების მიერთებისაც  
ბარბარე. აბა კიდეც მაგაზე გამიგდო და გამომიგდო! (აჯავტყებს) უ-  
ქა! დედა-კაცო, ე რა ხამი რამ ყოფილხარო! აბა მი-  
თხარ, ვის ოჯახში შესულა უშეითო ქალიო?

ანუშეკა. ისე ლმერთმა მე მიშველოს, რამტელ ნასწავლ კაცსაც უმზა-  
ოო, ცარიელ-ტარიელი ქალი შეერთოს და თავის ფუ-  
ლით ცოლისთვის შეეკეროს მზითები!

ბარბარე. არა ანუშეკი, სწორე გინდა მოგახსენო, მაგისთანა საძეს,  
სანთლითაც რომ ექებო, ველარ იპოვნი! გულზე მასკვლა-  
ვი, ორმოცი თუმანი ჯამაგირი, ორმოცსაც ისე გამორ-  
ჩება, ეგ შენი თვეში თოხმოცი თუმანი!

ანუშეკა. ახლა მართლაც რა არი! აქაო-და ინჯილერია, მართლაც  
ხომ ვერ გავიყიდები! მეც წვრილ შვილის პატრიონი ვარ.

ბარბარე. არა, ანუშეკი, რახან შენ შეეხმაურე, ეხლა აღარ გირჩევ  
რომ შეეშალო! ეხლა აღარა იქნება-რა! როგორც იყვეს,  
უნდა ულელი გასწიო-და!

ანუშეკა. მერე, კარგი, რამტელი გვინდაო?

ბარბარე. სალომემ ჯერ ორი ათასი ითხოვა და მე როვორც იყო,  
ათას-რეასათ დავაჯერე!

ანუშეკა. მზითებიცა?

ბარბარე. მაშა ქა! მაშ უშეითვო ქალი სხვის ოჯახში როგორ უნდა  
შეგზავნო? ხუთასი თუმნის მზითებიო, როლიერიო და  
ორი ათასი თუმანიც ნალდი ფულიო!

ანუშეკა. დედა-კაცო, რას მასხარაობი?... ეს არი ეხლა ათასრეასი  
თქვი, ეხლა ორი ათას იდანი, მერე სამი ათასსაც გახდი!

ბარბარე. ერთი ნუ ხარ გულჩეარი, დედა-შვილობასა-და! ჯერამ და-  
მაცალე ვთქვა, ადამიანს კი ნუ გადარევ-და! მე რომ პი-  
რველათ მივედი, სალომე ათას რეასათ დავაჯერე, გაუ-  
რიგდი და ჩემ სახლში წამოველ. არ გამოვიდა სულ ორი  
საათი, ტახტზე ვზიგარ, ჩემთვის საღილსა ვჭამ, ვნახოთ  
კარებზე მომადგა თითონ სალომე თავის სალოფითა! მე  
ელდა მეცა: რა ვქნა, ამ დედაკაცს რა დაემართა, გულზე

ხომ ჭიამ არ გადაუარა-მეთქი! იმან თუ: რა ვქნა, ჩემო  
ბარბარე, მართალია, მე კიდეც მოგირიგდი, მაგრამ ეს  
არი ეხლა ჩემი გასპარა მოვიდა და რომ შეიტყო, ურთი  
ყოფა დამაშია: შენ უჩემოთ რათ გაურიგდიო, შეიტყო  
რო კი მდიდარი და ლამაზი ქალები მეძლევაო! მეორეც  
ეს ერთიო, გულადოვის ქალზე რაღაც უსახელო წიგ-  
ნები მომივიდაო, რომელშიაც ძაბ აძაგებენ!

ანუშკა. (ჩამოხცეულ) როგორ თუ უსახელო წიგნებიო?.. როგორ თუ  
აძაგებენო? აბა ერთი უნდა გნიხო ი რაღაც უსახელო  
წიგნია, თუ ჩემ ქალზე შიგ რა სწერია! უნდა ვიცოდე,  
თუ ვინ დასწერა ი რაღაც უსახელო წიგნია? აბა რაღა  
თქმა უნდა, რომ მახოხაანთ გაიანე დასწერდა!.. რაკი  
ლოტოზე არა ვპატიჟობ ხოლმე, ის გასაწყვეტი ძაბ ჩა-  
მომემტერა! მამა უცხონდა იმასა, ერთბაშათ ჩემი ქალის  
უნამუსობა არ დასწეროს!

ბარბარე. ნუ ბრაზობ, ადამიანო! რათა ხარ გულჩარი! დედაკაცს  
ორმოც წლამდის მიგიხწევია და აქამდი არ იცი, რომ  
ყოველ ამ დროში ყველას მტრები უჩნდება! შურთ, რომ  
შენ იმისთანა სიძე გეყოლება და იმიტომ...

ანუშკა. აბა ერთი უნდა მითხრა, თუ ჩემ ქალზე ურიგო რა ით-  
ქმევა?

ბარბარე. სიკეთის მეტი, მე და ჩემმა ღმერთმა, არაფერი!

ანუშკა. (დამშვიდებელ) რა ვქნა, რაც უნდა თქვან!.. ქვეყანზე მტერიც  
ბევრი მყავა და მოკეთეცა! ქარგი, ეხლა რახან ეგრე წა-  
ვიდა საქმე, მეტი ქარი არ არი, ყაბულს უნდა გავხდე!..  
მაგრამ იმოდენა ფული სად უშოვნო? ნალდი ფული ერთი  
ათასი თუმანი რომ მქონდეს, დიდი ქებაა!

ბარბარე. ქარგი მამა-ცხონებასა-და! ი მამული ფული არ არი?  
დააგირავე და ეგ ერთი ქალი როგორც იყვეს მოიშორე!

ანუშკა. მერე სხვები?

ბარბარე. იმათთვინაც კიდევ ან ინჯილერი გამოჩნდება ან დოხტუ-  
რი! დოხტური კი ურიგოა! ისე ჰყვლეფავენ ხალხსა რო!  
შენ მარტო ვიზიტების ფული თქვი!

ანუშკა. მოიცა, შენ ეს მითხარ, სალომეს ვაჟი ნამდვილი ინჯი-  
ლერი კია?

ბარბარე. დამტკიცებული! გულზე ვერცხლის შასკვლავი აკრია, ორა  
მოცემის  
შენი  
ეგ შენი თოხმოცი!

ანუშქა. მაში იცი რა, ჩემო ბარბარე! ემ ათას რვაას თუმანს რო-  
გორც იქნება მოუხერხებ. სწორეთ მოვითხოვ და ისე მი-  
ვცემ!.. ხუთასი თუმნისაც მზითები მაქვს ჩალაგებული!  
რაც შეეხება მაგ ორას თუმანს, ცოტა ხანს დამაცალონ.  
სწორეთ ვექსილი ჩამომართვან!.. მეც საიდანმე შემომივა  
და იმასაც შივცემ! ოლონც ეგ საქმე როგორმე გამირიგე,  
შენი ჭირომე ბარბარე, და იმ დაპირებულ ორმოც თუ-  
მანთან ერთ ათ თუმნიანსაც მოვიმატებ!

ბარბარე. კარგი, რაღა გაეწყობა! აბა რას აძლევ შენ სანდუხტასა?  
მართლა როლიარია თუ რაღაც ჯანდაბაო, უნდა უთუოდ  
მოჰყესო!

ანუშქა. როიალი რათ უნდათ? ჩემი ქალისთვის, სწორე მოგახსენო,  
მე მუხივა არ მისწავლებია!

ბარბარე. გისწავლებია თუ არ გისწავლებია, იმ დედაკაცმა სული  
ყელში ჩამატანა, როლიარი უთუოთ მოჰყესო!

ანუშქა. კარგი, არც მაგაზე ვაწყეინგ! მაშ ესრე: ათას-რვაასი თუმა-  
ნი ნაღდი, ხუთასი თუმნის სუ კაი-კაი მზითები, როია-  
ლი და ორასი თუმნისაც ვექსილი. აბა სხვა რაღა უნდათ,  
დედაშვილობასა? ქალი ლამაზი და კი ქცევისა. მე შენ  
გითხრა, ჩემი სანდუხტა სხვა ეხლანდელ თავ-აწყვეტილ  
ქალებსა ჰყავს!

ბარბარე. ეგ ყველა კარგი, შენ ეს მითხარ, ნიშნობა როდისა გაქვს?

ანუშქა. ნიშნობისთვის მე ყოველთვის მზათა ვარ. ე ქორწილი კი  
ერთ ორ თვეს დამაცალონ. რადვან უნდა სახლები დავა-  
გირავო და ფული გამოვიტანო, ქორწილი ერთ ორ თვეს  
გადაიდოს. ნიშნობა კი, თუ დღეს მოურიგდი, ხვალ იყოს.

ბარბარე. მაშ წავიდე, ერთი ეხლა სალომე ვნახო! აბა, ანუშქა, ვინ-  
ძლო უჩემოთ ქორწილი არ შეჭამო!

ანუშქა. აბა უშენობა როგორ იქნება! (მარმარი გადის).

ანუშეა (საპატიო დოკუმენტი) უც! ძლიერს არ მოვტჩი! ნუ თუ ორას თუმანზე  
შემცირებიან! ან ორას თუმანს ვინ უჭირს? ოლონდე უზრუნველყოფის  
ორი წელიწადი კი დამაცალონ, იმასაც მივცემ! სხვაფრი-  
ვაც ბევრ პატივსა ვცემ! ვენაცვალე იმასა! ნასწავლი კაცია!  
ინჯილერია! მე შენ გითხრა, არ ეკუთვნას! ასეთი ნეკის  
ბრილიანტის ბეჭედი მივართვა რომ! წაწინაანთ სალომემ  
ეხლა წავიდეს და თავი გამოიდოს! გენაცვალეთ! რაღაც  
ერთი დოხტური სიძე ეშოვნა და კინალამ თავპირი ჩამო-  
გვჰამა ყველასა! ისე ამაყობდა, ასე გგრძნია, თვით ველი-  
კი კნიაზმა შეირთო იმასი ქალიო!... წავიდეს და ეხლაც  
გამოიდოს თავი! ინჯილერი, მე მგონი, შალლა დგა დოხ-  
ტურზე! ეხლა მე, რო ავილოთ, დარდი ალარაფრისა  
მაქეს!.. ეს ერთი ნატვრა მქონდა ღმერთთან, ესეც ამი-  
სრულდა, ვენაცვალე უფალსა! (პირჯვარს ისახავს) მხოლოთ  
ე ფული მაღონება!.. ე თასი თუმანი მზათა მაქეს, მზი-  
თებიც ჩალაგებულია. ე რვასი თუმანი სადღა ვიშოვნო?  
მეტი რა ჭარი შაქეს, თავში ქვა უნდა ვიცე და საცა  
იყვეს, უნდა ვიშოვნო! რეინის ქალამანი უნდა ჩაგიცვა,  
რეინის ჯანი უნდა დავიჭირო და ის რვასი თუმანიც  
როგორც იყვეს, უნდა შევაგროვო! ზოგი ვისესხო, ზოგიც  
დავაგირავო და იმ ჩემ საყვარელ სიძეს ვასია მოვნო! ვე-  
ნაცვალე იმასა! ეხლა ჩემი სანდუხტა ისე ძეგნ ალარცე წი  
მიყვარს, როგორც ისა! ის ეხლა მომინდება კაი-ეა რია-  
დადები, დაბასმული ლეჩაქები, ერთი-ორი „მოღნი“ კა-  
ბაც თუ არ შევიკერე, არ იქნება! ერთი ბარე ბობრია-  
ნი სალოფიც წამოვისხა და თვალები დავაბრმავებინო იმ  
გასაწყვეტ გაიანესა! მეხი კი ჩასკდეს! არა, იმ პირგანა-  
შავებელსა ხემ ქალთან რა ესაქმებოდბა, რომ საქრმოს-  
თან ყელსა სჭრიდა!.. თვალი იმას გამოსძრა, რომ თავის  
სიაშრე იმას შერჩი, თორებ ე სიძე ხომ ხელიდან მაინც  
არ გამისხლდა!.. ისეთი ქორწილი უნდა გავაჩალო რომ!..  
ნერაი კი ვიცოდე, ჩემ მძახალს ლოტო უყვარს თუ ირა?  
„ამპატერნოს“ ერთათ წავალთ ხოლმე! ჩემი ქალისოფისაც  
ძალიან კარგია, რომ დედამთილი სახლში ეყოლება! ჩემი  
სანდუხტა რომ თავის ინჯილერი ქმრით ქლუბებში და  
დაჩემბე საქეიფოთ წავა, დედამთილი რაკი სახლში ეყო-  
ლება, დარდი ალარაფრისა ექნება!. არა, ჩემი სანდუხტა  
დაბადებიდანვე სხვა ბედისა მყავდა!.. მართლა, რასა  
ვდგევარ, წავიდე ვახარო, ვენაცვალე იმასა (გადის).

## მოძრავი დღე 8 8 8 8 8

მოქმედება სწაროვებს უზარნოვის სახლში ერთი წლის შემდეგ. სცენა წარმოადგენს სანდუხტა უზარნოვის გემოვნებით მორთულ ოთახს. სალომე უზარნოვი ჭრის ითახს.

### გამოსვლა პირველი

სალომე უზარნოვი (მარტო)

**სალომე.** (საბორივო მომსახურება) მეც მითომ რძალი ვიშოვნე!.. მეც მითომ რძლის პატრონი ვარ! (ვარების და დაღლით) უი ჩამისკდი! შენ კი არა მყავდე, აი! ერთი მიბძანეთ, ეს ჩემი საქმეა! დედამთილი თუ რძალი უნდა უვლიდეს ოთახებს? აი თითქმის მეორე წელიწადი გარბის, რაც ეგ აქ არი და ჯერამ ჩხირი არ გადაუბრუნებია! თუ დაარიგებ და ეტყვი ჩასმე ის პასუხებით აგიკლებს! ეგ რა ჩემი საქმეაო! უნდა ლაქია დაიჭიროთო და ოთახებს ის მოუკლისო, ეს „პოვარი“ და „ნანუშეა“ დამიჭირეთო, ეს ესაო, ეს ისაო! ხო, მაშა! დედა შენმა რომ ოვის პირობა აასრულია აგერ მეორე წელიწადი გარბის და იმისი ორასი თუმნის ვექსილი ისევ ხელში გვიჭირავს! სულ იმას გაიძახის თუ: „პატარა მომითმინეთ, პატარა მომითმინეთ!“ ჩემი შეილიც მოთმინებიდან გამოიყვანეს, ცალკე დედამა და ცალკე ქალმა! დედაკაცმა რომ ოვისი შვილი არ გამოზარდოს, ის რა დედაკაცია! იმტელი ქნა, იმტელი, რომ ძიდა დაგვაჭრინა! მარტო ჯამაგირს იმ გასაწყვეტ

ძიძას ცაშეტ მანათს ვაძლევთ; ახლა ჩაცმა, ახლა ჭამა,  
 დილა-სალაშის წყვილ-წყვილი ჩაგდებული ჩაი! ეგ კი  
 ანგარიში არ არი! სუსეველა ანგარიშია! იმ გასაწყვეტილა  
 ქეთევანამ ტყუილი კი არა თქვა, რომ „ფულიანიო მეტ-  
 მეტსაც ნდომულობსო!“ მაგის დიდებაცობას ამ არ წე-  
 ლიწალს მთელი თავის შემოტანილი ფული არც კი ეყო-  
 ფა და! მე და ჩემმა ღმერთმა, ქეთევანას თქმისა არ იყვეს,  
 კაცმა უნდა ლარიბ ქალს მოსჭიდოს ხელი და ჯვარი გა-  
 დაიშეროს! ლარიბი თავზე კაკალ მაინც არ დაგანტრევს!  
 რასაც აქმევ და ჩაცმევ, ყაბულს მაინც იქნება! ეხლა  
 მაგას თუ ჭურველ დღე „მაროვინები“ არა აქვს, აქაურობას  
 ლეწავს! აგრეთვე ტანისამოსი: თქვეში სამ კაბას იკერამს!  
 რა ენა და პირი მოსთქვამს, რაც მაგ სასიკედილეს ფულის  
 ფლანგვა უყვარს! ჩეჩერიშს ხელით უფარეტვდები დალავაზე ზორ-  
 ლმ. ნს) აბა ეხლა ესა, რის მაქნისია, ერთი მიბძანეთ!.. განა  
 ეშებში კაცმა უნდა ფული დახარჯოს!.. ის გასაშავებელი  
 მაგი დედაც. იმი მაგივრათ რომ ქალი დაარიგოს, და-  
 აქვეიანოს, ქა, პირიქით კიდეც აგიუებს: ეს ეკიპაჟი გა-  
 ამართვინეო, ეს დაჩები აყიდვინეო! (ქოქოლით) ი მეხი  
 კი ჩაგასკდა, მეხი! ეკიპაჟი კი არა; მამა გიცხონდა, კა-  
 ლასკა არ გინდა! (სამოგადოებას) არა, ერთი მიბძანეთ,  
 გენაცვა, ვისაც კი ერთი ორი გროში აქუხვია. განა ფა-  
 ფასავით ერთ დღეს უნდა შეთოხლოს? (ხელშს მადლა აი-  
 შერეს და თავის ქრევით) ღმერთო! გევედრები და გთხოვ,  
 ერთი-ორად გადაადგევინე იმ პირგასაშავებელ ბარბა-  
 რესა ჩემი ამ ცეცხლში ჩავარდნისათვის! ცეცხლი ჩაუგა-  
 რდეს, ცეცხლი, ჩემი ცოდვით იმასა! (სწმინდავს უფარეტვა-  
 კასა. უცხად უფარეტვადან რადაც პაციანა ვაშა გადმოვარდება და  
 გაფეხვება. სალომე კარემისკერ) უი, შენ კი გაგიშყდეს სა-  
 ხელი, შენა! შენ მოვუკვდი შენს პატრონს! (პატრიაქს ნამ-  
 დარენებს და თან იწყვლება) დედა შენიც მინახავს შენზე  
 გაგლეჯილი! (უცხად შემთრის მისი რძალი სანდესჭა-  
 უგარნოვი).

### გამოსცლა მეორე

სალომე უზარნოვი და მისი რძალი სანდუხტა

სანდუხტა. რა გატყდა? რა ამბავია?

სალომე. შენი თავის სიკვდილი და კვნესა, რომ ამისთანა კიწიბი-  
ჭიებში ფულებს ხარჯამ!

სანდუხტა. ეგ რა შენი საქმეა? ისევ შენი თავის სიკვდილიცა და  
კვნესაცა.. რამდენჯერ უნდა გაგადო შენ ჩემ ოთახიდან!  
გასწი, გადი ამ წუთში აქედან და კვლავ ჩემ დაუკითხა-  
ვად შენ ფეხი პლარ შემოაწანო აქ!

სალომე. მაშ არა და შენმა თავის გახეთქამა შენ მოუვლი აქაუ-  
რობას!

სანდუხტა. ისევ შენმა თავის გახეთქამა და კვნესამა, შე ქოფაკო,  
შენა!

სალომე. (ცხვირჭე ხელს იხვამს) მაშ ამ ცხვირს მოვიჭრი, თუ შენ რა  
დღე დაგადგეს დღესა! ფასად დაგისვამ მაგ სიტყვებსა!  
მოიცა, მოვიდეს გასპარა! ერთი კარგა თუ არ ჩავა უში-  
ნე შენი თავი თვითონ შენ ქმარსა, არ იქნება!

სანდუხტა. მეხი შენც ჩაგაყარე და იმასაცა! არც შენი მეშინიან და  
არც იმისი! ი შენი შვილი რომ პატარა ჭკვიანი იყვეს,  
თვითონ შენ მიგბერტყამს, არაშ თუ შენ გიჟ ჭკუაზე  
ივლის!

სალომე. (თვის ძრვით) ხო, რაკი პოვრებს არ დაგიჭერს და „პე-  
როუნებს“ არ გაკუნებს!

სანდუხტა. თქვე უბედურებო, პიროვნები თქვენ თუ გაგქირებიათ,  
თორემ მე შინ ფეხქვეშ გათელილიცა მქონდა!

სალომე. გათელილი, მამა გიცხონდა!

სანდუხტა. მამაც გიცხონდა და მამაც წაგიწყდა!

სალომე. (გამოსაბერა) ე მანდ ხმა ჩაიწყვიტე თორემ!

სტანდუხტა. თორემ რა? (მიდის ახლო) აბა თორემ რა? აბა ერთი რა  
გნებამს?

სალომე. (ჩამოვლება) არა, მე შენზე ხელებ რათ გავისერი, როცა  
შენ ქმარსაც კარგა მოვაგლევინებ მაგ თავსა!

სანდუხტა (მასხარული ღიმილით) ერთი არა მინდა-რა ხელი დამია-  
კაროს და მაშინ შენ სამუდამოთ ამ სიცოცხლეს გამოე-  
სალმე!

**სალომე.** (საჯოგადოებას) დაშიხედეთ რძალსა! (მეტე სანდოფაცას სეღის ძინვით) არა გევხარ სხვა რძლებსა!

**სანდუხტა.** შენც არ გევხარ სხვა დედამთილებსა!

**სალომე.** აბა, შვილო, მითხარ რა დაგიშავე? ერთი, სხვა დედამთილებით, პრეწა გრეხას ვწინდები, არ გიგვი, არ გიშენდამ, საჭმელებს არ გიხარშამ.

**სანდუხტა.** აბა კიდეც მაგაზე მეჯავრები აი! ერთი მითხარ თუ: რა შენი საქმეა ან გვა, ან წმენდა, ან საჭმელების ხარშვა? ხვთის მადლით, გაქვავიათ, პატარა გამოიმეტეთ: „ლაქიაც“ დაიჭირეთ და „პოვარიცა“!

**სალომე.** შენ რომ ცოტა ტკუა არ გაკლდეს, შაგებსაც როდი იყბედებ! ჩვენ დედა-შენივით ტუტუცი ნუ გვონივართ, რომ „პოვრებში“ და ლაქიებში“ ფული ვფლანგოთ!

**სანდუხტა.** შე უბედურო, შენ შენი თავი ჭკვიანი გვონია?

**სალომე.** მაშ არა და შენმა თავის გახეთქამა შენა გვევარ!

**სანდუხტა.** ისევ შენმა თავის გახეთქამაცა და სიკვდილმაცა!

**სალომე.** აბა მითხარ, რომელი ჭკვიანი მტკვის ამასა: სულ დღეს შეგჭამოთო და ხევლისთვის ნუ ვიფიქრებთო.

**სანდუხტა.** შე უბედურო! „სულ დღეს“ იქნება, რომ პატარა განათლებულათ ვიცხოვროთ? ხომ გაქუცვიათ! რა ვიცი, წინათ ბარბარეს კარგა შექვეცხლით, რომ თვეში ოთხმოც თუმანს ვიღებთო? ეგ იქით იყვეს, მე თქვენი ფულიდან კაპიკიც არ მინდა! მაგრამ ი ჩემი ათას რგაასი თუმანი ხომ ნალდი უდევ ბანქში ი შენ სასიკვდილო შეიღლსა!

**სალომე.** შე თავსასიკვდილე! ჩემი შეიღლი რა ყბათ აიღე! (საჯოგადოებას და თან ცტემლი იშმინდავ) ამაზე უბედურება გინახამთ: პირში შვილს მიწყვევლის! (მეტე რძალე) ან შენი ათას რგაასი თუმანი რა ზღვათ გასკდა, შე სასიკვდილე! ჩემ შეიღლს კაი საში ათასებიც ეძლეოდა!

**სანდუხტა.** (თავის ძინვით) ხო, ეგეც ვიცით, რაც საში ათასები ეძლეოდა! აქაური ქალების ფულებს შენა და შენი შვილები, როგორც კაი ვაჭრები, ისე სწონამდით!.. რაკი ჩემმა ფულებმა გადასწონეს...

**სალომე.** შენმა თავის გახეთქამა, დედა-შენმა რომ ის ორასი თუმანიც დეზათ დაგვითვალა!

**სანდუხტა.** ჩემი დედის ჭვლები დაგადგეთ! ძაან კარგი უქნია, თუ არ დაუთვლია თქვენზე ისიც არამია, რაც მოკცათ! და ასამარხად მოგინდეთ შენა და შენს შვილს ის ფულები

**სალომე.** (მივარღება რძალს) ხმა ჩაიწყვიოტე ემ წუთში! ისევ შენა და შენს დედასა!

**სანდუხტა.** (ცელს კრაფც) ემ წუთში გადი. დაიკარგე აქედან! შენი დუხი აქ აღარ იყვეს!

**სალომე.** მე კი გავალ, მაგრამ ვაი შენ ტყავსა, შე უბედურო! მოიცა, მოვიდეს გასპარა! (გადის).

**სანდუხტა.** (მიამახება) შენც მენაცვალე და შენი გასპარაცა!

### გამოსვლა მისამ

#### სანდუხტა უზარნოვა (მარტო)

**სანდუხტა.** (ჰაბთგადოებას) მაგათ უნდათ, მე ჩამქლან და ერთი ორი ათასიც კიდევ აიღონ! (თავის ძრევით) ვნახამთ, მე, თუ თქვენ უფრო წინად გაითხრით საფლავს! ამის იქით მიყურეთ, მე თქვენ როგორ სისხლი გავიშროთ! სუ ეგ სასიკვდილე, სუ ეგ კუდიანი ბებერი კი პრექს ი ჩემ დანთხვეულ ქმარსა! იმტელი ქნა, იმტელი ქნა მაგ ქოფაქმა, რომ საწყალ დედა-ჩემს ფეხი ამოაკვეთინა! (ცერმლს იწმენდაფც) რად მინდა თავი ცოცხალი, რომ ჩემი ქმრის შიშით დედასთან ვერ მივიდოდე! იმანაც მითომ სწავლა მიიღო! ისიც მითქმივერსიტეტში იყო! სირცხვილით ვერავისთან მითქვამს, რომ ქმარი მცემს! ჩასაც კი ი თავის გიური დედა მიუტუნტულებს, იმისთვის ფეხატია! ვაცემინებო! (თავის ძრევით) ჰმ!.. ჰმ!.. ნეტა არ მინდა ერთი ხელი კი დამაკაროს და მერე ნახოს თავის სეირი! მთელ ქალაქს თავზედ დავახვევ! ასე ჰეონია, ერთხელ ორჯელ რომ დავუთმე და დავფარე, ეხლაც ისე ვუზამ! ერთი ხელი დამაკაროს და მეც ეგ მინდა! გარადავოებს შევაბოკინებ და პოლიციაში ჩავათრევინებ! აბა შაგას განა ერთი ბეჭვა სწავლის ნიშან-წყალი აქვს: დედა-ჩემ ჩასციებია, ეგ ორასი თუშანიც ჩეარა მომეო, თორემ სახლებს აგიწერამო! უი ჩამისკდეს შენი სწავლა! ერთი მა-

გისი და მაგი ქოფაკი დედის სიკვდილი მაჩვენა ღმურიშა არა მინდა-რა! ერთი ჩარი ჩაკვდნენ, რომ მე ჩემი მწი-  
თვის ფულით, მაშინ მაინც ვიქეიფა! მითომ ინჯინერი  
ქმარიცა მყავდა და!.. და აი მეორე წელიწადი გარბის  
და ჯერამ მაგი ხელში პატარა განათლებულათ არ მი-  
ცხოვრის; არც კარეტაო, არც პოვარიო და არც დაჩებიო! არა, არა სჯობდა, რომ ისევ ლაკონიძე შემცირო? რაც  
ეხლა იმი ცოლი ქეიფობს, რაც ლაკონიძეს თავის ცო-  
ლის სიყვარული და პატივისცემა აჭვს, განა სიზმარში  
კი ვნახამ მე იმას! დედა-ჩემ დაედოს ჩემი ცოდო, რომ  
ამ გიჟების ხელში ჩამაგდო გიჟივით დაეჟინა თუ:  
„უთუოთ უნდა ინჯილერ მიგცეონი“ ე მენდა ე შენი „ინჯი-  
ლერი“, ე! (ამთავსტებს) ე! რალა თქვას კაცმა! ენდა  
გვიანლაა! ერთი სიტყვით, მე როგორც ცხოვრე-  
ბას ვხედამ, ქალმა მანამ კაცი კარგა არ გაიცნოს, მანამ  
არც ინჯინერობას უნდა დახარბდეს და არც ჯამაგირსა დაუუინიათ თუ: „ინჯილერიო—ან დოხტურიო!“ ე ენდა  
ეგ შენი „ინჯილერი“, ე მენდა ეგ შენი „დოხტური!“ ერ-  
თი ძმა სცემს ცოლსა და მეორე! მაგი ძმა ხომ, ღერთმა  
ყოველი ქრისტიანი დაიფაროს, რაც ის საზიზლარი კა-  
ცია! (ცერნის გარედან შემთხვის სმარტომა და სალომეს მაღა-  
ლი სმით ოპაპარვი) უი, ის ქოფაკი ისა! დახე მართლა  
არ მიუტანა ამბავი! (ცერნის გარედან გასპარ მივირცუმოჩის  
ხმა შემთხვის გაჯაფრიშით: „ეხლავ შევალ და თმით ავითრევ  
იმ გასაწყვეტის!“) სად დავიმალო? ტანტ ქვეშ შევძერე?  
არა, მიპოვნის! (ფრიალებს ცერნის) შეაფში ვაი, ტანისამოსი  
ალაგია! მა სად წავიდე? რა ვწნა! ეგ არ მომქლას; (პირ-  
ჯვარს ისახავს) ღმერთო, მიშველე! (შემთრბის გამრაპებული  
გასპარ მივირცუმოჩი უბარნთვა).

## გამოსვლა მოთხე

სანდუსტა და მისი ქმარი ვასპარ მიკირტუმოვის უზარნოვი  
გასპარა. სად მიღიხარ, სადა? მოიცა, შე თავსასიკვდილე, შე გასა-  
ქრობო, შენა!  
სანდუსტა. რა გინდა? შენ ვის ავინებ! (გულში) პატარა მაგრათ  
დავუდგე!



გასპარა. შენ კიდევ კითხულობ! შე თავსასიკვდილე, რატომ დატბოდა  
ჩემს არ მოასცენებ?

სანდუხტა. ის თვითონ მე არ მასცენებს, არამ თუ მე! ჩემ ოთახში  
შემოსულიყო და გაზა გატეტენა!.. აი თუ არა გჯერამს!  
აი! (უჩვეული ნაფრის) თვითონ გატეხა და პირიქით მე  
მლანძლამდა!

გასპარა. მაშ არ იცი, რომ გასალანძლი ხარ! მაშ არ იცი, რომ სა-  
სიკვდილე ხარ! რათა სდგამ ისეთ ალაგას, რომ გატყდეს.  
ან დედა-ჩემმა რათ უნდა მოუაროს შენს ოთახსა? ეგ  
გასაქვავებელი ხელები რათ გაოხრია, რომ შენ თვითონ  
არ მოუარო სახლსა!

სანდუხტა. ხო, დიალ! ალარას დაგიკლებ! შენ ჩემი ათას რვაასი თუ-  
მანი ბანკში გედოს და მე გოგოთ თავს გადგე!

გასპარა. შე სასიკვდილე, შენა, შენი ათას რვაასი თუმანი რა  
გაგიხდა! მე კაი სამი და ხუთი ათასებიც მეძღვეოდა! ი  
შენი ქოფაკი დედისა არ იყვეს!

სანდუხტა. (გამრაბეჭდა) ი შენი კუდიანი დედაა ქოფაკიცა, ძალლიცა  
და უბედურიცა! მამიშნიცა! (თან ფეხებს დადაცებულება).  
გასპარა. (მივატრება და უნდა რომ ჩაპოვა) სანდუხტა კარგისავარ გაი-  
წევს) სუ, შე!.. (ორიოდეს ჩაპოვა) შე თავმოაშეებულო,  
შენა! შე თავმოსაკდომო, შენა! შენ ჩემთან როგორ  
ბედამ, რომ დედა-ჩემს აგინებ!

სანდუხტა. (ფირილით) შენ რაღათა ბედამ დედა-ჩემის ლანძღვასა?  
(ფირის).  
გასპარა. (გადის სანდუხტას წინ) მაშ არ იცი, რომ მე ნება მაქვს და  
შენ არა! შენ არ იცი, რომ მე სხვა ვარ და შენ სხვა!  
მაშ არ იცი, რომ მე შენი ბატონი ვარ! ✓

სანდუხტა. (ფირილით) სრულობითაც არა!

გასპარა. (მივატრება) სუ! ჩაქმინდე ხმა! (მუშაოს ქოვით) ი თებე  
ვადამ! მე შენ გაჩვენებ! მე შენ მოგარჯული!

სანდუხტა. (გამრაბეჭდა და ფირილით) შენ შენი გიუი თავი და დედა  
მოარჯულე, შე უბედურო, ის გირჩევნიან! (მისმა კარგ-  
შისავარ). გასპარა მოწევა და ორიოდეს ლაპათაძე ჩაპოვა.

გასპარა. შენ კიდევ გამედე! შენ კიდევ ხმა ამოიდგი! ემენდა, ეგ  
შენა, ე... ე!..

სანდუხტა. (ღიღი სმით ფირის) მიშველეთ, მომკლა! მიშველეთ! გასპარა (მივარღება) დაჩუმდი ემ წუთში, თორემ დაგახრიბობ, დაგან რჩობ! (მუშავი უჩვენებს) დაჩუმდი, თორემ ხედამ! კი-დევა იქ? მითხარ, კიდევა იქ? არ გესმის, პასუხი მომეცი, თორემ ხედამ! სთქვი, მივქარე თქო! სთქვი, თორემ აი (უღრუბს მუშავისა).

სანდუხტა. (ფირილით) მივქარე!

გასპარა. (მუშავი უღიღებს) თავი ქვას ვახალე-ოქო!

სანდუხტა. (ფირილით) თავი... ქვას... ვახალე... ე!

გასპარა. (უღრუბს უშვებს) ახლა ხელზე მაკოცე, არ გესმის! მაკოცე და კვლავ აღარა ქნა!

სანდუხტა. (ფირილით) რა ვქნა! ლვდელი ხომ არა ხარ!

გასპარა. არ იცი, რომ მე შენი ლვდელიცა ვარ და ბატონიცა!.. მა-კოცე ემ წუთში, ხელზე მაკოცე, თორემ ხომ იცი!

სანდუხტა. (ღიღილი აღარღებს მაინც სერბები) ას, რა ვქნა!

გასპარა. (თავში სელა უსვამს) აი ეხლა ხარ კარგი ქალი! წადი ეხლა და დედა-ჩემს ბოდიში მოხალე და ხელზე აკოცე!

სანდუხტა. დიალ, აღარას დაეუკლებ! (გარისის).

### გამოსვლა მეხუთი

გასპარ მიკირტუმოვის უზარინევი (მარტო)

გასპარ. (საჭირო დოკუმენტის მუშავის ქმნით) ცემით, მხოლოთ ცემით მოარჯულებ ეხლანდელ ცოლებსა! (მერა ვარღმის უკან მუშავის ქმნით) ი თებე ვადამ! ი თებე!.. ერთი კიდევ გა-ბედე, მე შენ გაჩვენებ! გესმით, როცა მე გამიგულებს, მაშინ გაგიუდება ხოლმე! საწყალ დედა-ჩემს ბავშვივით იმსახურებს! (თითებშე სთვლის) ეს ბავშვი მე რათ გავზიო—ძიდა დამიჭირეთო! ეს საჭმელებს მე რათ მოვხარ-შამო—პოვარი დამიჭირეთო! ეს კარეტაო, ეს ეკიბაჟიო! საცხა ახალ საკაბეს ნახამს, თუ ჩქარა არ მოაჭრევინა, კიდევ მოკვდება! მარტო მაგის შლიპები და პერჩატკები აჭირებს საქმესა! ისე რომ ჩემი მზითვის ფულით ერთ დღეს შევჭამოთო! სუ ი ქოფაკი ძალლი, სუ ი კუდიანი მაგი დედა კი აგიშებს თავი ტუტუც ქალსა აი! სუ ის



არი რაც არი! ერთი თუ იმი სისხლი არ დავლენ, არ იქნება! ის ქოფაკი ისა! აგერ მეორე წელიშადი გარბის და იმისი ორასი თუმნის ვექსილი ისევ ხელში მიჭირამს! ერთი გადმოვიდეს აქა! მაგრამ რაღას გადმოვა, იმ დღეს კისრის ჩეხით გავაგდე აქედანა! მეტი ჭარი არ არი სახლები უნდა ავუწერო! რა ვქნა, ხალხისაც მცხვენიან!.. იტყვიან: ნასწავლი კაცი როგორ კადრულობს, რომ ორასი თუმნისთვის თავის სიდედრს სახლებს უწერამსო! უძ! (შემთხვევა მისი მმა ავალიდა).

### გამოსვლა მემკვეთი

გასპარ მიყირტუმოვიჩი და მისი ძმა ავეტიქა

ავეტიქა. კაცო, რა არის, რა ამბავია? თქვენი ყვირილის ხმა ქუჩაში გაშოდის!

გასპარა. რაღა რა ამბავია, მაგ თავსასიკვდილემ მეტათ თავი წაკამა!

ავეტიქა. ვინა? შენმა ცოლმა?

გასპარა. კიდეც იმანა!

ავეტიქა. პატარი უნდა წაურტყა ხოლმე და!

გასპარა. ისე შენმა გასპარამ იხაროს, როგორც კარგა მე ეხლა იმას წაურტყი!.. შენა? შენც კიდევ ისე გეჯავრება ი შენი მზეთ-უნახავი ცოლი?

ავეტიქა. უი დასწყვევლოს ეშმაქმა, ისიცა და იმის მზეთუნახაობაცა! აი, ეხლა უფრო მაგისთვის მოველი.

გასპარა. რა, ხომ არ გაჯავრებს? ხომ ჩემი ცოლივით მზითვის ფულებს არ გაყევდრის?

ავეტიქა. ეგ ლა აკლია! როგორ თუ გაჯავრებსო! როგორ თუ მზითვის ფულებს გაყევდრისო! ჯერამ რომ ისე სულს არ უდგამ, აბა მაშინ რა კეთილს დავიყრი! ცოლმა რომ ჩემ წინ ხმა ამოილოს, სულუქმა-ლუქმა კი არ დავკუშა! ახლა იმის სიმშვენიერესთან ეგეცა!

გასპარა. სწორე გითხრა, ძიელ მიკვირს, ან აქამდინ კი როგორ უცქეროდი ი მაიმუნსა! კაცო, შენი ცოლისთანა გონჯსა, სანთლით რომ ეძებო, ვეღარ იპოვნი!

ავეტიქა. (ამთავსრებს) ეს, შენი თქმისა არ იყვეს, გონჯი ცოლის უკავშირი  
ყოვლად შეუძლებელია!

გასპარა. აკი გირჩიე, ლამაზი შეირთე, თუ გინდა ბეჭნიერი იყვე-  
მეთქი!

ავეტიქა. ეგ ყველა ქარგი, მაგრამ, შენა, ლამაზი ცოლის პატრონო  
ბეჭნიერი ხარ?

გასპარა. (ღაფაძრება) მე? სწორე გინდა გითხრა, სანდუხტა ძიელ  
სისხლს მიღუჭებს!.. შენ ეს მითხარი, რა საქმე გქონდა  
შენ ჩემთან?

ავეტიქა. (ჰკაბჭი ჩამთჯდება) დაჯექი და ყური კარგა მიგდე! მე, რო-  
გორც შენ იცი, ჩემი მაიმუნი ცოლის ცეირა აღარ შე-  
მიძლიან და უთუოდ უნდა გავეყარო! „რაზეოდი“ უნდა  
ავილო!

გასპარა. იცი, ავეტიქ, რა გითხრა, მე რომ მქითხო, ეგ სულ მეტის-  
მეტია! მთელი ქალაქი გაიგებს და ისევ შენ გაგამტყუვ-  
ნებენ! არა, ეგ სულ მეტია!

ავეტიქა. (ამაყდა) ვისაც რა უნდა, ისა სთქვას! განა განათლებულმა  
კაცმა ხალხის ყბედობას ყური უნდა უგდოს?

გასპარა. არა, შენ ეს მითხარი, რაზეოდი რათ გინდა, როდესაც  
ურაზვეოდოთაც ცოლთან გაყრილივითა ხარ?.. თვეში ერ-  
თხელ სახლში არ შედიხარ! თუ მოგწონს ვინმე და გინ-  
და ჯვარი დაიწერო, ეგ სხვა არის!

ავეტიქა. აბა კიდევც მთელი საქმე მაგაში მდგომარეობს აი! ეს ორი  
კვირაა, რაც ერთი ახალგაზდა გასათხოვარი ქალი გაფი-  
ცნი და...

გასპარა. ფული აქვს? ლამაზია?

ავეტიქა. ფულიც ბევრი აქვს, ჩემო ბატონო, და ლამაზიც არის!  
ლამაზია, გასპარ, ლამაზია, რომ ასე გვონია, კალმით  
ნახატიაო!

გასპარა. მერე? გეძლევა კი ის ქალი?

ავეტიქა. ბიჭო! როგორ თუ გეძლევაო? ყელს მიწევენ! გაიგეს თუ  
არა, რომ დოკტორი ვარ, დედა და ქალი ბუზანქა-  
ლივით მომეხვივნენ!

გასპარა. მაშ, როგორც ეტყობა, იმათ არ იციან, რომ შენ ცოლი  
გყავს!



ავეთიქა. აი კიდეც მაგაშია საქმე! აი კიდეც შაგისთვის „რაზოდის“ „რაზოდის“ აღებასა! მე ისე მინდა მოვახერხო, რომ ჯვარი მანამდე დავიწერო, სანამ ისინი გაიგებდნენ, თუ მე ცოლი შეყდა!

გასპარა. კარგი და, თუ ცოლი „რაზოდის“ არ მოგცემს, აბა როგორ გინდა ჯვარი დეიწერო?

ავეთიქა. აბა კიდეც ეგ უნდა მომიხერხო შენა, ჩემო გასპარ, მე იმასთან ლაპარაკე არ შემიძლიან, რომ ვხედამ, მეზიზ-ლება! ეგება შენ როგორმე მომიხერხო ეგ საქმე!

გასპარა. ეგ კარგი და, ის ხომ თავის ათას თუმანს ისევ უკან წაგარ-ომევს?

ავეთიქა. ვერაფერსაც ვერ წამართმევს, ის ფული ჩემ სახელზეა დამტკიცებული!

გასპარა. მაშინ ის „რაზოდის“ აღარ მოგცემს!

ავეთიქა. ე... ე!.. ნუ კი გააჭირე საქმე და! წადი, შენ ჯერამ მოე-ლაპარაკე. და თუ არ დაჰყაბულდა, მაშინ მე ვიცი! ჰო, დამავიწყდა, მართლა, ესეც უთხარი, თუ შენი თავის სიცოცხლე გინდა-თქო, ჩემ ძმას „რაზოდი“ მიეცი-თქო და საცხოვრებლათ შენ მშობლებთან გადადი-თქო!

გასპარა. კარგი, წამო ვნახოთ, რა იქნება! (გადაა. ჟღვან პატარა სანს ცარილია, მეტე შემოდის ართმა გულადოვის ცოლი).

### გამოსმლა მეშვიდე ანუშკა გულადოვი (მარტო)

ანუშკა. (დევთ-იძია მიისპერებს და მეტე) ერთი სად არის ის გასაწყვეტი სალომე? სად არის, რომ კბილოთ დავგლიჯო! (სამო-გადოებას) განა ამ დღესაც მოვესწარ, რომ სიძემ ქალი მიცემა! ცემაც ცემაა! თურმე დიდი ხანია, ის ხელებ და-სანტრევი, ეგრე სცემს და ის საცოლავი არას მეუბნება! რა ვქნა, დედა, მცხვენიანო, შემომჩივლა საწყალმა! კარ-გი რომ ემ დროს მოველი და ტირილზე მოვუსწარ! მი-თომ ეგეც განათლებული კაცია! მითომ ეგეც უნერსი-ტეტში ნამყოფია!.. (ძრეთლით ვარებისაცავ) უი ჩამისკლეს შენი სწავლა და უნიერსიტეტი! განა იმ ოხერ უნიერსი-ტეტში ამას გასწავლიან, რომ „ცოლებსა სცემეთო და

სიდედრები სახლიდან აგდეთო!“ ჯერ ორი წელი და მოგვიანებით  
 არ გასულა, რაც მაგ სასიკვდილეს ჩემი ქალი ჰყავს და  
 აგერ ბარე ორჯელაც სახლიდან გავუგდიგარ! დღეს იქით  
 აბა კიდევა თქვან: „გაუნათლებელთან ლხინსაო, განათ-  
 ლებულთან ჭირი სჯობიანო!“ აბა ერთი მითხარით თუ  
 ეხლანდელ დროში ან რომელი გაუნათლებელი ქაცი  
 სცემს თავის ცოლსა? უი, არა მყავდეს ეგა! ჩემ ქალსა, ქა,  
 ჩემ სანდუხტასა, რომელმაც ერთი კალთა ფული შემოიტა-  
 ნა ამ ოხერ, ამ დაწყებლილ სახლში, ქმარმა სცემს! (ჩაივრავს  
 მზელში) უი, დაუდგეს დედა-შენს თვალები, შვილო! მეც  
 რა კარგი და ჭკვიანი ქალი ვარ: ფულით დარდი ვიყი-  
 დე! მოსას რეას თუმნათ ჭირი და ცეცხლი ვიყიდე! უველა  
 რო მეფიქრა, ამ ცემის რაღა მამაგონებდა! მაგრამ რა!  
 მაგათ ეგ ზე მოდგმითა სჭირო! მაგის გიერ, ლაპუს-  
 ტაწი ძმა არ არი, რომ დილა-საღამოს თავის უბედურ  
 ცოლს თავში უტყაპუნებს! საწყალი ქალი დააჭლექა! ნე-  
 ტა ურიგო ქალი მაინც იყვეს! დღეში სამჯერა სცემდა  
 და ეხლა ის საცოდავი ლოგინათ ჩაეარდა! დოხტური კია!  
 ნასწავლი ქაცი კია! კაი ათასი თუმანი ნალდი გამოიქრა,  
 ცოლის ნათესავებმა რა სიკეთე უყვეს და ეხლა კი.. არა,  
 მე ჩემ სანდუხტას იმისებ ვერ დაგაჭლექებინებთ! მე ვიცი  
 რასაც გიჩამთ! მაგრამ, რაც მომივიდეს კი, ახია ჩემ თავ-  
 ზე! ახია, კიდევაც ცოტა! არა ერთი, გიუიანივით ხელ-  
 ზე რას დავიხვიე, თუ ჩემი ქალი ან ინჯილერ უნდა მივ-  
 ცე ან დოხტურსა მეოქი! ემენდა შენი ინჯილერი, ემენ-  
 და ე შენი დოხტური! ერთი სცემს ცოლსა და მეორე!  
 ტყუილათ კი არ მითხრა ქითევანამა, რომ „ბოლოს ბევრს  
 ინანებო!“ (მუხლში გდივრავს) დახე იმის გულისა არ გავ-  
 ხდი! (შემოღის მისი მიმდინარეობის შესახებ უბრავდება).

## გამოსვლა მირვე

ანუშკა გულადოფი და მისი მძარალი სალომე უზრანოვი

ანუშკა. ერთი აქ მობრძანდი!

სალომე. (ჩამოჯღება) რა გნებამს?

ანუშკა. ერთი უნდა მითხრა, თუ შენ გიუ შვილს...



**სალომე.** გიუები შენ გვარში მოიკითხე! დედა-შენი იყო გრძელებდა  
მამა-შენი! ერთი შეკრეს თოვითა და მეორე!..

**ანუშკა.** ისემც მოუწვები შენ იმათა, როგორც ეგ მართალია!..

**სალომე.** რათა, შენ უმცროვ თავისიანი არა ხარ!

**ანუშკა.** არა, მე სვინდისზე ხელაღებულებს რა ველაბარაკო!

შენ მხოლოდ ეს უნდა შემატყობინო, თუ შენ შეიღს რა  
ხელი ჰქონდა, რომ ჩემ ქალს სცემდა?

**სალომე.** მაშ თუ ქმარი არ დააჭირიანებს ცოლსა, მაშ...

**ანუშკა.** ოქვე უბედურებო, თქვენ თქვენი თავი დააჭირიანოთ ჯე-  
რამა, ის გირჩენიათ! თქვენი სიგიფის ხმა მთელ ქალაქ-  
შიდა გავარდნილი!

**სალომე.** (წამოსცემა) ხმის გავარდნაზე ნუ მივარდება, თორემ, ხომ  
იცი! შენი ქმარი არ იყო, რომ მთელი ხმელეთი გაცარ-  
ცვა და ისე შეიძინა იმოტელა სარჩო!

**ანუშკა.** იმას გამოუდევ! აბა რა მოგპარა?

**სალომე.** აი შენც ქმრისაგან ვისწავლია სხვის საქონლის დაჩემება.  
აგერ მეოთხე წელიწადი გარბის და ის ორასი თუმანი..

**ანუშკა.** რაც მოგეცით, ისიც არა:ია თქვენზე! ნეტა ისიც არ მო-  
მცი!

**სალომე.** მაშა ქა! შენ აშარ ქალს რომ ვუძლებთ!

**ანუშკა.** შენმა თავის გახეთქამა, მენა გვაკვს! კარგი, ვთქვათ, ჩემი  
ქალი ცუდია, ისა, ის ბეორე რძალი ხომ კარგია! ი შენი  
ნასწალი დოხტური შვილი დილა საღამოს რათა სცემს?  
დალაბანდივით თავში რათ უტყაპუნებს?

**სალომე.** ჯერ ეს ერთი, ეგ რა შენი საქმეა? ალბათ ღირსია და!

**ანუშკა.** რა ვქნა, რაღა ორთავე რძლები არიან ცემის ღირსი?

**სალომე.** ალბათ ლვთის წერია ეგრე იყო! ალბათ ლმერთმა ევრე  
ინება!.. ჩენ მხოლოდ ეს უნდა ვთქვათ, რომ რძლებში  
ბედი არა გვქონდა!

✓ **ანუშკა.** უი, იმას უნდა ჩაეყარო მეხი, ვინც დღეის იქთ სწავლას  
დახარბდეს და თქვენისთანა გიუებში ქალი ჩააგდოს!

**სალომე.** გიუი არა ხარ, შე უბედურო! შენზე გიუი ვიღაა! მთელი  
შენი ქმრის შეძლება ფაფასავით ერთ დღეს შეჭამე!

**ანუშკა.** მაგას კი სწორე მეუბნები, მე და ჩემმა ლმერთმა! თქვენი  
გულისთვის სულით ხორცამდინ გავიყიდე, რაც კი მქონ-

ଲା, ସ୍ଵାଲ୍ପ ମିଳାଗିର୍-ମିଳାଗିର୍ବ୍ୟ ଲା ମେ କି ହେଲା ଶ୍ରେଷ୍ଠଜ୍ଞେଲ୍  
ତୃମାନିତ୍ର ମେନାତ୍ରିକ୍ରବା! ଯୁ, ଅନ୍ତର ଗ୍ରେଟ୍ରେଟ ଶେନା ଲା ଶେନ  
ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସ କ୍ରେମି ଆମାଗ୍ରି!

**ସାଲାମିତ୍ର.** (ମିଳାଗିର୍ବ୍ୟ) ଐସେ ଶେନା ଲା ଶେନ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସବ୍ଦସା! ରାଗନ୍ତ ତୃ ଶେନ  
କ୍ରେମ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସ ମିଳାଗିର୍ବ୍ୟିଲ୍ୟ! କ୍ରେମି ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସମା ଏଣ ଗିତବର୍ଷା, ଯୁ-  
ବି ଏଲାକ୍ର ଗାଲମାର୍ଫାର୍ଫାନି ଏବାମ! ରାମଦେଲ୍ଲାଜ୍ୟ ଉନ୍ଦା ଲାଗି-  
ତବ୍ରାନ୍ତ ଶେନ କ୍ରେମ ଶାବଲିଦଗାନ! ଗାଲି, ଏମ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସ ଲାଗିଲ୍ୟ-  
କ୍ରେ ଶେନ କ୍ରେମ ଶାବଲିଦଗାନ! ଗାଲି ଲାଗିକାରିଗ୍ରେ, ଶେ ତାଗଲାଫିଶି-  
ନିନ, ଶେନା!

**ଅନ୍ତରିକ୍ଷା.** ମେ ତୃ ଗାଗାଲ, କ୍ରେମ କ୍ରେମିଲ୍ସବ୍ଦ ତାନ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସବ୍ଦାନ! ଲା ଶେନମା ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସମା  
ମାଶିନ ନାବର୍ତ୍ତ ତାଗିଲ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠିରି!

**ସାଲାମିତ୍ର.** ମାମା ଗ୍ରୀବ୍ରାନ୍ତର୍ଦା, ନାନ୍ଦୁଶିରିଲ୍ ତାଗିବି ଏଣ ହାତ୍ତେକିମାନି! (ପ୍ରାଣିଲାଙ୍ଘନ)  
ଗାଲି ତାନ୍ତର୍ଯ୍ୟ ଗାଗାତାନ୍ତର୍ଯ୍ୟିନ୍ୟବ୍ଦ! (ଶ୍ରେଷ୍ଠିରିଲ୍ ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦ).

### ଧାରାଲାବାଲା ମାତ୍ରକାରୀ

ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସ ଲା ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦ

**ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦକୁ.** (ତାଗିଲ୍ ଚାରିତର) ଲ୍ଲାଙ୍କା, ଏଣ ଅନ୍ତିମିତ୍ରିବା?

**ଅନ୍ତରିକ୍ଷା.** ରାଲା ଏଣ ଅନ୍ତିମିତ୍ରିବା, କିନାଲାମା, ମିଳାଗିର୍ବ୍ୟ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସ!

**ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦକୁ.** ରାଗନ୍ତ ତୃ ମିଳାଗିର୍ବ୍ୟିମାନ? ରାତାନ ପ୍ରେମି ଏଗର୍ବେ ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦ, ହେଲା ମେ  
ଗାହିବ୍ରେନ୍ଦର, ପ୍ରେମି ରାଗନ୍ତର୍ବ୍ୟ ଉନ୍ଦା (ମିଳାଗିର୍ବ୍ୟିମାନ ଚାରିତରିଲ୍ ଚାରିତରିଲ୍  
ନିକଷର୍ତ୍ତବ୍ୟି) ଏଣ ପ୍ରେମି ଶ୍ରେ ଉନ୍ଦା!

**ସାଲାମିତ୍ର.** ଶ୍ରେଷ୍ଠିର ଶ୍ରେଷ୍ଠିର କାରିବା ହାତ୍ତେକିମାନି ଶେନି ତାଗି ଶେନ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସିବା,  
କ୍ରେମ୍ବେ ଗିନ୍ଦା?

**ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦକୁ.** (ମିଳାଗିର୍ବ୍ୟିମାନ) ଏଣ ହାତ୍ତେକିମାନ ରାଗନ୍ତ ଉନ୍ଦା! (ପାତରି ଲାକିକିତିବାନିକାର  
ନିରାକାରିତା)

**ସାଲାମିତ୍ର.** (ପ୍ରାଣିଲାଙ୍ଘନ) ମିଶ୍ରିଲ୍ସିଲ୍ସି! ମିଶ୍ରିଲ୍ସିଲ୍ସି, ଲାଗିବାରିକ୍ଷେ!

**ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦକୁ.** ରାହିମିତ୍ର, ଶେ କୁଲାନିନ ଦେଖେରି, ଶେନା! ହାତ୍ତେକିମାନି କି-  
ଲ୍ୟ ମିଶ୍ରିଲ୍ସି ଏ ଶେନ ଗାଲ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସ ଅନ୍ତିମିତ୍ରିବା? କୋଲାବା? ତକ୍ଷି, ଶେ  
କୁଲାନିନ, ଶେନା! (ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସି ମାନ୍ଦିଲ୍ଲାର୍ଗିପି)

**ଅନ୍ତରିକ୍ଷା.** କାରିବା ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସି, ଲାଗିବାରିକ୍ଷେ, ଏହି ମାଗ ଗିରିବା କାଲକି ତାଗି ଏଣ ଲା-  
ଗିବାରିକ୍ଷେ!

**ସାଲାମିତ୍ର.** (ପ୍ରାଣିଲାଙ୍ଘନ) ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସି ଗାଲାକାରି! ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ସି ଗାଲାକାରି! ମିଶ୍ରିଲ୍ସି, ମିଶ୍ରିଲ୍ସି!  
ଗାଲାକାରି! (ଶ୍ରେଷ୍ଠିରିଲ୍ ଶାନ୍ତିକାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ଦ).

## ბამოსცლა მიათე

ინიციატივი და გასპარ მიკირტუმიშვილი უზარნოვი

**გასპარა** (თავის ღერაც) დედა, რა არი, რა ამბავია?

**ხალოშე.** (მივარღება შვილს და მოწვევა) შვილო მიშველე, მკლავენ! კინალამ დამახრჩეს!

**გასპარა.** (თვალებს დადარიალებს) როგორ თუ გკლამენი როგორ თუ კინალამ დაგაიხრჩეს?

**ანუშე.** ნეტავი შენა, მაგ ტუტუცს ყურს უგდებ!

**გასპარა.** (მისხარული დამილით თავს უკრავს) შენც აქა ბრძანდები! მე დიდი ხანია შენთან საქმე მაქვს! (თავის ღერაც) დედა, შენ გადი და მე ამათ მოვურივდები!

**ხალოშე.** შვილო, გასპარჯან, გენაცვალოს დედა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, ერთი კარგათ ჩაუეცე ეგ ორცვენი! მეტადრე იგ კუდიანი ბებური! (გადის).



## ბამოსცლა მითირთმეტი

იგინივე, სალომე უზარნოვის გარდა

**გასპარა.** (გაბრაზებით) ერთი უნდა მითხრათ, თუ დედა-ჩემთან თქვენ რა გესაქმებათ? (მეტყ სიღებრს) შენ კიდევ ან როგორ გაბედე ჩემ სახლში ფეხის შემოლგმა? (ფეხს დააფიაპურებს) რამტელჯერ უნდა გაგაგდო შენ აქედან!

**ანუშე.** (ცელის ძრვით) დამიხედვეთ ნასწავლ სიძესა! დამიხედვეთ ინჯილერ სიძესა! უი, არა მყავდე შენა! უი, გაგიხმეს ძირში ეგ ენა!

**გახმარა.** (მივარღება სიღებრს და უდიდა, რომ ჩაპურას, მაგრამ სანდებოდა მიწველულება თავის ღერაც, გასპარა ჩაპურავს სანდებოდას) გადით, გადით აქედან, ემ წუთში თქვენი ფეხი აქ ალარ იყვეს!

**ანუშე.** (გადაფარუბა თავის ძალს) მიშველეო, შვილი მომიკლა! მიშველეთ, ქა, ქრისტიანები არა ხართ!

**გასპარა.** (მივარღება და მუშაც მოუღირებს) ჩაწყვიტე, შე ქოფაკო ძალო, ხმა!

**ანუშე.** (ცელს მაღლა აიშვერს) შამაზეციერსა ვსთხოვ, შვილო, რომ არ მოგყაროს ჩემი ხნით! ქოფაკი ი შენი აძალლებული



დედაა აბა!.. ეხლა გარ განა ქოფაკი, როცა შენისთანა  
გიუსა და ლაპუსტაწს კაი ლამაზი ქალი მივეცი და კა  
ათას ჩვაასი თუმანი დაცუთვალე? უი, არმათ და ცეცხ-  
ლათ გეგცეს ჩემი ამაგი!..

**გასპარა.** (გასპარა მივარტებ და უნდა ჩათრებას) გადი! გადი, დაიკარგე  
და თან წაათრიე ე შენი ტურუცი ქალიცა!..

**ანუშკა.** ნუ გეშინიან, შენც რომ არ მითხრა, მე თვითონაც არ გა-  
ვუშვებ თქვენისთანა გიუებში ჩემ ქალსა! (სანდეგაცა) წა-  
მო, წამო შვილო! მე ამას ფასათ დაუსვამ ამ სიტყვებს!

**გასპარა.** ერთი უნდა მითხრა, თუ რა ნაფუზრის თავებს ჩამიჭამ?  
**ანუშკა.** მე შენ ნაფუზრის თავებთან რა საქმე ზაქვს! მე ჩემსას  
მოვითხოვ!

**გასპარა.** (ვითომ იცინის) ხა! ხა! ხა!.. იქნება შენა გგონია, რომ ათას  
რევასი თუმანი უკან მიირთვა?

**ანუშკა.** მაშ არა და შენა და შენ კულიან დედას შევანარჩუნებ!

**გასპარა.** ის ფული ჩემ სახელზეა დამტკიცებული და ვერც შენ და  
ვერც შენი ტურუცი ქალი კაპიქსაც ველარ გაიტან!

**ანუშკა.** არა, ჩვენც ორამდინ თვლა ვიცით! ჭკუა გვაქვს! ი ფული  
მე შენ როდი გაჩუქრებ! მე მოწმებთან მოგეცი, როგორც  
ქალის მზითები! განა სამუდამოთ, სანამ ქალი უწლო-  
ვანია!

**გასპარა.** ვნახოთ, რას წაიღებ! (მეტა თავის გულში) ვაი წავხდი! ეგ  
სულ დამაგიწყდა!

**ანუშკა.** (თავის ძალა) წამო, შვილო, წამო! მოშორდი ამ დანთხვეუ-  
ლებს!

**გასპარა.** (მივარტებ) როგორ თუ დანთხვეულებსა? (ხელს პურავს).

**სანდუქტა.** (ფარილით) წამო, დედა, წამო, ექ არ მოგკლას ამ გიუმა!  
(ღირდ და ძალი გვარტებიან, გასპარაც მეწფ-მთღერებული გა-  
მოგვარა).

## მ ი უ შ ე დ ე ბ ა გ ე ლ ი ლ ი

სცენა წარმოადგენს უზარნოვიანთ სახლს. სალომე უზარნოვი წამოწოლილია  
 ტახტზე

გამოსილა პირველი

სალომე უზარნოვი (მარტო)

სალომე. (სამოგზაურებას) უჲ! ძლიეს არ მოვისვენე! ძლიეს თავიდვან  
 ჭირი არ შოგიშორე! ერთი კვირეა, რაც იმ გასაწყვეტს  
 აღარ უცემერი და ასე მგონია, ახლა დავიბადე მეთქი!  
 გუშინ შამოეთვალა: უნდა შენ შეილს გავეყაროვო, ჩემი  
 კაბები გამომიგზავნეო. (მუხლში ჩაირცხავს) უჲ! თუ გაე-  
 ყარე, მე შენ გითხრა, ან მე და ან ჩემმა შვილმა ერთბა-  
 შათ თავი არ მოვიკლათ! იმას ეგონა, შევეხვეწებით, კალ-  
 თებ დაფუჭერთ, (თვის ძრვით) მამა უკრონდა, აღარას  
 ჩაეუკლებთ! ყველა აშარი და თავსასიკვდილე თავის თავს  
 აზარალებს, თორემ ჩვენ რა? მე შენ გითხრა, ჩემი შვი-  
 ლები ერთი ორი ითასებ ვეღარ აიღებდნ! გიჩივლებთო!  
 ხო, მამა გიცხონდათ ან შენ და ან ავეტიქს ცოდნა,  
 ერთბაშათ ნაფუზარის თავები არ ჩაგვიჭამოთ! ბევრიც  
 რომ გვიჩივლოთ, რას დაგვაკლებთ ე ფულები ჩვენ სა-  
 ხელზეა დამტკიცებული; თუ ქრმებს გაიყრებით, პირ-  
 იქით მადლობასაც შემოგიოვლით! მე შენ გითხრა, ჩემ  
 შვილებს ქალები დაეკავებათ! აგრე ჩემ ავეტიქს, ენა-  
 ცვალოს დედა იმას, სამი ათას თუმნიანი ქალი ეხლავეც  
 ეძლევა!.. ოღონც ე თავის მაიმუნ ცოლს კი მორჩეს და!  
 (შემთხვევაში მისი შვილი გასპარ მარტოშემდგან უშიშროების გამო).

გამოსილა გეორგი

სალომე უზარნოვი და მისი შვილი გასპარი

სალომე. შვილო გასპარჯან, სად იყავი?

გასაპარა. (წარმმარტელი) ჯანაბაში! სიკვდილში!

სალომე. (წამოვარტება) ჯვარი გეწეროს, ქა! უწინ დედა-შენ დაუ-  
 დგეს თვალები, ქა! ეგ რა თქვი, გენაცვალოს დედაშენა?

**გასპარ.** (ჯამიერან რაღაც ძაღლებს პმთიღებს და სცოლში დაგვიწყება) ამითოთ წაიკითხე და რაცა გთქვი გაიგებ (მერა თავის ძრევით) ეს სუ შენგან კი მომივიდა აი!

**სალომე.** (შიშისაგან კანკალებს) რა არი, რა, შეილო? ნუ კი მაშინებლა! რა არი, სამსახურიდგან ხომ არ გამოგაგდეს?

**გასპარა.** (სიტრაჟისაგან ფეხს დამტახურებს) წაიკითხე და გაიგებ, რაც არი!

**სალომე.** (გამლის ძაღლებსა და უცმად სულდეგან გადგრებს) უწყება?! შეილო, ვინ გიჩივლა?

**გასპარ.** მითომ არ იცი! ერთი, დედა-შეილობას, აქ თავს ნუ იკატუნებ და (უწყებას აიღებს სელში და სცოლში აცყარებას) ეს სუ შენი ჭარტალა ენის ამბავია, სულა!..

**სალომე.** ერთი უნდა მითხრო, შეილო, თუ ეგრე რა გაცეცხლებს, შენ ცოლს უჩივლია, შენთან გაყრა უნდა; ნუ, ადექი და გაეყარე!.. აბა მაგაზედ რაღა გაბრაზებს? მე დიდი ხანია ვიცი, რომ ოქვენი ცოლ-ქმრობა აგრე დაბოლავდებოდა!

**გასპარა.** (მწირე იცინია) ხა... ხა... ხა!.. (თავის ძრევით) შენ გვინია, მე იმასა ვწუხეარ, რომ ცოლი მეყრება?

**სალომე.** რა ვიცი, მა რა არის! თუ ეგ უწყება გაყრისა არ არის, მაშ სხვა რა უნდა იყვენე?... ე ფული ხომ შენია!..

**გასპარა.** ვინ მოგახსენა? აი კიდეც მაგ ფულზე მიჩივიან აი! აი კიდეც მაგაზე მეკიდება ცეცხლი და ალი, აი!..

**სალომე.** (შიშისაგან თვალებს დაჭყაფას) რათა, გენაცვალოს დედა! და? განა ცოლის ფული შენ სახელზე არ არის შეტანილი ბანქში? განა ის ფული შენი არ არის?

**გასპარა.** მეც ეგრე მეგონა, მაგრამ... სოულობით დამავიწყდა, რომ მოწებოთ დამითვალა ი ჩემმა სასიკვდილე სიდედრმა ის დაწყევლილი ფული! სრულობით დამავიწყდა, რომ ჩემმი სასიკვდილე ცოლი მაშინ უწლოებანო იყო!.. ეს არის ეხლა აღვოკატს ველაბარაკე და იმან მიპასუხა თუ, მე ვერაფერს ვერ გიშველით ეხლაო!.. რაკი ქილი წლოვანი გახდაო, როცა უნდა, უკან გამოიტანს იმ ფულსაო!.. წადი და ეს არ გინდოდა! ე შენ ჭარტალა ენის ეს არ მოსწევდა!



**სალომე.** (პირ-უად ვარჩება) რას ამბობ? რას ტუტუცობ! ჟოლუანთ  
განცას ცოლმა ბევრი იდავა, ბევრიც თავში იცა, სამ-სამ-  
მი აღვაკატიც დაიჭირა, მაგრამ თავის ქმრისაგან კაპი-  
კიც ველარ გაიტანა!..

**გასპარა.** (მოთმინებიდან გამოდის) წ!.. ის სხვა საქმეა, როდესაც ქალი  
წლოვანია და თვითონ უმტკრცებს ქმარს ფულსა, ასე  
იგი აჩუქებს!

**სალომე.** რას ამბობ, შვილო! მაშ ის ათას რვაასი თუმანი წა-  
გერომევა?.. მაშ ის ფული შენი ალარ იქნება?.. მაშ ის  
ათას რვაასი თუმანი დაიკარგა?..

**გასპარა.** ისე, როგორც შარშანდელი თოვლი! ვისგან? შენგან! შენ  
ჭარტალა ენას ეს მოსწევდა ესა, აი!

**სალომე.** შვილო, გენაცვალოს დედა, როგორც იყვეს, ისევ შეური-  
გდი ი შენ ცოლსა!

**გასპარა.** ხმ! ბევრი ვეცადე, მაგრამ დედა და ქალი დიდ უარზე  
დგანან!

**სალომე.** გენაცვალე შვილო, როგორც იყვეს!..

**გასპარა** (სკოს ძრივთ) რას ამბობ, რასა? სულ ერთია, ის ათას  
რვაასი თუმანი ჩემი ხელიდან დაკარგულია, დაკარგული!

**სალომე.** (ერთ კად ლაპათიან სილახ შემოიტავს) უი, დაუდგეს დედა-  
შენ თვალები!

**გასპარა.** ეხლა გვიანლაა! ეგ მაშინ უნდა გეფიქრა, როცა მაგ ჭარ-  
ტალა ენას არ აყენებდი! ისე თუ ასე მაინც შენ დამლუ-  
პე! მაინც შენი ხელითა ვარ მკვდარი!

**სალომე.** შვილო გასპარჯან! ჩემი რა ბრალია, გენაცვალოს დედა  
შენა? (მერე საპოვალობას) გაგიგონიათ, აქაურობას ლეწამ-  
და, მცემდა, სისხლს მიშრობდა და ხმაც არ ამომელო?

**გასპარა.** თუ ეგრეთიც იყო, მაშ რათ გამირიგე? რათ ჩამაგდე ამ  
უბედურებაში?

**სალომე.** რა ვქნა, შვილო. აქეს! ახლა მეც ხომ გულთმისანი არ  
ვიყვა!

**გასპარა.** (ფეხს ვადცემული) როგორ თუ „გულთმისანი!

მანამ კარგა არ გამოიძიე, მანამ კარგა არ იწვლილე და  
იკითხე, რათ მაგდებდი ამ ცეცხლში და უბედურებაში?  
რათა? ფული.—ფულად მიმდის ხელიდგან, მასხარა—მა  
სხარათა ვხდები ქვეყნისა!

**სალომე.** შვილო, ნუ ხარ გულ-ჩქარი! კაი ადვაკატი და მოწინელი გენაცვალოს დედა შენა, და როგორც იყვეს ე ფულ შე დაანებებ!

**გასპარა.** რას ამბობ, რა ადვოკატი! ახლა ადვოკატებზე გინდა დამ-ლუპო? აქ რაღა ადვოკატი მინდა, როცა თეთრათ ვხე-დამ, რომ საქმე წაგებულია! (გამრაპებული დადის) ეს სულ შენ კი შემძლვენ აი! ქვეყნის პამპულა გამხადე, ქვეყნის! (ღერის წინ დაგდება და მწერე ღამილით) მითომ დედაც იყავ! მითომ შვილისთვინ გულიც გეწოდა! იქით შენ ჩემ საქმეში ილარ გაერიო! გესმის!

**სალომე.** შვილო, გასპარჯან, ჩენ ჭკუას დაუხმე, გული დაიმშვიდე! ჯანი გულადოვის ქალსაც გავარდეს, იმი მეტი ქალი აღარ არი? ქვეყანაზე ხომ მღიდარი ქალი არ გაწყვეტილა!

**გასპარა** (თავის ძრევით) ხმ! აი თუ არ დაგიშლია, სწორეთ ეხლა კი დევ მომცემს ვინმე ორი ათას თუმნიან ქალსა! გაათავე, ჩამომეხსენ! რა გინდა, ტყუილათ გულს რათ მიშფოთებ! თავში ვახლი იმ ოხერ ფულებს და ამ დაწყევლილ ქალა-ქიდან გადავიღუპები საღმე!..

**სალომე.** შვილო, მაშ რახან ეგრეა, პეტრებუხში გამჭესდი!.. ამბობენ, იქ მდიდარი ქალები არიანო, იქ კი კაი ქალს გაგირიებ!

**გასპარა** იქნება შენა გვინია, თუ საცა მე გავმწესდე, შენც თან გათრიო? აღარას დაგიკლებ! ახლა იქ გინდა თავი მომჭრა?.. დლეის იქით მე გთხოვ, ჩამომეხსენ!.. (ღამილის ჭრის მიზანის და თან კარგის გადამტკიცება).

**სალომე.** (მიაბახება) შვილო, გასპარ!..

### გამოსმლა მესამე

**სალომე** უზარნოვი (მარტო)

**სალომე.** (დაუცემა ფასცხი და მუსლიმი იშენს) უი, დამიღეს თვალები! უი, მომიკვდეს თავი! შვილი შვილათ გავაუბედურე და თანაც ქვეყნის პამპულა გავხდი! (თავის ძრევით) ახლა რამდონ დამცინებს ის სასიკვდილე ქეთევანა! (მუსლიმი

ჩაიცრავა) დახე, იშის გულისა არ გავხდი! დახე! „შეულებელის  
გამოშეღვარი ბოლოს ბევრს ინანებსო!“ დახე, მართლა  
არ ამიხდა იმ გასაწყვეტის ქადაგება!.. ჩემი შვილი ტყუი-  
ლად კი არ მაყვედრის! მე, მე გამოვტერ უდანოთ ჩემ  
შვილს ყელი! ქვეყნის პამპულათ მე გავხადე ჩემი შვილი!..  
ახია, რაც მომივიდეს! კიდევაც ცოტაა! ეს იმაზე, რომ  
კარგა არ ვიწვრილე და ვიკითხე, როცა იმ სასიკვდილეს  
ჩემ შვილს ვურიგებდი!.. (ფერმებს მაღლა აიშვარტს) ცეც-  
ხლი ჩაუვარდეს, ცაცხლი, იმ გასაწყვეტ ბარბარესა ჩემი  
ამ დღეში ჩავარდნისთვინ! ისიც მინახამს თავის შვი-  
ლებზე გაგლეჯილი!.. ისიც... (შემორმებს მისი შვილი ავ-  
ციძ ბივარცხუმოვიჩი).

### გამოსმენა მეოთხე

სალომე უზარნოვი და აფეტიქა

ავეტიქა. (სწრაფდე) გასპარა სად არის, სადა?

სალომე. (შემინღელი) რა იყო, შვილო რა?

ავეტიქა (მოთმინებიდგან გვამიდის) სად არის?.. მეჩქარება!.. მიშველოს  
რამე, თორებ სულ დაფილუპები, სულა!

სალომე. (წამოვარტება და შვილს მოჟრევა) გენაცვალოს დედა, რა  
არის? რა მოგცეიდა, შემატყობინე? (მეტე იძით) ვაი ჩემ თვა-  
ლებსა, თუ ამასაც ცოლმა უჩივლა!..

ავეტიქა. გასპარა სად არის? მეჩქარება, სად არის?

სალომე. დამშვიდდი, გენაცვალოს დედა შენა!

ავეტიქა. რა დროს ეგ არი, სად არი გასპარა?

სალომე. გასპარა, შვილო? ეს არი ეხლა აქ იყო და არ ვიცი, სად  
წავიდა!

ავეტიქა. (თავშე ხელს წაივლებს) ვაი წავხდი!

სალომე. (მივარტება) რა იყო, შვილო, რა იყო? თქვი, არ იტყვი, ნუ  
კი მტინჯამ და!

ავეტიქა. (აღმოფთებული) რაღა რა იყო, რაღა რა იყო! ციხეში  
მსვამენ და ის იყო!

სალომე (უმდიდრ დასცხე დაღუმა და სამინღლად დაწივლება) უი, დედა შენს  
დაულგეს თვალები!.. რაზე?..

აფეთიქა. იმაზე, იმაზე, რომ... დილას უწყება მივიღე და... სალომე. (მუსლიმ ჩაივარავს) მაშ შენც უკან გერომევა ცოლის ფულები? აფეთიქა. ნეტაი კი მარტო მაგით გადავრჩე და რაღა მინდა!.. სალომე. რას ამბობ, რასა!.. ციხეში რაღათა გსვამენ?..

აფეთიქა. რით ვერ მიხვდი, რომ ჩემს მაიმუნ ცოლს ჩემთვინ უჩივლია!.. წავიღე უწყება, ვაჩვენე იმასა და ვკითხე: ეს შენი უნარია-მეტეი? იმან მიპასუხა: ჩემიო!.. როგორცა თქვა, ჩემიო და, მე თვალებში სისხლი მომერია, მივგარდი და დავითრიე!.. როდემდინ ვცემე და ვათრიე, აღარ მახსომს: მახსომს მხოლოდ ისა, რომ იმან განგებ გული წაიყვანა, დაიყვირა... შემოცვიდნენ მეზობლები...  
სალომე. (სამინიად გადავლებს) გასკდეს დედამიწა და ჩამიტანოს თანა!.. მერე?.. მეზობლებმა დაგინახეს, რომ სცემდი?..

აფეთიქა. როგორ არ დაშინახეს!.. ის გასაწყვეტი იმათ გამაგდებინეს ხელიდან!

სალომე. (კრიკალით) და ეხლა შენ ციხეში გსვამენ!.. უი, რაღათ მინდა და თავი ცოცხალი!.. რაღათ!..

აფეთიქა. მეზობლებმა ჩემ სიმამრს შეატყობინეს და ახლა ის, ხომ იცი, უჩივრათ არ გაუშვებს!.. მეტალრე, როცა მოწმეებიცა ჰყავს!..

სალომე. შვილო, რათ მოქალ, ან შენი თავი რათ გააუბედურე!.. ჯანაბას, წაერთვა ის ოხერი ათასი თუმანი, მოწმეებთან რაღათა სცემდი?..

აფეთიქა. იქნება შენა გვონია, რომ მე ათასი თუმნის გულისთვინა ვცემე!.. მე ისე ის ათასი თუმანი არ მაღონებდა, როგორც ისა, რომ...  
სალომე. (სიცყვას აწყველინებს) რა, რა? კიდევ არის უბედურობა რამე?..

აფეთიქა. მე რომ ეხლა სანებში მდიდარი, ლამაზი ქალი მეძლეოდა, აბა რაღა თქმა უნდა, რომ ჩემი ცოლის ჩივილს ისინიც შეიტყობდნენ, ესე იგი გაიგებდნენ, რომ მე ცოლიანი კაცი ვარ!

სალომე. (მჩარებ) ახლა უფრო არ გაიგებენ!.. ახლა უფრო ქვეყნის პამპულა არ გავხდები! ეს რა მიყავ, შვილო? ან შენი თავი რათ გაიუბედურე, ან მე რათ მომაყენე ეს ცეცხლი?

**ავეტიქა.** უშენოთაც ვიცი, რომ ჩემი საქმე მე თვითონ უაწყალინებ  
უშენოთაც ვიცი, რომ ჩემი პრაქტიკა ეხლა სრულობით  
დავარდება! მეტადრე იმ გასაწყვეტ ჩემ ცოლს კაი წარ-  
ჩინებული მამა და ნათესავები ჰყავს! მე უფრო იმას  
ვწუხვარ, ჩემი ნაცნობები რომ მკითხავენ, რა ვუპასუხო?  
(პაცარასანს დადინრიგმა და მტრა) მოდი, იცი რას ვეტყვი?  
ჩემი ცოლი ცუდი ქცევისა იყო-მეთქი და!

**სალომე.** (უმარ გაცოდხლიმა) შენ ყველას პროსტათ ეს უთხარ:  
ცუდათ იქცეოდა, სხვა უყვარდა-თქო და!..

**ავეტიქა.** (ისევ დაღონება) არა, არა! ეგ უფრო ცუდია! მოწმეებს  
მოითხოვენ! აბა ტყუილი მოწმეები ეხლა სად ვიშოვნო?  
მეტადრე იმ გასაწყვეტზე არავინ დაიჯერებს! Одним  
словом, დავიღუბე! სამუდამოთ დავიღუბე!

**სალომე.** წადი, შეიღო, და, როგორც იყვეს, ისევ შეურიგდი!

**ავეტიქა.** (გაცემით) ეხლა? ეხლა, როდესაც ყველამ კიდეც შეიტყო!  
ეხლა, როდესაც იმის მშობლები და ნათესავები ჩემ სი-  
სხლსა სვამენ? შე გასპარას იმიტომ ვეძებდი...

**სალომე.** გასპარას თავის დარდი და ნალეღლი აწუხებს!

**ავეტიქა.** რა, იმასაც ხომ არ უჩივლა ცოლმა?

**სალომე.** მაშა ქა! მაშა!.. მე მაგას ვტიროდი და ვჩიოდი, ზედაც ე  
შენმა უბედურობამ მომატანა! (სელებს აიშვერს) ღმერთო!  
ისეთი რა შეგცოდე, რომ ეს უბედურება მომაყენე! მარ-  
ხვა ყოველთვის წმინდათ შემინახამს, უქმი დდე არა  
დროს არ გამიტეხნია, კაცი არ მომიკლამს და გამიცარ-  
ცვნია! რაზედ, რაზედ ეს უბედურება უბედურებაზედ? ეს  
ცეცხლი ცეცხლზედ! ვინ არი, შეიღომი ვიღაც მოდის!

**ავეტიქა.** (ფერმისდილი) სს!.. მგონი პრისტავია!

**სალომე.** (გიაზით) პრისტავიო? პრისტავიო? პრისტავს ჩემ სახლში  
რა უნდა, ქა! (შემოდის პრისტავი).

### გამოცვლა მიხუთა

იგინივე და პრისტავი

**სალომე.** (მიგარება პრისტავს) რა გნებავს? რა გესაქმება?

**პრისტავი.** (მდამლა თავს დაუკრავს) თქვენთან არაფერი! მე მხოლოდ  
თქვენ შვილ ავეტიქ მიკირტუმოვის დოკტორ უზრანოვ-  
თანა მაქვს ვაკონება საქმე!

**სალომე.** (გაცეცლება) ან ჩემ შვილთან რა გესაქმება, რა? უკრიცხული  
პრისტაფი. ეგ თვითონ იცის! (მეტი ავადიას) ავეტიქ მიკირტუმოვიჩ!

გთხოვთ გამომძიებელთან წამობრძანდეთ!

**სალომე.** (ფეხს დააცდაპუზებს) როგორ თუ გამომძიებელთან! გამო-  
მძიებელს ჩემ შვილთან რა ესაქმება?

**ავეტიქა.** (პრისცავს) მე კი წამოვალ, მაგრამ ძიენ მიკვირს თუ, გამო-  
მძიებელს რისივის დაუბარებივარ.

**პრისტაფი.** მაგას თვითონ გამომძიებელი მოგახსენებთ!

**ავეტიქა.** მაინც უნდა ვიკოდეთ თუ არა!

**სალომე.** თუ შენ რიგიანი კაცი ხარ, უნდა ერთი მითხრა თუ, გა-  
მომძიებელს ჩვენთან რა ესაქმება?

**პრისტაფი.** თუმცა თქვენი შვილი კიდეც გიამბობდათ, მაგრამ, რახან  
ეგრე გსურთ, მე გაგიმეორებთ! დღეს დიღლას, თქვენ  
შვილ ავეტიქ მიკირტუმოვიჩს იმნაირათ უცემნია თავი-  
სი მეულლე, რომ ის საცოდავი ეხლა უკანასკნელ დღეშია!

**სალომე.** სტყუის ის გასაწყვეტი, სტყუის!

**პრისტაფი.** მოითმინდეთ!

**ავეტიქა.** ის რომ ბუნებითვე ჭლექი იყვეს, ჩემი რა ბრალია!

**სალომე.** გათხოვებამდინაც ის ავადმყოფი იყო!

**პრისტაფი.** ეგ მე არ შემეხება! მე მხოლოთ იმას მოგახსენებთ, რაც  
დღეს მოწმეებმა და დოქტორებმა შეამოწმეს!

**ავეტიქა.** მე თვითონ დოქტორი ვარ და ვამბობ, რომ...

**სალომე.** ჩემი შვილი თვითონ დოხტურია!

**პრისტაფი.** (მასეარელი დამიღოთ) ალბათ თქვენმა შვილმა სხვა უნი-  
ვერსიტეტში შეისწავლა ექიმობა!..

**სალომე.** (გამრაბი) როგორ თუ სხვა უნივერსიტეტში შეისწავლაო!  
რუსეთში კურსი შენ დაასრულე თუ ამანა? მენდალი შენ  
მიიღე თუ ამანა?.. ამას გარდა, მე ერთი ინჯილერი შვი-  
ლიცა მყავს, იცი შენა?

**პრისტაფი.** თქვენი შვილები, თუ გინდა, მინისტრებიც იყვნენ, ჩემ-  
თვის სულ ერთია! მე მხოლოდ ჩემ ვალდებულებას ვა-  
სრულებ! (მეტი ავადიას სასცივად) ავეტიქ მიკირტუმოვიჩ!

გთხოვთ წამობრძანდეთ!..

**სალომე.** (გაცეცლები) ფეხებს აცდაპუზებს) შენ ვინა ხარ! რა პრავა  
გაქვს, რომ ჩემ შვილს უბძანებ?!



**ავეტიქა.** რადგანაც მე ჩემ თავს დამნაშავეთ არა ვსახამ, უშისხურს  
მე თქვენ თხოვნას ვერ ავასრულებ!

**პრისტავი.** (მოთმიწიძარ გამოდის) მე გთხოვთ, მინამ ძალაზედ არ  
მივარდნილა საქმე, თქვენი ნებით წამობრძანდეთ! და თუ  
ძალაზე მივარდება საქმე...

**ხალოშე.** როგორ თუ ძალაზე!.. მართლა ჩემი შეილი რა ავაზაკათ  
გახადე!.. გაიგე და შეიტყე, რომ ჩემი შეილი არაფერში  
სტყუის! თვითონ ამის ცოლია აშარიცა და ავაზაკიცა!

**პრისტავი.** უკახასკნელად მოგახსენებთ და გირჩევთ მე თქვენ...

**ავეტიქა.** კარგი, მე კი წაშოვალ, მაგრამ მაინც კიდევ ჩე ჩემ თავს  
დამნაშავეთ არა ვსახამ! (პრისტავი და აჭაფიძა გადაინ).

**ხალოშე.** (პირ-ღია და თვალებ-დაჭყალი დატჩაბ). პაციარა ხარს უკან  
გონიშაბლი მოვა, თავში წაიშა დაიშა (დირის). შეილო,  
ავეტიქან!.. გენაცვალოს დედა, შეილო, შენა!.. ამ დღე-  
საც მოვესწარ, რომ ციხეში შეილო მისვამენ!.. ავეტიქ,  
შეილო, ავეტიქ!.. (გარდაბნება კარგიშისავარ, კარგიში წაიძლენ  
და გული წაეჭა).

## ცული და ხარისხი

პომედია ვ მოქმედებად

მომქმედი პირი:

(აქვე მოხსენებულია, ვინც პირები და წარმოადგინეს ეს პირი).

თავ. დავით ლაშბაძე. 60 წლ.—აცვია: პირველ მოქმედებაში—ძველი,  
ფარჩის შავი ახალუხი, მაღალი შავი ჩექმები. მეორე და  
მესამე მოქმედებაში—ზამთრის ქართული კაბა, ბუხრის  
ქუდი (ი. იმერებშვილი).

კნ. ბაბალე ლაშბაძისა—50 წლ. ამისი მეუღლე—აცვია პირველ მო-  
ქმედ.—ლურჯი, ჩითის კაბა, თალხი სარტყელითა და  
თეთრი გულის პირით, ძველი ლექაქი. მესამე მოქმ. მი-  
ნაკისფერი შალის კაბა, შავი სარტყელითა და გულის-  
პირით, ახალი ლექაქი და აბრეშუმის თალხი ბალდათი.  
(აფხაზიშვილისა).

თავ. ლევან ლაშბაძე—მათი 20 წლის შვილი—ითავნი ვოльноо-  
пределяЮЩИЙСЯ—აცვია: პირველ მოქმ.: სალდათის მუნ-  
დირი, ჩექმები და ქუდი; მესამე მოქმ.: ფარჩის ახალუხი,  
ფერადი ჩოხა ქამარ-ხანჯალი, ხმალი და მასრები ვერ-  
ცხლში ჩასმული და ოქროში დაფერილი, გაბრიალებული  
ჩექმები, ბაბორიანი ზამთრის შინელი, მაღალი კალმუხის  
ქუდი (პ. შათარიძებილი).

თავ. ქოწია ლაშბაძე. 24 წლ. უსაქმო,—თავ. დავითის ძმისწული—  
აცვია: პირველ მოქმ.—ჭუჭყიანი ახალუხი და ძველი ჩო-  
ხა, უბრალო ხანჯალი ტყავის ქარქაშში, ძველი გაქუცუ-  
ლი ქუდი და აგრეთვე ჩექმები (უქუსლო). მესამე მოქმ.—  
თითქმის ისე, როგორც მის ბიძაშვილს თ. ლევანს (ს.  
სუამონიძე).

არცებ პეტრუშინი შარბათოვი.—58 წლ, მდიდარი მოიჯარადრე—  
აცვია: სერთუქი, გახამებული პერანგი, წვრილი გალს-  
ტუკი, შავი რუსული ქუდი. (პ. ანაშიძე)



**სოფიო.** 40 წლ.—ამისი შეუღლე. აცვია: პირველ მოქმ.—~~ჯერ მატერიალური~~  
„ბამბაზიის“ კაბა და აგრეთვე ჩაქებიანა „კურტკა“, ძვე-  
ლი ლეჩაქი, შერე, როცა თ. დავით ლამბაძე ეწვევათ—  
ახალი შალის კაბა, თავის „კურტკით“, ზემოდან მოქლე  
„პერელინკა“, ახალი, დაბასმული ლეჩაქი, ხელზე—  
პრტყელი, მძიმე ოქროს ბრასლეტები და ბეჭდები—(გ. გა-  
მუნა ცაფარლისა).

**შაშო.**—მათი 18 წლ. ლამაზი ქალი. აცვია: ევროპიული მოდის კა-  
ბა (ფასო აშანიძე).

**ბაგრატი**—46 წლ. ჩარჩი,—სოფიოს ძმა. აკვია: შავი, მოქლე ახალუ-  
ხი, წელზე—განიერი, მძიმე ვერცხლის ქამარი თქროში  
დაფერილი. გულზე—აგრეთვე საათის ძეწკვი. ახალუხზე  
აცვია—ლურჯი „ქაჭეტკა“. ზოლებიანი შავი შალვარი  
და რუსული ქუდი (ა. ადამიძე).

**ივანე მუშტაძე.** 52 წლ. სოფლელი ჩარჩი. აცვია: ნაცრისფერი ჩოხა,  
ჩითის ფერადი მოკლე ახალუხი, პრტყელი ტყავის ქამა-  
რი, განიერი გრძელი ხანჯალი, რგვალი, შავი ბატკნის  
ქუდი (გ. საფართვი).

**ტახია**—სოფლელი მოხუცებული დედაკაცი, თ. ლევან ლამბაძის გამ-  
ზრდელი—აცვია: თალხი ჩითის კაბა, ალაგ-ალაგ საკე-  
რებელ დადებული, აგრეთვე მოსახვევი თავზე. ფეხზე—  
წინდები და ფლოსტები. (ყლ. ჩურჭიშვილისა).

**გლეხ-ქაცები**—აცვიათ: ზოგს შავი ჩოხა, ზოგს თეთრი, თავზე—ასე-  
თივე, ძველი ქუდები ნაბდისა. ფეხზე—ჭრელი წინდები  
(გიასამიძე, ელ. ჯაჭანაშვილი. გ. სასტომული)

ბიჭი №. 1

შოქაული (პრისცევი) (გ. მძინართვი).

## მოქმედება პირზე

მოქმედება თავ. დავით ლამბაძის სახლში—სოფელში: სცენა  
 წარმოადგენს დიდს თაღიან ოთანს. შუა კედელთან სდგას გრძელი,  
 განიერი, ფარდაგ დაფენილი ტახტი, რომელზედაც აწყვია ორიოდე  
 გახუნებული ჩითგადაკრული მუთაქა. მარცხნა კედელთან სდგას მა-  
 გიდა, რომელზედაც აწყვია: ჩის ჭურჭელი, მწვანე, ჩინური ქილა,  
 ბოთლი და სხვა. მარჯვენა კედელთან სდგას დაბალი კამიოდი, რო-  
 მელზედაც არის: ლამფა, საჩქე, ხის პატარა ყუთი. შუა კედელზე,  
 ტახტის ზემოთ, გაკრულია დათვის ან მგლის ტყავი და ზედ გამ-  
 წკრივებულია: თოფი, ნმალი, ხანჯალი, დამბაჩა, მათრახი, აზარფე-  
 შა და სხვ. ხუთიოდე სკამი, ზოგი ხისა, ზოგიც ჩალისა; ორი კარი  
 და ორი ფანჯარა: მარცხნა კარები გადის—დერეფანში, მარჯვენა  
 —დანარჩენ ოთახებში. ფანჯრებს აქვს საეჭვო სისუფთავის ფარდე-  
 ბი, რომელიც წარმოადგენის დროს აეცილია. ტახტზე მოკეცილი  
 ზის თ. დავით ლამბაძე და ჩიბუხსა სწევს.

## გამოსვლა პირზე

თავ. დავით ლამბაძე.

**დაფი.** აი გილი! უბრალო სომხის ბიჭები, აი მიკიტნისა და ყასბის  
 შვილები, უნდა სწავლობდენ და ჩვენი შვილები კი ტყე-  
 ტყე დარბოდნენ ნადირივითა! (მჩარე) ჰმ! რატო ღმე-  
 რთი არ გაიცინებს!.. მაგრამ, ჩვენი შვილები აბა რას  
 ისწავლიან, როცა ქამარ-ხანჯლისთვის სული სცენა  
 როცა სულ მუშტზე იცქირებიან! ე...ეხ! ბევრი, ბევრი  
 მიაღწიონ ორ-სამ კლასამდინ, მერე ან გამოგიგდებენ, ან  
 ოვითონ გამოცეივიან შეოლიდან: „სწავლა ალარ გვინდა,  
 პომეშჩიკობა გვინდაო“! დასწუვლოთ ღმერთმა, რა ემა-  
 რთებათ!.. ეხლა, მაგალითად, ავილოთ ჩემი შვილი ლე-  
 განი: სად არ გინდა მყავდა სასწავლებლად,—ჩასტნი პა-



ნციონები იქით გადავდოთ,—რეალწიო, გემთაჭირშეთა, დფორიანცკი უჩილიშხაშიო, ჩემო ბატონო, საღავოიშიო... მაგრამ რო ვერსად გაიტანა თავი! ზოგან—უჩიტელებს ლანძლვა და გინება დაუწყო, ზოგან—მითხრეს: „ცულ-ლუტია, არა სწავლობსო“... მერე, რომ ალარა დამჩა-რა ავდექ და ვოენათ შევგზავნე! სამი წელიწადი „ვოლონოპრედელიაუშიია“ თუ რაღაც ჯანაბა, იმათ იყო და აგერ იქიდანაც პანლურამოკრული არ მობრძანდება! იწერება თუ: „იუნკრის ეგზამენი ვერ დარიტირეო!“ კაცო, თუ კი სხვები იქერენ, შენ რაღა ხარ? შენ რაღა იმათხე ნაკლები კაცის შვილი ხარ?

### გამოსტლა მეორე

#### დავითი და ბაბალე

**ბაბალე.** რა ვქნა, რად დაიგვიანა?.. ემანდ თვალები-კი არ დამიდგეს და ცხენი არ დაპფრთხოდოდეს!

**დავითი.** ახლა ცხენი?.. ალბად პოეზდმა დაიგვიანა-და...

**ბაბალე.** ხო მართლა, რა უნდა მეთქო... ლევანი რო მოვიდეს, ემანდ აურ-ზაურობა-კი არ დაუწყო?

**დავითი.** აურ-ზაურობა-კი არა, კარიგად გამოგილანდავ შენ ლევანსა და ისე გაუშვებ!

**ბაბალე.** რა ვქნა, კაცო, რამ გაგავიდა! რა-კი არ ისწავლა, იმიტომ სამი წლის უნახავი შვილიცუნდა მოჰკლა?

**დავითი.** სულაც რო არ დამენახოს, ის მირჩევნიან! ფულიდან გამაჩინაგა და მაინც კაცი ვერ გახდა! არა, რა იმედით იყო, რო არა სწავლობდა?

**ბაბალე.** თვალი სწავლასაც დაუდგება! ოლონც ჩემი ლევანი კარგადა მყავდეს, თორე, ის შშიერი არ მოკვდება! თივაღი-შვილია, ლამაზი ბიქია, ენაცვალოს იმას დედა, და ათას თუმნიანი ქალი არ დაცკვეთება!

**დავითი.** (ჩაიცინებს მჩარეთ) ჰმ! ათას თუმნიანი!.. ხო, მაგ იმედით იყავი-და! დრო წავიდა, ჩემო ბაბალე, როცა თავადობას მნიშვნელობა პქონდა რამე! ის დრო მოკვდა! „გამოიცვალა დროება,—ჩარხი უკულმა ტრიალებს!“ აი და-

მენაძლიე, ხვალ რო ერთ-ერთ ვაჭარს კაცი მიგუდანავნო, მიგუდანავნო  
ის შემომითვლის: „მე უსწავლელ თავადიშვილს ქალს არ  
მივცემო!“

**ბაბალე.** არ მოგვცემენ და ნუ მოგვცემენ! ე თავადის ქალები ხო ქვე-  
ყანაზე არ გაწყვეტილან!

**დავითი.** თავადებსაც, ვისაც-კი ცოტაოდენი შეძლება აქვს, შენ უ-  
წავლელ შეიღოს...

**ბაბალე.** (აწყვეტილებს) მართლა-და რა ხელზე დაგიხვევია ე ოხერი სწა-  
ვლა! ჩვენი შვილი ხო პარველი და უქანასკნელი არ არის!  
მაგალითად—აგრე შენი ძმისწული კოწია!

**დავითი.** ახლა იმათში რა კეთილს ვხედამ: მამულს აგირავებენ, ზიან  
და სჭამენ. მერე, როცა მამული ტორებით ეყიდებათ,  
ავაზაკობას იწყებენ და ბოლოს ციმბირით ათავებენ!

**ბაბალე.** ჩვენ შვილს ჯვარი ეწეროს ქა! კაცო, რა მოგჩვენებია, მარ-  
ცხენა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ დღესა!

**დავითი.** არა, ერთი მითხარ, თუ რა იმედით იყო შენი პატიოსანი  
შვილი ლევანი, რო სამსახურიდან გამოდიოდა? თუ პა-  
მეშიკობას იმედი ჰქონდა, ე მამული კი ალარსად არი-  
და! ე ტყე, შენც კარგად იცი და იმანაცა, რო დიდი  
ხანია ბანგში დაგირავებულია და სარგებლის შეტანის  
თავიც ალარა მაკვს! ე მეტი წილი მიწებიც არტემას და-  
რჩა თავის ვალში!

**ბაბალე.** მართლა, ხო მაგაზე მომაგონდა! იცი რა, დავით, მოდი და  
ე ჩვენ ლევანს არტემას ქალი გავურივოთ! არტემა მდი-  
დარი კაცია. ქალიც ლამაზი და ნასწავლი ჰყავს... მხო-  
ლოდ ეს არი უბედურობა, რომ დაბალთავანნი არიან!.

**დავითი.** დაბალთავანნი! შენ გინდა, რო ფულიცა ჰქონდეს და მა-  
ლობალთავანიც იყვეს? ეგ არ შეიძლება, ეგ იშვიათად შეგ-  
ხვდება!

**ბაბალე.** კარგი იქნება, არა, დავით, რო ლევანს გავურივოთ?

**დავითი.** პაი, პაი, რო კარგი იქნება! არტემა შეძლებული კაცია,  
თავის ქალს კაი მზითევს მისცემს, აქ ჩვენ მიწებს დავი-  
ბრუნებთ...

**ბაბალე.** არა, ეგ საქმე უთუოთ უნდა მოვახერხო! შენ ერთი ფული  
იშვიერ საღმე: ერთ ორ ხელ კაი ტანისამოსს შეუკერამ  
ჩემ ლევანს, ენაცვალოს იმას დედა, ჩავიყვან ამ ზამთარს  
ქალაქს და უთუოდ არტემას ქალზე დავნიშნამ!

დაფითი. „ლვინო არსად იყოვო და ეშმაკები ტიკებს ალბობდნენოდ“  
—შენ სწორეთ ეგრე მოგდის! ჯერ გაიგე, ახლა მოტეშებუ  
მოგართმებს თავის ქალსა?

**ბაბალე.** ვაი, ჩვენი ბრალიცა, რა დღეს მოვესწარით, რო უბრალო  
გაჭარმაც დაიწუნოს სასიძოთ თავადიშვილი!

დაფითი. რა ვქნა, ეგრე გახდა-და! „თურაშაულის პატრონი ტყეში  
დაეძებს კუნელსაო!“ ერთი დრო იყო, რო არტემისნაი-  
რები ყმათ გვადგნენ ჩვენა და ეხლა-კი იმათი სახვეწური  
საქმე გავვიხდა! (შემოღის ფასია).

ტახია. გლეხ-ქაცები გიახლნენ, ბატონო, ძეძვი ჩამოიტანეს...  
დაფითი. მოიცა, მოვალ! (გადას).

### გამოსვლა მესამე

ბაბალე და ტახია.

ტახია. რა ვქნა, კნეინა, ჩემი გაზღილი ჯერ არ მობრძანებულა?

ბაბალე. რას ამბობ, ტასი, ლამის გული ვარმით გამისკდეს!

ტახია. (ამოთხერთ) გაიპ, ჩვენი ბრალიცა! საბრალო დედის გული  
რა არი!

ბაბალე. კაცის გული ადვილათ იტყვის, ტასი! ექვს შეილში ეგ ერ-  
თად-ერთი-ღა შემრჩა და ეგვეც აგერ, თითქმის სამი წე-  
ლიწადია აღარ მინახავს!

ტახია. აი, ეხლა მობრძანდება და გაგახარებს!

ბაბალე. ერთი დროზედ მოვიდეს ი რაღაც წყეული მაშინაა! ერთი  
ჩქარა დავინახო ჩემი ლევანის ლამაზი თვალები!

ტახია. ენაცვალოს იმას გამდელი! აბა მე-კი არ მოველი სული-სულ-  
ზე იმი ნახეას! კნეინა, ჩემი გაზდილი, ამ სამ წელიწად-  
ში სუ გამოიცელებოდ-აი, წვერულვაშიც ამოუგიღოდა!

ბაბალე. ქა, როგორ არ გამოიცელებოდა! რა ვიცი, წიგნში კი სუ  
მწერდა: „რო იცოდე, დედა, ქართული ენა, თითქმის  
სრულებით დამავიწყდაო!“

ტახია. აბა, რასაკვირველია, რო დაავიწყდებოდა! ვინ იცის, ეხლა  
რუსულს სხაპა-სხუპით ლაპარაკობს!

ბაბალე. ვენაცვალე იშასა, ეხლა მოვა და მეც მასწავლის!

ტახია. რა დაგემართათ, კნეინა, რო აქამდი ვერ ისწავლეთ, ურაკული სული ენა? რა ვიცი, თითქმი პატივში თქვენა ბრძანდება! ბით-და! ე ჩვენისთანა საწყალმა ხალხმა რაღა უნდა ჰქნას! ბაბალე. ე ჩემი სამყოფიც-კი ვიცი და... (ფანჯარაში გდის ეგადა) მოვიდა, მოვიდა! ენაცვალოს იმას დედა! (გადის).

ტახია. (უქა-აჩვარებით უკან მისღვეს) აბა, საღა ბძანდება, საღა... (ვა-ტები ღია დატებით) ცოდა სანაც უკან ღრმულიდან მოისმის მა-ბაბალეს სმა: „შვილო, ლევან!.. შენ გებაცვალოს ღია, შვილო! ჩემთ დამცირებილო! ჩემთ“. ლევანის ხმა: „Постой, да по-стой-же, мама-ша“!...)

### გამოსვლა გოთხე

ბაბალე. თ. ლევანი, ტახია.

ტახია. (შეინ მოიტენს ღა ესვავა ლევანს) როგორა ბძანდები, შენი ჭირიმე?

ბაბალე. შვილო, ესაა ტასია, გახსოვს შენი გამზდელი?

ტახია. ქა, როგორ არ ეხსომება! პატარა რო იყო სუ ტიროდა ხო-ლმე „ტაციამ, ტაციამ ამიკანოს ქელციო, ტაციამა“!

ლევან. (ძელის ერთმანეთს არცყამს ღა „ჩენცეს“ უკავებს) ა...ა, очен приятно! ტასია, ტასია! მამაშენ რა სახელი იყო?

ბაბალე. (აღცაცებით შეიღს გადაფავა) უი, შენი ჭირიმე, შენი, რო ქა-როული ენა ლარც-კი გეხერხება!

ტახია. მამაჩემს რა ერქვა, გენაცვალე?—გოპტიმე ერქვა, შენი ჭირი წაიღო!

ლევან. (ძელის ერთმანეთს არცყამს) მაშ შენ—Настасья Гостимо-ვნა!

ბაბალე. რა გიჭირს ტასი, სახელი-კი გაგიპრტყელა-და!

ტახია. უი, შენ-კი გენაცვალე მაგ უუშუნა, მაგ მაყვალივით თვალებ-ში! კნეინა, ერთი უცქირე ამი გაბადრულ სახესა! თხუთ-მეტი დღის მთვარეს არ უგავ ე პირი! როგორ გასუქე-ბულა ქა, როგორ გალამაზებულა? წითელი ვაშლივით ჩახახი არ გაუდის!

ბაბალე. ემანდ ჩაჩუმდი, თვალი არა ჰქორა! (ძელის უცდების ღა სისა-რელის ღიამლით) სად არი გასუქებული, სად არი გალა-

მანებული! გონჯია, გონჯი, ენაცვალოს ამას დედა! (ძრ-  
დაქევება შვილს) ვეთაყვანე ქა, ბიჭისა, ბიჭისა ბიჭიკუშა! ეს  
რომ სხვა შვილია! მხოლოთ ამას იმითი გვაწყეინა, რო  
აფიცერი არ გამოვიდა!

**ლევან.** На к чоргу мне! — Зомбёშჩიკობა არ მირჩევნიან! (გაიღოს და  
გამოვლის სცენაჲ) Живи в свое удовольствие. Что  
хочешь, делай!

**ბაბალე.** უჩიგოთ ჩაგხატამდა, მე შენ გითხრა, აფიცერის მუნდირი!  
ჯერ ამაში რა გამოკლანდაშული ხარ!

**ლევან.** Правда мамаша, солдатский мундирчико ხო აღარ ვივლი!  
ჩერკესკა უნდა ვიყიდო!

**ბაბალე.** ჩერკესკასაც გიყადი, გენაცვალე, და ახალუხსაც! ჯერ აი,  
მაშაშენბა ფულები ისესხოს საღმე! ჩაგიყვან ამ ზამთარს  
ქალაქს და ისე მოგროთამ, რო ყველას თვალები რჩებოდეს  
შენზე!

**ლევან.** Ну-с, так-с! Мамаша! აქ ტანციობა არ არის?

**ბაბალე.** როგორ არა, გენაცვალე, ყოველ დღე ლხინია ხოლმე! იქ-  
ნება ლევანი დაგავიწყდა?

**ლევან.** Что лევანი! მე უფრო европейские ტანცები არ ვიცი?  
ლანსე, шакон, венгерка (ცვავანა) რა-პა-პა! ლალ  
ла-ла-ლა! (სკამის ღღებს და ცვავავრებს).

**ტახია.** თითქო „არა ისწავლა-რაო“ — ბატონი რო ბრძანებდა! ქა,  
ამაზე მეტი სწავლა რაღა უნდა: დიალ ერთმა და ორმაც  
არ იცის ამისთანა რუსული და ტანციობა!

**ბაბალე.** ბატონმა რაც არ ილანძლოს, ის არი გასაცვირველი!

**ლევან.** Мамаша, აქ ლამაზი „ბარიშნები“ მнogo?

**ბაბალე.** (ესვება შვილს) უი, შენი ჭირიმე! არშიყობაც იცი, გენა-  
ცვალე?

**ტახია.** რა დაუშლის: მე შენ გითხრა, თვალი აკლია თუ ტანი!  
კნეინა, აბა ამი ქორწილში-კი არ გვექნება ამბავი! ასეთ  
ლევან კი დაუვლი შენ ქორწილში, თავ შემოგევლოს  
შენი ტასია, რო! ერთ კაბას ხო შემიკერამ?

**ბაბალე.** შენ პირ შაქარი ტასი, ოლოხდ ამის ქორწილს-კი მომას-  
წროს ღმერთმა და კაბასაც შეგიკერამ და ორსაცა! სუ  
თაგათ-ფეხამდის შეგმოსამ!

ტახია. ასეთი ლავაშები გამოვაცხო ამი ქორწილში, რო სანახავას შეუძლია და ლირდეს!

ბაბალე. ქა, მართლა, სუ დამავიწყდა, რო ნამგზავრია და ჟური ეშიება! (დაჯაცურება) აბა, ტასია, გაიქე ჩქარა, დედალი შემოიტანე, გარიებიც გააცხელე, ერბო-კვერცხი შესწვი...

ტახია. ეხლავე, ეხლავე! ასეთი სუფრა გაუშალო, რო თვალით გაძლეს! (ფეხებიდარებული გადის).

ბაბალე. ერბო-კვერცხი ხო გიყვარს, შვილო? ლევან. იხილო!

ბაბალე. ასეთი ფაფასეებ ლვინო დაგალენო, რო... მერე, ახალი ნახადიც არი! კი არ გაწყინოს, გენაცვალე!

ლევან. მაწყინოს რა, ქალი ხო არა ვარ! (სხრავს წინ უღვამებას) რევანის და თბას ივარცების) Чертовски загорел. Ничего для местных крестьянок и этого много! Эх какуюнибудь этакую красотку подцепить! Потом другую, третью и т. д. Ей-Богу, хорошо жить в деревне! Все к твоим услугам!

(ფახიას შემთანებელი მოსარმელი ღერძლი, პური, ვარია, ლვინო და სხ.).

ტახია. აბა, დაბძანდი და გულიანათ შეექეცი.

ლევან. (დაჯდება მიგიდასთან, გულაანათ ღაიწყებს ჭამდა და თან ღვინის სმას) უხ, როგორ ვარია, დედალი, იაჩინუ!

ბაბალე. ჭამე, ჭამე, გენაცვალოს დედა! უი მე და ვაგლახ, როგორ მოჰშივნია ჟური!

ტახია. დაღალულია, გენაცვა და მა რა იქნება!

ლევან. უხ, დედა! რა მიხარიან, რო ჩემ სახლში მოველი! ეხლა რომ დენსაც მინდა ვჭამ, ვსვამ, დავიძინებ! რა და რა მოგონი მოჰშივნია ჟური!

ბაბალე. ლოგინ დაგიგებ და ისე გამოგზუშამ რო...

ლევან. იცი დედა, რა უბედურობაა ეს ვოენი სამსახური: ერთი მინუტი მოსვენება არა ვგაჭეს!

ბაბალე. უი, მოუკვდეს დედაშენს თავი, რო თავის აზიზ-მაზიზი შვილი ევრე ეჩაგრებოდა!

ტახია. თქვე დალოცვილო, მართლა მეტი-მეტი ახირებული სწავლაც როდი ვარგა!

ლევან. ყველა შენი მბძანებელია, — უკანასკნელი ფელძფებელი-ც კი!



**ბაბალე.** აი, დააფეთოს მამა-ზეციერშია, ი გილაც დამფეხუბულია! (ფასიას) ერთი გაიქე, ტასი, და დავითს შეატყობინე ლე-ვანის მოსვლა! რა ვქნა, რა იქნა ი კაცი? **ტასია.** ბატონი წელან გლეხ-კაცებს მიუძლოდა ვენახებისკენ; აბა გავიხედო! (გადის).

### გამოსვლა მესუთი

შემოდიან დავით, ბაბალე, ლევან. შერე გლეხ-კაცები.

**დაგით.** (შვილს) ოხ, ცეტო, მოსულხარ! რა ქენ შვილო, დაასრულე? **ლევან.** (ჩამოსცემა, ძეგლებს ურთმანებას შემოჰკრავს ღა „ჩეც“ უკითებს) Здравья желаю, батюшка!

**ბაბალე.** ერთი დაინახე, დავით, როგორ გალამაზებულა-და!

**დაგით.** შენ ეს მითხარ, ჭკუა მოქმატებია? „ისევ ჩემო კარალულო ჩალაო“! — არ გინდოდა კეთილი, შვილო, და...

**ბაბალე.** (გააჩვიცინებს) კარგი ერთი, დავით-და! რა დროს ეგენია, ხედამ ბავშვი დაღლილია!

**ლევან.** Не сердись, папаша! таким хозяином и помещиком буду, что мое почтение!

**ბაბალე.** (აღდეცებით) უი, შენ კი გენაცვალე მაგ რუსულში!

**დაგით.** აი გამიწყრეს შენი ხაზეინობაც და პამეჩიკობაც! ჯერ ვგრე იძახით, შვილო, და მერე-კი, პომეჩიკობის მაგივრათ, ქალაქის ბულვარსა სთელამთ ხოლმე! არა, შვილო, მეტი საზღვარი არ არი: უნდა ზედ სიძეთ შეგგზავნო ვის-თანმე! (შემძიან გლეხვაცები).

**გლეხ-კაცები.** ბატონიშვილი ადლეგრძელი ღმერთმა!

**ბაბალე.** (ოუზანს) ესენი, შვილო, ჩვენი ნაყმები არიან.

**ლევან.** (გლეხვაცების) Здорово ребята!

**დაგით.** (შვილს) ეიჲ, დაუშტგინე! მწყერები კი ნუ ააფრინე!

**ბაბალე.** (გლეხვაცების) ქართული ხუ დავიწყებია და რუსულათ მოგესალმათ!

**გლეხ-კაცები.** (ლევანს) გმადლობთ, შენი ჭირიმე! (ღავითს) მოგვილო-ცამს ბატონო „პოლპონიკი“ შვილის მობძანება!

**დაგით.** „პოლპონიკი“, თქვენ ნუ მომიკვდებით, ერთი ჩინი-ლა უკლია პოლკოვნიკობასა?

- 1—გლეხკაცი. (მაგიდაში კალათაბა სევაში) სუ ახალდადებულში ქვერტლი  
ცხები გახლავს!
- 2—გლეხკაცი. (ძაღლს სევაში) ესა, შენი ჭი..იმე, მაწონი გახლამს  
—წუხელი ჩემმა დედაკაცმა შეადედა...
- 3—გლეხკაცი. (ძაღლს უშვებს) ეს დედალი, შენი ჭიიმე, ე პატარა  
ქნიაზ დაუქალით!
- ბაბალე. მოიცა... ტასი! ტასი! (შემოვის ფასი) ეს დედალი საქათმე-  
ში შეამწყვდი.
- ტასია. (ძაღლს გამოატომეს). უხ, შენ გენაცვა, რა სუქანი დედალია!  
ცარიელი ქონია, რაღა! ამას რაღა ერბო უნდა! (გადის).  
დავით. (გლეხკაცებს) მოდით, პატარა არაყი გადაგაკვრევინოთ. (გამო-  
იღებს სადღინებს და სამ-სამ ჭიდა არაყი ალექინებს გლეხკაცებს).
- გლეხკაცები. (ჭიდა სელში ილოცებიან) ღმერმთა გაცოცხლოთ, ღმე-  
რთმა ე პატარა ქნიაზის ცოლ-შვილს დაგასწროთ! ააშე-  
ნოს ეს ოჯახი და სიხარული ნუ მოაკლოს!.. (გადაპურაფანი)  
ლევან. (ერთერთ გლეხკაცს მაჯაში სწავლი) ღონიერი ხარ? თქ სილ-  
ჩებ?
- გლეხკაცი. ღონიერი და აგრე, შენი ჭირიმე: ყველიერში ისე ჩა-  
გვინტვრევს ხოლმე გვერდებსა რო... (იცინან).
- ლევან. აბა, მაშ ვნახოთ, აბა მეტიდავე!
- დავით. (შეიღს) ეიძ! აქ მუშტი-კრივს კი ნუ მოჰყები!
- ლევან. უთხარი, დედა, მეტიდავოს.—მინდა ვნახო, ღონიერია თუ  
არა?
- ბაბალე. დაანებე გენაცვა თავი! აბა ე მაგ ტურტლიანი ბიჭისა რა  
ტოლი ხარ! რა თავდაბალია, ენაცვალოს ამას დედა!
- გლეხკაცი. სიმდაბლისთვის სიმაღლე მისცეს ღმერთმა!
- დავით. (გლეხკაცებს) იგანე მუშტაძე აქ არი?
- გლეხკაცი. აი, ჯანგრძას იყვეს ისა, ი რო კაცია! იმაზე თარსი ჯერ  
არ დაბადებულა!
- დავით. რა კიდევ ხო...
- გლეხკაცი. რასა ბძანებთ, შენი ჭიიმე, ტყავი გაგვაძრო რაღა, ტყა-  
ვი! როგორც მოგეხსენებათ გლეხკაცის ამბავი: ფოპტის  
ფული გვიჭირდა, ჩაფარი კარზე გვადგა: ჩვენც წამოვე-  
დით და ი მუშტაძეს მიემართეთ; მაგანაც ფეხი დაგვა-  
ჭირა და მანათზე კოდი პური მოგვაწერა, სამ მანათზე—

კოქა ტქბილი! ამისთანა უღმერთობა გინახმილა საცხოვე  
შენი ჭიიმე!

დაგით. ვიცი რაც კაცია! უულისთვინ სულს გაჰყიდის!

გლეხკაცები. ყველას ჯანი გავარდეს! ნეტა დაგვაცალოს მაინც, სა-  
ნამ სულს მოგიბრუნებდეთ! წრეულ, როგორც მოგეხსე-  
ნებათ, ვერაფერი მოსავალი იყო, საჭმელი ჭინახულიც  
არ მოგვივიდა და ეგ უღმერთო კი სულთამხუთავივით  
თავს დაგვადგა: „მე ჩემი უნდა წავილო, —თქვენ მოსა-  
ვალ რას ვიკითხამო!“ აა.. ან დედამიწა როგორ ითმენს  
მაგისთანა კაცსა! (შემთხვევაში თავ კონია ლამშაბა).

დაგით. (გლეხკაცებს) ერთი თუ ძმა ხართ, წამოდით აი, ძეძვის ჩა-  
ტანა უშველეთ ჩემ ბიჭებს!

გლეხკაცები. (შაბალები და ლყვანები თავს უკრთხავ) მშვიდობითა ბრძან-  
დებოდეთ!

### გამოსცლა მიერთე

ბაბალე, ლევან და კოშია.

ბაბალე. აა კოშია, ბიძაშვილი მოგივიდა, კოშია!

ლევან. A...a კოცა, კняჲა კოცა! Вашему сиятельству наше вам  
почтение!

კოშია. აა ლევან, კნიაზ ლევან! Ваше „сиятельство“ როგორა ბძან-  
დები?

ბაბალე. აბა, კოშია, შენ იცი და შენმა ბიძაშვილმა! აბა, ქეიფი  
გასწიეთ, ბურნუთი მოსწიეთ!

კოშია. აბა ძალო, ლევანის „ჩესტში“ ერთი სამკოკიანი მოშველიპე  
რალა! ერთი ჭერში ჭუდი ვკრათ, კნიაზურათ, ქართვე-  
ლურათ, მამა-პაპურათ!

ლევან. Кутим братец, кутим!

ბაბალე. ასეთი სადილი მოგინზადოთ, რო თითები დაიკვნიტოთ!  
თქვენ სანამ აქ იჭუკმუკეთ! (გადია).

კოშია. რა, კიდეც გიზაკუსკნია?

ლევან. Ну-ка, კოცა ვამყომე! კняჲა, ვა ვაშე ვარებე!

კოშია. კნიაზ ლევან, „ვა ვაშე ვარებე“ ძლივს, ბიჭო, ისევ  
ერთად არა ვართ! შენ ეს მითხარ, როდემდინა ხარ და-  
თხოვნილი?



**ლევან.** Какой „ღათხოვნილი“! — Я сам вышел в отставку!  
კოშია. Зербციათ რამდონი დაგინიშნეს, კნიაზო?.. აი შე მასხარეს გამოგაგდეს განა?

**ლევან.** ჰმ! „გამომაგდეს!“ Ах ты дурак!

კოშია. Сам ты дурак! რა ძიებ იტყიცე, პირველი „ნუმრა“ ხომ არ არი! მე და შენ არ იყო რო... (ივინის) გახსომს, ლევან, ერთხელ გემნაზიაში რა დიდი სკანდალი მოვახდინეთ?

**ლევან.** Как не помни! ლათინურის უჩიტელმა რო ედინიცა და-  
გვისვა და...

კოშია. მერე, მე, შენა და ილიკო ლაკონიძემ, რო ერთ ალაგას ჩა-  
ვიგდეთ ის უჩიტელი და დღე ვაუმწარეთ!.. ხა, ხა, ხა!

**ლევან.** ხა, ხა, ხა!.. როგორ ტიოდა გახსომს: „У меня жена, у  
меня дети,—постите пожалуйста!“ Эх, как весело бы-  
ло тогда, чорт возьми!

კოშია. ეხლაც, ხო იქ პოლკში არავისა სცემე?

**ლევანი.** ერთს ასეთი მივარტყო, რო თავის დღეში არ დაავიწყდება!

კოშია. კარგი გიქნია, რო გამოსულხარ!

**ლევან.** Неправда Коциა?

კოშია. „Канешна“ правда!

**ლევან.** (ნიკა თითე ამოკვრაჲ კოშიას) Эй, ты, свинтус! — Как по-  
хорошел!

კოშია. შენ რალა გიჭირს, შენც ლამაზი ხარ!

**ლევან.** Слушай Коциа: წვერ რატო არ იპარსამ, (თავის წვერბე უ-  
კარგებს) Тепер „буланже“ страшно в моде!

კოშია. აქაურ გოგოებს ესეკ მოვეწონები! აი როცა ქალაქში ვარ,  
ტოლდა...

**ლევან.** ხშირათ მიდიხარ ხოლმე ქალაქს?

კოშია. ყოველ ზამთარს! ზაფხულში კი იქი ვარ.

**ლევან.** Слушай, Коциа, в Тифлисе хорошо проводят время?

კოშია. Еще как! თორნდ ფული იყვეს თორე, გაგიხარიან...

**ლევან.** აი მამაქემი ფულს ისესხამს და მახнем туда!

კოშია. (გაცდესლება) უხ, ლევან, სიცოცხლეც ქალაქშია და სიკვდი-  
ლიცა! „ტილიპუტურასთან“, ან „პურლვინში“ სადილი,  
ბალებში ქეთევი აკტრიცებთან ..

**ლეგან.** Постой, Коциа! ჯერ დავაწყოთ, რა და რა ვიყოდოზუდმი  
ფულებით: сперва, უნდა შევიკერო ერთი ხუთი სული სული,  
სხვადასხვაური ჩერქესკა და ახალუხი...

**კოწია.** „Канешна“ უნდა შეიკერო!

**ლეგან.** Знаешь как: белый, шелковый архалух...

**კოწია.** Да Шავი ჩერქესკა! ეგერები, ძმაო, მე მკითხე! ფული იყვეს  
ოთორე, გაგიხარიან ჩაცმა-დახურვაში არავინ მაჯობებს!

**ლეგან.** Да, потом ერთი ორი ლაკიროვანი ჩექმები, ქამარ-ხანჯალი  
с серебряной наручкой, орни შინელი: ერთი ზამთრისა,  
бобровый, да ერთიც ზაფხულისა...

**კოწია.** კარგი-და, მაგას ხო თრასი თუმანიც არ ეყოფა...

**ლეგან.** თუ არ ეყოფა, მამულს ვერ დავაგირავებ! Знаешь, Коциа,  
ჩვენი „იმენია“ რო დვორიანსკი ბანქში დავაგირავო,  
რამდენ ფულ გამოვიტან?

**კოწია.** რალა „იმენია“ გაქვთ ძმაო: ე ტყე ხო კიდეც დაგირავე-  
ბულია, ე მეტი წილი მიწებიც ი არტემს დარჩა თავის  
გალში, ე...

**ლეგან.** ვინ არტემა?

**კოწია.** მაშ, როგორც გიტყობა, შენ ჯერ არაფერი იცი! — ამას ჭი-  
ნაზე რო მამაშენმა ი სომხისაგან ფული ისესხა, გახსომს?

**ლეგან.** მერე?

**კოწია.** იმასაც ის უნდოდა! სარგებელი სარგებელშე იანგარიშა და...

**ლეგან.** (მუშავი ძრევით) Ah, он проклятый! ერთი საღმე ჩამივარდეს  
ხელში! — Я ему задам!

**კოწია.** მამაშენი არ იყვეს! — რამდენჯერ დავაპირე იმი ცემა, მაგრამ  
ეხ! მაინც კი სამჯერ-ოთხჯერ ღალები მოვტაცე! იმან კი  
არაფერი დაჰკეარგა ნუ გეშინიან, — სუ გლეხეცებისაგან  
აინაზღაურა!.. ისე რო ეხლა თქვენ ვენახების მეტი და  
ერთი ოცი დღის მიწისა, აღარაფერი გაქვთ!

**ლეგან.** Ну все равно, магас დავაგირავებ და ჩავალ ქალაქში!

**კოწია.** აბა ლეგან, შენ იცი და შენმა კაცობამა, ბანქიდან რო ფუ-  
ლი გამოიტანო მე კი არ დამივიწყო! მეც გამოვადგები:  
საქეიფო აღაგებს გასწავლი.

**ლეგან.** А ты? მერე შენ კი აღარ დავაგირავებ! На что тебе, дурак  
имение, заложи и живи по княжески!

კოშია. რა შავი ქვა უნდა დავაგირავო? რაც იყო და არ მამაჩემმა მიაგირ-მოაკირავა!

ლევან. Ну, что ты говоришь! Мेरк შენ კი არა დაგინარჩუნა-რა?

კოშია. ეგა თქვი-და! Мერე მე-კი ცხოვრება არ მინდოდა?

ლევან. Конечно гибрид! Ничего, купца же да вагонеров, повезу тебя в город и так будем шиковать что! Все на шинах будем ездить! Слушай, Коця, в Тифлисе много хорошенеких барышень или женщин?

კოშია. Ух, еще как! ასეთი დართული სომხის ქალები...

ლევან. Ну их к чорту!

კოშია. ხო, დიალ! ახლა ზოგი იმათი პატრიონების ჯიბეებიც ნახე!

ჩემ და შენ გახრიკნილ ჯიბეებს კი არა ჰგავს!

ლევან. შენ გვონია, რო სომხების მეტს აღარავისა აქვს ფული? აბა ახლა წადი რუსეთში და ნახე რა მდიდრები არიან!

კოშია. მდიდრები ყველგან არიან, მე იმას ვამბობ რაც ახლოა!

ლევან. რა ახლო! იცი, შე დურაკო, რუსეთში რა ძვირია კნიაზობა! ეხლა მე და შენ რო იქ ვიყვეთ, კაი 200 თა-საც ავიღებთ! Нет, იქ ძიებ ძვირია კნიაზობა!

### გამოსვლა მეზვიდა

იგინივე და დავითი.

დავით. (შვილი) იქაც გაიეფებულა, შვილო! ეგ ერთი კნიაზობის მეტი ხო აღარა შეგრჩენიათ!.. ერთი მითხარით, თუ რის მანქანები ხართ?—ორთავე უსწავლელები და...

კოშია. უსწავლელები რათ ვიქნებით, ბიძა ჩემო! ჩვენ ჩვენი სამყოფი სწავლა გვაქვს! რაკი „დეპლომი“ არა გვაქვს, იმიტომა ვართ უსწავლელები?

დავით. რად გინდათ, შვილო, „დეპლომი“! თქვენი „დეპლომი“ ქამარ-ხანჯალია!

ლევან ~~X~~ ჩვენ კნიაზობაც გვეყოფა,—სწავლა რად გვინდა! ვინც გლეხის შვილია—იმან ისწავლოს! ~~X~~ Неправда Коця?

დავით ~~X~~ ცარიელი კნიაზობა, გინდ შესვით, გინდ შეჭამეთ, ვერას გიშველით! ~~X~~ ათასათ გვარი დაფასდა, ათი ათასათ ზდილობა, თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვი-



ლობა! ლმერთმა აცხონოს ამის დამშერი! ჰქვიანი მარტო  
იყო, მაგრამ თქვენისთანა სულელები კი ვერ გაშოლია  
ქვეყანაზე!

ლევან. Что ты, правда, ругаешься! (გადაან კოჩია და ლევანი).

### გამოსმლა მერჩი

დავით და ივანე მუშტაძე.

ივანე. კნიაზ დავითს გაუმარჯოს!

დავით. ო, ო, ივანე, ივანე, ქალაქს დაიგვიანე! კაი ღროს მოხვედი,  
შენთან ერთი საქმე მაქვს.

ივანე. რა საქმე? (იძით) შენი რისხევა არა მაქვს, ამას ფულები ენ-  
დომება! (სიჩუმე).

დავით. ფულები უნდა მასესხო.

ივანე. სადღა მაქვს, კნიაზო, ფულები!

დავით. შენც თუ არა გაქვს, მაშ ვიღასა აქვს?

ივანე. ერთი ოციოდ თუმანი მჯონდა, ისიც იმ დღეს ი გლეხკაცებმა  
დამტყუეს!

დავით. (იძით) რა სათოკეა! — „დამტყუესო“! (იჯანე) კარგი და, მი-  
კირს: ბანკშიაც წარსადგენი მაქვს, შვილიც მომივიდა —  
ტანისამოსი არა აქვს!

ივანე. კაპიერი არა მაქვს, კნიაზჯან და რა ვენა!

დავით. თუ დაწვისა გეშინიან, მაგაზე არხეინათ იყავი; აი ჩემ ვენახს  
გირაოთ მოგცემ!

ივანე. (იძით) კაი ვენაზია აი! (დავითს) მე-კი არა მაქვს და, თუ  
სხვაგან გისესხებ სადმე, მაგისი არ ვიცი! რამდონი  
გნებავო?

დავით. ერთი ორმოცი თუმანი...

ივანე. ორმოც თუმინათ სულ არ ვიყიდი ი ვენახსა!

დავით. მამა გიცხონდება, მოგართმევ კია ორმოც თუმინათა. ფული  
მეჩქეარება, საქმის გაჯანჯლა არ მინდა, თორე ბანკში რო  
დავაგირავო კაი ას თუმანსაც ავიღებ!

ივანე. ლიალ, ბანკი ეგრე უბრალოთ არ აპნევს ფულებსა! მერე ვე-  
ნახები სუ უკან და უკან იშევა!

დავით. რაც უნდა უკან დაიწიოს, ერთი დღის ვენახი მომტკიც  
თუმნის სარგებელს ველარ გადიხდის? ხუთი შეუძლებელია  
აღარა მოვა რა?

ივანე. დიალ, ერთბაშათ კი არ იშოვო ორ შაურობაზე „ჩასტინათ“  
ფული!

დავით. კაცო, შენც სომეხი მომიხველ! არა გცხვენიან, ქართველი  
კაცი და მაგებესა სჩალი?

ივანე. სომხების მეტს აღარავისა აქვს ჭკუა? უთუოთ კაცი სომეხი  
უნდა იყვეს, რო ფულის მოგების შნო ჰქონდეს! იმტელი  
დღევარებელობა მე და ჩემ შვილებს, რამდენი სომეხის-  
თვინაც მე მომეგოს ჭკუა! (იძით) იმდენი ივანე მუშტა-  
ძეს სიყმემ იხარის, რამდენი სომეხისთვინაც იმას ათ  
შაურათ ფული ესესხებინოს!

დავით ~~ჩ~~ ჩვენ სომხებ ვიძახით და ქართველები კი უარესსა სჩალიან!  
მერე კარგი გიქნია?

ივანე. რას ამბობ, ქნიაზ, რა დროს კარგი და ავის გარჩევაა,  
დედა შვილს ვერ იცნობს! ეხლა ცხოვრება გაჭირდა! ეხ-  
ლა ქართველი კაციც დაჭკუიანდა! ეხლა ყველამ ისწავლა  
ჭკუა! ~~X~~

დავით. მე შენ გითხრა, დიდი ჭკუა უნდა ძმის გაყვლეფასა! იმიტომ  
„ფილოსოფონი“ ბრძანდები, რომ გლეხკაცებს სამ პირ  
ტყავის აძრობ და მანათზე მანათს ართმევ?

ივანე. მაშ, შენისთანა კაცსაც ათი შაური გამოვართვა და გლეხ-  
კაცებსაცა? ორთავეს ერთნაირი ხათრი უნდა გაგიწიოთ?  
თქვენში განსხვავება არ არი?

დავით. კაცო, „ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეპხედამსო“!  
არა ~~ჩ~~ ჩენში ღმერთი, რჯული, ხატი არ არი? ნათელ-მირონი  
არ გაცია? თუ ამ ქვეყნათ არ გეშინიან, იმ ქვეყნათ მაინც  
სულისთვინ აღარასა ზრუნამ? წაწყმენდისა არ გეშინიან? ~~X~~

ივანე. ჩემზე ხშირათ ერთი კაცი კი დადის წირვა-ლოცვაზე? სხვები  
სთვრებიან, მე ღმერთს თაყვანია ვცემ! რამდენიც საყ-  
დარში შევდივარ, ორი და სამი შაურისა რო კელეპ-  
ტარი არ მივართვა ხატებსა, ვენაცვალე იმათ მაღლსა  
და სახელსა, არ შემიძლიან!

დაფით. ხო, ეგ ბევრს გიშველის! — კარგი და რამდონ მომცემი იმ ფე-  
ნახში? დაიგირაებ თუ არა?

ივანე. ჯერ კიდევ ვიფიქროთ ქნიაზო!.. ვნახოთ, სარფას მომცემს  
თუ არა! მე ხო ისეთ საქმეს ვერ დავიჭერ, რო ხელი  
დამეწვას!.. ერთი ი თივა მიჩვენე!.. (აძიო) მე ამას კაი  
„შტუკას“ ვუზამ! თუ ის ორას თუმნიანი ვენახი ოხრათ  
არ ჩავიგდე ხელში, მაშ კაცი არ ვიქნები! (გადაან).

(ფარდა)

## მოძღვანელი მეორე

მეორე მოქმედება (ექვსი თვის შემდეგ) სწარმოებს არტემა შარბა-  
 თოვის სასტუმრო ოთახში: იატაკი დაფენილია ხალიჩით, შუა კე-  
 დელთან სდგას დივანი, დრონის ჭინ სდგას რგვალი მაგიდა, რომელზე-  
 დაც გადაფარებულია ჭრელი ხავერდის სუფრა. მაგიდის გარშემო  
 სდგას რამდენიმე სავარძელი. დივნის ზემოთ ჰყიდია სარკე. ორიოდე  
 ჩალის სკამი და რამდენიმე სურათი კედლებზე. სცენას აქვს ორი კა-  
 რი და ორი ფანჯარა. მარჯვენა კარები გადის დანარჩენ ოთახებში,  
 შარტხენა — დერეფანში, ფანჯრებს აქვს გრძელი ფარდები (ზანავესკები).  
 სცენაზე არიან: არტემა შარბათოვი და მისი ცოლის-ძმა ბაგრატი.

### გამოსვლა პირველი

არტემა და ბაგრატა.

**არტემა.** *ჯებლა* მოგება, ჩემო ბაგრატი, ისევ აღებმიცემობაშია: თუ  
 გინდა, რო ერთი-ორი გროში იშოვო, იეფათ იყიდე და  
 ძვირად გაჰყიდე. ნახევარ ფასათ ჭინახული დაიკვეთე  
 თავადებისგან... *ჯ*

**ბაგრატა.** მერე წრეულ რა მაზანდაა ჭინახულისა-და! უხ, უხ, უხ!  
 ნულარას მეტყვი რალა!

**არტემა.** შენ პარ შაქარი! სამოცი ვაგონი ქერი და პური ჯერ ისევ  
 გასაყიდი მაქეს!

**ბაგრატა.** მე კი ძან თავი ქვას ვახალე, მე და ჩემშა ღმერთმა, რო  
 ისე ადრე გავყიდე! ერთი ორი კვირა რო კიდევ დამე-  
 ცადა, ტყუილათ იმ ოც თუმან არ დავკარგამდი! კაცო,  
 რა მომავონებდა, თუ ესე ძიებ აიწევდა ფასში ჭინახული!

**არტემა.** მერე რა დაკარგე: ის ფული ხო ისევ გაეც, სულ ესე-  
 რავნო არ არის?

**ბაგრატა.** რათა, კაცო, ვსერავნო რათ იქნება? შენ ოც თუმან რო-  
 გორ ეხუმრები: ოცი თუმანი კი არ არი რაზნიცა, კა  
 ცუდა-ათი თუმანია! აბა, გამოიანგარიშე, თუ არა?



**არტემი.** ხო, ოვის საჩვებლით, წლის თავზე ეგრე ისამტკიცებული თავნიდან ხო არ დაგიყარგამსრა. ეს, ჩემთ ბაგრატი, მა როგორ იქნება: ვაჭარი კაცი ხან მეტ მოიგებს, ხან ნაკლებსა!

**ბაგრატი.** არა, კაცი, მე ჩემ სისულელესა ვჩივი-და! რა მენაღვლე-ბოდა, ერთი ორი კვირა კიდევ დამეცადა!

**არტემი.** ეხლა, შე მამაცხონებულო, რა ვიცით თუ ერთ ორ კვირის შემდეგ რა მოხდება? იქნებ სულაც დაიწიოს ფასში! შენ ეხლა, ერთბაშათ ასეთი ბედი მოგაწვა რო...

**ბაგრატი.** (აწყვეტილებს) რა ბედი?

**არტემი.** ბიჭის! „რა ბედიო“! მაშ ეგ ბედი არ არი, რო ოთხას თუმანში ათასხუთას თუმნიანი მამულები ჩაიგდეს!

**ბაგრატი.** ხო, იმაზე ამბობ, რო ეხლა ი თავადიშვილის მამულები დავინარჩუნე ტორგიდან? მერე, ასი თუმანიც რომ მოცილავეებს დავურიგე ის არაფერია! იქ ოცი თუმანი ჩაუდე ხელში, იქ ოცდათი, იქ ორმოცი: ოლონც კი მომშორდით აქედანა და მე დამანებეთ მეთქი ეს მამული? რა, ასი თუმანი-კი ხიხია?

**არტემი.** ასი თუმანი კი არა, ოთხასიც რო დაგეთვალა, კადევაც ცოტა! რას ამბობ, კაცი, ის მამული სუ რო ცოტა ჩააგდო, სუ რო ცოტა, რატო კაი ათასხუთასი ნაღდი კაკალი თუმანი არა ლირს! ერთბაშათ, მუშტარი გამოჩნდება,— კაი ორიათასაც აპკრამ!

**ბაგრატი.** შენა, შენ კი ძან ხელი დაიწვი, მე შენ გითხრა, ი კნიაზ დავით ლამბაძის მამულებში! რა გიჭირს!— ორას თუ-მანში, რგაას თუმნიანი მამულები ჩაიგდე და ქიოფობ!

**არტემი.** ხო, მაგაზე მომაგონდა! იცი რა, ბაგრატი, იცი რა გაცინო?— ეს ორი სამი დღე, ი კნიაზ ლამბაძიანდგან მომდის და მომდის მაჭანკლები თუ: „შენი ქალი მოგვეწონს და მოგვა-თხოვეო! მითომ რა არი: ჩვენი მიწები დაგვიბრუნეო! რა სულელი მნახეს!

**ბაგრატი.** განა, კნიაზ დავითს საცოლო შვილიცა ჰყავს?

**არტემი.** როგორ არა, ერთი უსწავლელი, უხეირო შვილი ჰყავს!— იქამდინ ხემწიფის სამსახურში იყო, ზარშან სამსახური-დან გამოსულა, ეხლა ჩერქესკა და შინელი ჩაუცვამს და აქ დეეხეტიალება!

შაგრატა. თავადიშვილის საქმე ეგ არი, მა რა! მერე, შენ რატაშეული  
თვალები?

არტემი. თუ ჩემი ნებით იქნება, გაგიხარიან, არტემია უსწავლელ  
თავადიშვილს ქალს არ მისცემს, ისიც ქართველს!

შაგრატა. მა ვის ნებით არი, კაცო, ქალის გათხოვება, თუ არ  
შენითა?

არტემი. მგონი შენ ჯერ კარგა ვერ იცნობ ჩემ სულელ ცოლსა!  
უკაცრავათ კი შენითან,— შენი ლაა.

შაგრატა. შენ თუ არ მითხარ, მე კი არ ვიცი, რაც ქვეის კოლო-  
ფია ისა!

არტემი. კაცო, აუხირებია: „მაშო ავილოთ და მივცეთო“! გიჟია?

შაგრატა. გიერ და აგრე!.. მერე მაშო რაღას მმბობს!

არტემი. აბა ის იკლამს ი ცეტ კნიაზისთვინ თავსა, თორე ჩემ  
ცოლს რა უჭირს! — „თუ იმ კნიაზს ირ მიმათხოვებთ,  
თავ მოვიკლამო“!

შაგრატა. განა მაშოც იცნობს კნიაზ დავითის შეილსა?

არტემი. რას არ გაიცნობდა, კაცო; ი ჩემი პატიოსანი ცოლი წამდა-  
უწუმ კლუბებში და სობრანიეში დაწიალებს თავის  
ქვეიან ქალსა! თავადებიც ხო იქ იყრებიან ლექურის  
ეგზამენის დასაჭრათა და ი დავით ლამბაძის შეილსაც  
იქ გაიცნობდა!

შაგრატა. ნეტაი შენ საქმე გამოგწყვეტია, რო კლუბებში და სო-  
ბრანიეში ფულებ ხარჯამ! გადასაყრელი ფულები მე-  
ქნება, რო ჩემი ცოლ-შეილი იქ გავგზავნო!

არტემი. ეხლანდელი ცოლ-შეილი სწორეთ შენა გვითხამს, აი! ის  
დრო წავიდა, ჩემი ბაგრატ, როცა ქმრების შიშით, ცო-  
ლები კრინტს ვერა სძრამდნენ!

შაგრატა. ე მანდ მართლა არ გადაირიო და ქალი ქართველს არ  
მისცე! ვინ გიურ-ოხერი მისცემს გაკოტრებულ კნიაზს  
ქალსა?

არტემი. შენ ეგა თქვე-და! ქალი მივცე, თანაც ფული და ისიც  
ქართველსი! მერე, ერთი-ორი თვის შემდეგ, როცა ფუ-  
ლები შეუჭამოს, ქალი უკანვე მომიგდოს!

შაგრატა. თავადიშვილს რო თავისი ქონების შენახვის შნო არა  
აქვს, აბა სხვის სარჩოს უფრო რას გაუფრთხილდება!



არტემია. კაცო, დაუუინია: „გინდა თუ არა კნეინა უნდა გადასახლოს! ბაგრატია. შე მამაცხონებულო, უთუოთ კნეინა რო არ იყვე, ჩევნის-თანა კაცის შეილი კი არ გექადრება-თქო? ოლონც ნა-სწავლი-კი იყვეს! შენც აიღე და ან ინჯილერს მიე, ან დოხტრუს, ან ადვაკანტს!

არტემია. თუ დამაცალეს, მე ვიცი და, თუ არა...

ბაგრატია. განა ეგვიპტიც დაიწყო ი შენმა ქალმა, ჯერ ალაგს არ ასცილებია?

არტემია. აი, ჩემი ცოდო ედოს იმასა, ვინც ქალის სწავლა შემოილო!  კაცო, რაკი ერთი „ბაი-ბუის“ არ ისწავლიან ე ჩევნი ქალები, აღარც მამის ჭერას დაგიდევენ და აღარც ხალხისა!

ბაგრატია. შენ ერთი ორიოდე წაურტყი იმასა და მწყრები და-უფრთხები. ჩემ ქალს როგორ შეუძლიან, რო ჩემ წინ ხმა ამოილოს! იმან რო ერთი სათოვეც აირჩიოს, განა მეც გავბრიყვდები და ფულებ გადავყრი!

არტემია. ერთი სიტყვით, აღარ ვიცი, ღმერთმანი, თუ რა ვქნა! ეს ორი დღეა, აღარც ქალისაგან მაქვს მოსვენება და აღარც ცოლისაგან!

ბაგრატია. შენ ე მანდ შენთვინ იყავ! ი ჩემ სულელ დას ასე უთხარ ჩემს მაგივრათ—არამც და არამც კრინტი აღარ დასძარა ი კნიაზზე-თქო! (წემოდგება).

არტემია. მოიცა, კაცო, სად მიეჩარები? მოდი, ბაგრატ, და დღეს სადილათ ჩემთან დარჩი! ასეთ ჩანივრულ არტალას გაჭ-მევ, რო თითები დაიკუნიტო!

ბაგრატია. შენი არტალა რათ მინდა, ძმაო, ასეთი ხაში მიდგია შინა, რო ლუკმა მანათად ლირს! ვინც იმას არა სჭამს, ან დღე მოკვდება, ან ლამე!

არტემია. მოიცა, ცოტა ხან მაინც იყავ! დღეს ხო კვირაა და ვიცი საქმე არა გაქვს!

ბაგრატია. არა, მეჩეკარება! ექ ერთ კაცს ჩემი ფული ჰმართებს და უნ-და ვექსილი გამოუცვალო!

არტემია. მართლა, ეხლა რო ასი თუმანი გაეც, სარგებელ როგორ გაურიგდი?

ბაგრატია. რა იყო? ნეუსტონიკებით, აქეთ, იქით, სულ ათი შაური მოდის რალა!

არტემი. ბიქოს, ეგ კაი სარგებელია! ეგ კაი მეხი დაგცემია! შეგხვდება ბაჟი-  
ბაგრატი. ეხლა, კაცო, ყველგან ფულის ქისატობაა! შეგხვდება ბაჟი-  
რებული კაცი, მეტსაც გამოიმეტებს! მშვიდობით! (გადის).

არტემი. (მარცო, ანგარიშობს შჩთვები) წრეულ, სუ რო ცოტა, კაი ხუ-  
თას თუმან მოგებას ვიქნები! მერმის, ეგ ხუთასი თუმანი  
ათასათ იქცევა!—ფული ფულს იგებს! ბანქში შევიტანო?  
—სარტა არ არი! ისევ წვრილ-წვრილათ გასცე, ფოდრათე-  
ბი აიღო, თავადებისგან ჭინახული დაიკვეთო, მამულების  
ტორგში მოიხმარო... აი ხეირი, მე და ჩემმა ღმერთ-  
მა, ეგ არი!.. დასწყველოს ომერთმა, ჩვენი ცხოვრება რა  
არი! **ემ** ოცდაათი წლის წინათ, ლუკმა მენატრებოდა;  
ეხლა, ღვთის მადლით, სახლიცა მაქვს, კარიცა და ფუ-  
ლიცა! შეილებიც თავიანთ გზაზე დაგაყენე: ერთი ინჯი-  
ლერი გამომდის, ერთი დოხტური და ერთიც ადგა-  
კატი! ახლა ისინი შემომიტანენ სახლში ორ-ორ ათას თუ-  
მანსა და გაიჩისტება საქმე!

### გამოსვლა შეორე

არტემი და სოფიო.

სოფიო. რას სჩადი, კაცო, აძლევ თუ არა ქალსა იმ კნიაზსა?  
დილასაც იყო მაჭანეალი!

არტემი. თუ გინდა საღამოზედაც მოვიდეს, მე რა?

სოფიო. მაში, არ მისცემ ქალსა ი თავადიშვილსა, დიდ გვარისა და  
ნათესავების პატრიანს?

არტემი. იქით წაიღე ეგ შენი თავადიშვილობაც, გვარიშვილობაც და  
ნათესავობაც! თავადიშვილობაც ფულია...

სოფიო. რა გამიხდა შენი ცარიელი ფული! თვალზე მიიკარ ეგ ფუ-  
ლი! რათ მინდა შენი ფული, თუ რიგიან ხალხში გამოწ-  
ყვეტილი ვიქნები! ფული მაშინ არი კარგი, როცა დიდ-  
კაცებში ხარ გარეული! ათასი რო თქვა, ათასი, მაინც  
ჩემი მაში იმ კნიაზს უნდა მივცე!

არტემი. მაში, შენ ნებაზე ყოფილა რაღა!

სოფიო. ჩემ ნებაზეც არი და ქალისაცა! შენ ქალს კნიაზ დავითის  
შვილი მოსწონს...

არტემია. თავი დამანებელ შენცა და ი შენმა ქალმაც, თორე მაშმა ჩე-  
მი არ წაწყდეს...

სოფიო. შენ მართლა ბევრი ლაპარაკი გამოგდის! მა! ვის უნდა მის-  
ცე ქალი, შენისთანა „ფოდრაჩიკსა“?

არტემია. ჩემისთანა კი არა, მუშას რო მივცე, აი, უკანასკნელ მუშასა,  
ის მირჩევნიან ი შენ თავადიშვილსა! ქალი მივცე, თანაც  
ფული...

სოფიო. რას დაგიუინია ე ფული! ფულ ნუ მისცემ ახლა! ე თავიანთი  
მიწები დაუბრუნე და...

არტემია. მერე მიწები კი ფული არ არი, შე სულელო? შეჭამოს მი-  
წები და მერე ისევ მე მომაღეს? არა, არტემა ჯერ ეგ-  
რე არ გაგიუებულა!

სოფიო. არა, ერთი მითხარ, თუ შენ რა გესაქმება, როცა შენ ქალს  
მოსწონს და უყვარს?

არტემია. „უყვარს“? როგორ თუ უყვარს?! განა თვრამეტი წლის გო-  
გომ სიყვარულიც უნდა იცოდეს?! ერთი აქ დამიძახე ისა..

„კვიცი იყიდე და დედა უკითხეო“ — აბა შენი ქალი ჭიკვი-  
ანი რათ იწება!

TLT 5.

სოფიო. შენ კი ძან ჭიკვიანი ხარ, მე შენ გითხრა, ვეღარაში ჩაგი-  
ტევია ეგ ჭიკუა!

არტემია. ახა, დიღება, შენთვი ღმერთო! რა გინდა, დედაკაცო, რა  
გინდა შე ოჯახ-ქორო?

✓ სოფიო. ის მინდა, რო ჩემი მაშო კნეინებში უნდა ჩაგრიო!

არტემია. აი, გაგაგიუოს ჩემშა გამჩენმა! ერთი მითხარ, თუ რა თავში  
სახლელათ გინდა ე კნეინობა?

✓ სოფიო. როგორ თუ რა თავში სახლელათ მინდა: მაშ ის არაფერია,  
რო ჩვენც რიგიან ხალხში გავერევით, ჩვენც გამოვჩნდე-  
ბით სადმე? ამოდენა ძეწვი, ბეჭდები, ბრასლეტები, ტა-  
ნისამოსი, მაშ საღ უნდა გამოვაჩინო, თუ არ დიღეკაცებ-  
ში? მარტო ის რათა ღირს, რო მტერს თვალები დაუბ-  
რმავდება სიშურით!

არტემია. აი, დედაკაცის ჭიკუა! მოდით და ამ სულელს ელაპარაკეთ!  
რა გახაჩენები იყვნენ დედაკაცები, გასწყდეს ამათი სა-  
ხელი!

TLT 5.

სოფიო. ისევ კაცების სახელი გაწყდეს, აზირ!

**არტემა.** შენისთანა სულელი „აშტრახანში“ არ გამოვა რატობის მიზანში!

**სოფიო.** ტყუილათ თავს იწყენ, ჩემო არტემ! ჩვენი მაშო რო თავადი-შვილის წერაა, შანდ ეჭვი არ არი: სურფ-სარქისს რო მა-რილ კვერი ვაჭამე, სწორეთ ეგ კნიაზი ენახა!

**არტემა.** გიშია! კაცი დავბერებულვარ და ჯერ ჩემ თვალს ამისთანა თავცარიყლი არ უნახამს! დედაკაცო, რა გინდა, რატო არ მომასვენები ეს ორი დღე რა ეშვავივით მომჩერებიხარ! ჩაფარი ხო არა ხარ შე ოჯახდაქცეულო! ქალი ჩემია, არ მინდა და არ მივცემ ი ცეტ კნიაზსა, ახლავი

**სოფიო.** შენ რო არ მისცემ, მე მივცემ! მაშ ამ ცხვირ მოვიჭრი, თუ ჩვენი ქალი კნეინა არ გავხადე! ჩემი თავიც მეყოფა და-ბალთაგანი! მეც მივქარე, რო უბრალო ფოდრაჩიე შე-გირთე! ასი თუმნით რომელ კნიაზზედაც მინდოდა—გა-ვთხოვდებოდი!

**არტემა.** აი შავ და უფროში ის დღე და ხათო, როდესაც შენ გა-დაგეკიდე!

**სოფიო.** ამინ, ამინ, როდესაც მე შენ მოგთხოვდი!

**არტემ.** მე უფრო გიე ვარ, რო შენ გელაპარაკები! (გადის).

**სოფიო.** აბა ენახოთ ვინ აჯობებს: შენა თუ მე!? აბა ენახოთ! არა, ძიელაც რო თავს იდებს! ერთი მიბძანეთ, თუ  დასა-წენი სასიძოა; ლამაზი და ამ დროების ვაჟი: იმ დღეს ქლუბში მთელი ხალხი გააგიუა თავის ლეკურითა, კინ-ტოურითა და ტანციონითა  დიდი გვარისა და ნათესაო-ბის პატრონი; კნეინა აბილუტრისა, კნეინა ლაქონიძისა და კნეინა ჯანსურაძისა, სუ იმი ძალუაები არიან! ახლა რათა ლირს, რო ჩერენც იმათში ჩავერევით! ახლა რათა ლირს, რო ჩერენც ისინი ხელს ჩამოგვარა: მევენ, გაგვიცი-ნებენ, გვერდზე მოვისვამენ და „მიახლათ“ მოვისენე-ბენ!.. სახით—ლამაზი და მშვენიერი, ასე გვონია კალმით ნახატიაო, ტანი ალვის ხეს უგავს! ესა ვსოჭვათ, რო შეძ-ლება რო ჰქონდეს, ხო შენ ქალსაც არ იკადრებს! არა რო მოკვდეს, მაინც ჩემ მაშოს იმ კნიაზს არ ავაცდენ! არა, არა და არა! მე სოფიო მქონან!

გამოსცლა მისამი



სოფიო და მაშო

მაშო. რა ჰქენ, მამაშა, დაიყოლიე პაპა თუ არა?

სოფიო. დაიყოლიე კი არა, ის არ გინდა! განა მამაშენს კაცი და-  
იყოლიებს! ეგ ადამიანი კი არა,—ქვაა, კლდე!მაშო. ახლა კი მე ვიცი! რახან თავის ნებით არ მაძლევს, გავიპარე-  
ბი და ჩუმათ დავიწერ ჯვარს!

სოფიო. უი, დამიდგეს თვალები ქა! ეგ რა თქვი, გოგო?

მაშო. ის დრო წავიდა, როცა მამის ნებით იყო ქალის გათხოება!  
ეხლა ის დრო იღარ გახლავს! ეხლა ქვეყანა განათლდა,  
—ვისაც ქალი შეძყვარებს, იმას უნდა გაჰყვეს!სოფიო. განა გასათხოვარმა ქალმა ეგ სიტყვები პირიდან უნდა ამო-  
უშვას?მაშო. ურჩევნიან, თავის ნებით მიმცეს ი კნიაზსა, თორე იცოდეთ,  
რო მე თავს აღარ ვიცოცხლებ!

სოფიო. ოხ, რა სულელი რამა ხარ, გოგო!

მაშო. გოგოს ნუ მეძახი მეთქი, რამტელჯერ უნდა გითხრა!.. აბა თუ  
მე თავი არ მოვიკლა და ნახეთ! თუ მე წყალში თავი არ  
დავიხრჩო და...

სოფიო ემანდ ხმა ჩაწყვიტე, რას მიედ-მოედები!

მაშო. (ცრუ ფიტილით) თო... ოქ, ჩამო... თვა... აბამ... ი... ი და... ა  
თავ ჩამო-ოვიხრჩობ! საწამლავსა ვჭა... ამ... უ... უ... უ...!სოფიო. რეებს მიპარამ, გოგო, ე შანდ არავინ გაგიგონოს, სხვანა-  
ირათ ჩამოგართმევენ!

მაშო. რევოლუცი-ს ვიყიდი... იდა... ა გულში... ი დავი... ი რტყამ! ხმ!... ხმ!...

სოფიო. დამიხედეთ გემნაზია დასრულებულ ქალსა! დამიხედეთ კურ-  
სონიცა ქალსა! ადე, ადე ემ წუთში და პირზე წყალი  
შეისხი, თორემ თვალები დაგიწითლდება! ადე მეთქი, არ  
გესმის, გოგო!?მაშო. (ფეხს დათცემული და ფიტილით) გოგოს ნუ მეძახი მეთქი...  
ი! ხმ! ხმ!

სოფიო. ხო, კარგი, „ბარიშნა“, აბძანდი და პირზე წყალი შეისხი!

მაშო. არც პირზე წყალ შევისხამ და სრულობითაც თავს მოვიკლამ,  
თუ კნიაზ ლაშბაძეს...

სოფიო. ხო, შეილო, ხო! აი, მაჭანკალს დავიბარებ და მოველაჭანკალს ქები!

გაშო. (ღიმიღით) მართლა მეუბნები, შამაშა, თუ მატყუებ?

სოფიო. შენმა გაზღამ, მართლა!

გაშო. აბა, დაიფიცე! უ...უ!

სოფიო. ახლა მართლაც ი შენი კნიაზისთვინ ხატებს ხო ვერ ჩამოვასვენებ! ერთი ვთქვი და გავათავე! შენა გვონია, რო მე კი არ მინდა შენი კნეინობა? სანამ პირში სული მიღვია, მანამ იმედს არ დავკარგამ, და შენ თავადიშვილს მიგცემ!

გაშო. (წამოსცემა, ესჯევა ღებას და პეტების) მამაშა, რა კარგი ხარ, რა დუშკა ხარ, რა მიყვარხარ!

სოფიო. (ხელიდან გამოუსცელდება) ნელა, შე ცეტო! ლეჩაქი ნუ შემომაგლიჯე-და!

გაშო. მე რო კნეინა გავხდები, მამაშა, ხშირათ დაგპატიუებ ხოლმე!

სოფიო. შენი არა მინდა-რა, ოლონდ ლოტოდა რამსში კნეინა აბილა-ურთან დამსვი ხოლმე!

გაშო. მამაშა არ მომიკვდება, მამაშა, მარცხნივ კნეინა ლაკონიძისას მოგისვამ, მარჯვნივ—კნეინა აბილაურისას და ვიზავი-თაც—კნეინა ჯანსურიძისას!

სოფიო. უი, შენ კი გენაცვილე, შენა! ერთი წავიდე კიდევ მოველა-პარაკო ი მამაშენსა: ეგება როგორმე დავიყოლიო!

გაშო. (მარტო, ღებას ხცევაზე, ხიჩება) თუ მისუს კნიაზ ლამბაძეს, ხო კარგი, თუ არა და— თაგს მოვიკლამ! რითი სჯობიან სიკ-ვდილი: მტკვარში ჩავვარდე?— ჰე, ნე! ლიცი ისინებ! მე მინდა რო კუბოშიავ ინტერესუა ვიყვე, როგორც მა-რია ბე-ვორა!.. ჩამოვაბა თოკი და თაგი ჩამოვიხრიო?— ი, ეს არა ბლიკორი სმერტი! თოკებე ახრჩობენ რაზბი-ნიკებს! ისევ რევოლუ-ცი-უცველასა სჯობიან! ვიყიდი რევო-ლუ-ცი-სა და დავირტყამ თავში... არა, თავში არა! ლიცი ისინებ! ისევ გულში სჯობიან!.. მართლა-და, რო თა-ვი მოვიკლა, რა ამბავი იქნება! უხ, უხ, ვინახა-ია!.. (ღავილი სკამბი) მე მითომ მკვდარი ვარ და აქე-დან... (ფე-რებზე ხელს დაიღებს) გამომდის სისხლი (გავრ-ეთღვი შე) ო... ოხ! რა სარტყელი!.. უცბათ შემოდის მამაშა და რო და მინახამს მე მკვდარსა, მომვარდე-

ბა და დაიკივლებს: „შვილო, მაშო! შენ გენაცველოს და  
და, შვილო!..“ (ცრემლს იწმინდს) მამაშას ყვითელზე შე-  
მოვა პაპა და ეტყვის: „რა იყო, დედაკაცო, რა დაგემარ-  
თა?“ მამაშა პაპას მივარდება: „ეს ხო სუ შენგან მომი-  
ვიდა!..“ უხ, რა ამბავი და ჩოჩქოლი ჩავარდება! მაშინვე  
ყველა გაზეთებში ჩასწერებ: „Токого-то дня. токого-то  
числа, Марья Артемьевна Шарбатова застрелилась от  
любви к князю Ламбадзе!“ უხ, как хорошо, совсем  
как в романах бывает! მეორეც ესაა, наконец-то ჩემი  
გვარი და სახელიც ჩაიბეჭდება გაზეთში!.. არა, უთუთ  
მოვიკლამ თავს! (ცოდა სანს დაფიქტობა) ახლა რო თავი  
მოვიკლა, ხო ნუ სამუდამოთ გამოვესალმები ამ სიცოც-  
ხლებსა! აღარც გისუნთქავ, აღარც თვალებს ავახელ, აღარც  
სადილს გჭამ, აღარც ყავას დავლევე. სამუდამოთ რაღა, სამუ-  
დამოთ! არა, სიკვდილს ისევ გაპარვა და ჩუმათ ჯვრის წერა  
სჯობიან! აკოშკიდან გადავხტები, იქ კნიაზ ლამბაძეს  
ცხენები მზათ ეყოლება და ჰერი! იმ წამსევ „ზაგრანი-  
ცაში“ გავკრამთ, ვსემრიუ ყველა მომავალი მომისევ-  
ნიებებ ფრანცია-ში—პრინცესა, გერმანია-ში—ბარონე-  
ცა, ანგლია-ში—ლედი! უხ, как хорошо, прелесть! Сов-  
сем как романнический владетельный особы! განა მე გიმ-  
ნაზია მისთვის დავასრულე, რო პროხაინათ გავთხოვ-  
დე?—Как раз! მე სწორედ ასე მოვიქცევი, როგორც  
Елена в „Накануне!“ რამდენიც უნდა უარი სთქვას პა-  
პამ, მე მაინც ჩემსას გავიყვან! (შემთხვევა მისი).

ბიჭი. „ბარიშნა“, ვიღაც კნიაზი გახლავს.

მაშო. კნიაზი? (იძიოთ) ოხ, ის იქნება! რაღა თქმა უნდა, ჩემ მოსა-  
ოცებლათ მოსულა! *ჩასას გადასასვლელი*

ბიჭი. დიალ, ვიღაც მოხუცებული კნიაზი გახლავს.

მაშო (უკმაყოფილოთ). მოხუცებული? მაში იმის შამა იქნება.

ბიჭი. ხაზეინსა კითხულობს... (შემთხვევა სოფიო).

მაშო. მამაშა, კნიაზ ლამბაძის მამა კითხულობს პაპასა.

სოფიო (შიდა). მაში, რაღას გაჩერებულხარ შე გამოჩერჩეტებულო!  
გაიქე და ჩეარა მოახსენე—„მობრძანდითქო“!

გამოსცელა გეორგე

၈-၉၈ လာဒဂ် ရှာမပါ၏ မာက္ခာ။

**დაგოთ.** განა ამ დღესაც მოვესტარ, რო ჩემი ფეხით ვეახელ ამ სი-  
მეხსა, ვიღაც შარბათოვსა! განა ამ დღესაც მოვესტარ,  
რო თავადიშვილი ვეხვეწები ვიღაც ფოდრაჩიქა! ორი  
დღეა ჩემი ცოლი მაჭინკლებს უგზავნის და დიდ უარზე-  
დაც რო დგას!.. ყველა მიყვლიფ-მოყვლიფა, შეიძინა ერ-  
თი ორი გროში და დამპალი საყვევარივით იქმიშება! მაგ-  
რამ რა ვქნა: „როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო“! — ყე-  
ლამდინ ვალებში ვზივარ, ცენახი ი მუშტაძემ თითქმის  
მუქთად წამართვა, ე ტყეც ხვალ თუ ზეგ ტორგიდან გა-  
მეყიდება.. მე ჩემ შვილისთვინა ვზრუნავ, თორემ მე სა-  
ცა იქნება ერთ ლუკმა პურ შევჭამ! მე ჩემ უბედურ  
შვილსა ვჩივი, თორემ მე ჩემი კალო გამილეწნია, — ცალი  
ფეხი სამარეში მიდგია!

ପାଇସିପାଇସି

କେବଳ ଏହା ପାଇଁ କିମ୍ବା ଏହାର ଅନ୍ତର୍ଭାବରେ କିମ୍ବା ଏହାର ଅନ୍ତର୍ଭାବରେ

ნაფით. ორტემ პეტროვზის გაუმარჯოს!

არტემია. კნიაზ ლავიოს გახლავარ! დაბრძანდით, კნიაზო!

Հագութ. Տեղա, հողական մշակութանձութ Ցհմանըցի Շենք կառավարութա?

არტემია. გმადლობთ. თქვენ როგორ-აა ბრძანდებით თქვენი კნიინითა?

**დივითი.** ვართ რალა, როგორც შეგვეფერება. ე ჩემ შეიძლს მინდა  
ცოლი შევრთო.

**არტექტა.** კეთილი, კნიაზო; მერე რაღას აგვიანებთ! მე შენ გითხრა  
ლამაზები არ არიან ე თავადის ქალები!

დაფითო. არა, ძმაო, მე ჩემ შვილს თავადის ქალს არ შევრთამ! ✓

**କାନ୍ତରେଣୀ:** ରାତ୍ରିମ୍ବ, କ୍ରିନାଶ୍ରମ, ରାତ୍ରିମ୍ବ? ତାହାରୁଦ୍ଧିଷ୍ଟ ଶ୍ଵେତମା ତାହାରୁଦ୍ଧିଷ୍ଟ ପାଲି  
ଯୁନିର୍ଦ୍ଦା ଶ୍ଵେତରାତ୍ରିମା ମା ରା!

**დავითი.** თავადებმა, ჩემი არტემ, ფულის ყადრი არ ვიცით: ჩაც  
გვაძლია, სულ ერთ დღეს შევჭამთ ხოლმე და...

**କୁଳିମା.** ଏହି କି ମାରତାଲି ଧରିଦାନ୍ତରୀତି, ମେ ଦା କିମ୍ବା ଲମ୍ବାରତିମା, କଣିକାଟିମା!

6 აზიანი.

- ✓ დაგითი. ისევ თქვენა ხართ; შეილო, ფულის შემნახველოცა და  
გამფრთხოლებელიყა!
- არტემი. ეხ, მაგას ნუ ბძანებთ, კნიაზო! დარღიმანდი და ბედოვ-  
ლათი ჩვენშიაც ბევრია!
- დაგითი. თქვენში თუ ათასში ერთი გამოვა მაგისთანა, ჩვენში  
ათასში ერთი არ გამოვა ყაირათიანი! არ მაგალითად აი-  
ღეთ ჩვენი მამულ დედულები: მომეტებული წილი დაგი-  
რავებულია, ტორგიდან გაყიდული... ეხლა პომეშჩიკები  
ჩვენ კი აღარა ვართ, ძმაო, თქვენა ხართ! მთელი ჩვენი  
მამულები სუ თქვენ ხელთ არი!
- არტემი. კნიაზო, ცხოვრება—კიბეა: ზოგი ადის, ზოგი ჩამოლის!  
განა მარტო სომხების ხელშია თქვენი მამულები?  
აბა წადი იმერეთში და ნახე, იქაც სომხები არიან, იქაც  
ჩვენა ვართ?
- დაგითი. მაგას თავი დაგანებოთ, — მე იმიტომ მინდა ჩემი შეი-  
ლისთვინ სომხის ქალი...
- არტემი. (აწყვეტილება) სომხის ქალი რათ გინდათ, კნიაზო?! ისევ  
თქვენი რჯულის ქალი რო მოსძებნოთ, დამერწმუნეთ ის  
გირჩევნიათ!
- დაგითი. არას დროსაც! ქართველი თავის ბუნებით, ბედოვლაია. სომხი  
კი ყაირათიანი ახლა შენ წარმოიდგინე, რო ორ.  
თავ ბედოვლათები შეჰყარე, თუ გინდა მილიონების პატ-  
რონი გაჰავდე, მაინც ერთი წლის შემდეგ იმ მილიონე-  
ბიდან კაპიკუ აღარ შერჩება! ყაირათი კი როცა ბედოვ-  
ლათობას შეჰვედება...
- არტემი. უკაცრავათ კი, კნიაზო, სიტყვა გაგაშვებინე, მაგრამ ჩემის  
აზრით, როცა დაბალთავანი და დიდი კაცი შეიყრებიან  
იშვიათათ იმათში სიამოვნება დიდხანს გასტანს!
- დაგითი. ეხ, ჩემო ძმაო! დიდკაცობა სადღაა ეხლა! ეხლა დიდ-კა-  
ცობაც ფულია და...
- არტემი. მართალი ბრძანებაა, მაგრამ...
- დაგითი. (აწყვეტილება) ესეც იცოდე ჩემიგან, არტემ პეტრუშინი,  
როგორც ხარისხი არ ვარგა უფულოთ, ისე ფული—უხა-  
რისხოთ! მომითმინე... ეხლა, შენ ჩემი დიდი ნაცნობი და

- მეგობარი ხარ და დამერწმუნე, რო კიდეც მიუცარნაზ და  
პატივისცემაცა მაქვს შენი!
- არტემა. მაღლობთ, კნიაზო, მეც თქვენი სიყვარული და პატივის-  
ცემა...
- დავითი. ხო-და, მაშ, რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, აიღე ე შენი ქა-  
ლი და ე ჩემს ჩვილს მიე!
- არტემა. კნიაზო... (შემოღის სოდიო. არტემი იძიო) ახლა წახდა ჩო-  
ჩეთი, აი!

გამოსილა მემშვისე  
იგინვე და სოფიო.

- სოფიო. კნიაზ დავითს თავს დაკუკრამ!
- დავითი. ოხ, სოფიოს ვახლავარ! როგორ მშეიდობითა ბრძან-  
დებით?
- სოფიო. მაღლობთ. თქვენ როგორიდა ბძანდებით თქვენი ცოლშვი-  
ლითა?
- დავითი. არა გვიჭირს. რა; კნეინა ბაბალემ მოკითხვა მოგახ-  
სენათ.
- სოფიო. მაღლობთ, ჩემს მაგივრათაც გადაეცით. დაბძნდით, კნი-  
აზო, რისგან არი, რო მოგვიგონეთ?
- დავითი. მე არა დროს არ დავიწყებიხართ (სიჩემი) მაშ არტემ  
პეტრუზიჩ, რას იტყვით იმაზე მე და თქვენ რო ვიცით?
- არტემა. კნიაზო...
- სოფიო. რა იყო, რა, კნიაზო? არ შეიძლება რო ჩვენც შე-  
ვიტყოთ?
- არტემა. (მჯაცრათ) რა შენი საქმეა?!
- დავითი. რატომაც (სოფიოს) მე ვთხოვ არტემ პეტრუზიჩს თავის  
ქალს ჩემ შვილისთვინ.
- სოფიო. თქვენი შვილი ჩვენ ქალს მოსწონს...
- არტემა. შენ ვინა გკითხამს: „ბარი ათ შაურათა, ნიჩაბი ორ კა-  
პიკათაო“. მე ვიცი და კნიაზ დავითმა! კნიაზო, მაგ საქ-  
მეზე კვლავ მოვილაპარაკოთ!
- დავითი. რაღა საკვლავოთ გადასადებია, არა სჯობიან ბარემ  
მოვრიგდეთ და ხელი ხელს დავკრათ? თუ ჩემი შვილი არ  
მოგწონთ...



- სოფიო.** უი დამიღეს თვალები, ქა! თქვენი შვილი ოა დასაწუნია! მე შენ გითხრა, ლამაზი ვერ არი და „ტანციაობა“ არ იცის! იმ დღეს მთელი კლუბიყო და თქვენი შვილი! კნიაზო,, კი ნუ გეწყინებათ და მე ქალს ქართველს ვერ მივცემ, ვერა! არ შემიძლიან!
- არტემა.**
- დავითი.** ახლა ეგა! ქართველი რა არი, შე მამაცხონებულო, და სომეხი რა არი? სულ ერთნი არა ვართ! თუ იმას იძახი, ჩემო ძმაო, რომ ოროლ ლვდელს უნდა მავცე ჯვრის საწერი და სახლის საკურთხიო... (იცინის).
- სოფიო.** რა ხუმარა რამე ბძანდებით, კნიაზო!
- დავითი.** მა რა! სომეხი და ქართველი ვის გაუყრია?
- არტემა.** არა, კნიაზო, ესე ჩქარა არ შეიძლება! თქვე დალოცვილო, ყველი და პური ხომ არის ქალის გათხოვება?
- სოფიო.** შენი საქმე არ არი!.. —კნიაზ დავით, ჩენ ქალს თქვენი შვილი მოსწონს და ჩვენც ყაბულსა ვართ!
- არტემა.** (სოფიოს) რახან ქმარი შენა ყოფილხარ და ცოლი მე — აბა რაღა მეთქმის! კნიაზ დავით, უკაცრავათ თქვენთან, არა მცალიან... (გადას).
- დავითი.** არა, ეგ მამაცხონებული რა ძიენ თავს იდებს?
- სოფიო.** თქვენ მაგას რა ყურს უგდებთ, კნიაზო! მე ვიცი და მაგანა! მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ეგ მოგარჯულო!
- დავითი.** ე სანამ დამარხვდება მინდა, რო ჯვარი დასწერო ე ჩემ შვილსა და...
- სოფიო.** თუ ამ კვირიავე ეგ საქმე არ მოვახერხო, მაშ ქალი არ ვიქნები, მაშ ლეჩაქი არ მეხურება თავზე, მაშ სოფიო არ მერქმევა სახელათ!
- დავითი.** რა ვიცი, თქვენ იცით, მშვიდობით.
- სოფიო.** მშვიდობით ბრძანდებოდეთ! კნეინა ბაბალეს ჩემს მაგივრათ მოკითხვა მოახსენეთ!.. მაგ საქმეზე არხეინათ ბრძანდებოდეთ! (გადაან).

ფარდა.

## სამეტ აღმოჩენა გეორგი

შესამე მოქმედება ცწარმოებს (ერთი წლის შემდეგ) არტემა შარბათოვის სახლში.  
შუათანა ოთახი: მარჯვენივ და მარცხნივ კუშეტკები თავის მუთაჭებით. ერთ-ერთ  
კუშეტკაზე გდია თ-დ ლევ. ლამბაძის შინელი. შუა კდელთან სდგას თეთრ სუფრა  
გადაფარებული მაგიდა, რომელსედაც სდგას: სამი ბოთლი, ორი ჭიქა, თეფშები  
საჭმელის ნარჩენებით... იატაკზე გდია ხელ-საწმენდი, ჩანგალი, წაქცეული სკამი...  
მაგიდის მარჯვენა მხარეს ბუჟეტის შკატი. სცენას აქეს ორი კარგი: ერთი გადის  
ქუჩაში, მეორე—დანარჩენ ოთხებში; მაგიდასთან ლევან ლამბაძე და კოჭია  
ლევინის სვამენ და თანც მღერიან: „ისევ და ისევ ლვინითა, ლროც გავატაროთ  
ლინითა, ჰარიალალე“ ფარდის ახდამდის ისმის იმათი მღერა.

გამოსვლა პირველი

ლევან და კოჭია.

- ლევან.** (ჭირით სელში მღერის) „ნოემ რა ერთხელ ინება ყურძნის  
წვენის გემოვნება, წყალი პირუტყვთ მიანება, თვითონ  
ნუნუას მიუჯდა, ჰარიალალე!“
- კოჭია.** (მანს აძლევს. თან აღფარებით თითებს აცაცუნებს) აფერუმ,  
ლევანჯან, აფერუმ! უი შენი ჭირიმე, შენი!
- ლევან.** ყოფ ვიჲმი! ლვინისთანა კარგი რო არა არი რა ქვე-  
ყანაზე!
- კოჭია.** ლვინო, დუდუკი, ქალები! აბა ამით რა შეედრება, ჩემო  
ძმაო?!“
- ლევან.** მოიცა, ამ დლებში ისე გაქეიფო, რო...
- კოჭია.** ლმერთმა შენი თავი დიდ ხან მიკოცხლოს, ლევანჯან! —  
მე შენგან არაფერი მაქლია!
- ლევან.** საღალათ დაგპატიუებ შენა, ილიკო ლაკონიძესა, შაქრო  
აბილაურსა.



- კოწია.** წერაი შენ, ლევანჯან, რო „აბეზპეჩენია“ გაქვს!.. აქ, მრავალი თი სომხის ქალი ჩემთვინაც გამოტყვერეს საღმეტე მისამართისა  
**ლევან.** Ax თუ დურაკ! მე კი მადლიერი ვარ, რო სომხის ქალი შევირთე?
- კოწია.** მერე რა ურიგო საქმე მოგივიდა, რო შეირთე? ე მიწები დაიბრუნე, მზა-მზარეულსა სჭამ, სვამ... ეგ არაფერია?
- ლევან.** მერე, ის კი არაფერია, რო ვიღაც შარბათოვის ქალი ქნეინა გახდა? ახ, მამაქემს რა ვუთხრა, თორე მე კაი ოცი ათასებსაც ავიღებდი!
- კოწია.** რა ვიცი, ძმაო, ე მე კი ვერა ვშოულობ და? თითქო ერთი გვარისა ვართ, თითქო ჩეც შენი ბიძაშვილი ვარ! ოცი-ათასები არ მინდა, ოღონც ასი თუმანი ვინმებ მომცეს და ხვალვე, ვიზედაც გინდა, ჯვარს გადავიწერ!
- ლევან.** ასი თუმანი, Что за денеки! ე მიწები რომ დავაგირავე, კაი სამასი თუმანიც გამოვიტანე, მაგრამ შვიდ თვესაც არ მეყო!
- კოწია.** შვიდ თვეს მაინც ხო კარგად ვიქეიფებ! მართლა ლევან, თუ ძმა ხარ, ერთი ხუთიოდ თუმანი მასესხე
- ლევან.** დედა არ მომიკვდება, ეხლა არა მაქვს და...
- კოწია.** როგორ, მართლა გაგითავდა ის ფულები ბანკიდან რო გამოიტანე?
- ლევან.** იმ დღეს არ იყო, კაცო, რო უკანასკნელი ათი თუმანი გადავუგდე გოსტინიცის პატრონს,— მე და შენ ჰურჭლეული რომ ჩაულეწეო და ბარიშნისთვინ რო დიდი სკანდალი მოვახდინეთ! ხა, ხა, ხა!
- კოწია.** ხო, მართლა!.. მაშ რა უნდა ვქნა, ღმერთმანი ძიენ მიკირს!.. ეგება შენ სიმამრს რამე დასტყუო, ლევანჯან!
- ლევან.** განა მაგ კრიფანგს შაურს კი დასტყუებ?
- კოწია.** შენ არ ვარგიხარ, თორე, აბა შენ ალაგას მე ვიყვე!— ხანჯალი და მაგისი ჯანი! სუ შამფურივით ვატრიალებ!
- ლევან.** რა, მოყვლა?
- კოწია.** მოკვლას ვინ გეუბნება, კაცო! მხოლოდ შეაშინე: ჯერ ფული სოხოვე და, თუ უარი ვითხრას, ამოიღე ხანჯალი

და შენებურად შეჰქოვლე! — მაშინვე მთელ ცხოვრებას შენ და გიმტკიცებს! ხა, ხა, ხა! აბა მშიშარა სომებს შიშელი ხანჯალი დაანახვე და ერთ ვერსტზე გახტება! ხა, ხა, ხა! არა, ჯერ მაშოს ვეტყვი: ეგება იმან როგორმე გამოართვას.

**კოშია.** უხ, ლევან! რა მაღლობელი ვიქნები, თუ ერთი ხუთი თუმნით ხელ გამიმართამ!

**ლევან.** შენი მაღლობა არ მინდა, ოლონდ ერთი კაცის ჯავრი ამომაყრეინე!

**კოშია.** (მაჯამს გაღიაწვენ) აბა ვინ არი, ვინა? შენ მხოლოდ დამისახელე!

**ლევან.** ე მაგას მეც მოვახერხებ, შენ მხოლოდ მოიტყუე სადმე, თოგა ი ემუ პოკაჯი!

**კოშია.** ვინ არი, კაცო, რა გაწყეინა?

**ლევან.** იმ დღეს „ტროტუარზე“ მივდიოდი, ის გზაში გაჩირული იდგა: მე ხელი ვკარი, — გზა მეოქი! და შიგ წუმპეში ჩავაგდე! ხა, ხა, ხა! თანაც ორიოდე გადავკარ მათრახითა! ხა, ხა, ხა!

**კოშია.** ხა, ხა, ხა! მოლიც, ბიჭო! ყოჩაღ! ვენაცვა შენ გულა-დობასა!

**ლევან.** მერე წამოვიდა ისა და პრისტავთან მიჩივლა! მე იმი ჩივილით არა დამაკლეს რა, მაგრამ ნახოს თავის სეირი!

**კოშია.** აბა ჩივილი როგორიც უნდა, მე ვასწავლი!

**ლევან.** თუ ცალკე ჩავიგდეთ სადმე, ხო კარგი; თუ არა და ერთი მიზეზი უნდა მოუდოთ რამე!

**კოშია.** შენ მაგაზე არხეინად იყავი: მე ვიცი და იმანა! შენ მხოლოდ მიჩვენე, ვინ არი?

**ლევან.** Het, თუ მე თითონ არ ამოვიყარე იმი ჯავრი, ვერ მოვისვენებ!

**კოშია.** მაშ მე ხელში მოგიგდებ იმასა და შენ იცი ლევანჯან, როგორ ზაკუსკასაც მიართმევ! შენ შეგიძლიან, რომ ერთი შემოკვრით კაცი წააქციო!

**ლევან.** ერთი შემოკვრით კი არა, ერთი რო შევუბერო, — სუ ყირა-მალა ვატრიიალებ! — ჩვენ პოლქში ჩემისთანა ლონიერი არავინ იყო!..

- კოწია.** რომელი საათია, ლევან?
- ლევან.** რა დროს საათია, კაცო, ჯერ თერთმეტიც არ არი!
- კოწია.** დღეს ერთ კნეინასთან ჩიხირთმაზე ვარ მიპატიფე-  
ბული!
- ლევან.** იყოს ერთი და, რა დროს ჩიხირთმაა! ჯერ პატარა გა-  
ვიარ-გამოვიაროთ ბულვარზე, რესტორანშიაც შევიხე-  
დოთ—ერთი ორი ბოთლი კახეთისნერი იქ გადავკრათ.  
ზიმნი ბაღში შევიდეთ და ერთ ერთი შანსონეტი პევიცა  
წავიყვანოთ სადმე სადილათ...
- კოწია.** მაშ წამო, გავიაროთ რაღა! — ე ძვირფას დროს რაზე  
ვკარგამო!
- ლევან.** ჯერ ფული ვიშოვო! შენ ე წადი, მანდ საჭმე მომიცადე, —  
მეც საცაა იქ გავჩნდები.
- კოწია.** ძალიან კარგი, კეთილი!
- ლევან.** მოიცა, თითო სტატუსი კუდე გადაუშვათ!
- კოწია.** მაშ მე წავალ და აბა შენც არ დაიგვიანო, ხელცარიელი  
არ მოხვიდე!.. (გადის).

### გამოსცლა მეორე

ლევან მარტო, მერე მაშო.

- ლევან.** ყორთ იმი, რა სკუჩნაობაა, უიზ დედავ!.. ღვინოც აღა-  
რა ყოფილა ახ, ერთი ათი თუმანი ჩამივარდეს ეხლა  
ხელში!.. (შემოდის მიწო) აქ მო, მაშო, შენთან ერთი საქმე  
მაქვს.
- მაშო.** ვიცი, რაც საქმე გექნება! აბა რაღა თქმა უნდა, რო  
ფულები შემოგაკლდებოდა!..
- ლევან.** სწორეთ ეგრე!
- მაშო.** ხო და, მაშ ტყუილათ ისჯები: მე ფული არა მაქვს!
- ლევან.** შენ რო არა გაქვს, მამაშენს ხო აქვს?
- მაშო.** ბევრიც რო ჰქონდეს მამაჩემსა, ის შენ ფულს აღარ მოგ-  
ცემს! ფული მოგცეს, რო წიხვიდე და ქალებში და ლო-  
თობაში ფანტო?
- ლევან.** ეგ ჩემი ნებაა!
- მაშო.** შენი ნებაა და ფულიც შენ იშოვე!

ლევან. გირჩევნიან, ერთი ათი თუმანი გამომირთვა მამაშენსაც და დიდ

რე, დღესვე ხელს ავიღებ შენზე!

მაშო. უმ, თავი კი არ მოვიკლა! ნეტა კი ეგ საქმე ჩაიდინო და დიდ  
მადლობასაც გადაგიხდი!

ლევან. შენისთანა სომხის გოგო, რო კნეინა გახდა! ✓

მაშო. შენისთანა კოტრი კნიაზი რო მე შევირთე! ცარიელი ჩერქეს-  
კით მოხვედი და დიდი გულიცა გაქვს?

ლევან. უი, შე ფოდრაჩიკის ქალო, შენა!

მაშო. როცა მთხოვლობდი ფოდრაჩიკის ქალი არ ვიყავ? — რათ  
შემირთე? — მაგრამ, ხო მშიერიც მოკვდებოდი, რო მე არ  
შეგყროდი!

ლევან. ე მანდ ჩაჩუმდი, თორემ!.. (მიიჩვეს მაშისკენ, მიშო კავილით უვარ  
დათწევს, ამ ღრმას შემოღის არცემა შარმათოვა).

არტემი. (ლავანდა) ეი, ეიძ! ხელი, ფაფას და!

მაშო. ჩამციებია: „გინდა თუ არა, ათი თუმანი გამომირთვი მამა-  
შენსაო!..“ (მაშო გადის).

გამოსვლა მისამ

არტემი და ლევანი.

არტემი. რაო, ათი თუმანიო?

ლევანი. ხო, სწორეთ ათი თუმანი: გუშინ კარტში წავაგე!

არტემი. შენ რო მილიონიც წააგო, ჩემი რა გადასახადია? იმის მად-  
ლიერიც იყავ, რო გაქმევ, გასმევ და გაცმევ!

ლევანი. ვის უბედამ მაგეებსა?!. შენ ჭამა-სმას დიდათ აფასებ და  
იმას კი არაფრათ აგდებ, რო მე, კნიაზ ლამბაძემ, შევირ-  
თე შენი ქალი?

არტემი. ~~ო~~ ლონც გამეცალე, შვილო, და ე კნიაზობაც წაილე, გრაფო-  
ბაცა, ბარონობაცა და ფერდმარშლობაცა. ~~ა~~

ლევანი. მე აქედან ფეხს არ მოვიცლი, სანამ...

არტემი. რა გინდა, შვილო, რა მმართებს შენი? რა მოგიტანია, რაზე  
გაქვს დიდი გული? მიათვალ მოათვალიერე, ერთი სკამი  
კია შენი აქა? ეგ ერთი კნიაზობის მეტი ხო არა მოვი-  
ტანია რა! წაილე ეგ კნიაზობა და მომწყდი თავიდანა!

ლევანი. ჰა, ჩეარა ათი თუმანი ამოიღე, თორე სისხლი ყელში მო-  
ვიდა!

**არტემია.** ხათაბალაა!.. სადა მაქვს, ძმაო, იმტელი შეძლება, რო წამ  
და უწუმ ათ თუმნიანები გაძლიო? შენ რო ეგრეშოშვერ  
მანთაშოვის შეძლებაც არ გეყოფა და მე შენ ფულით  
როგორ გაგაძლო?

**ლევანი.** ჩქარა ამოილე ე ფული, თორე მე შენ გაგაძლობ.

**არტემია.** ამისთანა უბედურობა გინახამთ საღმე? რა ვქნა, ე რა ჭი-  
რი და ხორველა შემოვარდა სახლში! ახ, ჩემ ცოლსა  
და ქალს რა უთხრა! რა გინდა, შვილო, ხო არა დამიშა-  
ვებია რა შენთვინ: რვასი თუმნის მიწები ცალკე დაგი-  
ბრუნე, ცოლს ცალკე გინახამ, შენ ცალკე და შენი ბიძა-  
შვილი კოწიასაგან ხო შექმული ვარ!

**ლევანი.** აქ სომხურ შჩოთებ ნუ მოჰყვები! ჩქარა ამოილე ე ფული,  
თორე შენი სიკვდილის საათი მოყიდა! (სანჯალზე ხელს  
ივლია).

**არტემია.** ბიჭოს! ჩემ სახლში მე მიბანები? ეს კაი ამბავია.

**ლევანი.** თუ შენი სიცოცხლე რათმე გილირს, ჩქარა მოიტა ათი თუ-  
მანი, თორე სუ ლუქმა-ლუქმა აგკუწამ!

**არტემია.** ამყუწამ რა, პალა-პალა! მერე, შენ რაღას გიზამენ? — მგო-  
ნი ციმბირი აქეთ დაგრჩეს!

**ლევანი.** დამრჩეს და დამრჩეს, ე შენ სისხლს ხო დავლევ! (სანჯალს  
იძრობა).

**არტემია.** (გარშის ღრუფენისკერ) მიშველეთ! მიშველეთ!

**ლევანი.** აი, შე მშიშარა, სომხო, შენა! Ax ты трусишка этакий!  
ხანჯალი რო დაინახე, როგორ გაიქცი! რა მძლავრი და  
გულადი კაცი ბძინდები.. ისტორია იქნება  
და შენ ჯავრს ამოვიყრი! (შინალს წამისხამს და გავა).

### გამოსტენა მეოთხე

არტემია და მაშო,

მაშო. (შეშინებული) რა იყო, პაპა, რა ამბავია?

**არტემია.** (დღიულთებული) რაღა რა იყო, რაღა რა იყო... კინაღამ  
ხანჯლით ამჩენა მაგ სათოკემა, მაგანა! რაც თოვი შაგას  
დაახრჩობს, ის თოვი აფსუსია! არა, თუ დღესვე პრის-  
ტავს არ გამოვუცხადე, მე ეგ მოუკლავს არ გამიშვებს!

გაშო. უჩივლე პაპა, სუდში უჩივლე!

არტემი. ეხლა ამბობ მაგასა? წინათ რასა პფიქრობდი, როცა შეგ  
საციმბირესთვინ თავს იკლამდი!?

გაშო. ბარე ეხლა ბევრსა ვნანობ, მაგრამ...

არტემი. (აჯავრებს) „კნეინობა მინდაო, კნეინა უნდა გავხდეო“...

ეგეც შენი კნეინობა! კნეინა კი არა, უკანასკნელი კურტ-  
ნიანი მუშის ცოლი რო ყოფილიყავ, ის არ გერჩივნა!

გაშო. ათას წილათ!.. ნეტა მე ეგ...

არტემი. რო აღარა ქენი, შეილო! რო საუბედუროთ იყავი ატეხილი  
რო კინალამ შენი დაგემართა! კინალამ სახლიდან გამი-  
გარდი და! მაგრამ შენ რა გაგამტყუვნო, როცა სულელი  
დედაშენი უარესსა სჩადიოდა! სადა ბძანდება?

გაშო. დილას ქარგასლაში წავიდა არშეიბის საყიდლათ!

არტემი. აი, ღმერთსა ვთხოვ, რო ან კონკამ გაიტანოს, ან ფაიტონმა  
და ცოცხალი აღარ მოვიდეს შინა! ერთი მობძანდეს აქა!  
ეს ხო სუ იმან შემძლენა, ამ ცეცხლში და ნავთში ხო სუ  
იმან ჩამაგდო!

გაშო. მე მაგას უთუოთ უნდა გავეყარო, პაპა... ✓

არტემი. რათა, შეილო, რათ გამიხადე სახათაბალო საქმე? რატო მა-  
გეებს წინათ არა ფიქრობდი?

გაშო. ახლა მე რა ვიცოდი, თუ ეგრეთი იქნებოდა! (გადის).

### გამოსტოლა მიხურავ

არტემი შარტო, მერე ბაგრატა.

არტემი. (გადის სცენაზე) არ ვიცი, ღმერთმანი, თუ რა უნდა ვქნას  
გავყარო ჯეარ დაწერილები?—საისტორიოთ დავედო,  
ქვეყანა ჩემს ევალენები... აი არც გათხოვილებში  
მყავდეს, არც ქვრივებში... კაცო, უნდა წამალი დაედოს  
თუ არა?.. აი წამალი რა იქნება: ეგ, აუცილე-  
ბელია, შეჰქრამს სალმე თავსა, კაცს შემოიკლამს და კა-  
ტორლაში წავა. აი ეს ულვაში ძალისა იყვეს, თუ მაგას  
ციმბირი ასცდეს!.. (შემოდის შაგრაფა).)

ბაგრატა. არტემ, როგორა ხარ, არტემი?!

არტემი. ისე შენი მტერი იყვეს, როგორც მე ვარ! დანა დამცე—  
სისხლი არ გამომივა!



ბაგრატა. რა, კიდევ გაჯავრებს შენი სიძე—კნიაზი? არტემია. კნიაზი იმასა და იმის თავსა, ი რო კაცია!

ბაგრატა. რა იყო, ფულებ ხო არა გოხოვს? არტემა. ფულის თაობაზე არ იყო, რო ეხლა კინალამ ამზანჯლა?

ბაგრატა. ახია შეწერ, რაო მიეც ქალი!

არტემა. მე მივეცა?! „მოლა მასრადინა ჯოჯოხეთში არ მიღიოდა, ხელი ჰქერეს და ჩააგდე!“ კაცო, რო აღარა ჰქნეს, რო აღარ მომისვენეს! ცალკე ცოლმა, ცალკე ქალმა: კინალამ ქალი სახლიდან გამიგარდა და!

ბაგრატა. აბა, შენ ალაგას მე ვყოფილიყავ და ვაჩერენებდი სახლიდან გავარღნასა.

არტემა. კაცო, ამნაირი ცეცხლი და ნავთი, ამნაირი ჭირი და ხორველა გინახამ საღმიე?!.. ვაშმევ, ვაშმევ და თანაც თავზე კაკალს მამტვრევს!

ბაგრატა. ან რათ აქმევ, ან რათ ასმევ: ქალი გაგითხოვებია, მზიოები მიგიცია...

არტემა. რვაასი თუმნის მიწები დაუტბრუნე! (შემლზე სელს შემოვრთმეს) აი, დაგიდგეს ჰქუა არტემი!

ბაგრატა. დაუტბრუნე და რალას გიზის აქა? ე თავისი ცოლი წაიყვანოს და საცა უნდა იქ აცხოვროს!

არტემა. „აცხოვროს!“ სამი შაური ჯიბეში არ უძევს, პაპიროზის ფული არა აქვს და ეგ ცოლს აცხოვრებს!?

ბაგრატა. მერე მიწები რა უყო?

არტემა. მითომ არ იცი!.. მიწები დაგირავა. სამასი თუმანი გამოიტანა და ფაფასებ ერთ დღეს შეჭამა! მიწები კი არა, რაც ბაქოში ნავთის მაღნებია, რაც ზღვაში კენჭებია, სუ რო ფულათ იქცეს და ხელ აღებით მაგას მისცენ, მაინც ხელის საბანათ არ ეყოფა! რას ამბობ, კაცო, ქალალდს ეგა თამაშობს, ლვინოს ეგა სეამს, ქალების ახოტნიკი ეგ არის...  
h

ბაგრატა. ერთი სიტყვით, ყოფლისფრით შემკული ყოფილა, რალა!

არტემა. კაცო, საცა დამშეულ კნიაზს ნახამს, შემოჰყავს ჩემს სახლში და აძლობს! მე მართლა აქ ბალადელნია კი არა მაქვს გამართული!

ბაგრატა. მერე კნიაზებს ხო გაფუფქეული მგელიც ვერ გააძლობს!.. ეგრე გულ-უხვი შინიდან მობძანდი თქო!

არტემი. კაცო, გამიკითხე, ერთი წამალი დამდე ჩამე და მისამართებული ბაგრატა. „მკვდარი მკვდარს აეკიდა—მეც სამარემდინ შიმიტანეო!“  
გასაკითხიც მე ვარ და საწამლელიცა!

არტემი. რა იყო, ზენ ჩალა ჭილ-კოტი აგიტყდა?

ბაგრატა. ამაზე შეტი ჩალა უნდა იყვეს: შარშან რო თავადიშვილის ძიწები ვიტორგე...

არტემი. მერე?

ბაგრატა. წავედი ღალების ასაკრეფათ და იქ კი შეიარაღებული კნიაზები და ჩეჩენები დამხვდნენ: ასე გეგონებოდათ ომი გაჩერილა და მტრის დასამარცხებლათ ემზადებიანო...“

არტემი. რაო, რა მინდაო?

ბაგრატა. მარცვალსაც ვერ წაილებო!

არტემი. მითომ რატომაო?

ბაგრატა. იმიტომაო, რო ამ მიწებში ჩვენც გვიძევს წილიო: ბიძა ჩვენმა რო დააგირავა, გაუყოფელი იყოვო...

არტემი. მერე, რატო მაშინ არ წამოდექით, როცა ტორგიდან იყიდებოდა-თქო? ან ბიძა თქვენ როგორ შეეძლო...

ბაგრატა. როგორც ეხლა მე ამ სახლში წილი არ მიძევს, ისე იმათ იმ მიწებში! მაგრამ უნდათ მოიმიზეზონ ჩამე თუ არა? „მიზეზ მიზეზ, ღოს მარილი აკლიაო!“

არტემი. მერე წაგართვეს ღალა?

ბაგრატა. სამასი კოდი პური და ქერი მომტაცეს, თანაც კინალამ ლუქმა-ლუქმა ამჩენეს! მოვდიგარ და თანაც მომქიფიან: „სომეხო, შეგვშინდაო! აი რუსის ზაქონი არ იყვესო, გაჩვენებდით ზენ თამაშასაო!

არტემი. მერე, ი გლეხეაცები რალას აკეთებდნენ?

ბაგრატა. ასე დააწყვიტეს წელები ი გლეხეაცებსა, რო ნაბდლვრიალი ზეცაში ადიოდა, ვინც კი იმათი მხარე არ დაიჭირა, სუ მათრახებით გაულიტეს! ზოგს კამბეჩი წაართვეს, ზოგს ცხვარი, ზოგს ცნენი, ზოგს ძროხა...

არტემი. ახლა რას აპირებ?

ბაგრატა. უნდა გლეხეაცებს უჩივლო: მე გლეხეაცებთან მაქვს საქმე, თავადიშვილებთან რა მესაქმება! „ანაბაზი მეგლმაც იცის“—სუ იმათ კისრიდან ვიზლამ! რატო ერთი პირი არა აქვთ: მთელი სოფელი ოცსა და ოცდათ კაცს ვერ უნდა.



მოერიოს? „ჩევნი რა ბრილიაო, ჩევნ რათ უნდა გაბდავინადოთ შენი ღადა შენი ღადა გავიჭყლიტოთ შენ და თავადიშვილებს შეაო!“ კაცო, შენ რო ცხვარი მოგაბარო და ახლა იმ ცხვარში გადმოვივარდენ მგლები და გაგიწყვიტონ ფარეხი, მაშ ჩემი ცხვრები აღარ უნდა ჩამაბარო, საქონელი აღარ უნდა მაჩვენოშ!

**არტემი.** შენ ი გლეხეკაცებს მაგრა დაუჭირე კისერი! ალბათ ი თავადებმა შენზე ნაკლებ-ნაკლები გამოართვეს ღალა და იმათაც იმიტომ ირჩიეს კნიაზების მხარე! ახლა კნიაზებს კი არ უჩივლებ?

**ბაგრატი.** ი გლეხეკაცებს რო უჩივლებ, ახლა ისინი ი კნიაზებს არ უჩივლებენ.. მაგრამ „სანამ პეტრე მიეშველებოდა,—პავლეს ტყავი გასძრაო!“ სანამ სულში გაირჩევა საქმე, სანამ კნიაზები ი ღალებ გაჟყიდიან და შეთოხლამენ! მერე წადი და ზდიე! ხო არც არა აბადიათ რა, რო კაცმა აუწეროს და იქიდან ახნაზღაუროს!

**არტემი.** დასწუყვლათ ღმერთმა, რა სამგლე გოჭებივით ატეხილან!

**ბაგრატი.** ატეხილან და ნახონ თავიანთი სეირი! მართლა არტემ, ერთი ოცდა-ათი თუმანი არა გაქვს, სამი დღით მასესხე!

**არტემი.** მიირთვი, რათ გინდა, ფული შემოგაკლდა?

**ბაგრატი.** არა, კაცო, ჩემი ფული გავეცი და ეხლა ერთი სანდო კაცი მესესხება, კაი სარგებელს იძლევა.

**არტემი.** რა კაცი ხარ! ჩემგან ორ შაურობაზე ფული უნდა წაიღო და სხვას ათ შაურად ასესხო! აზირ მე თითონ ვნახო ივიღაც სანდო კაცია: „ლუქმა გავარდეს,—ჯამში ჩავარდესო!“

**ბაგრატი.** კარგი ერთი, არტემ, და! განა ნათესავებში ეგეც უნდა იყვეს? არა გრცხვენიან, რო მოყვარეს ეცილები? მე ხო დიღხანს არ მინდა: იმ კვირია პურს გავყიდი და შენ ფულს ჩაგაბარებ... თუ გინდა ვექსილაც ჩამომართვი!

**არტემი.** კარგი, შე სულელო, გეხუმრები! წამო მოგცე. (გადიან).

## გამოცვლა მემკვეთი

მარტინ ბერძენიშვილი  
სიმაგრიული მუზეუმი

შაშო მარტო, და მერე სოფიო.

შაშო. (გადის სცენაზე) მეც მითომ რომანიულათ გავთხოვდი, მეც მი-  
თომ რომანიული გერი შევიროთე.. (მწაროვა) ჰმ!.. სამ  
სამი დღით სახლიდან იქარგება, —თვრება: მოვა შინა და  
ხანჯალს იღერება! სჭამს, სვამს, გამოიძინებს და სასკან-  
დალოთ გავა გარეთ: ხან, სცემს ვისმე, ხან ავეჯიულობას  
დალეჭს რესტორანში და სამ-სამი დღით პოლიციაში  
ზის.. (მემტის სოფიო).

სოფიო. (ნავაჭრს კურეულები გასძებს) რა იყო, გენაცვალე, რათა ხარ  
დალონებული? კიდევ ხო არა გაწყეინა რა იმ...

შაშო. საცემრათ იწია და...

სოფიო. როგორ თუ საცემრათო?

შაშო. ათი თუმანი გამომირთვი მამაშენსაო.

სოფიო. ათი სახარება გაგიწყრეს-თქო, რამდენჯერ უნდა...

შაშო. პაპამ რო უარი უთხრა, იძრო ხანჯალი და კინალამ მოჰკლა!

სოფიო. ქა...ა..ა, ეს კაი ამბავია, ეს სახუმარი აღარ არი!..

შაშო. სახუმარო კი არა, თუ მე მაგას არ გავეყარე, დავშლექდები  
რაღა, დავშლექდები!

სოფიო. არა, გენაცვალე, შენ გულ დაუხმე; გაყრა როგორ იქნება!  
მაშინ ხო თითოთ საჩვენებელი გავხდებით: მოელი ქვეყა-  
ნა ჩვენზე ილაპარაკებს! ასე კი არ იტყვიან, რომ შენ  
დაანებე თავი; —ალბათ ქმარმა მისი ცუდი საქციელი  
ნახაო და...

შაშო. რაც უნდათ — ისა სოქვან, მე მაგასთან ვეღარ ვიცხოვრებ,  
ვეღარ, ვეღარ და ვეღარ!

სოფიო. შვილო, შენ არ იყავი, რო მაგისთვინ თავს იკლამდი? შენ  
არ იყავი, რო...

შაშო. ვით ეს და და და და! მე რა ვიცოდი, თუ ეგრეთი იქნებოდა? მე  
მაშინ სულელი ვიყავ, ტუტუცი ვიყავ!

სოფიო. ეხლა რაღა გაეწყობა, გენაცვალოს დედა; როგორც იყვეს  
უნდა მოვითმინოთ.

შაშო. თქვენ მოითმინეთ, მე კი ვეღარ მოვითმენ! (გადის).

სოფიო მარტო, მერე არტემია.

**სოფიო.** ახლა ნახეთ ჩემი ქმრის გაცოფება თორე, აქამდინ რა უჭირდა! ხანჯლით უწევია! ეხლა სუ ჩემზე იყრის ჯავრსა! ახია ჩემზე, კიდევაც ცოტაა! არა, რამ შემსვა ეშმაკის ცხენზე და რამ მიმაცემინა ქალი მაგ გიჟისთვინი? რა ვიცოდი? ვთქვი: ე ფული ხო გვაქვს, ახლა დიდკაცობა-ღა გვაკლია მეოქი. ის კი არა, თუ დიდკაცებშიაც გამოვწყდით და პატარა კაცებშიაცა! უი დამიღებეს თვალები! უი მომიკვდეს მე თავი! ახლა რამდონ დამცინებენ ისნითორა და კატარინე! განა არა, იმ დღეს ლოტოში რაღაც ჩურჩულ-კურქური ჰქონდათ, (მზელში ჩაიკრავს) დახე, მტრის გულისა არ გაეხდი! (დაღ სიჩუმე. შემოღის არცება) კაცო, რა იყო, რა ამბავი ყოფილა?

**არტემია.** ჰმ! თანაც რო მყითხამს! ოხ, უნდა აგილოს კაცმა და გახურებულ თონეში ჩაგვიდოს!.. ეს ხო სუ შენ შემძლვენი, შენა!

**სოფიო.** მე რას მომწვდები ხოლმე: შენ რო სიძესთან უსიამოვნება მოგივიდეს, ჩემი რა ბრალია?

**არტემია.** ჰყურობთ ამასა!.. ეხტიბარსაც რო არ იტეხამს!.. დედა-კაცო, რა გჯიდა: ან მე რათ გამაუბედურე, ან შენი ქალი?

**სოფიო.** მე რა ვიცოდი, თუ ეგრეთი იქნებოდა: მე ხო მართლა გულობისანი არ ვიყავი?

**არტემია.** კარგი, ეგ ეგრე იყვეს! სახლში რალათ შემომაყვაინე ეგ ლანგ-თემური, ეგა?

**სოფიო.** რა ვიცი, ვსთქვი: სანამ ალაგს იშოვის მეოქი...

**არტემია.** რა ალაგს?

**სოფიო.** მაგი დედა ბალემ არა სოქვა: „ბანქში ალაგს დამპირდნენ ლევანისთვინაო“.

**არტემია.** ბანქში კი არა, თუ არ დაგიშლია, პალატის პრესედატლობას მისცემენ, ან ფრანციის პრეზიდენტს გადმოავდებენ ალაგიდან და მაგას დასვაძენ! (შემოღის შიჭი საღმი უჭირავს გაფენილი ხერჯინი და იაფავბენ სდებეს).



სოფიო. რა არის ეგა, ვინ / მოიტანა?

ბიჭი. კნეინა და კნიაზი ჩამობრძანდნენ სოფლიდან. (გადას). უკრაშებული  
არტემა. ჯერაც არ მობრძანებულან!

სოფიო. მაღლობა ღმერთსა! (შემოდის შაბალი).

### გამოსცლა მირზე

იგინივე და ბაბალე, შემდევ დავითი.

ბაბალე. დავითი, ე მანდ, თამბაქოს საყიდლათ მივიდა,—საცაა მოვა.

არტემა. (იძით) თუ დაიგვიანა, ძაან დავემდურები!

ბაბალე. სხვაა... ჩემი ლევანი როგორ არი, ენაცვალოს იმას დედა? ერთი თვეა აღარ მინახამს!

არტემა. რა უჭირს: მშენივრათა სჭამს, სვამს, თვრება...

სოფიო. ქალალდს თამაშობს ..

არტემა. ხანჯალს იღერება...

ბაბალე. (დიმილით) ჯერ ისევ ბავშვია, ენაცვალოს იმას დედა!

არტემა. კაი ბავშვია ოცდაერთი წლის ახმახი!

ბაბალე. რაო? „ახმახიო?“ პირი გამოირეცხე და ისე ახსენე!

არტემა. ლადიკალონებით გამოვირეცხამ,—წყალსაც არ ვაკალრებ!

სოფიო. არა, ძიელ რო იტკიცე: შენ უბედურ შეიღლს არ იცნობ, თუ როგორ არი?

ბაბალე. როგორ თუ „უბედურსაო“? ოთხივ კუთხივ ჯვარი ეწეროს!

უბედური თქვენა ხართ და არც არს ვცირი რა! იმან

რო თქვენი გომბიო შეირთო, მართლაც რო უბედურია!

სოფიო. (ღობინათ) რაო? „გომბიოო?“

არტემა. (შაბალის) არა, ვინ გეხვეწებოდათ: „ჩვენი გომბიო შეირთოთ?“

ბაბალე. რატო კიდევ არ გიხარიანთ, რო თავადიშვილებს დაუმოყვრდით?

არტემა. ცას ვეწევი რაღა, ცასა! სიხარულით ფეხზე აღარა ვდგევარ!

სოფიო. თქვენისთანა თავადიშვილებს რო..

ბაბალე. (აწყვეტილებს) ვაი თავადიშვილების უბედურებასა, რო თქვენისთანა პოიოების სახსენებელიც გახდნენ! იყო დრო, რო თქვენისთანაები მოჯამავირეთ გვადგნენ!

აზიანი.



არტემა. იყო და აღარ გახლავს!

სოფიო. რაო? „მოჯამაგირეო?“ შენისთანა კნეინასა ორმოც უსუმშობა  
ეიყიდით და გავყიდით, იცი თუ არა?

არტემა. პოიოებიცა ვართ, მოჯამაგირეებიცა ვართ, ფოდრაჩიკებიცა  
ვართ, ნუ, მოგვწყდით თავიდანა და!..

სოფიო. ვინ ვის ლუკმაზეა?

ბაბალე. ჰმ!.. როგორ აშეარათ გეტყობათ დაბალთაგანობა!

სოფიო. რაო? „დაბალთაგანობაო?“ შენ თუ მაღალთაგანი ბძანდები,  
ერთბაშათ თავზე კი არ გადამახტე! შენ შალის კაბა გა-  
ცყია, მე—ფარჩისა! შენ ნივთი სსუდნოი კასაში გაქვს  
დაგირავებული, მე—შინა მაქვს! შენ ცარიელ ლობიოზე  
ირთმევ სულსა, მე ყოველ დღე სუფსა და კატლეტსა  
ვჭიდმ.

არტემა. (ბაბალე) ეხლა ვართ დაბალთაგანი, როცა ტვინი ამოგვ-  
წოვეთ?

ბაბალე. ახია ჩვენზე!—თქვენი ქალი რო რძლათ შევიყვანეთ, კნეინა  
გავხადეთ...

არტემა. იცის ღმერთმა რო, როგორც ურია ღორისხორცა, ისე ვე-  
რიდებოდი მაგ კნეინობასა!

სოფიო. ძიელ არ ეტყობა შენ შვილს კნიაზობა: წამ და უწუმ ცოლს  
ცემას უქადებს!

ბაბალე. „ქაი ცეხი მათრახს არ დაირტყამსო“—ალბათ ი თქვენმა  
არ დასარჩენმა ქალმა...“

სოფიო. არ დასარჩენი ისევ შენი შვილია! ჩვენ ქალს ჯვარი ეწეროს!

არტემა. (ბაბალე) რა გინდათ: დედავ და თვალო: აღარ ჩამომეხსნე-  
ბით, აღარ გამეცლებით? ჩემი სახლი პოსტაიალი დვო-  
რი კი არ არი!

სოფიო. „გოსტინიცა“ როდია! (შემოდის დავითი).

დავითი. რა იყო, რა ამბავია?

ბაბალე. ის ამბავია, რო კარგათ გამომშუპრეს ამ უსვინდისოებმა და...

სოფიო. უსვინდისოც...

არტემა. (აჩყვაჭილის) შენ ე მანდ შენთვის იყავი!.. კნიაზ დავით! მე  
თქვენ შვილს ველარ გაუძლებ!

ბაბალე. ვაი ქვეყნის ოხრობასა, რო—

დავითი. (ცოლს) მოიცა!.. (ატყემდნ) რა, კიდევ გაჯავრებს?

არტემა. „მაჯავრებსიო?“ რას ამბობ კაცი, აქაურობას იქლებს! ერთი ნიმუტი იმისგან მოსვენება არა მაქვს! წამ და უწუმ ხანჯლით თავზე შადგია: „ჩქარა ფული მოიტაო!“ მე მართლა აქ „ხაზინა“ კი არა მაქვს!

სოფიო. რა ენა და პირი მოსთქვამს...

არტემა. (ცოლა). დაჩუმდი მეთქი! როცა მე ვლაპარაკობ, ზენ ნუ წამო-ეჩრები ხოლმე!.. (დავითა) რაც გარეთ აპნევს ფულს, ხო აპნევს, ახლა რაც შინ მასტი-ბუბუებსა მართამს, ის კიდევ სხვაა! ჩემ დაუკითხავათ...

პაბალე. შენც უნდა დაგვეკითხოს თავადიშვილი?

დავითი. დაიცადე, ბაბალე, და! (არცებას) მერე?

არტემა. რას მოგახსენებდი: ხო, შემოჰყავს ჩემ სახლში თავი ამქარი: აჭმევს, ასმევს... შე დალოცვილო, მე მართლა აქ ქარხანა კი არა მაქვს, თქვენი შვილი რო შევინახო...

დიგითი. (ამთავრით) ეხ, არტემ! მე ხო ჩემ შვილს არ უსარჩლდები, იმი მაღრიელი ძალლი იყვეს, მაგრამ შენც ვერაფერი პატიოსანი კაცი ხარ!

არტემა. როგორ?

დავითი. როგორ და ისე, თითო ლუკმას მამასისხლათ აფასებენ! აბა რა პატიოსანი კაცის ქცევაა ეგ დაყვედრება, ჭამა-სმის ჩამოთვლა?

არტემა. ყველა ანგარიშია, კნიაზო! მე სომეხი კაცი ვარ,—ჩემი ოფ-ლითა ცცრხოვრობ!

დავითი. კარგი, მაგაზე ნუ მიგარდება, თორე ვიცი, რა ოფლითაც ცხოვრობ! (სელი-ბულ ჩავიღებული მარბაცით, შემთვარი ღვავან და კორია, ჭურვი გარება ჰქონდა) ლევანს შინაღი ცელ მსარტჲ ჰვიდია და ეტრევა. ძლიერ მთვრალი არიან, მუწ-რიან: „სადა სარ ჩემთ... თ სელიკო... თ?... შენ სომ არა... ა სარ... სელი... ივთ?“ შემთვლი თუ არა, კორია ერთ-ერთ კუმუნიკაცია დაწერა და მიღება სელინჯახაც ამთემვებს. მეორე კუმუნიკაცია ღვავან დაწერა და მიღება, თანაც დაწერა და მიღება: „სადა... ლის... სადა... ლა... ანა ჭაბუ... ებდო... ის... ის... ის!“

ბაბალე. როგორა ხარ, გენაცვალე? (კლეის. რამდენჯრმა) რათ გამ-ხდარხარ, შენი ჭირიმე, შენი?

დავითი. ამი ცემერას, რო მოკვდეს კაცი, ისა სჯობიან, რალა!,



არტემა. აი, ყოველდღე ეს ამბავია, კნიაზო!  
დავითი. (შვალს) შე უბედურო, შენა! აბა ეს რა ამბავია შენ თაღსა?  
ბაბალე. დექხსენ! ცოტა ნუნუა გადაუკრამს და პატარა ქეიფიანათ  
არის, გამოიშუშება და მარგალიტივით ბიჭი იქნება ისევა!  
ენაცვალოს და წამლათ დაენაყოს ამას დედა! წამო, შენი  
ჭირიმე, წამო შენ გენაცვალე, ლოგინში ჩაგაშვინო—არ  
გაცივდე!

სოფიო. აი, დამიდევს თვალები, რო შენისთანა ლოთ-პაჟარნისა ქალი  
მივეც!

ბაბალე. ი....ი, მართლა? ამისთანა ლოთი-პაჟარნი, ერთი ათიც გე-  
ყოლება, შენმა თავის მზემა!

არტემა. არც მყავს და ნურც მომცეს!

ლევანი. (თოთქოს გამოიყენება ბაბალე) წამოდგება მატბაცით და საძჯალო  
ხელს (ივლებს) ო...ოხ, შე...შე...გაბე...ერი...ლო...ო სომე...  
ეხო!.. ერთი...ი შენი...ი სის...ხლიც... (დაუცილებელი)

დავითი. რას სჩადი, შე!.. გინდა საციმბირეც გახდე?

ბაბალე. (ესვარა შვალს) დაანებე, გენაცვა, თავი; აბა ე მაგაზე უნდა  
ხელი გაისვარო! წამო, წამო შენი ჭირიმე... (ბალად წა-  
მოაცემეს და გაიცავამს).

დავითი. ისე ჩემი შვილი არ არი, როგორც ესა! (კორაცხელი) უთითებენ  
სუ ამან გადაირია, სულა!

არტემა. არა, ეს მამაცხონებული, რამდენიც დაოვრება აქ რაღას  
მორბის ხოლმე! ჩემი სახლი ბალნიცაა, თუ რა არი!..  
(შემოვის ბორცოლი).

გამოსვლა მიცხერე

ივინივე და ბოქაული.

ბოქაული. კნიაზ ლევან და კნიაზ კოშია ლამბაძები აქა ბძანდებიან?  
თავადი. (კანკალით) აქ...აქ...არიან... არა, მეონი... წავიღნენ... რა იყო?  
ბოქაული. კაცი შემოაკვდათ და ის იყო!...

დავითი. (წამომარტინი) ვაიმე!.. ვაიმე!.. ვაიმე!..

არტემა. (იძით) როგორ ენამ მიყივლ!.. (შორაულს) როდის, როგორ?  
ეხლა აქ არ იყვნენ?

ბოქაული. მე არ მცალიან, რო აქ მუსაიფი დაგიწყოთ!.. ემ ერთი  
საათის წინათ ეგ ყმაშვილები აქ ახლო რესტორანში შე-

სულან და ლვინო გადაუკრამთ. ამ დროს, ამავე რესული რანში შემოსულა ერთი კაცი. მაგ ყმაწვილებს, არ ვიცი, ჯავრი სჭირებიათ იმ კაცისა, თუ როგორ არი, დაუძანიათ: „აქ მოდიო!“ ის კაცი მისულა, მაგათ უთქვამთ: „წადი ისევ შენ ალაგას დაჯექიო!“ ის კაცი ისევ თავი ალაგას წასულა. მაგათ კიდევ დაუძანიათ: „აქ მოდი ემ წუთშიო!“ იმ კაცს რო პასუხიც არ მიუცია, დაუყვირნიათ: „აქ მოდი, როცა გიბძანებთო!“ იმას უთქვამს: „ბატონი მობა დიდი ხანია გადავარდაო!“ ეგენიც წამომხტარან: „როგორ თუ გადავარდაო...“ (ბებოდის შამალი და შორის რთ დაინახვა, იძვე შიგნირება კარგი) მისცვივნაან და სულუქმა-ლუქმა დაუჩეხიათ ხანჯლითა!

**პაბალე.** (პირზე ხელის მიიღებულის და კუშიურკაზე დაუწერა): ვაიმე შვილო! მოგიკვდეს დედა, შვილო, მოგიკვდეს!.. (მუსლიმი წაიშენ ხელის).

**არტემი.** (შორის რთ დაინახვა) მერე... არავინა ყოფილა იქა... არავის გაუშველებია?

**ბოქაული.** ჯერ სულ ცოტანი ყოფილან და ვისაც მიუწევია გასაშველებლათ, ყველასთვინ ამ ყმაწვილებს /ხანჯალი და ხმალი ულერებიათ!

**თავადი.** (თავზე ხელი წაიკითხა და ხუამშე დაუწერა) ვაიმე დალუპულო ოჯახო!! დამცირებულო გვარო!!

**არტემი.** (საჭირო დოკუმენტი) „წყლის კოკა, წყალზე გატყდებაო!“

ვორი 1899 წ.

(ფარდა)



## ପ୍ରାଚୀନ ଶାସକିରେ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ

ଓରୁ ମନ୍ଦିରପତଙ୍ଗବିନୀ ପୂଜାମହାପାଦା

am. 88960 30660:

୬ ଶ୍ରୀକୃତ୍ୟେ ବ୍ୟାନିକି ହାରାଲଙ୍ଘଗ—୬୦ ଫିଲିସି.

ବୋନ୍ଦୁ—ଅମୀଶି ଉତ୍ତରପ୍ରଦେଶ—48 ଫଲିଶା,

ვანო—ექიმი, 26 წლისა.

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ, ୧୦, ୧୯୫୮ ।

— 50 ମେଟ୍ରୋ— ଶିଳ୍ପିଙ୍କ— ହାତୁଙ୍ଗପଥରିଙ୍କ ନାଚିନ୍ଦୀ

ପ୍ରକାଶ—୫୦ ମୁଣ୍ଡର. ପ୍ରକାଶ—ତାଙ୍କରୁଷ୍ୟଗତ ଉତ୍ସବ  
ଏଥିର ମଧ୍ୟ ଯତ୍ନରେ ଅର୍ଥରେ ୨୫ ମିନ୍ ହାତୀ—ବୃଦ୍ଧିରେ

ଗ୍ରାମ—ବୀରପାଳ ଜୁହୁପାଲିକା, ୨୫ ଟଙ୍କ. କ୍ଷେତ୍ର—ବିଦ୍ୟୁତ୍ ପାରି.

გიგო—49 ულის— გარალევისი ბორჯომი გამეცა.

ମୋହନ୍—୧୯

๘๖๙

માન કોરપોરેશન ૩૦૬૩૧૫૦

(ფარდა აინდება ზარალოვის სასტუმრო ოთახში: იატაკი დაფენილია წალიჩით, შეუ კედელთან დგას გძელი „კუშეტკა“ ფარჩის ბალიშებით და მუთაქებით. „კუშეტკის“ წინ—რგვალი მაგიდა ხავერდის სუფრით დაფენილი. ზედ: ლამაზუა, ალბომი, საფეროლე... მაგიდის გარშემო—რამდენიმე რბილი სავარებელი. მარჯვნივ: კუთხეში—პიანინო თავის პატარა „ტაბურეტკით“, მარცხნივ—„ეტაჟერგა“ სავეს ჭიგლებით და ნოტებით. „ეტაჟერგის“ და პიანინოს თავშე: პატარა-პატარა კალათებით ქალალდის ყვავილები და სხვა წვრილამი სამკაული... პიანინოს უკან კუთხეში—შეღებილი ბოჭკებით მცენარეები, ფანჯრებში—ქილებით ყვავილები, მარცხნი კედელზე ჰქიდისა სარეკა, რომლის ქვემოდ დგას „ლომბერნი“ მაგიდა აქა-იქ ორთოდე ჩალის სკამი—რამდენიმე სურათები—კედლებზე და ფარდები ფანჯრებზე ასრულებენ სცენის მორთულობას. სცენას აქვს ორი კარები: მარჯვნი კარები გადის დანარჩენ ოთახებში, მარცხნა—დყრეფანში. სცენაზე არიან სტეფანი და მისი მეულეო ნინო).

გამოცვლა პირველი

სტეფანე ჭავჭავაძე

**ს ტელანე.** (თვლის თითოებზე). სამი წელიწადი უჩიტლების ფული—გე-  
მნაზიის თვეების რო ვამზადებდი, რვა წელიწადი გემნაზია;



ახლა ექვსი წელიწადიც უნივერსიტეტი; თვისაბჭოს მფლობელი თავზე რომ სამ-სამ თომანს ვზდებდი კანვერტში და მოსკოვში ვგზავნიდი! ახლა..

**ნინო.** კაცო, რად იცი გაზევიადება! საიდან ექვსი წელიწადი, როსულ ხუთად-ხუთი კურსია?

**სტეფანე.** შე გამოჩერჩეტებულო, შენა! ის კი დაგავიწყდა, როერთი წელიწადიც ბუნტის თაობაზე დაპკარგა! აბა მაშინ კი არ დამღვრა და დამანელა!

**ნინო.** სიბავშით მოუგიდა, სტეფან, სიბავშით!

**სტეფანე.** კაი სიბავშე იყო, რო კინალამ ჰქონიდან შევიშალე! რას ვამბობდი?.. როდი-ლა მახსოვს!.. ხო... ახლა ქნილიკა და სტრუმენტები, ახლა წიგნები, ახლა ჩაცმა-დახურვა, ახლა აქედან და იქედან გზის ფული ზაფხულობითა... ერთი სიტყვით, რაღა, თავის სარგებლით რო ვიანგარიშო, ორი-ათასი ნაღდი—კაკალი თუმანი ისე მიზის ვანოს სწავლა, როგორც ერთი გროში!

**ნინო.** ალალი იყენს, ენაცვალოს იმას დედა! აი, ეხლა მოვა და ორი-ათასებსაც შემოგვიტანს, და ოცი ათასებსაცა! ნათქვამია: „დავწერილშვილდი—დავიწიეო, დამეზარდნენ—ავიწიეო!“ ჯერ დაბინავდეს, პრაქტიკა გაიჩინოს, ხალხი გაიცნოს! ე... ეხ, სტეფან! ნეტაი კი შენ ეს სახლები გადაგექეთებინა და არა მინდოდა-რა!

**სტეფანე.** ერთი მითხარ თუ, ამ სახლებს გადასაკეთებელი რა სჭირს? (მიასედ-მოისედვა) ხო ხედამ გალიციინისეფა ვდგევარ!

**ნინო.** კოჭიც კი მიუგავს გალიციის დვარეცსა! ძეელებური აკოშკები, დაბალი ჭერი, ან ამნაირ კარებებს სადღა ნახამ ეხლა? დოხტური შვილი ემისთანა ქოხმახებში უნდა დააყენო? ერთი სამი ოთახი ჯერ მარტო იმას მოუნდება. ეხლა ხო ჩენ უბრალო ხალხი ალარა ვართ, სტეფან!

**სტეფანე.** მაშ არა და, ღუნდუქ-კარსაკოვის ჩამომავალი ხარ!

**ნინო.** განათლებული შვილი გვხავს, განათლებულად უნდა ვიცხოვ-როთ! შენ ერთი პოვერიც დაიჭირე, ჩემი სტეფანჯან!

**სტეფანე.** მაშა, მაშა! სუ მაგას არა ვფიქრობ! სხვა კი აღარა გნებავს რა? პოვერის პომოშნიკი რალად დაგავიწყდა? აი! „რაც არ ექნას მამაშენსა, შენც ნუ დახევ მარმაშებსაო!“ რა, პაპაშენს ადგა პოვერი და ლაქია, თუ პაპაჩემსა?

ნინო. არც ერთს არ აღგა, მაგრამ ჩვენ შვილს კი უნდა-ზღვები  
ათასიც რო თქვა! მაშ რო მოვა, ხეპრე ბიჭის გაკეთებული  
საჭმელები უნდა აჭამო?

სტეფანე. რა ვენა... კვდარს დაასევენებენ და მე ხომ ცოცხალი ადა-  
შიანი ვარ! ვალითა და გაშითა, წვითა და დაგვით შვი-  
ლი გამომიზდია, ახლა მობრძანდეს და კეთილ ცხოვრე-  
ბას იმან დამაჩვიოს, ბლომანუების ვემო გამაგებინოს!

ნინო. მაგასაც მოესწრები, ჩემო სტეფანჯან, მოესწრები, ნუ ხარ  
სულსწრაფი! „ალდგომა და ხვალაო!“ მოვა დრო, რომ  
ჩვენს ბედს ჩვენვე დავნატროდეთ!

სტეფანე. ლმერთმა ინებოს, ლმერთმა ჩემი ამაგი ფუჭად ნუ ჩატა-  
როს!

ნინო. ფუჭად, დიალ! ენაცვალოს იმას დედა, ის სხვა შვილია! ი  
რომ, დედის იმედია! მიკვირს და გამკვირებია, თუ ამ  
უჩ წელიწადს ან კი როგორ გასძლო ჩემმა გულმა იმის  
უნახაობით! შარშან და წრეულს ზაფხულს ხომ არ მო-  
სულა!

სტეფანე. აი, დღეს მოგივა და ჭერში ჭუდი პარი! ვინძლო ლოტო-  
ლოტოზე გამართო! (საჭირო გლობა) ეხლა გამაკოტრებს ეს  
ოჯახ დაქცეული! ჯიბის ბარაქას გამომილეს!

ნინო. ოღონდ კი მშვიდობით მოვესწრო ჩემი ვანოს ნახევასა და  
ლოტოსაც გავმართავ, ვერტუშვასაც! რა დამიშლის? მე  
შენ გითხრა, ბერნიერი დედა არა ვარ, დოხტრური შვი-  
ლის პატრონი. ერთი ეს ქალიც რო გავათხოვოთ, სტე-  
ფან-ჯან, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფს!

სტეფანე. სონას გათხოვება ვანოს კისერზე იყვნეს; შეირთოს ერთი  
საში-ათას თუმნიანი ქალი და ხუთასი თუმანი ე თავის  
დას გაატანოს!

ნინო. გაგიხარიან, გაიგებენ თუ არა ქალების პატრონები დოხტრური  
შვილი მოსკოლია სტეფან ზარალოვსაო, მაჭანკალი-მაჭან-  
კალზე მოგზავნონ! მგონი სულის მობრუნების დროც  
აღარა გვქონდეს! (სარკები ისეღება, კავებს ივრესადს და ღი-  
მილით) ჰმ! რა ახალგაზდა დედამთილი და სიდედრი ვი-  
ქნები! იფ, იფ, იფ! ხან ვაჟს ვეწვევი ხოლმე, ხან-ქალსა!

## გამოცდლა მეორე

იგინივე და ხონა.

ნინო. აქამდინ სადა ხარ შეიღლო?

ხონა. ვანოს ოთახს ვალაგებდი: აკოშკები გავულე, წიგნები დავუწ-  
მიდე; რო მოვა, სუფთად დახვდება.

სტეფანე. აი, ყოჩალ, ყოჩალ! ეგრე ეფერე ძმასა, შვილო, ეგრე, რო  
ერთი ხუთასი თუშანი დაგაყაროს კისერზე და კაი კაჯს  
მიგათხოვოს!

ონა. თუ ხუთასი თუშანი აქვს, მომცეს მე ხელში და კურსებზე  
გამგზავნოს, გათხოვებას ეგ მირჩევნია!

სტეფანე. აი ტუტუცუ! აი ჭკუის კოლოცუ! გადასაყრელი ფულიც რო  
გვექონდეს, განა შენ, მარტოხელა ქალს, სახელის გასატე-  
ხად გაგვზავნით რუსეთში?

ხონა (შეტყობით). „სახელის გასატეხათაო?“ ჰმ! აბა თქვენ რა უნდა  
გელაბარაქოთ!

სტეფანე. „კურსი-მურსი“ რა ქალის წესია! თუ მე მკითხამ, გემნა-  
ზიაც მეტია თქვენთვენა! ქალმა უნდა შეიღლი გამოზარ-  
დოს, გემრიელი საჭმელი მოხარშოს, თუ გაუჭირდება,  
სარეცხიც დარეცხოს, დააუთოოს...

ხონა (დაცილებით). ქვაბებიც დახეხოს, ფეხსაცმელებიც დავაქსოს...

ნინო. რაც ისწავლე, შეიღლო, ეგეცა ქმარა. ღმერთი მოწყალეა, მაგი-  
თაც კაი ქმარს იშოვნი! გემნაზია დაგისრულებია და  
ფორტოფიანი იცი, სხვა რაღა გინდა? არავინ დაგიწუ-  
ნება სულ ბეჭია!

ხონა. მე განა გათხოვებისთვის ვფიქრობ უმაღლეს სწავლასა? მაშ-  
გაიგეთ, რომ მე დიდიხანია საქრმო კიდეცა მყავს.

ნინო. არა, შვილო, შენ გაბოს იმედით ნუ ხარ და ტყუილად სხვა  
საქმროებსაც ნუ სწუნობ, —ბედს ნუ ჰყარგამ! საღაცა,  
სტუდენტობის დროს, პირობა მოუცია იმას შენთვინა,  
შენც ასე გვინია, რო ახლაც იმ აზრისა იქნება და მოვა-  
თუ არა, ჯვარს დაიწერს შენზე! დიახ! ახლა ზოგი იმის  
დედასაც უჩურჩულე! დედაკაცი ახლავე გაქანებული სამი-  
ათასთუმნიან ქალებს დაეძებს თავი შვილისთვინა და,  
აღარას ჩაგიკლებს, რო ცარიელ-ტარიელი შეგიყვანოს  
რძლათ! აბა კეკელის არ იცნობ?

**სტეფანე.** მე და ჩემმა ღმერთმა, არც გასამტყუნარია! ყველამ ჭრაზე უნდა  
თავზე უნდა გაზომოს: ჩემმა ვანომაც რო უფლო ქალი  
შეირთოს, სახლში არ შემოვუშვებ, სახლში! ქრისტეს  
გეფიცები, თვალით არ დავინახამ!

**სონა.** პაპა, მაშ შენ ისე ამბობ, რო ლარიბი ქალები მონასტერში  
უნდა შევიდნენ?

**სტეფანე** რათა, შვილო: ლარიბმა ქალმა უნდა მდიდარი კაცი  
შეირთოს, ლარიბმა კაცმა—მდიდარი ქალი. თუ არა და,  
ცარიელი ალხანა, ცარიელი ჩალხანა! რა გამოვა, რიღა-  
თი იცხოვრონ?

**სონა.** სიყვარულითა, მეგობრობითა და პატიოსნობით!

**სტეფანე** ~~აბა~~ შიმშილით კუჭი გეწოდეს, სიცივით კბილი-კბილს  
გაცემინებდეს, მოვალეები ყელში გიჭერდნენ და მაშინ  
ვნახოთ, როგორც ან სიყვარული მოგავონდება, ან სიძ-  
ლერა! ~~აბა~~, შვილო! შენ რა იცი, შენ ჯერ ბავშვი ხარ!  
ამ წუთი-სოფელში ჭკუა და პატიოსნება როდი ფასობს!  
ბევრი მდიდარი კაცია, ბატის ტვინიც არ უდევს თავში,  
მაგრამ ყველა კი ფეხ-ქვეშ ეშლება, რა არი.—გამოვი-  
ნეთ რამესაო! ო... ოხ! ფულს ისეთი ძალა აქვს, რო  
ჰქვიანს თაყვანს აცემინებს სულელისოვინ და დიდკაცს  
—დაბალთაგნისოვინ! ~~აბა~~ მიიხედ-მოიხედე, ამ ქალაქში  
კი მაგალითი ცოტაა?

**ნინო.** რას ამობ, რა ამ ქალაქში, რა სხვაგან, — ფული ყველგან  
პატარა ღმერთია! ოლონდ კი მდიდარი ქმარი შეგხვდეს,  
შვილო, თორე სიყვარული რაში გეკნაჭება, კეთილ ცხო-  
ვრებას რა შეედრება!— რაც გინდა ჭამე, სვი, ჩაიცვი...  
საცა გინდა წადი, მოდი... ვინც გინდა მიიყვან-მოი-  
ყვანება...

**სონა.** უხ, ნადოელი! ფულს ნულარ მიხსენებთ! (ღაჯღაშა პიანის-  
თან, უკრავას).

**სტეფანე.** კარგი, კარგი, ყურები ნუ გამიხერიტე!

**სონა.** თქვენც ფულის ხსენებით ნუ გამიჭედეთ ყური! (უკავაც).

**სტეფანე.** დავოლна, ი ვამ გავარ!

**სონა.** (ჩამოდგენა), პაპა, მაშ სალოცავად ხომ არა დღას ეს პერინთნულ  
უნდა დაუკრა თუ არა?

**სტეფანე.** აი როცა მე შინ არა ვარ, იმდენი აჭივიტინე, სანამ მო-  
გწყინდებოდეს! სტუმრებთან დაუკარ, აა... ხა!

**სონა.** მე ზაკაზით ვერ დაუკრავ. (გადის).

**ნინო.** კაცო, არც კი გიხარიან, რომ მუშიკიანი ოჯახი გაქვს?

**სტეფანე.** უჰ! დიდი სასიხარულოა, მე და ჩემმა ღმერთმა! რა არის, რის,  
მანქანაა, რა უნდა გამოდნეს (პანინსკებ ხელს იშვერს)  
ამისგანა? (თავის ძრევით) დასწუევლა ღმერთმა, ე რაღა  
მოსაგონებელი იყო? (ჩამოდგენა და პანინს თავში მაგრად  
დაჭვანეს ხელს) ეს ხომ მიორტვი კაპიტალია, მიორტვი! აფ-  
სუს ორმოცო თუმანო რაზე წავიდა! ეს ხომ სულ შენ  
შემძლვენი! შენა... ა? კლდეზე გადასჩეხავ აღამიანსა!

**ნინო.** „ვინ რა იცის, ხურმა რა ხილიაო!“ აბა სტეფან, შენ რა გა-  
ნათლება მიგიღია, რომ ეგ გაიგო!

**სტეფანე.** „ისეთმა ფურმა დამშიხლოს, რომელიც ჩაფიაფით იწველი-  
დეს!“ ერთი მითხარ თუ, შენ სადღა დასასრულე კურსი?

**ნინო.** მართალია, კურსები არ დამისრულებია, მაგრამ შენზე მეტი  
კი მესმის აშ დროებისა! დიალ შენი ცოლი რომ ვარ? (სარკებ ისეღება, კაფუბს იგრძესაფაქ და თავისძრევით) აფსუს  
ნინო! იყო დრო, რო მეც მასკვლავებს ვეთამაშებოდი!  
ბარე განათლებულ—ფერჩატკ-ცილინდრიან ქმრის ლირის  
ვიყავ, მაგრამ ეპ! (ამთიასრებს) „რა პქნას კარგმა მონარ-  
დება, თუ დუშეში არ მოუვაო!“ ილბალს დაექცეს სა-  
მართალი!

**სტეფანე.** (თავის ძრევით). აი გიდი! შენი დასაცინიც რო გაეხდი! მეც  
ერთი დროს ასეთი ბიჭი ვიყავ, რო ხმელეთზე კაცი არა  
მჯობდა!—პოლკის ფოდრათები მეჭირა და ათას თუმ-  
ნებს ბურთივით ვათამაშებდი! რა მზითვიან, ქალებიც  
მეძლეოდნენ, რომ ჩემ საუბედუროთ შენ არ შეგყროდი

გამოსვლა მისამა

იგინივე და გიგო.

**გიგო.** დილამშეიდობისა!

**ნინო.** ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, დაბძანდი!

**სტეფანე.** სადა ხარ გიგო, რო ფეხი აღარ შემოაწაწანე? უკროცხადი გიგო. დრო არა მაქვს, კაცო და რა ვენა! (სელის ძრევით) ათასი დავი-დარაბა, საჩივრები, ხლაფოთები, სუ ერთბაშად-თავს დამატყდა და ველარ ამოვისუნთქე! მეც რო შენ-სებ ლოხტური შვილის იმედით ვიყო, ჩემო ძმაო, გაგი-ხარიან არას ვიდარდებ!

**ნინო.** ღმერთმა შენი ვაჟის დოხტრობასაც დაგასწროს, ჩემო გიგო! გიგო. შენ პირს შაქარი, მაგრამ, ეხ! განა მოვესწრები მაგ დღესა?

**სტეფანე.** რატომა, კაცო? იქნება შენი შვილი უფრო პრაფესორიც. გამოდის, ვინ რა იცის, დროსა და უამს რა მოაქვს!

**ნინო.** (წყერით). რა, მითომ პრაფესორი მეტია დოხტრზე?

**სტეფანე.** არა, მეტი კი რად იქნება, მაგრამ. მაინც ა, ასე... რაც უნდა იყვეს...

გიგო. მაშ ეგრე...ე, დღეს მოელით ვანოსა...ა?

**სტეფანე.** დღესა,—დღესა! ტელეგრამაში ეგრე იწერებოდა. სამი-აბაზის დეპეშა გაეჭრელებინა იმ რაზბონიკა!

**ნინო.** (ღიმილით, გაგთა). პაი, თუ გიხარიანთ ნათესავებსა, რომ მუქთი-დოხტური გეყოლებათ!

**გიგო.** (სელის ძრევით). რას მერჩი ადამიანო! ღმერთმა სადოხტურო საქმე ნუ გამიხადოს! ჩემი მტერიც ნუ ჩავარდნილა იმათ ხელში!

**ნინო.** (შერცხვინილი). უი დამიდგეს თვალები! მე ხომ იმიტომ არა ეთქვი, ქა!

**გიგო.** (ცდებულების მსატბი სელის გარეშე). ეხლა რაღა გიჭირს, ჩემო სტე-ფახ! მოვივა დოხტური შვილი, დაბინავდება აქა და მგონი ყელამდინ ოქროში ჩაგსვას!

**ნინო.** (ღიმილით). ენაცვალოს იმას დედა! ახლა ნახეთ მტრის თვა-ლების დაბრმავება!

**სტეფანე.** არ მინდა ოქრო, არ მინდა უთვალავი სიმდიდრე, ოლონდ კი იგ ჩემი დანახარჯი დამიბრუნოს! წელან ვიანგარიშე, გიგო, და, ქრისტეს გეფიცები, დაბადებიდან ორი-ათასი თუმანი შეტი მიზის ეგ შვილი!

**გიგო.** (სელის ძრევით). ეხ, რავუყოთ, კაცო! ხარჯს რომ მორი-დებო-დი, ხომ ამ ბედნიერ დღესაც ვერ დაესწრობოდი! რატო მილიონადაც არ უნდა გილირდეს ეს სახელი! თუ აქმ-



დი ერთი და ორი გიცნობდა, ეხლა სმელეთზე უჭირავდნენ  
ბა ხმა, რომ შენც ნასწავლი შვილის პატრონი ხარ და  
თავზე ქუდი გხურამს! ეხლა საქმე სწავლაა, სწავლა! მე  
როგორც ეხლანდელ დროს ვუცქერი, უსწავლელი კაცი  
ჭიან ვაშლადაც არა ღირს! საცა სწავლა და განათლებაა,  
ჩემო ძმაო, ფულიც იქ არის! აბა წალი და ნახე, რეებს  
სჩადიან დოხტურები: ლამის მთელი ქვეყანა ნარდად  
აიღონ! ზოგი და ზოგი—დღეში ხუთ-ექვს თუმანს არა  
სჯერდება! ეიშ! შენ სწავლას როგორ ეხუმრები!

**ნინო.** (ზელაშს თანამდებ). უი, ერთი დროით მოვესწრო იმ დღესა,  
რო ჩემი ვანოც კარეტით დადიოდეს ავანტყოფებთან,  
მუჭობით ფული შემოჰქონდეს ჩემთან და მეუბნებოდეს:  
„ახა, დედა, როგორც გინდა დახარჯეო!“ რას ამბობ!  
ერთი-ორადაც ვიქცევი და მეორედაც გაყყმაშვილდები,  
მა რა ჯანაბა მომიგა!

**სოფიანე.** (ზელგამლით). ეიშ! ტუტუც, ტუტუც, ბარბარე! გვერდაზე  
ბაგა ჩაყარე! შენ რომელი კაზნაჩეი ბძანდები, რომ,  
ფულები ჩაიბარო? ჯერ ე ვალები გადამიხადოს, რომე-  
ლიც იმი გულისათვის დავიდე ჯერ ე სახლები გადამი-  
კეთოს, ჯერ ქალი გამითხოვოს, ჯერ შე გამისწორდეს  
და მერე შენ იცი და იმანა, ვა! „თხის პატრონს ალარც  
თხის კუდიო?“

**გიგო.** კაი დროს კი მოდის ვანო, აი: ეხლაა დოხტურების რთველი!  
ასეთი ციიბ-ცხელებები დადის აქა, რომ...

**სოფიანე.** ებ! ციებ-ცხელება რა არი! ნიჩავო! ფუსტიაკ! აი, ჭირი  
და ხორველიანობის დროს კი, ღვთის წყალობა გაქვს,  
რომ დოხტურების ალდგომა იყოს კაცო, თითო ექიმს  
თვეში ორას-სამას თუმანს აძლევდნენ.

**ნინო.** (მიშით ხელაშს გადაფიცანებს). არა, გეთაყვა, არც ჭირი მინდა  
და არც მისი მოტანილი ფული! უწინ კი დღე დამელი-  
ოს, მაგრამ ხო ჩემ ვანოსაც გადაედება ავანტყოფიდან?  
უი, უწინ ის საათი გაქრეს და გაწყალდეს! უწინ ნინომ  
გაითხაროს საფლავი!

**სოფიანე.** (გიგოს). — ი დედაკაცის ჭკუა! (ნინოს) იმდენიც არ იცი!  
რომ დოხტურს ვერც ჭირი მიუდგება გვერდზე და ვერც  
ხორველა?

ვიგო. ერთი შენ ეს მითხარ, სტეფან, რის სპეციალისტობაზე ჩინონდა?

**სტეფანე.** რა ვიცი, ნუტრენისტობისათ და...

ვიგო. (თავის ძრევით), ხო, არა უჭირს-რა... მაგრამ, ბავშვების ექიმი კი რომ გამოსულიყო, იმას არა ეჯობინებოდარა! პატარებისთანა ხშირათ ხო არავინა ხდება ავათ; რას არ გინდა ისინი სჭამენ: ხაბა-ხუბაო, მუავე, ტკბილოთ...

**სტეფანე.** ეხ, ბავშვები რად გინდა, კაცო, თვალების ექიმობას რა შეეღრება: ამოდენა ქალაქში სულ ხუთი დონტური არ მოიპოვება, რომელიც მთლიანად არჩენს თვალებსა! ბარემ ბევრი ვეხვეწე იმ სულელსა თვალების სპეციალისტი გამოდი, თუ ვინდა, რომ ხეირი ნახო-მეოქი, მაგრამ არ გამიგონა! ჩემს სიტყვას ჩალად არ აგდებს!

ნინო. თავის საქმე თითონ უჭრო კარგად იცის, ენაცვალის დედა; იმას ვერავინ ასწავლის ჭრას!

ვიგო. ეს კი რა მაგ სიტყვის პასუხია, მაგრამ შენ ეხლა ერთი კაი სადილი მოგინდება, სტეფან! აბა დაამზადე მსუქან-მსუქანი დედლები, ინდოური, გოჭი... კახურ ლვინოს მე გაყიდვინებ იქვათა...

ნინო. ჯერ მოვიდეს! ასეთი სალილი გაემართო, რომ თითები დაიკვინიტო! სულ არჩეულ ხალხს, სულ დიდ კაცობას დავპატივებ, რომ ჩემი ვანო ამათაც გავაცნო. მე შენ გიოხ ხრა, არ მოეწონებათ. მე შენ გიოხრა, დასაწუნი სასიძოა: სახით—კალმით ნახატი, ხასიათები—ცხერისა; ნასწავლი, კურს დამთავრებული დონტური... (ენის ჩლენგვით) ოი, ვენაცვალე ბიჭესა, ბიჭესა ბიჭიკოსა!

ვიგო. ერთი თქვენ იმას ხუთი-ათას თუმნიანი ქალიც გაურიგეთ! თქვენ ის ინატრეთ, რომ როგორმე ბაქოში გამწესდეს: აბა სიმდიდრე იქ არი! წადი და წადი! უხ, მთელი ბაქო ნავთში ცურაობს, რაღა! კაცო, მანთაშოვის მაღნებს ხომ კიდევ ამოუსვრიათ ნავთი! ამბობენ: ნახევარ მილიონისაო! ქუდ-ბედი აქვს მაგ კაცს დაყოლილი, რაღა!

**სტეფანე.** (ნადვლადნად). ნეტავი იმასა! აი სწორედ მაგაზე იტყვიან; „მიეცეს და მიემატოსო!“ არა, ღმერთს რომ სამართალი ჰქონდეს, დუმას რაღა ქონის მიცხება უნდა? ე ჩვენისთანა საწყალ ხალხს მოხედოს ი დალოცვილმა!

**გიგო.** (თავის ძრევით). ახ, ამ ათი-ოცი წლის შინად მცოდნობდათუ  
ბაქოში მართლა ნავთის მაღნები გამოჩნდებოდა, ეხლა  
ჩემზე მდიდარი თვით როჩილდიც არ იქნებოდა! ამო-  
დენა ფული ამ წყეულ ქალაქში ჩაგაპნიე და იმდენი კი  
ვერ მოვიაზრე, რომ ერთი-ორი დღის მიწა-ალაგი ბაქო-  
შიაც მეყიდა, როცა ოხრათ იყო! (ამოსევათ) ეხ, მახლას!  
„შეუას წააგებს რეგენი, — ფათარაქს დაბრალებსო!“  
(ღერეფინიძე) ისმის კავუნი და ხმა: „ნინო, შინა ხარ?“)

**ნინო.** კეკელო, შენა..ა?“ (გადის ღერეფინი).

**სფეფანე.** (სანათს სიმჯგავა). სწორედ თორმეტია და დრო არი წასვლი-  
სა. წამო, გიგო, ვანოს დაუხვდეთ ვაგზალზე.

**გიგო.** კეთილი!

### გამოსვლა მეოთხე

#### ნინო და კეკელა

**ნინო.** დაბძანდი, კეკელო, აი აქეთ მობძანდი, მანდეთ არ შეგცივ-  
დეს. ესალოფი აიხსენ. მოდი დღეს სადილათ აქ დარჩი.  
(იძით) ეგ მართლა კი არ დარჩეს! სადა მცალიან ამის-  
თვინ—შეილი უნდა მომივიდეს!

**კეკელა.** (ხელის გადაფარების) არა, გეთაყვა სადილად რა მინდა. შინ  
აუარებელი საქმე მაქვს! ან ეხლა რა მამიუგანდა აქა, გა-  
ჭირებული რო არა გყოფილიყავი! რას ამბობ, ადამიანო,  
სამი კვირაა გაბოსაგან წიგნი არა მაქვს და ლამის თავი  
მოვიკლა! დანა ყელს არ მიცემს! გავიგე, რომ დღეს მოს-  
კოვიდან შეილს მოელი და ჩემი გაბობ ამბავის შესატ-  
ყობათ მოვირბინე.

**ნინო.** მართლა, ქა შენმა გაბომაც ხო წრეულ დაასრულა! ადვაკან-  
ტათ გამოდის, არა?

**კეკელა.** ადვაკანტათ, მაგრამ ის სხვა ადვაკანტებს არ ეგვანება!  
იმან სულ სხვანაირად ისწავლა! თურმე დღე და ღამე  
წიგნში თავს იკლამს, მოუკვდეს იმას დედა! როცა ზაფ-  
ხულობით მოღის ხოლმე აქა, რამდენჯერ მითქვამს: შეი-  
ლო, არც შენი ადვაკანტობა მინდა და არც ლენარლობა,  
ოლონც კი მაგ წვალებასა და უბედურებას ნუ მაცეირი-

ნებ მეთქი! რას ამბობ, ადამიანო, ლამეც კი არ ისუენებს, გათენებამდინ ლამფა უნთია ხოლმე და სუ ი წყეულ წიგნებს ჩასჩიჩიჩებს! არა, გეთაყვა, მე მაგნაირი ახირებული სწავლა ჯერ არგისი მინახამს!

**ნინო.** ჩემი ვანოც ეგრეა, ენაცვალოს იმას დედა! დღე და ლამ ხელიდან წიგნს არ უშვებს და ბევრჯერ ზედაც დაეძინება ხოლმე! ახლა კითხულობს, კითხულობს ისე სასიამოვნოთა, რომ, ასე გვონია, გულზე კარაქს გისგამსო!

**კეპელა.** შენ ჩემი ვაბოს კითხვა უნდა გაიგონო, რო გაოცდე! ისე სხაპი-სხუპით კითხულობს, ადამიანო, რომ გაჭენებული პოეზიდი გიგონება! ეს, მა რა ჰქმნან მაგ საცოდავებმა, ჩემო ნინო? ეხლანდელ დროში ჯერ ნასწავლებიც ვერასა ხდებიან და უსწავლელი ხო სუ წყალ-წალებულია!

**ნინო.** რათა, ქა, ნასწავლი სუყოველოვინ მაძლარია?

**კეპელა.** ყველას ბედი უნდა, ჩემო ნინო, ბედი! არ ვაგიგონია: „ბედი მამე და საცა გინდა გადამაგდეო!“ ამის წინაზე, ერთმა მაღმუნივით დოლრეჯილმა აღვაკანტმა,— (მუსლიმშვილი) ნეტა ადამიანს მაინცა ჰეგანებოდეს, ქა!— ასეთი მზითვიანი, ასეთი ფულიანი, ასეთი ოჯახის ქალი შეირთო, რომ ყველანი სახტათ დაეგრჩით! წადი, ბედი არ არი?

**ნინო.** დოხტურები არიან ეხლა დიდ ხოდში და ინჯილერები; მიკვირს, რომ შენი შვილი დოხტური არ ვამოვიდა?

**კეპელა.** (დაცინვათ). რათა, ქა, რაც ვამოვიდა, დოხტურობაზე ნაჭლებია?

**ნინო.** არა, კეკელო, რაც უნდა იყვეს, დოხტური სხეაა, ადვაკანტი სხვა! დიდი მთები და გს მაგათ შუა!

**კეპელა.** (წყებით). ვინ მოგახსენა? ვან მოგაროვა ეგ ლაპორტიზე დოხტურები ეხლა ისე ჩეჩქივით არიან, რომ მალე თითო იმათი ვიზიტი სამ კაპერიკათვა ახდება! მაგრამ ადვაკანტი კი:

**ნინო** (აწყევულებს). ხო, არც ერთი ადვოკანტია, რომ ლოქაფივით პირი დაულია და ქუჩა-ქუჩა ცუდად დაეხეტიალება! დიალ! რაც დოხტური ერთ დღეს აიღებს, მგონი ადვაკანტმა ერთ თვეშიაც ვერ იშოვნოს!



**კეკელა.** უკაცრავად კი არ გახლდეთ, მაგრამ დოხტურმა შემიტანების თისათვის ერთ ვერსზე უნდა ირბინოს და...

**ნინო.** ფეხით ხომ არა, ქა, ფაიტონითა!

**კეკელა.** ფაიტონია თუ კალასკაა, რაც არი! ადვაკანტს კი თითონ ეახლებიან, სანამ გაიღვიძებს, ბერედნაში ელიან და თითო საქმეში სამოც თუმნებს აძლევებ! შენ ადვაკანტს რა ჩვარში ჰქონავ, ქა!

**ნინო.** (იძით). აბა ამ აშალურას რა შევასმინო! (კეკელას) „თხას თხა ურჩევნიან ათას სულს ცხვარსაო!“ შენ შენს შეიღს მალლა აყენებ, შე—ჩემ შეიღსა!

**კეკელა.** ეგ ხომ ეგრეა, მა რა! ჯობნის მჯობნი არ დაიღვეა! იჭ, ნეტაი შენა! იცოცხლონ, გავვახარონ, ე ამაგი დაგვიფასონ და რაც უნდა იყვნენ! ჩვენ ლმერთს უნდა ვევედროთ, ჩვენ ხატებს სანთელი არ უნდა დავულითოთ, რომ რუსის შათუშები არ მოგვგვარონ თანა და წინ არ დაგვისვან!

**ნინო.** (შემინებულა პირჯვატს იწყოს). უწინ დღე დაშელიოს! უწინ მზე დამიბნელდეს! უწინ დედა მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს! აბა რას ამბობ, კიქელო?

**კეკელა.** რა, ცოტას უქნია ეგ სისულელე? ცოტა შვილებს გამოუჭრიათ მშობლისთვის ყელი? ცოტას აულია თავის რჯულზე ხელი და რუსის ქალზე დაუწერია ჯვარი?

**ნინო.** არა, გეთაყვა, ჩემი შეიღლი ეგრე ტუტუცი არ არის, რომ ეგ ჩაიდინოს!

**კეკელა.** მაგას ნუ იტყვი, ჩემო ნინო! შენი შეიღლისთანები ყოფილან რომ ჰქეუ წაუგიათ? ერთი და ორი ხომ არა, მაგალითი ბევრია! (მუხლმა ჩაიცრავს) დასწყეველოს და დაშამათოს ლმერთმა! რა საწამლავი იციან მაგ გასაწყვეტებმა, რომ ე შვილებს გვიუბედურებენ! სწორედ თილისმიანები არიან ეგ არ დასარჩენები! ასეთი მიხარიან, ასეთი აღტაცებული ვარ, რომ ჩემმა გაბომ გამითავა კურსი და აქ მომდის! რას ამბობ, ადამიანო, სანამ იქ იყო, მანამ ჩემი გული თავი ალაგას არ დაჯდა, არა და არა!

ნინო. მე კი, რაკი ჩემი შვილის ჭყუა ვიცი, ენაცვალოს იმას კლდეზე და უკარგავი არხეხინად ვიყავი და ვარ! ჩემი შვილი სხვა ტუტუც ვა- უებს არა გავს, ეგრე ადვილათ თავს არ დაჰქარგამს!

კეკელა. „თუ ჭყიანი არ შესცდეს, რეგვენი კლდეზე გადავარდე- სო“, ხო გაგიგონია, ჩემო ნინო? იცის ღმერთმა, რომ არც ჩემი შვილია სულელი, მაგრამ ეხლანდელი ვაუებისა რომ არა გაიგება-რა! ეს! რაც მოსავალია, ჩემო ნინო, მოვა! რაც შუბლზე აწერია კაცსა, მაინც არ ასცდება, მაინცა, რაც უნდა იყვეს! ქა, მე აქ ლაპარაკში გავები და იქ კი სახლი პატარა ბიჭის ამარა მიგდია! წავიდე, მივე- დო, თორე მთელ მურაბებს ამომიჭამს! მეტი წუწკია ის არ დასარჩენი! ეხლანდელი მოსამსახურეები ხო სახლში შესაშვები არ არიან!

ნინო. მოიცა ერთი, კეკელო, და! საცერი ხომ არ ითხოვე ქა, რა მიგარბეინებს! ახალი ამბავი თქვი რამე, არა იცი რა? კეკელა. მართლა, სუ დამავიწყდა, ვერ გითხარი! —სალომემ და ანუ- შეგა ხო ერთმანეთი დაფლითეს!

ნინო. უი, რას ამბობ! მართლა...ა? ქა, ეს კაი ამბავია! თითქო ერ- თმანეთის ჭირსა სჭამდნენ? როგორ, რაზე, სადა ქა, სა- და?!. (იძით) ამალამვე კატინკას უამბობ!

კეკელა. ლოტოში, ჩემო ნინო, ლოტოში! —სალომემ წააგო და ანუშ- კას გადასძახა: „ჩემი ერთი აბაზი რომ გმართებს, გადა- მიღეო“, ანუშკამ ცხელი ატკაზი დაჰქრა — „რისა, რა მმართებსო?“ ამაზე (ფაშს დაჰკრავს) მიჰყოჩნენ და კარგათ გაშოშუპრეს ერთშემანეთი! ვინ იცის, რა არ წასძახა სალო- მება!

ნინო. ანუშკაც არ დაუთმობდა!

კეკელა. გაგიხარიან, ენაზე ჭილი არ მოედო!

ნინო. შენ რაღა ჰქენ: წააგე თუ მოიგე?

კეკელა. კაი თეთრი მანეთიანი მივტყლიჭე, ჩემო ნინო, და გამოვ- წიო შინისკენ! რა მომაგებინებდა, გენაცვა, თავით ბოლომ- დინ სუ ქურდი-ბაცაცები ისხდნენ!

ნინო. კაზნაჩეი ვინ იყო?

კეკელა. ქურდების უსტაბაში — ნატალის აი კაზნაჩეობაში გამო- მიწყდეს ისა! იპარა და ჟერია! ხელი მრავალყენა!



ნინო. იმან მაინც ეგრე იცის! როგორი, რა დახვედრა ჰქონდა მუშავია?

კეკელა. „დახვედრა“, იმისმა თავის სიცოცხლემა, ჩემ დახვედრას უგავდა! გორხალა სხალი და ვაშლი, ჩაშაქრებული, აღა-მიეამის მურაბები, კამფეთი და პეროუნი რომ კედელს გეთხლიშა, დრეკა არა ჰქონდა, კბილს ვერ გაავლებდი! მუავე ლვინო დაგვალევინეს, ნინო, მუავე, რომ კაჭკაჭს დააჩხავლებდა!

ნინო. რა ღმერთი გასწყობია! ეგრეთი დახვედრა რომ ვიცოდე, ხომ ყველ დღეც გავმართავ ლოტოსა!

კეკელა. იჲ, ნეტა შენა! ყველას სვინდისი ხომ ერთი არ არი, ჩემო ნინო!.. მშვიდობით და როცა შენი შვილი მოვიდეს, გე-ნაცვა, ჩემი გაბოს ამბავი ჰკითხე—როდის მოდის-თქო— და შემატყობინე.

ნინო. მოგა თუ არა, იმისმა მჩემ იმწამსვე ბიჭს ვაფრენ შენთან.

კეკელა. ღმერთია ჩვენი შვილების ბედნიერება გვაჩვენოს, ნინო! (სელიძე აპერონი) ხუთიათასთუმნიანი ქალები შეხვდეთ ორთავესა, მამა-ზეციერსა ვთხოვ! იმათხე კაი აღვავანტი და დოხტრური არ გაჩენილიყვეს, დედა ლვთის მშობელს ვივედრები!

ნინო. ამინ! ამინ!

### გამოსვლა მახუთა

ხონა მარტო

ხონა. (სელიძე უჭირავს წიგნი, რომელსაც დაპკუცავს ედ კალთაში ჩაი-ღებს). ა.ხ., ნეტა ერთი გაბო მოვიდეს ჩქარა და წამიყვანის აქედანა! განა ეს ცხოვრებაა, განა ეს სიცოცხლეა? წამ და უწუმ ფულისა და ჭორაობის მეტი არა გესმის-რა! ფული, ფული და ფული! უx, კაკა პროზა, კაკა პოშლოს! Положим, ფული ერთი მხრით კი კარგია! ეხლა, მე რომ ფული მქონდეს, განა ერთს წუთს კი დავ-დგები აქა? კაк რა იმ წამსვე მოსკოვში გავკრავ გა-ბოსთან და მეც კურსებზე ვივლი. Ax, კაკა პრელესტ! Совсем другая жизнь! დილით — ორთავენი საქმეში ვიქ-

ნებით გართულნი, საღამოზე — ჩვენთან შეიყოფიან მეგონ-  
ბრები, ან ჩვენ — იმათთან, და გაიმართება ბაასი — სულ  
სხვა ხალხი, სულ სხვა აზრები, სულ სხვა ლაპარაკი! ვო  
жизнь, понимаю! Не то, что это прозябанье!

## გამოსვლა მექანი

სონა და ლიზა

**ლიზა.** Здравствуй, душка! ეს რა წიგნია, роман? (შინჯავს წიგნს)  
История человеческой культуры... (დააგდებს წიგნს) უხ, შენ-  
მა უერთდი, ჭიკუნქმა გამიჭირეს საუმე! არ გამეგება,  
თუ ან კი ოთვორ კითხულობ ამეებსა! სწორედ ამაზე  
გავიწყალებ თავსა! ოომანებს რა შეედრება! სიყვარული,  
ეჭვიანობა, დუელი, ხმლებისა და ოევოლვერების ტრია-  
ლი. გუშინ გავათავე „граф Монте-кристо.“ ახ, რა მშვე-  
ნიერებაა, რა მშვენიერებაა, ვერ წარმოიდგენ!

**სონა.** ერთ დროს მეც ეგრე მომწონდა, მაგრამ ეხლა კი მოსაწყენ  
წიგნად მიმაჩნია!

**ლიზა.** შენ რატომ თეატრში არ იყავი გუშინ? ოხ, რომ იცოდე, რა  
საუკროვო იყო პატოვიჩი „ოტელოს“ როლში!

**სონა.** მე კალიმოვიჩი უფრო მომწონს.

**ლიზა.** უ... უ, შენც ვინ წამოაყენე! კალიმოვიჩი ნამდვილი მაიმუნია!  
პატოვიჩი კი — კრისავეცი! ახ, რა თვალები აქვს, რა  
ლიმილი, რა შიხვრა-მოხვრა!.. (ალფაციმით) იн божестве-  
нен, божественен!

**სონა.** შენ სილამაზეს რას უცემრი; საქე ხმაა და თამაშობა.

**ლიზა.** ხო, მართალია, მაგრამ სილამაზეც ბევრსა ნიშნამს! მართლა,  
იცი ვინა ვნახე გუშინა? — კოლა ზავადოვი! (თავის ရნევით)  
ახ, რა ინტერესნი იყო, რა ინტერესნი, რო პროსტ  
პროსტ... არ ვიცი! თითონაცა გრძნობს, რომ ლამაზია და  
ცოტათი იპრანჭება, მაგრამ ეგეც უხდება! თავით ფეხამ-  
დინ comme il faut-ა! მთელი ქალები იმისთვის გიჯდებია!

**სონა.** არ გამეგება, თუ რას ხედამ ზავადოვში? Он, просто, нахал,  
фати больше ничего!

**ლიზა.** აი, სწორეთ ევა, ეგ მოსწონთ ყველასა! Знаешь, эта дон-жуа-  
новская смелость и отчаянность так его красит, что



просто шик! таңаც რა მდიდარია! — ნავთის მაღნები! ნუკრძა  
ფული — თკიათასი თუმანი, საკუთარი ლანდო... Ax, каки-  
у него рысаки!

სონა. (ყურთებები ხელს მიიღებულს) ოხ, კარგი, კარგი!. რაში მეკითხება  
იმის ფულები! (თავის დინგით) Ax, какая ты материалистка!

ლიზა. Душка моя, უფულოთ რომ არა იქნება-რა? არც ტეატრები,  
არც ბალები, არც კაბები... წარ მოიღებინე, ჩემმა „პარ-  
ტნიხამ“ — გაუწყდეს იმას სახელი! — კაბა არ გამითავა და  
ეხლა არ ვიცი, ამაღამ, „Садко“-ზე რა ჩავიცვა (ფირილის  
ხელით) ოხ, ლმერთო! რა უნდა ვქნა, რა უნდა ვქნა! ჭკუ-  
დან შევიშლები, თუ ამაღამ ტეატრს დავაკლდი! (ფერს  
და ფერების ხელით) Противная портниха! Что-б ей пусто-  
было в голове!

სონა. განა სხვა კაბები არა გაქვს?

ლიზა. აბა რა? — თეთრი კაბა, თუმცა თხუთმეტი თუმანი დამიჯდა,  
„მოდაში“ აღარ არი, ცისფერი — არ მიხდება, — ვინგ, გო-  
გო ბრიონეტკე და იდე... როზოვი — გუშინ წინ მეცვა,  
სირენევიც — გუშინა, დანარჩენი — ვს ხლამ ხლუმ, ზარზან-  
დელი კაბებია!

სონა. შენ ოპერის მოსასმენათ მიღიხარ ტეატრში, თუ კაბის სა-  
ჩენენებლათ? მეორეც ესა: რატო არ ჩაგეცმევა გუშინდე-  
ლი ან გუშინ-წინდელი კაბა?

ლიზა. დიახ! გნებამს კია, რო მეც კატიასეებ მასხარა გავხდე! ახ,  
რამდონ დასცინოდნენ იმ საცოდეას! Представь себе,  
გუშინაც იმ კაბაში იყო, რომელიც ბარე ხუთჯერა სცმია!  
(ზიბრით) ჰაი! მაგისთანა ტანისამოსს მე არხივში ვაძ-  
ლევ ხოლმე! ახლა ქვეშთა იუპკა იცი, რისი აქეს? —  
ბამბაზიასი! ხა, ხა, ხა! სარჩულათაც კი ეხლა ყველანი  
ფარჩას ხმარობენ, რომ შრიალი ჰქონდესთ და მაგას კი  
ერთი რიგიანი იუპკაც ვერ შეუკერია! (მსრულის აწევით)  
И в таком виде явиться в театр! О, фидон! Ахла სად  
იჯდა, იცი? — მესამე „იარუსში!“ ხა, ხა, ხა! სულ არ წა-  
ვალ ტეატრში და მაგისთანა უკანასკნელ ალაგას კი არ  
დავჯდები!

სონა. (იძიოთ). ოხ, ლმერთო ჩემო! რა სულელია!



ლიზა. სამშაბათს მიღიხარ საქველ-მოქმედო სპექტაკლზე? სონა. მივდივარ, შენა?

ლიზა. რა პასუხია! კონечно! თუ კი ყველანი მიღიან, მეც უნდა წავიდე! მაგ წარმოდგენას დაესწრება მთელი თბილისის beau monde—ი! მეორეც ესა, კნეინა ზარდარიანისა ჰეზავნის ბილეთებსა და აბა იმას უარს ვინ აკადრებს? რაღა თქმა უნდა, რომ კატიაც, თავის მშვენიერი კაბით, იქ იქნება! გაიგე რომ კატია „კურსებზე აპირებს“?

სონა. მეც ვაპირებ და არ ვიცი, წავალ თუ არა.

ლიზა. (თან სარკები ისედებს და იგრიხებს). ნეტაი თქვენა! როცა და-ასრულებთ, უნივერსიტეტის „ზნაჩოკებით“ ივლით, თმა გაკრეჭილი, თვალებზე — „პენსნე“, პაპიროზიც — ხელში და თავისუფლათ რაზედაც ვინდათ ილაპარაკებთ! ღმერთმა-ნი, კარგია! Счастливыя, я вам завидую!

სონა. Напрасно ты думаешь, что винც კურსებზე დადის, ყველა თმა გაკრეჭილია და პაპიროზისა სწერს! Быть можно дель-ным человеком и думать о красе ногтей!...

ლიზა. მოიცა თქვენი სარკე სწორეთ აჩვენებს სახესა? მე აქ საში-ნელი ტეინტერეტსნი ვარ!

სონა. არ ვიცი ინტერესნობას რას ეძახი?

ლიზა. слушай, ვერ ატყობ რა ცოტა უენიხებია თბილისში? დრა-გუნები სულ მდიდარია ქალებმა დაიტაცეს... вот пове-зло им!

სონა. ლირს მაგაზე ლაპარაკი?

ლიზა. არა, ისე გკითხავ, შენ კი არ გევონოს, რომ მე ვეძებ უენი-ხებსა?! რა კაშავა! რა, ისე მეჯავრებიან, ისე მეზიზებიან ეგ საძაგელი კაცები! სუსყილანი ერთიერთმანეთზე უარესები არიან! (ღერძიდან ისმართ ჩოჩი მომართობი, სმარტობა და გასარე-მული ნანთს კივილი) შვილო ვანო!! შენ კი გენაცვალე, შენა! დოხტერო, კურს დასრულებულო!! ჩვენთ იმედო! ჩვენო ნუგეშო! ჩვენო...

სონა. (წამოსცება და სისარტყლით). ვანო მოვიდა, ვანო!! ლიზა, ჩემი ძმა მოვიდა მოსკოვიდან, იзвини, пожалуйста! (გარბის ღერ-ანბი).

## გამოცვლა მეშვიდე

ლიზა მარტო



**ლიზა.** (ცტრადიათ სარკესთან მიათმებს, ჯაშიღან პეტრის „ვთსცომჩას“ ამოიღებს და ისვამს: სახელი, ყელ-ყურძე, სელიშვი... აგრძია მეცად იგრისება სარკის წინ). ღოკტორიც ურიგო „პარტია“ არ არი (დების დააფიცაპერის) რა ვა, ი სედი არ იცის თმის დახუჭუჭება!. ახ, რატომ ისევ „გრეგუართან“ არ მიველ! (მიცრიალ-მოცრიალება და დამშვეღებით) არა, არა უჭირს რა... ეს „საკი“ და „ბოა“ მიხდება... მართლა, უცბათ რომ მოვეწონო და „პრედლაუენია“ გამიკეთოს!.. ლირს რომ მივთხოვდე?.. რატომ... ოუჩა ძიებ მდიდარი ქარი მინდა შევირთო, მაგრამ ეხ! — „на без рыбы и рак рыба!“ ღოკტორსაც არა უჭირს ა!.. „ეპიდემია“ გამოიჩდება რამე და ისე მოჰვეეტს ფულებსა, რომ მოე პირენ!. ნეტა ვიცოდე, როგორი, რა სახისაა? ეხ, მითომ სულ ერთი არ არი!, ლიშь-ბი ვ სახის დევა არ ისა, ა თუ მაგრამ მაგრამ მაგრამ არ არის მერე? ყველა „სვეტსკი დამა“, ყველა „არისტოკრატიკა“ ეგრე არა სჩადის? ვ ეთო ა შიკ (მიღის კათებისკენ, მეტყ ისევ დაშტების და იგრისება სარკის წინ, მოლას გულბე ხელს დაიღებს და სმიდამლა) ღმერთო!. გული როგორ მიკანკალებს!.. (მიღის კარგიმაცება და უცმათ შეგვება) არა, არ შემიძლია... ვერ გავალ... (ხელის ძრივით) ეხ, რაც იქნება, იქნება, ი იქნება, ი იქნება! სულ ერთია, ბედს ვერ წაუხვალ!“ (გადის ღრუჟანში).

ფარდა.

## მ თ ა მ მ დ ე ბ ა მ ე რ ა ხ

მეორე მოქმედება სწარმოებს სამი თვის შემდეგ. ფარდა აიხდება ისევ იმ ოთახში,  
რომელიც მოხსენებულია პირველ მოქმედებაში. სცენაზე არიან სტეფანე და ნინო

გამოსცლა პირველი

სტეფანე და ნინო

**სტეფანე.** (ნადლიანათ). ეგეც შენი დოხტრური, ეგეც შენი ნასწავლი  
შვილი! (ძოლსვრით) ე... ე!

**ნინო.** (მთელმარლად). რა იყო, კაცო, სუ რასა ოხრამ, რა დაგემართა,  
ქა? გული კი გამიწვრილე და!

**სტეფანე.** ამაზე მეტი რაღა უნდა იყვეს, ამაზე უარესი რაღა უნდა  
დამემართოს: რა ფასი დავისევი მაგი სწავლა და რა გამო-  
ვიდა? (ხელიშის ფშვაცით) სუ ფუჭეთ, სუ ამაოთ! აფსუს  
ჩემო ფულებო, აფსუს ჩემო ამაგო!

**ნინო.** რათა, კაცო, რაზე ატყობი?

**სტეფანე.** „რაზე“ და სწორეთ მაგის ქცევაზე და ლაპარაკზე! აგერ  
მეოთხე თვე გარბის, რაც ეგ აქ არი, და ჯერ ოთხი  
თუმანიც არ შემოუტანია სახლში? ნათესავებს და მეგო-  
ბრებს ეგ ფულს არ ართმვეს, ღარიბებს, პირიქით, თითონ  
აძლევს; ორიოდ თუმანი რო იშოვნოს, იმწამვე ვიღაც  
საციმბირე სუდენტებს უგზავნის... სამაღლო ტრიატ-  
რებსა მართამს... ყველას მოწყალე კალთა გადააფარა  
რაღა! ისე გამოდის, რო სხვისთვის გაეზარდე შვილი,  
სხვისთვის დავხარჯე ერთი კალთა ფულები! სხვა ცდი-  
ლობს, რო კაცი გახდეს, წინ წაეჩაროს, ერთი-ორი გრო-  
ში იშოვნოს, ეგ ვაებატონი კი სუ უკან და უკან იწევს,  
კერპი ხარივითა, სუ ამასა და ამას გაიძახის: „მე უსვინ-  
დისობას ვერ ვიზამო, მე ფულის საშორაო არ დამისრუ-  
ლებია კურსიო, მე უნდა სოფელში გავმშესდე და გლე-  
ხებს ვუწამლო“... (ხელის გამლით) რა ვიცი, ლობე-ყორეს  
კი ედება და!

**ნინო.** ჯერ ისევ ბავშვია, სტეფანჯან, ჯერ გამოუცდელია! და ალადე, მიიხედ-მოიხედოს და ეგეც სხვას მიპარამ! სულ კუთხა  
აბრუნებინებ საცოდავ ბიჭვა და!

**სოეფანე.** „ცოცხალს არ მეცვა კაბაი, კვდარსა ჩამიაცვეს ფარჩია!“  
ე მე კი ვეღარას მოვესწრები და მერე, თუ გინდა, მინის-  
ტრათაც დასვან!

**ნინო.** (მსარტში სულ დადგრძნს და გრანჯორებს). გამხნევდი, კაცო, გამ-  
ხნევდი! წელში გაიშალე, ყურები ნუ ჩამოგიყრია!

**სოეფანე.** (სულის ძრუათ). ეხ, დამაყენე ერთი, დედა-შვილობასა და!  
ნახევარ ჭუაზე ალარა ვარ ადამიანი, ლამის ვარმით გა-  
მისკდეს გული! ყველა უბედურებასთან, მე მაგას როგორც  
ვატყობ, რუსის ქალიც აუკვიატებია!

**ნინო.** რას ამბობ, კაცო?! შენ ხომ სიზმრათ არა ხარ?!

**სოეფანე.** „სიზმარია?“ — არ გესმის, რეებსა როტამს?

**ნინო.** ხუმრობს, სტრუანე, ხუმრობს, ხო იცი, რომ ჩვენი შვილი ქალე-  
ბის ამღევარი არ არი!

## გამოსცლა მეორე

იგინივე და ვანო.

**სოეფანე.** საღ იყავი?

**ვანო.** ავადმყოფთან.

**სოეფანე.** რა პქენ, რა მოგცეს?

**ვანო.** (იძით) ახლა ამათ ატრიტები მიეცი, ნადიელი!

**ნინო.** რამდენი მოგცეს, გენაცვალოს დედა?

**ვანო.** არაფერი.

**სოეფანე.** როგორ თუ „არაფერი?“ ორი კვირაა დადიხარ, არჩენ,

წამალს უწერ და მაშ ეშმაკის მუშა ყოფილხარ, რაღა!

**ვანო.** (მოწყინილი). მამაჩემო, აბა რა შენი საქმეა?. ნუ, ხუთი მანეთი  
მომცეს, ახლა? (იძით) Го неволе приходится вратъ!

**სოეფანე.**

**ნინო.** } „ხუთი მანეთიო?“ ორ კვირაში — ხუთი მანეთი?!

**ვანო.** ისეთი ლარიბები არიან ისინი, რომ ხუთი მანეთიც არ გამო-  
მირომევია! (იძით) ах, чорт возьми, წამომცდა!

სტეფანე. აი ჭეუის ქოლოფი! ქ ვამ გავარუ, შთი უ ვას ხა გადავა უკუ  
უმ ჩანა, ჩანა!

ნინო. რატომ, შვილო? მა რისთვის ისწავლე, მა რისთვის იტანჯე  
ამდენი ხანი?

სტეფანე. მა რისთვის დავხარჯე ორი-ათასი თუმანი?! მა რისთვის  
გაგგზავნე უნივერსეტში!?

განო. ეხ, ერთი თქვენებურათ ნუ დაიწყებთ და! წამლის ფული არა  
ჰქონდათ იმ საცოდავებსა და მე უნდა იმათი ხუთი მანე-  
თი ჯაბეში ჩამედო!

სტეფანე. „შინ რო ყმაშვილი ტიროდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი  
აქვსო“? მე აქ გაჭირვებული კაცი ვზიგარ, ბევრჯერ ერთი  
აბაზიც მენატრება და შენ კი იქ „ბარაქილაზე“ დადიხარ?  
აი, შენ სწავლას კი რა უთხრა, შენ სწავლასა!

განო. მამაჩემო, აბა ლირს ლაპარაკათ? ის ხუთი მანეთი შენ არ ვა-  
გამდიღრებს, მაგრამ იმათ კი დიდ შვებას მისცემს (იძით)  
თუ, ვირობები, ს ჩამოგებას!

სტეფანე. (ცოლს). რა ვქნა, ვის დაემგზავსა ესე დარდიმანდი?! (მარტინ)  
ბიჭი! ხუთი მანეთიდან დგება ფული! მილიონს რო კაპიკი  
აკლდეს, სრული მილიონი არ არი, არა!

ნინო. (ლეჩაძე გადმოიჟრიალებს). აბა, შვერლო, ჩემ ლეჩაძეს უცეირე:  
უქონლობის გამო კახურ არშიასა ვხმარობ. ი ხუთი მანე-  
თი რომ გამოგერომია და ჩემთვინ მოგეცა, გენაცვალოს  
დედა, გავექანებოდი ამირალოვის მაღაზიაში და დეზათ  
„ნასტაიაში“ არშიას მოგიცლებდი!

სტეფანე. მაშ რამდენიც ლარიბმა ავათშოთმა დაგიბაროს, შენ ეგრე  
მოიქცი და ოჯახი აგიშენდება! ქვეყანაზე მშეირი მაძ-  
ლარზე მეტია, მაშ წადი და უკელას გალერე კუჭი! (თავის  
ძრვათ) არა, შვერლო, შენ სოფელს ვერ გააშენებ, შენ  
კაცი ვერ გახდები! ვერა, ქრისტეს მადლმა!

განო. (რომელიც მოწყვერილი პის და ნაღვლიანოთ შეცდების ღებ-მაბას  
ამონსაჭრით). ე... ე... ე... ხე... ხე...

ნინო. კარგი სტეფან, რაც იყო, იყო! „ერთი ალილუია ლვდელსაც  
შესცდებაო“, კელავ ალარ იზამს. შენ ერთი ამას ფრაკი  
და „ზნაჩოკი“ უყიდე, რო „ვიზიტებზე“ დაიაროს.

განო. რა ჭრაკი და „ზნაჩოკი“ მინდა, რა „ვიზიტები?!“ ნათესავებ-  
თან აკი კიდეც ვიყავი?

**სტეფანე.** საქმე მარტო ნათესავებია? ვინც დიდი პირებია, ვინც პირველი მოქალაქეებია, მაშ არ უნდა ნახოს! შეაცნობდეს კი არ უნდა ნახვა?

ვანო. მამაჩემო, აბა რა მინდა იმათთან, რა მესაქმება?

**სტეფანე.** (ცოლს). აქი გეუბნები, ადამიანო, რო თავში „ჩა“ მეთქი, (ამოზვერით) ე... ეხ, ჰქუავ! რა კაი საქონელი ხარ!

ვინო. როგორ თუ „რა გინდა“, გენაცვალოს დედა! აბა იმ დიდ პირებში და მოქალაქეებშია დიდი ფული და ძალა!

ვანო. მერე იმათი ფული და ძალა მე რას შემეხება, არ ვიცი?

**სტეფანე.** (ხელის გაშლათ). „აბდა-უბდა გადასუპდა!“ გადასცემს და გადმოსცემს! არც თავი ესმის ამ საცოდავსა, არც ბოლო! მა როგორ გინდა იცხოვრო, მა როგორ გინდა მოეწოო ამ წუთი სოფელს, მა როგორ გინდა გაიჩინო კაი პრაქტიკა, თუ დიდ პირებს არ გაუკეთებ „ვიზიტსა“ და თვალში არ ჩაუვარდები? თუ აქ ამას არ ასიამოვნებ და იქ-იმასა, მაშ რის ღოხტური იქნება, რისა?! ავათყოფთან ვინ მიგიწვევს, ვინა?! შენ ტოლ-ამხანაგებს მაინც მიხედე და, როგორც ისინი იქცევიან, შენც ისე მოიქეც ქვეყანა—სარკეა! შენთან არ გაათავა კურსი კოტე ზანგიეგმა, რომ ის ეხლა ფულით კოჭაობს და შენ კი უანგიანი გროშიც არ გიძევს ჯიბეში! ი-ი-ი-ი-ი-ი-ი-ი-ი-ი-

ვანო. ის ასეთი „პადლეცი“ და „კარიერისტია“, რომ მე იმას ხელს არც კი ჩამოვართმევ! (ხაზოგადოებას) Тоже, сравнил с каким-то негодяем!

**სტეფანე.** ხო, რაკი შენსეებ „ბუნტებში“ და აყალ-მაყალში არ ერია, რაკი შენი ტოლი არ არი! რაც იმას ფრჩხილში ჰქონა აქეს, ნეტა თავში გედოს შენა! (ხელის გაშლით) რა ზანგიევი, რა სხვები! აბა წადი და ნახე სხვა ღოხტურები რეებს სჩადიან, როგორ იჩენენ პრაქტიკებას! — განგებ ფაიტონს დაიჭერენ, გამოიჭიმებიან შიგა, კოზლაზე ბიჭს დაისვა-მენ და ერთ კუთხიდან მეორეში ჩამოხტებიან, ვითომ რა

არი,—დაგვინახეთ, ხალხო, რა პრაქტიკა გვაქვსნის უფრო და უძლიერი  
სტუმრათ არიან სადმე, ან თითონა ჰყავთ ვინდე სახლში,  
ბიჭი წინ და წინ დარიგებულია: ამა და ამ დროს მოდი  
და გამომიძახეო— „ავადმყოფი გახლავს და მობრძანდი-  
თო!“ აი ხერხი, აი ჭყუა, იმათი მამა ვაკხონე! დოხტუ-  
რი უნდა „ლოვეი“ იყვეს, არამ თუ შენისთანა დოყ-  
ლაპია!

**განო.** (სიცილით). ხა, ხა, ხა! მამაჩემო, ვერც მაგნაირ ხერხს ვიხ-  
მარებ და ვერც მაგნაირ ჭყუას!—მე „აფერისტობა“ არ  
შემიძლიან.

**სტეფანე.** იმიტომ, რომ ტვინის მაგივრად თივა გიდევს მაგ თავში!  
იმიტომ, რომ ვი დურაკ, იმიტომ, რომ ვი სუმაშედშა!  
(ჯანთ იცინის).

**ნინო.** (ზყუნით). კარგი ერთი, სტეფან და! ნასწავლ, უნივერსეტ  
დასრულებულ შვილს განა ეგეც უნდა ჰყადრომი?

**სტეფანე.** (ცელის გაშლით). აი გამიწყრეს მაგი უნივერსეტიცა და მა-  
გი სწავლაცა! აბა ი უნივერსეტს უფრო გამოუსულელე-  
ბია ეგა!

**განო.** (მსარბე სელს ღამისამართებს და ღამისამართ). ნუ ჯავრობ, მამაჩე-  
მო, ნუ ჯავრობ!

**სტეფანე.** (ცელს კრავს). იქით გამეცალე შე „საცვიალისტო“—რაზ-  
ბონიკო! როცა შენ ლმერთი არა გწამს, აბა მამას რას  
იწამებ! (ჟამოგადოებას) თავის დღეში ხატს არ ენთხევა!  
საღდარში რო ქუდი შეუგდოთ, გამოსატანათ არ შევა!  
ექვსი წელიწადია არა ზიარებულა, ექვსი! ლექია, თათა-  
რია, რა არი?—აქამდინ ეერ გამიგია!

**ნინო.** აი, მოჰყებ და ალარ გაათაებს!

გამოსვლა მესამი

იგინივე და გლეხ-კაცი.

**გლეხ-კაცი.** (რთმელსაც სელში უჭირავს პირ-მოკრული რომელიც ქილა).  
დილამშვიდობისა! (ჯანთს მიაშლად თაქს უკრავს) დოხტური  
ადლეგრძელა ლმერთმა! (ძილასა სივაშს).

**განო.** (ცელს ართმეუს). ოხ, გამარჯვობა! (სკამს მიუღიამს) დაჯექი.  
(მსარბე სელს ღამისამართებს) როგორა ხარ?



**ნინო.** (საბოლოოება). მეტი-მეტი თავდაბალია, ენაცვალს დება  
დედა!

**ჟოვანე.** (საბოლოოება), აი ამი ჭკუა აქ გაშინჯეთ: დიდყაცებს ისე  
ერიდება, როგორც ურია—ღორის ხორცია, გლეხების-  
თვინ კი სული სცვივა! მოდი ამასა და ღმერთი სოხოვე!  
**გლეხ-კაცი.** (განც). გმაღლობთ, შენი ჭირიმე! ეხლა აღარა მიჭირს-  
რა! ღმერთმა თქვენი თავი დიდან მიცოცხლოს! თქვენ  
მოცემულ წამალს გიახელ თუ არა, მალე მტერი მოგი-  
კვდეს, მალე მე ი წყეული გულჭიდობა მამეშვა! მასა-  
ქეთ ისე გახლავარ, ასე მგონია, ეხლა დავიბადე მეოქი!  
**ნინო.** (სამოვნებით). ენაცვალოს ამას დედა! ეგრეთი დალუცვი-  
ლი ხელი აქვს, ყველა რჩება ამი წამალზე, ჯერ არავინ  
მომკვდარა!

**ჟოვანე.** ეხ, რა უყოთ, მმაო! ბარე კაი დოხტურია და კაი ფულე-  
ბიც დამიჯდა ამის სწავლა, მაგრამ რა გამოვიდა: დამფა-  
სებელი ვინ არი? გამორჩენა სად არი? მეტადრე თქვენ-  
გან, გლეხობისაგან რას გამოდნება კაცი? — მუქთ საფლა-  
ვში ჩაწევებით!

**ვანო.** (დაიღრივება). მამაჩემო რა არი? ყო ვა ნეინგავნე!

**გლეხ-კაცი.** თავ შემოვევლე ამასა! მართალია, არა მაქვავია-რა, მა-  
გრამ სულს გაყეიში და ამი აზაგს კი არ შევინარჩუნებ!  
რასა ბძანებთ, შენი ჭირიმე! ამან რომ ჩემი ბიჭი სიკვ-  
დილს პირიდან გამოსტაცა, განა ღმერთი არ გამიშურება,  
რომ ამი სიკეთე დავივიწყო როდისმე და ასში ერთხელ  
მაინც არ გადაუხადო სამაგიერო?! ცისა და დედამიწის  
შუა, მე და ჩემი საწყალი დედაკაცი მაგ ერთად-ერთ  
ბიჭს შევცეროდით და ეგეც ხელიდან გვეცლებოდა! რო-  
გორც მოგეხსენებათ სოფლის აქბავი, ბევრისაგან-ბევრი  
დედა კაცური წამლები ვცადეთ, სამ-სამ მკითხვესაც ვაკი-  
თხვინეთ, ჩემო ბატონო, ვინ იცის სად არ ვალოცეთ, მაგ-  
რამ არ იქნა, არა გვეშველა რა! ბოლოს, რომ მეტი-მე-  
ტათ გამიჭირდა საქმე, გამწარებული ჩამოვიჭერ აქა და  
რომელ დოხტურსაც კი მივმართე, ყველამ ეს მიპასუხა:  
„ამ სიცივეში ძალი არ გაიგდება გარეთო და ჩვენ  
უნდა სოფელში ამოვიდეთო?“ ამან კი, ენაცვალოს ჩემი

თავი ამასა, კრინტიც არ დასძრა, ფიცხლავ თან გამოშეულ  
ყვა და ისე მოუარა ჩემ შვილსა, როგორც თავი შემდგრევა  
ძმასა! ბარე ფასიც ვაძლიერ, მაგრამ, რომ არ ინება ამ  
დალოცვილმა! წამალიც კი მუქთათ გვიბოძა! (თავის ძრა-  
ვით) ოხ, ოხ, ოხ! მე და ჩემმა ღმერთმა, ეს ადამიანი კი  
არა, ლვთის სულია!

**განო.** (მორცევაშით). ხო კარგი, კარგი! სხვა თქვი რამე!

**ნინო.** საშინელი მოწყალეა, ენაცვალოს ამას დედა! ყველას შილა-  
ფლავივით ურიგებს წამლებსა! ალია და მუსია ამას  
ეტანება!

**სტეფანე.** ამას ესეთი ზე სჭირს, ჩემო ძმა! ღმერთთან ალთქმა აქვს მი-  
ცემული, რო ფულს ხელი არ მოჰკიდოს, იორე თითები  
დაუსივდება! თავი ჯიბეს თუ ორიოდე მანეთი მიაკარა?  
— შენი მტერი! იმწავე, ხელიწ სიდამბლე მოუვა! თუ გემე-  
ტება რამე, ჩემთან მოიტანე ხოლმე... ეგ რა არის ქილი-  
თა?

**გლეხ-კაცი.** კამბეჩის ერბო გახლავს, შენი ჭირიმე; ნურას უკაცრა-  
ვათ ამ მცარე ძლვენზე. ბარე მეტის ლირისია, ვენაცვა-  
ლე ამასა, მაგრამ ეხლა ემის მეტი არა შემესწრო რა  
და, თუ ღმერთმა არ მიღალატა, სააღდგომოთაც ერთ  
კაი ბატკანსაც და გოჭს მოვაროთმევ.

**განო.** (უპატივილოთ). არა, ძმობილო! არაფერი არ ჩამოიტანო, თუ  
ჩემი ხათრი გაქვს ეგ ერბოც წაილე და გაჲყიდე; ოთხ  
მანეთს აილებ, შენთვინ კარგია.

**ნინო.** რათა შვილოჩ! მოურთმევია, აილე! სოფლის ერბო სულ სხვაა!  
აქაური პირში არ ჩაიშვება, ნახევარი ქონია! „მარგა-  
რენსა“ ჰყიდიან, გაუშეცეთ სახელი!

**სტეფანე.** (ცარცა). ბიჭო, რა შენი საქმეა?! რა ვაში დელა?! შენ  
წადი, წიგნი იქითხე! (გლეხ-კაცი) გეხუმრება! ამას რა  
ყურს უგდება! შენ ერთი კაი მსუქან-მსუქანი დედლები  
და ინდოური ჩამომგვარე აქა, თუ გინდა, რომ უფრო  
კაი წამალი დაგაწერინო!

**ნინო.** ახალ-ახალი კვერცხები და ვარიები მოართვი დოხტურსა! იმ  
ძანძახში რომ სოფელში ამოეიდა და მომაკედავი შვილი  
მოგირჩინა, მუქთი კი არ იყო! იცი, რა აზიზ-მაზიზა-



თა მყავს გამოზრდილი? ერთიც ვნახოთ გაციფრულიყო,  
მერე?

**განო.** (გამომატება). ფუ, что за народ! с ними, действительно, с  
умы можно сойти! (გლეხ-კაცებ) თუ ძმა ხარ, კვლავ აღა-  
რაფერი ჩამოიტანო აქა, თორე აისე გადვისვრი და  
არც ხმას გაგცემ!

**სტეფანე.** (საპოვანო მომსახურება). რა ვენა... ა, ქრისტიანები არა ხართ,  
შემიტრალეთ! (განთა) ბიჭო! რა გინდა ჩემგან? სისხლს  
რათ მიშრობდე? (პირჯვარს იტერს) ვით ეს ნიკა!

**გლეხ კაცი.** (განთა). ოღონდაც კი ნუ გამიშურები, შენი ჭირიმე, და  
რასაც მიბრძანებ, შენი მონა ვარ. მხოლოთ ე ერბოს კი  
ნუ დამამწყრალებ... მიირთვი, გენაცვალოს ჩემი თავი,  
მიირთვი.

**განო.** კარგი (ჯიბიდან ფულს იღებს და აძლევს) შენც ამას ნუ დამამ-  
წყრალებ, თორემ არ ავილებ ერბოსა.

**გლეხ-კაცი.** (განთა ძრევით). არა, შენი ჭირიმე არა! აბა რასა ბრძა-  
ნებთ! (განთა ძალაზე უღებს ფულს უშები).

**ნინო.** რათ უნდა შეილო?! ეგ ხო ისევ ყიდვა გამოვა! (საპოვანო მომსახურება)  
მეტი მეტი ხელ გაშლილია და არც ესე ვარგა!

**სტეფანე.** (განთა). ათ თუმნიანი ჩაუდე, ათ თუმნიანი! აი იმას კი რა  
უთხრა, ვინც შენ დოხტურის „დეპლომი“ მოგცა! კაი შენ  
პრაფესონებს მოუვათ, კარგათ შენ იმათ გაუზრდიხართ!  
ერთი ქილა ერბო გინდა მილიონათ დამისვა! (თავს  
ძრევით) მწ...ა...ახ! რა სულელია! (გლეხ-კაცებ) წამო, წამო,  
თორემ მე ვიკი, რაც მომივა!

**გლეხ-კაცი.** (განთა მდამლათ თავს უკრავს). მშვიდობითა ბრძანდებო-  
დე, შენი ჭირიმე.

**განო.** (განთა ართმუჯა). მშვიდობით... (ხმა დაბლა) ალარაფერი ჩამო-  
ტანო, თორე ძლიერ მაწყეინებ.

**სტეფანე.** (საპოვანო მომსახურება). ნეტა ვიცოდე, თუ რას ეჩურჩულება!

### გამოსხივა მიოთხე

განო და ნინო

**განო.** რა არი, დედა, უთხარი რამე, რეებსა სჩადის მამაჩემი!

**ნინო.** (ესვევა შვილს). ერთი, მაგი ჯიბრზე, სამიათასთუმნიანი ქალი  
შეირთე, მოშორდი მაგასა და მეც თან წამიყვანე, გენა-



ცვალოს დედა! მაჭანკალი-მაჭანკალზე მოდის დჟარიშვილი  
უპასუხო?

**განო.** (გამოყენელი ძალით). დედა დამაყენეთ, მომასვენეთ! ამდენი  
აღარ შემიძლია! რა გინდათ ჩემგან? აქოდა სწავლა  
მომეცით, გინდა დამაგირაოთ, გამყიდოთ?!

**ნინო.** (გაოცემით). აბა მაგას რას ამბობ, შეიძლო? ციცინათელასეებ  
გრცერით, მზე და მთვარე შენზე ამოვფდის, სიკეთის და  
ბედნიერების მეტი რა გვინდა შენთვინ, გენაცვალოს და  
წამლათ დაგენაყოს დედა!

**განო.** დედაჩემო, ვიცი, მაგრამ რითვერ გაიგეთ აქამდინა, რომ ეგ სიკე-  
თე ჩემთვინ სიბოროტეა, ეგ ბედნიერება—უბედურობაა!  
რა არი, თავი დამანებეთ და ჩემ საქმეში ნუ ერევით!

**ნინო.** (ყავავა). მა ვის საქმეში უნდა გავერიოთ, მყილო? შენგან მო-  
ველით ნეტარებასა, სამოთხესა! შენგან მოველით კეთილ  
ცხოვრებასა! შენა ხარ ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში, ჩვენი  
სიცოცხლე...

**განო.** (გადაღვენ). დედა გაიცრუეთ ეგ იმედები! მე იმდონ ფულს  
თავის დღეში ვერ ვიშოვნი, რომ ოქვენი იმედები გავა-  
მართოო!

**ნინო.** თუ კი სხვები შოულობენ, თუ კი სხვები ამართლებენ მშობ-  
ლების, იმედებსა, შენ რაღა ხარ, გენაცვალოს დედა? შენ  
რაღა მათზე ნაკლები სწავლა და განათლება მიგილია? შენც  
იმ უნივერსეტში არ დაასრულე ქურსი, საცა იმათა?

**განო.** (მოუთმებლად). მწ... მხ! მხ! (სამოგაღოებას) თეპერ დოდი ი ი-  
ასხნ ეй, что такое принципы! (ნინოს) ალბათ მე სულე-  
ლი ვარ! გაიგეთ, რომ მე სხვას ვერ დავებაძები, ვერა!

**ნინო.** (ნაღვლიანია). მაშ რისთვის გასწავლეთ, შვილო? მაშ რისთვის  
გამოგზარდე, გენაცვალოს დედა?!. იცი, თუ რამდენი  
ამაგი მაქვს ტათესილი შენზე? ნათქვამია: „შვილმა რომ  
დედის გულისთვინ ერბო-კვერცხი მოწვას ხელის გულზე,  
იში ამაგს მაინც ვერ გადაიხდის“. მაშ არ უნდა გებრა-  
ლებოდე, მაშ არ უნდა უშველო შენ მშობლებსა?

**განო.** დედა, მებრალებით კიდეცა, მიყვარხარო კიდეცა! აი, ალაგს  
ვიშოვნი თუ არა, ნახევარ ჯამაგირს თქვენ გამოგიგზავნით  
ხოლმე.



**ნინო (გალცერით).** როგორ თუ „გამოგიგზავნითო?!” განა შექმნავთ ჩამდებრები მე აპირებ წასვლასა? განა თავი უნდა დაგვანებო ჩვენა? უწინ დღე დამელის, რომ შენ გვერდიდან მოგიშორო! შეხი წასვლა იქნება აქედანა და ჩემი სულის დალევა! ძლიერ ხელში ჩაგიგდეთ და...

**განო (მოუთმებლად).** მწ... ა...ახ! ღმერთო! რა პყრობი, რა პყრობი!

**ნინო.** კარგი, კარგი! ნუ ჯავრობ შვილო! ნუ ხარ გულფიცხი, გენა-ცვალოს დედა, თორებ მალე დაბერდები! წავიდე ერთი, მივხედო იშ ბიჭსა—ფლავი არ დასწვას. ფლავი ხო გიყვარს, შენი ჭირიმე?.. ხორცით გავაკეთო, თუ ერბო-კვერცხითა, როგორ უფრო გიამება?

**განო.** როგორც თქვენ გინდათ, ჩემთვინ სულ ერთია.

**ნინო.** ნახევარ ისე გავაკეთებ ნახევარ—ასე, რომელიც მოგეშონის, ისე სჭამე. შურაბითაც კარგია! მაგრამ ვარიები რომ იშოვებოდეს აქა, იმას რა შეედრება!

**განო (მოუთმებლად).** დედა, რა არი, გაათავე ჭამაზე ლაპარაკი! ჩა-დეილი! («აბოგადოუმას») თолько и слышу, что: „ვარიები მოხ-რაკული, შემწვარი“ просто тошно!

**ნინო (ჩყანით).** აი მივდივარ, მივდივარ, შვილო! (ნაღვლიანათ) რა ვქნა, რათ გეჯავრები ესე ძიენა? თითქო ურიგო დედა არა ვარ, თითქო ზედ დაგვანებალებ, ფარვანასეებ დაგტრი-ალებ: გძინამს—ფეხის ფრჩხილზე დავდივარ, გლვიძამს—თვალ წარბში შემოკცები...

**განო (ნაღვლიანად საბოგადოუმას).** მწ... ახ, რა ვქნა! თანაც მეცოდებიას! Они меня не понимают! (ნამოს) დედა, გეფიცები, არ მეჯავრებით! ძიენ მიყვარხართ შენც და მამაჩრმიც, მაგრამ მეტის მეტად მაბეზრებთ თავსა და მეც ადამიანი ვარ თუ არა, მოთმინებიდან გამოვდივარ! კარგი, შევ-რიგდეთ... (ხელშე და პირშე ჰკოცნის).

**ნინო.** (აღცაცურული ესვევა). ოი, შენ კი გენაცვალე, შენა, რომ უძვირ-ფასესი ხასიათებისა ხარ! (მოწიობით) შვილო... შენ რომ მდიდარი ცოლი...

**განო.** (აჩყვაცინებული ესვევა). მწ.. ა.. ახ! კიდევ! დედა, ეხლა რას გეუბნებოდი?

**ნინო.** კარგი, კარგი! მაგაზე მერე ვილაპარაკოთ.

## გამოცვლა გენტი.

ვანო და სონა.

განო. (ღადის სცენაზე). უმ! ნეტა ერთი ჩქარა ვიშოვო ადგილი, რომ  
წავიდე აქედანა! სამი თვე აქა ვარ და ლამის ჭკუიდან  
შევიშალო! აქეთ-მამაჩემი, იქით-დედაჩემი და ზედაც-  
ნათესავები! ყორ ვნათ, რა თაქო! ერთი ბეჭვა თავი-  
სუფლება არა მაქვს! ვ კაждუ მელობ ლევთ, კაჯდა  
შაგ პროვერიათ! რა უნდათ, რას ელიან ჩემგანა?! მე რომ  
მაგათ ნებაზე ვიარო, პატიოსნებაზე ხელი უნდა ავილო!  
ხმ! საცინელიკ არი და სატირელიცა!.. (ღაფიძრება ღა  
ზერგ სელის ძნევით) ეხ, ჯერ ეგ რა არი, არაფერი! ახლა  
გაიგონ ისა!.. დედაჩემი იქ მაჭანკლებს ევაჭრება და ის  
კი არ იცის, რო მე დიდი ხანია საცოლო კიდეცა მყავს  
რუსეთში!. (სელების მცჯრები) როგორ უთხრა?..! როგორ  
შევატყობინო? ვო ბედა?!

## გამოცვლა ენეზე.

ვანო და სონა.

ხონა. (ესვეგა მბაცა). ვანოჯან, რათა ხარ დაღონებული? კიდევ გაგა-  
ჯავრეს, კიდევ გითხრეს რამე?.. (გაჯავრებული სმით) უჭ,  
ლერთო! რეგბი არიან!

ვანო. არც არა უთქვამო რა და რომ კიდევ ეთქვათ, მე მაგათი სიტყვა არა მწყინს. Напротив, მებრალებიან. რა მიუღიათ, რა მოეთხოებათ? Мы должны быть снисходительны к их слабостям, а не негодовать. საქმე მაგაში არ არი. მე ის მატუნებს თუ, როგორ უთხრათ?

სონა. რა, შენ საკოლეგი?

ვანო. ხო, ერთხელ მაინც უნდა უთხრა თუ არა?

სონა. არა, ჯერ ნურაფერს ეტყვი. აი, როცა ანტონინა პეტროვნა-  
საგან ტელეგრამმა მოგივა— „მოვდივარო“, მაშინ შეგი-  
ძლიან უთხრა; თუ არა და, ტყუილათ გულს გაიშფო-  
თებ და...

ვანო. არა, უცბათ თქმა უფრო ცუდია! უნდა თან-და-თან ჩოგორ-  
შე შევატყობინოთ...



**სონა.** (დაფარტება და მეტე). იცი რა? — მაგას გაბო მოკინელებულის  
ყოჩალია! (სიცილით) აბა იმი დედას კი არ ექნება ამბავი,  
როცა გაიგებს, რომ იმი შეილი მე მირთამს! ოს, ვანო!  
რა მიხარიან, რომ აქედან მივდივარ! თუმცა დედ მამა  
მიყვარს და ძალიანაც მებრალება, მაგრამ რა ვქნა, რომ  
სული-სულზე ველი ამათთან გაშორებასა!

განო. ხმ!. გასამკარიც ამ არის! ან აქამდინ როგორა სძლებდი?

სონა. აქამდინ, კიდევ, გიმნაზიაში დავდიოდი, მერე ბავშებს ვასწავ-  
ლიდი....

განო. აი ეხლა შენა და გაბო ჯვარს დაიწერო და სულ სხვა შრეში  
იქნები.

სონა. (ხისარულით ფაშის ბეჭობურავება). прелесть, прелесть! გამო დამ-  
პირდა: „კურსებზე“ გაგგზავნიო!

განვ. გაბოც რომ არა ყოფილიყო, მე თითონ გაგებავნიდი. მაინცა  
და მაინც, რასაც კი შეეძიძლებ, მეც გიშევლი ხოლმე.

სონა. (ესვერა და ჰკლიტიც). ოხ, ვანო! რა კარგი ხარ, რა კეთილი ხარ! ვანო. (სიღილით იშლტებს). კარგი, კარგი! ნუ დამახრჩე!

სონა. (პუნდის) მერე, როცა კურისს დავასრულებ, საზოგადოსთვის  
ვიმუშავებ, ჩემი შრომით ვიცხოვრებ... ოხ, განა ამაზე  
ძარგი შეიძლება რამე!

განო. (შემოზღვის ჰქონების). ყოჩალ! მხოლოდ ცარიელი სიტყვები არ  
იყვეს ეგა, ეცადე!.. (ღრუდნიდან ისმის ვაკენი და ხმა). ეს-  
კულა—ო! შინა ხარ?

զանո, Շոնօ զար, Շոնօ!

სონა. (სიმსიარულით): აგერ გაბოკ მოვიდა!

## გამოცვლა ეფექტოები.

იგინივე და გაბო.

გაბო. (ხელის უმცველეს ხონას). С добрым утром, моя будущая супруга!  
вашу ручку-с!

სონა. (გამოსა სელჩი სელს დაპურება). უხ თყ! სარა ხარ აქამდინა?

(забыв) Здравствуй, мыслящий пролетарий! дай твою

мешало-бы иметь понежнее руку! Впрочем, ты ~~ведь это не~~  
дамский врач! Для мужичка и этого достаточнo!

განო. (მსატზე სეღლს გააკრავს). защитник угнетенных! სადა ხარ, სად  
დაიარები?

გაბო. სულში. ყურს უგდებ აქაურ სპასოვიჩებს და ოვალს ვადევნებ  
„აბლაკატებს!“... ხო, მართლა! აბა ამოიყაჭეთ ოქვენი  
ჯიბეები!

სონა.  
განო. { რათა, რა იყო?

გაბო. ის იყო, რო ოთხ-ოთხი სტუდენტი დაუთხოვნიათ უნივერსი-  
ტეტიდან, რა კი სწავლის ფული ვეღარ შეუტანიათ სა-  
წყლებს! ერთი ებრაელია, მეორე რუსი, მესამე—სომეხი,  
მეოთხე—ქართველი. ჩინებული ბიჭები არიან!

განო.  
სონა. { უნდა უშველოთ.

გაბო. მეც მაგას მოგახსენებთ! გუშინდელს-აქეთია ფულს ვაგროებ.

განო. რამდენი იშოვნებ?

გაბო. სანამ არა უჭირსრა, კარგა მიღის საქმე—„Катенька“ შევა-  
გროვე.

სონა. (გათცემით). „Катенька“ რა არი?

გაბო. (უფრო მიმდინარე). ნუ გეშინიანთ, ნუ გეშინიანთ, ქალი არ არი, ათ-  
თუმნიანია! (Екатерина Великая) ერთი წარმოდგენაც  
რომ გავმართოთ იმათოვინ—дело в шляпе! მონაწილეო-  
ბას ხომ მიიღებთ, ხომ ითამაშებთ სცენაზე?

განო.  
სონა. { დიდი სიამოვნებით!

გაბო. Молодцы, спасибо!

განო. (პატრიარქის იღებს და სამ ბანეთიანს აბლავს). ეხლა ემ სამი მანე-  
თის მეტი არა მაქვს და როცა ვიშოვი, კიდევ მოგცემ.

სონა. (ნაღვლიანათ). ახ, რა ვენა! მე რომ ათი შაურის მეტი არა  
მაქვს? (პატარეკიანა აორცმნიდან ათ შაურიანს ამოიღეს და გა-  
მოს აბლავს).

გაბო. (ფეხს ართმევს). არა უშაგსრა, არა უშაგსრა! ესეც ლუკმაა!  
„с миру по ниточки— бедному рубашечка!“ (პაპიროსს  
უკიდის) ну-с, რა ამბავში ხართ?



**განო.** (ნადულიანათ და სელის ძრევით). ეხ, ნუღარ იტუვი! ურთიერთობა  
გაბო. რათა, რა იყო?.. მამაშენი კიდევ თავისებურათ გამკობს? (აჯავ-  
რებს სცენარის) „ах ვი დურაკ! აх, ვი საცვიალისტ—რა-  
ბონიკ!“ (ვანო და სონა იცინაან).

**სონა.** (სიცილით). ეგ რა არის, ახლა ის გაიგოს!

**გაბო.** რა, ამის საცოლო?.. (ჯანხს, სელის ძრევით) ოხ, ეგ რომ გაიგოს  
ხომ, მშევიდობით და მშევიდობით! შენ ანტონინა პეტროვ-  
ნის: გამოესალმე! მგონი კიბიდან გადაეჩეხოთ ორთავენი!

**განო.** შენა, შენ როგორლა მოდიხარ დედაშენთან, არ გაწუხებს?

**გაბო** მაწუხებს, მაგრამ ერთ ყურიდან შედის, მეორიდან გადის!  
შენ რა გიჭირს! იცი დედაქემი რეებსა სჩადის?—რამდე-  
ნიც ჩემ სახელზე საიდანმე წერილი მოდის, თუ მე შინ  
არა ვარ, გააქვს და სხვებს აკითხებს! (აჯავრებს კუკლას)  
— „ერთი გამიგეთ, გენაცვალე, რუსის მათუშავასაგან ხო  
არ მოსვლიაო!“ ახლა, იმდღეს მოვატყუე: დედა, ათი ათას  
თუმნიანი ქალი მეძლევა, მხოლოთ ძიენ გონჯია და ცა-  
ლი ფეხითაც კოჭლია, არ ვიცი, შევირთო მეთქი, თუ არა?  
— თუ შენი რჯულის ქალია, შეირთე, გენაცვალოს დე-  
დაო! სიგონჯესაც ეშველება და სიკოჭლესაცაო. ორი ხე-  
ლით პირს დაიბანს, პატარა ფერ-უმარილს გადიკრამს—  
თან და თან გალამაზდებაო, ფეხსაც დოხტური გაუსწო-  
რებსო!

**სონა.** (სიცილით). ხა, ხა, ხა! სუ იგონებს, იგონებს!

**განო.** что же, se non è vero, è ben trovato!—თუ მართალი არ არი,  
კარგათ ხო ნათქვამი!

**გაბო.** მა რის ადვოკატი ვარ, რომ ტყუილი არა ვთქვა! На то я и  
юрист, что б изящно враты!

**განო.** Слушай, с твоей адвокатской этикой столкновения не было  
еще у твоей матери?

**გაბო.** (თავის ძრევით და სიცილით). ოხ, გუშინ ისეთი ამბავი ჰქონდა,  
რო!.. ერთი „ქლიერტი“ დავითხვე— „ქლიაუზნი“ საქმე  
მასლია და არ ავიღე.. დედა ჩემმა რომ გაიგო, თავში  
წაიშინა: მა რამ უნდა გაცხოვროს, შვილო?! ადგაქანტმა  
ყველა საქმე უნდა გაარჩიოს, შვილო!.. დედა, მე სვინი-  
დისს ვერ გავაქირავებ მეთქი. ოხ, ამაზე ხო უფრო და



უფრო შეხტა რეზინის ბურთივითა! — სვინიდისიანი აქემენი  
რა არი, უსვინდისო საქმე რა არიო? ვინც მეტი შოგცეს,  
იმის საქმეს უნდა მოჰკიდო ხელიო!.. ახლა რა გაცინოთ  
იმ დღეს, დედაჩემი ერთ ბაჭინვალს ესე ევაჭრებოდა:  
(აჯავტებს კაჭლას). „ქა... ა, ესეთი ნასწავლი, ესეთი მო-  
ლაპარაკე ადგაკანტია ჩემი შვილიო, რო ქვას გახეთქამს  
იმის ლაპარაკიო! პტყუან გაამართლებს და მართალს გა-  
ამტყუნებსო!“ — Прелестная реклама! — „არა, გეთაყვა,  
ორი ათასოუნიანზე ნაკლებ ქალს არ შევრთამო!“ მე ჩემ  
ოთახიდან შემომესმა ეგ „აუკციონნი ტორგი“ და შევძა-  
ხე: დედა, რა პატარა „ტაქსა“ დაგიდვია, ეგრე იაფათ  
ნუ მყიდი, ერთი ათიშაული მაინც მოუმატე მეთქი! ოხ,  
ღმერთო! O, tempora! O, mores!

სონა. მე რომ ორი თუმანიც არა მაქვს, დედა-შენი რას გეტყვის? გაბო. ხო, მართლა! დღეს უთხარი: ტყუილად ნუ სცდები, ზარალო-ვის ქალს ვირთამ მეთქი.

განო. ბონა. } მერე რა თქვა?

გამო. რაღას იტყვიდა, კინაღამ აპოპლექსიური უდარი მოუვიდა!  
პირ-ლია დარჩა და მე აქეთკენ გამოვწიო! ახლა, ვიცი, აქ  
მობრძანდება და გაიმართება ომიანობა! (სიცილით) ხა,  
ხა, ხა! Вот будет катастрофа!

სონა. გაბო, თუ გინდა შენ სიტყვებს უკან დაგიბრუნებ? ხო იცი,  
ლედა-შენი თავს მოიკლამს!

გაბო. (სიცილით). რასა ბანებთ, ქალბატონო! აღარ მოგწონვარ და  
მაგას იმიზეზებთ? განა გაეგონჯდი? (სატვეში ისტერია) არა,  
ისევ ისე ლამაზი ვარ! (ცხვირტჲ თათს დაირცყამს) მხოლოდ  
ეს ცხვირი აფუჭებს საქმესა! ნამდვილი „ბარომეტრია!“  
—ცივა ლურჯდება, ცხელა — წითლდება! მაინცა და მაინც  
მარილიანი ყმაწვილი ვარ!

**სონა.** (სიცილით). კარგი, გამო, ნუ მასხარობ, მე არ ვეხუმრები!

გაბო. არ მეხუმრებით? Как, серьезно?! მაშ ალარ გიუვარვეარ? (ხუ-  
ლუბის შლით) Вот тебе на! это мне нравится!

**სონა.** (სიცილით). ძიებ მიყვარხარ, მაგრამ...



გამო. (აწყვეტილი). Без всяких „მაგრამ!“ რახან გიყვარვაში სტრიფთ) „Все пустяк, все трянь-трава!“

გამო. Оригинальное объяснение в любви!

გამო. Все-же, лучше, чем банальное.

გამო. (ღიაბილი). წავიდეთ ჩემს ოთახში და იქ მოვილაპარაკოთ.

გამო. რა, შენ საცოლოზე? Bene, bene! подпишем смертный приговор Степану Иваничу! О... о! мы с ним на ножах! (გადანა. ცოდა ხანს უკან ღრული დანი ისმის კავუნი და ხმა: ღოსფერი შინა მარანდება? მეორე კარგი დანი შემოდის ნინო და გასძმების: ვინა ხარ?, ან მოღი).

### გამოსვლა მირზე

ნინო და ბიჭი, მერე სტეფანე.

ნინო. (ჩრდილ-ჩრდილ). ვინ გინდა? ჩემი შვილი, დოხტური?

ბიჭი. დიან, ავათმყოფი გახლავს.

ნინო. (დაჭაულტება). ეხლავე, ეხლავე! ფაიტონი ხო მოიყვანე.

ბიჭი. რა ფაიტონი უნდა, ქალბატონო, ექვე გახლავს, სულ თრი ნაბიჯი არ არი.

ნინო. უი, დამიღეს თვალები, ქა! რომელი დოხტური დადის „ვიზიტებზე“ უფაიტონოთ, რომ ჩემმა შვილმა იაროს! ხომ პატივი აეყარა, ვინც დაინახამს, რას იტყვის! იქნება შენ ჩემი შვილი უბრძლო „ფერშალი“ გვონია?! უი, მომიკვდეს თავი ქა! დოხტურია, მოსკოვში დაასრულა კურსი! გასწი, წალი ჩეარა და ფაიტონი მოიყვანე! (იძით) ექ სულაც არ გაიქვეს და სხვა დოხტური არ მოძებნოს! (მიას) მოიცა, მოიცა! ჩენ ბიჭს მოვაყვანინებ და ფულის მიცემა კი შენ იცი! (გასძმების ღრული დანი) ბიჭი! შაქრო! დაყრულდი, შე არ დასარჩენო! (გარებან ასმის ხმა: „შაფონო! შაფონო!“).

ნინო. დამი მოხადე ფლავსა და გაიქე ერთი რეზინებიანი ფაიტონი მოიყვანე, ხა, ჩეარა! არ დაიგვიანო, თორე არც მე და არც შენა! (მიას) ჩემი შვილი ცოტა თავ-დაბალია და თუ გეხვეწოს გვერდე მომიჯექ ფაიტონშიო, შენ კი არ გაბრიყვდე და მართლა იმი გვერდე არ გამოიჭიმოს? შენი ალაგი—კოზლაზეა!

**ბიჭი.** (წყინით). ვიცით, ქალბატონო, ვიცით! განა მაგდენიც არ გვამოვარდნილო, რა დაგვემართა, ტყიდან ხომ არ გამოვარდნილვართ, ხალხში არა ვყოფილვართ, თუ რა არი! სამი წელ იწადი ლენერალ-კაცთან ვიდექი, თექვ-სმეტი თვე— არხიტოხტურთან... (შემოდის საფიანი).

**ნინო.** (მიასთობს). სტეფანჯან, დოხტურსა კითხულობებ!

**სტეფანე.** (დაფიცერდება). მაშ რაღასა დგეხარ? არიქა, ჩქარა, განოს შეატყობინე! ეგ „პიჯაკი“ გაიხადე და ახალი სერთუკი ჩაიცვი თქმ! მაჯა-საყელოც გამოიცვალოს, უთხარი.

**ნინო.** პრაჩქას გაუშედეს სახელი! კარგათ რომ არ გაუხამა პერანგი (გადის).

**სტეფანე.** (იძით). ეს არის ხათაბალა, „ზნაჩოკი“ გერ ვაყიდვინე აქამდინა! (შინა) ვისთანა დგეხარ? სამსახურშია შენი „ხა-ზენი“ თუ ისე, შინა კაცია?

**ბიჭი.** რა ვიცი ე „ქარდა“ კი არ აკრამს ქუდზე და...

**სტეფანე.** ძიენ არის ავათ? რა სტკივა? ციებ-ცხელებაა, საოფლეა, ინფლუენციაა, რა არი?

**ბიჭი.** აბა მაგისი რა მოგახსენოთ: მაგდენიც რომ მცოდნოდა, ხომ აქ ალარ გიახლებოდი და მე თითონ უწამლებდი!

**სტეფანე.** მაინც სანამ ავათ იყოს, სულ ჩემი შვილი წაიყვანე ხოლმე, ამან ექიმობა კარგად შეისწავლა. ამისთანა დოხტური ერთიც არ დაიბადება ამ ქალაქში! ვერცხლის მასკვლა-ვით დაასრულა კურსი, მაგრამ გულზე კი არ კიდებს— ჩემი შვილი სხვასებ მცვეხარა და შეტიჩარა არ არი. (იძით) ნეტა ეგრეთი იყვეს და ჩემშე ბედნიერი მამა ვი-ლა იქნება!

**ბიჭი.** (სამოგადოებას). ე რა „სორთის“ ხალხს შევიყარე!

**სტეფანე.** (სამას უდგაბს). დაჯექი, შვილო, რასა დგეხარ, დაიღალე-ბი. (იძით) უნდა ვეფერო, მეტი რა ჯანია! (შინა) მოდი ერთი სტაქანი „ოტკა“ გადაპყარ!

**ბიჭი.** (ცივათ). გმადლობთ, მე ოტკას ახოტნიკი არ გახლავარ!

**სტეფანე.** ლვინო?

**ბიჭი.** ღმერთმა ააშენოს ჩემი ხაზეინის ოჯახი, არც ლვინო შაკლია იმის სახლში და არც ოტკა!



**სტეფანე.** (იძით). რა დიდ გულზეა ეს მამაცხონებული! (შეკვეთი მომზადებული) შვილობასა, შენც, რამდონიც შეიძლო, ხმა მიყარ-მოყარე და ვინც აგათ გახდეს, სუ ჩემ შვილთან მოგზავნე ხოლ-მე! ეს ასეთი დოხტურია, რომ კვდარ გააცოცხლებს!

**ბიჭი.** (სამოგადოებას). ვაიმე თუ ცოცხალსა ჰქონდეს!

**სტეფანე.** დოხტურ-მედიცინზე მეტი ესმის! ერთი წელიწადი „კნი-ლიკაშიაც“ დადიოდა.. (სამოგადოებას) მაგრამ, აბა ამ „ტეტიას“ რა შევასმინო?!. (შემოდიან ნინო და ჯან).

**ნინო.** (ტომილად ფანისამთასის ჩოთა უფირავს და ვანოს აზეფთავებას). კარგათ ჩაითუთნე, გენაცვალე, არ გაცივდე.

**ვანო (შიგეს).** აბა წამოდი.

**ნინო.** მოიცა, შვილო, ფაიტონი მოვიდეს. ჩვენ ბიჭს გაუწყდეს სა-ხელი! სად არი აქამდინა? განგებ შორს წავიდოდა— ბევ-რი „ვიკატაოო“.

**ბიჭი.** (ჯანოს). ბატონო, ექვე გახლავს, თვალის დახამხამებაზე მივალთ.

**ვანო.** (გამრაბებული, ღეღ-შამბას). მაშ რალას მაცდელინებთ?! რახან ახ-ლო ყოფილა, რა ფაიტონი მინდა, ფეხითაც კარგა წა-ვალ! (შიგეს) წამოდი.

**სტეფანე.** (უკან დასწერას). ბიჭო! ნუ ხარ სულელი! შენ თავის პატივი იცოდე! (პირჯვარს იწერს) ახ, ღმერთო! ე რა დაბალი ლობეა! (ღერეფინიან ისმის სრა: „რეპინებიანი ფაიფონი მოვა-ევანი!“ მიწი, ვანო და ნინო გადიან).

### გამოსცელა მეცხრე

სტეფანე მარტო.

**სტეფანე.** (ჩამოვარება საკარბოშია და ამთხოვებით). ახ! რა ძნელია, როცა კაცს უხეირო შვილი გამოუვა! დასწყვევლის ღმერთშია, რა ასულელებთ ეხლანდელ ყმაწვალებს, ჯერ ვერ გამიგია! სწავლა მქონდეს და არ მოვიხშიარო, მთელი ქვეყანა არ გადავაბრუნო მავ იარაღითა? — მაშ თავი ტანზე რალათ მაბია, მაშ ადამიანი რალათა მქვიან! (ამოსხვრით) ეს, ფლავი ვის უდგია და იშტა ვისა აქვსო! „ახ, მიმელო მე სწავლა! კაცო, სწავლამ უფრო უნდა მომიმატოს ჰქუა, თუ დამაკლოს? (თავის ძირებთ) არ ვიცი, არ ვიცი, ე რა

გამოცანა! შევი და თეთრის გარჩევა რო არ ტკის სასარგებლო რაც არი და არა, როცა არ გაეგება მაგ უბედურსა, აბა მე რა ვქნა? ჩემ ჭერას ხომ ვერ ამოვილებ თავიდან და მაგას ვერ ჩაუდებ! ეს! უბედურ მას-კვლავზე დაბადებული და უბედურიც იქნება ამინის უქუნისამდე! წყალში გადაყყარე, რაღა, წყალში, იძოდენა ფულები!

## შამოსვლა მეათი

სტეფანე და გაბო.

გაბო. რას დაუიქტებულხართ, სტეპან ივანიჩ? ისევ გეომეტრიულ „სჩოთებს“ აკეთებთ? — ისევ „ორი ათასი ნალი — კაკალი თუმანი“ გამოდის ვანოს წავლა?

სტეფანე. მაი სინ ვანო დურა!

გაბო. რა დროს „მაისია“, სტეპან ივანიჩ, ჯერ აპრილიც არ დამდგარა!

სტეფანე კბილების ღრეჭის მეტი რა იცით ეხლანდელმა ყმაწვილებმა!

გაბო. რასა ბრძანებთ, სტეპან ივანიჩ, როგორ არ ვიცით — ბერძნულითა და ლათინურით თავი გამოლაყული გვაქვს!

სტეფანე. ეს, შვილო! ბერძნულმა და ლათინურმაც ვერა გიშველათ-რა! აი კედელს ცერცვი შეაყარე, — შედგება?

გაბო. (ჩამოჯირდ). მაშ არ მოგწონვართ ეხლანდელი ყმაწვილები?

სტეფანე. სუ ერთ თოკზე ხართ ჩამოსახრჩობი თქვე „საცეიალისტები!“ თქვე „ტალსტოვიჩის“ გადარეულებო, თქვენა!

გაბო. (სიცილით). ხა, ხა, ხა! ვისი?

სტეფანე. „ვისი“ და სწორეთ ი „ტალსტოვიჩისა!“ ი რო პატიოსანი კაცი ყოფილიყო, საღდრიდან არ დაითხოვდნენ! „უმნი კაცია, უმნი კაციო“ და, ბოლოს გამოვიდა, რომ ქვეყნის ამომგდები ყოფილა! ამბობენ, დუხაბორებიც მაგან გააგიჟა! მეტი — მეტი მოუსვენარი ყოფილა რაღა! ნეტა ახალგაზდა მაინც იყვეს და ჯანაბაძა! კაცი, მგონი, ოთხმოცწელიწადშია, ცალი ფეხი სამარეში უდგია და ღმერთს ახსენებს! გავარიათ ის ნაწილ ადან კნიგა, შთ... შთი ნიღ ჩართალია? ვი ჩიტალ ეთა კნიგა?

გაბო. Нет.

სტეფანე. კარგა გიქნია!.. Слишь, პუშკინის სჯობდა მაგას, არა?..

Скажи мэнэ, пажалуста, ვინ უფრო „უმნი“ და „რაზ-ვიტოია“, ლერმანტოვისი თუ შუკაბირისი?

გაბო. არ ვიცი. ეხ, სტეპან ივანის, ლიტერატურას თავი დავანებოთ და ახლა თქვენ შვილზე ვილაპარაკოთ! (ძირი) როგორ დავიწყო?.. (სცენარის) სტეპან ივანის! ვანოს ერთი რუსის ქალი მოსწონს...

სტეფანე. (მიღწე-მოიჩეს). რაო? „რუსის ქალიო“?!

გაბო. დიახ, ძალიან კარგი ქალია, ნასწავლია...

სტეფანე. ბიჭი! ხუმრობ თუ მართლა ამბობდე?!.. (შემოდის ვანო).

გაბო. აი თუ არა გჯერათ, თითონ ვანო გეტყვით.

### გამოსვლა მეთართმეთი

ვაინივე და ვანო.

სტეფანე. (ვანოს). აქ მობრძანდი! რას ამბობს ესა: ვინ რუსის ქალი აგიკვიატებია?! რა გინდა, შვილო ჩემგან! ხომ ვერ მომ-კლამ, უდანოთ ხომ ყელს ვერ გამომჭრი?!

ვანო. (გამოს). Что, ты уже сказал?

გაბო. Да, так, слегка, прозондировал почву.

ვანო. (სცენარის). მერე რა არი, რუსის ქალი ადამიანი არ არი?

სტეფანე. (სამოგადოებრივს), მოდი და ელაპარაკე ამას! (ვანოს) აქაოდა ადამიანია, იმიტომ რჯულზე ხელი უნდა აიღო? შვილებს მამა-პაპეული რჯული და სარწმუნოება უნდა გამოუცალო? რუსის ქალი რომ შეირთო, ხომ შვილებიც რუსები გეყოლებიან!

ვანო. (გამოს). ეხლა რა ვუპასუხო? Спорить с ним, что это не важно—глупо! нет—так надо же кончить, наконец!.. (სცენარის) მამა ჩემო, მე რჯულს არ ვარჩევ: ჩემთვინ რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ებრაელი და სხვა სულ ერთია. კარგი-კარგია, ცუდი-ცუდია. თუ თვითონ ადამიანი პატიოსანია, რა რჯულისაც უნდა იყოს!!

სტეფანე. (ჯერ გათცემით უცდების და მეტე). რაო? რას ამბობს, რა ვენა? გაგიუდა... ა?!. არა, შვილო, პავლოვცისთან უნდა წაგიყვანო და გაგაშინჯო—ზეით ეტაჟში ხომ არა გაქ-

ლია-რა! თუ შენ თავში დაკრული არ იყვე, მაშ გამიწყრეს! (ვაძო და გამო იცინიან) შთი ვი სმინა?! შთი ვი ბალაშა?!.! რა გარე გავარიშა?!.! შთი ვი უჩილ უნივერსეტ?.! ვა უჩილ ვი უჩილ უნივერსეტ?.! პასლენი კუსოკ ითნიალ და ვამ პრისიალ, ვი დურაკ ვიშოლ!.. (პირჯვარს იწერს) რა ვენა, ე რა, ნესხასტია ჩემ თავს მოსული!!

**გაბო.** (სიცილით). სტეპან ივანიჩ! ან გовори по русски, ან говори по грузински, თორემ მაგ რუსულ-ქართულში ენა დაგეწერ-კებათ!

**სტეფანე.** (პირჯვარს იწერს). ახა, ღმერთო! რომელ ერთ გიუს გაუძლო! ორთავენი ერთ დიშლაში არიან შესაბმელინი!

**გაბო.** საოცარია, სტეპან ივანიჩ: რუსული ლაპარაკი ძან გიყვართ და რუსის ქალი კი არ გინდათ რძლათა პრაკტიკა მაინც გექნებათ!

**სტეფანე.** (გამორთულით). დამიყენე, ბიჭო, სულთა-მხუთავივით რას მომჩერებიხართ! რა დროს ხუმრობაა?!!

**გაბო.** არა, მართლა, სტეპან ივანიჩ: ვანომ რომ რუსის ქალი შეირთოს, რას იზამთ?

**სტეფანე.** რასა? იმ წამვე თოვს ჩამოვაბამ და თავს ჩამოვიხრჩობ! ბარე მოვიდეს, ტყვია მესროლოს და ეხლავე გამათაოს! რომ ერთი-ორი მილიონი ჰექტარის მზითვათა, კიდევ გამეგება! ჯანაბას! ფული ყველა ნაკლებულობას გაასჭორებს!

**გაბო.** ჰაი, ჰაი! ორი მილიონისოფის ხომ ცოლს გაეყრებით და ოქვენც შეირთამთ რუსის ქალსა!

**განო.** (სიცილით). მამა-ჩემო, ძან მეცინება შენზე! ერთი მითხარ, თუ რად გინდა, რომ მდიდარი ცოლი შევირთო? ჯერ ეს ერთი: ფული შეიჭმება, ქალი დარჩება, მეორეც ესა, მე ხომ იმ უსვინდისობას არ ვიკადრებ, რომ ცოლის ფულით ვიცხოვრო და აბა შენ რა გერგება?

**სტეფანე.** (ჯერ გაცემით უცდებიას და მეტე თავის ძნევით). არ ვიცი, შვილო! არც ამ მთისა ხარ, არც—იმ მთისა! მე ვამბობ ხატისაგან თუ ხარ შეჩერენებული!

**გაბო.** წმინდა დავითისაგან იქნება, სტეპან ივანიჩ, წმინდა დავითისაგან! ხვალვე წაიყვანეთ და ალოცეთ! მგონი, „ფინიკულიორიც“ ადის! (შემოდის ნინო, რომელსაც ფილიგრამა უჭირავს ხელში).

## გამოსცლა მთორმეტე

იფინივე და ნინო.

**ნინო.** (ფილიპონიშვილის ვარაუდის). შეილო, ეს დეპეშა შენ სახელზეა. ერთი ჩქარა წაიკითხე, გენაცვალოს დედა! ჩქარა, ჩქარა! გული მიქანდება! (საჭიროებულის) საოცარია: რამდენიც ტელეგრამა მოღის, მე ჩემი მემართება! ამ წყეულში ან დიდი სიხარული სწერია ხოლმე, ან უბრდულობა! (ვარ და გამო კრთმანთს გადასერდენ და მიმივით ლაპარაკობი).

**სტეფანე.** (ვარაუდის). ვისგან არი, საიდანა, რა სწერია? წაიკითხე რაღა? რა ვქნა, კითხვაც არ იცი? ეგ მაინც ვერ გამოიტანე რუსეთიდანა?!?

**გაბო.** (იძით). ვაი ეხლა ვანოს ბრალიცა! მივეშველო, თორებ მთელ მედიცინას დაავიწყებენ! (ხელის წაჭრაჲს ვარაუდის) Смелей-же, брат, „смелей! двум смертям не бывать а одной не ми-новать“! (სტეფანის და ნინოს) ეგ ტელეგრამა გახლავს ვა-ნოს საცოლოსაგან... (იძით) Начало не дурно!

**სტეფანე.** | რაო? «საცოლოსაგანაო?» (შვილის უცვერთან გათცებით).  
**ნინო.** |

**ვანო.** (ხმის ვარაუდით). ხო... ჩემ... საცოლოსაგან არი... რუსეთ-ში ძლიერ მომეწონა... ერთი კარგი ქალი... შევიყვარე და დავინიშნე...

**სტეფანე.** | ე რა მესმის!!.. (თავჭარდაცემული არიან).  
**ნინო.** |

**გაბო.** ეხლა ის ქალი სწერს: „მანდ მოვდივარ ჯვრის დასაწერათაო“.

**სტეფანე.** | „ჯვრის დასაწერათაო?!“ ვიზე? რუსის ქალზე?!  
**ნინო.** |

**ვანო.** ხო... რუსის ქალია...  
**გაბო.** უნდა მოგახსენოთ, ძლიერ კარგი ქალია! უშალლესი სწავლაც მიიღო; თუმცა მხითევი არა აქვს, მაგრამ თავის შრომით კხოვრობს. (შემოღის სონა).

**ხონა.** გაბო, დედა-შენი მოვიდა (შემოღის კავალე).

**გაბო.** („პოლონეკის“ გაუკათამის სონას) ჩიკნც ამ კვირია ჯვარს დავი-წერთ და finita la commedia! თქვენ თქვენთვის, ჩვენ-ჩვენთვის!“

ვარდა.

## „ხან ასე და ხან ისე“

(კომედია ორ მოქმედებათ)

### მომზადები პირი:

თავ. ნიკო ასლან ბეგ თვი 1—62 წ.—სამსახურის გარეშე შტაბსკაპიტანი.

კნ. ნინო—მისი მეუღლე (ევროპიულად ჩატული).

თავ. მიშო—26 წ.—ამათი შეილი.

კნიაჟნა სოფო—70 წ.—თავ. ნიკოს და. (თავდახურული).

კატო—45 წ.

შაქრო—მერვე კლასის გიმნაზიელი—17 წ., კატოს დისტული.

გრიგორ სტეფანიჩი—შეძლებული ვაჭარი, სომები.

ანანა—მისი მეუღლე (თავდახურული)

ვასო ბარბაროვი—32 წ.—ექიმი.

ალექსანდრ ევანეს ძე ადაშვილი—მოხელეთ ნამყოფი, ახლა ქალაქის თვითას ლამიბა.

ტასო—ამისი მეუღლე.

ეს სცენები ხდება ქართლის ერთ-ერთ პატარა ქალაქში 1905 წ. შემოდგომაზე (ოქტომბერის დროს) 17 ოქტომბრის მანიფესტის წინა დღეებში.

### მომზადება პირველი.

ფარდა აიხდება თავ. ასლანბეგოვის სასტუმრო ოთხში, საღამო ჟამია. კნენა ნინო, სტუმრების მოლოდინში, საქანელა სკამში ქანაობს. მის პირდაპირ, რგვალ მაგიდასთან, თავ. ნიკო სავარძელში ზის და ძველ გაზეთს კითხულობს (ახლი არ მოდიოდა საერთო გაფიცვების გამო). იქვე, შორი-ახლო, თავადი მიშო, „დფორიანსკი ტუშურკა“—ში გამოწყობალი, სარკის წინ იგრიხება და ულვა-შებს იწყებას. ცოტა მოშორებით, „კნიაჟნა“ სოფო (ქართულად ჩატული, თალ-ხი ფარჩის კაბით, თავდახურული) ტახტზე მოკეცილი ზის და ქარვის ქრიალო-სანს ათამაშებს.

### გამოსაზღვრა პირველი

თავ. ნიკო, კნ. ნინო, მიშო და სოფო.

ნინო. (სახათს. შინჯავან) საცაა კიდეც მოვლენ (მულს) სოფო, შენ კი არ ითაბაშებ ლორტოსა?

სოფო. ბექა, მე რაღა ვარ? ამდენი ხანია სახლში დამწყვდეულებს ძლიერ გველირსა თვალის გახელა, ძლიერ გველირსა სტუმრიანობა და უარს ვიტყვი?

**თავ. მიშო.** (მოცერიალურზ და ღებას). Ну, что, мамаша, я интересный  
მიხდება ეს ტეჟურკა?

**ნინო.** ძიებ, ძიებ! ნასტაიაშჩი დეშონი ხარ, გენაცვალოს დედა. ერ-  
თი მდიდარი თამარაც რომ შეგვხდეს, (ფერწმის ღოვანი)  
ი... იქ! прелесть! ნამდვილი რომანი იქნება!

**მიშო.** (თითების სრულია). შენ ეს მოიტა. ა... ახ! ერთი სამოცი თუმა-  
ნი იყვეს! ჭავალ რუსეთში დამ ილიონებს ავილებ! იცი  
მოსკოვში კუპჩიხებს როგორ უყვართ შავვერემანი ვაჟე-  
ბი, მეტადრე კნაზები? просто с ума сходят, რაღა ჭეშ-  
იდან იშლებიან კავკაზისკი უენიხებისათვის!

**ნინო.** (ნაღვლიანია) ამბობენ, შვილო: იქაც დაცემულა კნიაზობა, სუ-  
ლაც უნდა გააუქმონ ხარისხიო? უწინ დღე დაელიოთ,  
რომ ახლა ეგ ლაფი არ დაგვასხან თავზე! აბა მაშინ შე-  
გვაჯდებიან მუსიკები თავსა! ნახე იმათ სიხარულს!!

**ხოფო.** (ღიაჯათ თან კრიალურანს ათამაშებს) ვინც რა უნდა მიჰქაროს!!  
ე სისხლსაც ხომ ვერ გამოგვიცვლიან?

**მიშო.** Нет, дудки! რუსეთში დიდი ფასი აქვს კნიაზობას! სოციალი-  
სტებს ყურს ვინ უგდებს!

**ნიკო.** (გაბითს გასრებს) რა ვიცი, რუსეთში არა და შარშან პარიზ-  
შიაც იყავ, მაგრამ რომ არა გამოვიდა-რა? ტყუილად  
მითვუკე იმოდენა ფული და მობძანდი ცარიელი!

**მიშო.** მერე ისეთი რა გამატანეთ, რომ ეგრე იძახი თრმოცი თუმ-  
ნით უნდა მომეტყიულებინა ხალხი? (ღებას). Он совсем  
не цивилизованный! იმდენიც არ იცის, რომ აფერისტ-  
ობასაც ფული უნდა!

**ნინო.** ყურს ნუ უგდებ შვილო! მაგან რა იცის, შიკი და ბონტონი  
რას ნიშნავს? (სპა-გამლა, საიღმლო ვილოთი) რაც ატესტა-  
ვეკაში გამოვიდა, სუ კამოყრელუდა ეგ საცოდავი! ვაი ჩე-  
მი ბრალი მაგის ხელში! (ღიღიძებს) „მე ეხლა ვარ ნორ-  
ჩი და მოჩიტული!“ (ამოთხვრით) ე...ეხს სადღაა ის დრო,  
როცა კაცებს ვაგიშებდი! მთელი პოლკი მე მეტრფოდა!  
პოლკის კამანდირი რომ მაზურკაში გამაქროლებდა!!..

**ხოფო.** (იძით) კაი რამეებს არ იკვეხის? ეს ძველი მოარშიყე!

**ნიკო.** (შეუმდგრაზ ცოლს) მოგაგონდა ძველებური?!?

**მიშო.** მამაშა, ერთი ორმოცი თუმანი კიდევ მიშოვე გრიქურასაგან  
და...

**ნინო.** (შეტურული ხმით) მერე, მიცემა არ უნდა? რითი, შეტურული რითი? ე სახლებიც ლამის მაგ წურბელა გრიქორიშვილი გდოს... მიწებზედაც ხო ხედამ წრეულ გლეხებმა რა საქმე დაგვმართეს?

**სოფო.** პა, პა, პა! სოფელიც როგორ გაირყვნა! წინად პატივს მაინცა გვცემდენ—უძლვნოთ არც კი დაგვენახებოდენ, ეხლა არა თუ კატა მოუკვდებათ ხელში, პირიქით, თავზე კაკალსაც გვამტკრევენ! ბერა, წარლვნაა? მა რა ჯანდაბაა?

**მიშო.** (მუშავის დრენით) Я იმ იკაჯუ! ეხლა კი აღარავისი მეშინიან! სუ ციხეში სხედან. ავალ სოფელში და სუ ტყავს გავაძრობ! აქზეკუციას ჩავუყენებ და ერთი-ათად წავარომევ!

**სოფო.** ახია მაგათზე! სახელი გაუწყდეთ ერთობის მომგონთ! ჰო, და აი, ასრე, რომ ჩვენი მიბინადრებული ცხოვრება აურდაურიეს!

**ნინო.** გაუწყდეთ არა და, მგონი, უარესიც მოუვიდათ! სუყველანი დაიძირეს და ციმბირში გზავნიან!

**სოფო.** (სელემაცყრბანილი) მამაზეციერსა ვთხოვ, რომ ცოცხლები აღარ გადმოვიდნენ იქიდან! უნდა სუ დაეხვრიტათ, ან დაელრჩოთ, რომ მაღლი ექნათ ქვეყნისათვის!

**ნიკო.** რათა? ან ტყვიას რად დავხარჯავდი, ან თოკს რად გავაფუჭებდი? მათრახი და მაგათი ჯანი! გავაწვენდი და იმდონს მიეცხობდი, რომ ნახევარიც ვერ დაეთვალათ! მგონი, სულ ეძახათ: „ბატონ-ყმობასაც ყაბულსა ვართო!“

**სოფო.** იმდონი თვალი დაუდგათ მაგ უბედურებს, რო ის დრო ერჩივნათ, როცა ჩვენს მეტი მბრძანებელი არავინა ჰყავდათ!

**ნიკო.** (განაგრძობს) მაგრამ რომ ჩვენვე არ ვარგივართ, რომ ჩვენვე წამოვისვით თავსა ვიღაც ლორები! ჯერ ძლიერ ვბაქი-ბუქობდით, თავად-აზნაურების მილიცია დავაარსეთ, ნასწავლი ყმაწვილებიც კი ჩაგვერივნენ... და ერთი თვის უკან კი ყველანი შიშისაგან ტუს-ტუსით გავრბოდით! შორს არ წავალ, თვითონ ეს ვაუბატონი არ იყო (შეილისვენ სელის აშენებს) რო საჩქაროდ ჩოხა გაიხადა, იარაღი წითელ რაზმეულებს ჩააბარა და ყველა გაზეთებში გამოაცხადა: (აჯავრებს) „რადგან ჩვენი მიღლიცია თავის პროგრამას გადასცდა“— (სელის შლილ) ნეტა რა პროგრამა,



რის პროგრამა? (განაგრძოს) — „და რამდენიმე უსამართლობა ჩაიღინა?, შავრაზმელებს თავს ვანებებ და გლეხებს ვურიგდები“ ი. ყველაზე აღრე და ხმა-მალლა ამანშემოსხახა „ერთობა“.

**გიშო.** (გაცოდებული) მაშ თავი მომეკვლევინებინა?

**ნინო.** გეთაყვანეთ, ეგრე რომ არ გვექნა, ხომ დედა ბუდიანადაც ამოგვწყვეტავდებ! (შვალტ) კიდევ კარგი, გენაცვალოს დედა, რო ბოლო დროს, სოციალისტობა დაიწყე, თორე დღეს სამარეში ვიდებოდით!

**სოფო.** ქა... ა... ა სიკვდილს ჯანი გავარდეს, ვიღა ჩივის,— ადამიანი მაინც ერთხელ უნდა გამოეთხოვოს ამ წუთი-სოფელს,— სულით-ხორცამდინ დავიღუპებოდით! ბერია, ველარც პატივით დავიმარხებოდით: ალარც ლვდელი იქნებოდა ჩვეთვის, ალარც კუბო—შორს აქაურობას! (მიშოს ცხვირს და აცემინებს) შენი ჭირი შენ სენიასა! ხელი დაპკა, ნინო! (განაგრძოს) არც ხალხი გამოგყვებოდა შიშით... უნდა დროგზე დავიგდეთ და სალდათებს გავეთრიეთ... (სელიმ-აპყრობილი) მაღლობა შენდა უფალო, რომ უგ დღე ამაცდინე! კიდეც მაგისი მეშინოდა, რომ ბაგე-ბაგეზე ვერა ვძრავდი! ასე გაშინჯეთ, მოსამსახურესაც კი სულ შვილო, შვილო-ს ვეძახდი! მა რა მექნა, ქა, სულს საეშმაკოდ ხომ ვერ გავიხიდიდი?

**ნინო.** ახლა მე მკითხე! (სიცილით) ისეთი ვიყავ, რომ პირველი მე ესოციალისტობი შიშისაგან! ბარიშნა რო ვყოფილიყავ, ღმერთს გეფიცებით, წითელ რუბაშვასაც გადავიცმევდი! კინაღამ კრებასაც დავესწარი, მაშა, მაშა! სამ-სამ მანეთებს გადავდიოდი კომიტეტისათვის! ვისაც უნდა მოეწერა, კინტოსაც რო ეთხოვნა; იმ აზრის ხალხისთვის ფულს ვაკროვებ,— თვალის-გაუხამხამებლივ ვუგზავნიდი. გენაცვალეთ, მეტი რა გზა მქონდა! ასე ამბობდნენ: თავადაზნაურების მამალ დედალსაც ალარ დავტოვებოთ“.

**სოფო.** თავად-აზნაურების ჭირი გეტაკოთ თქვენა-თქო!

**ნინო.** (განაგრძოს) ამასთან ამისი ვიყავი, იმასთან იმისი! არც წვალსა ვწვავდი, არც შამფურსა! როგორც შემესწრობოდა, ისე ვიქცევოდი!

**შიშო.** კონცხი, ყველაფერში პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი უნდა! ნინო. (ქმარს ნაშინისმაგრმით) თვითონ შენ არ იყავ, რომ შიშისგან გარეთ ფეხს კერა სდგამდი — „არა წამომცდეს რა, კამი-ტეტთან არ დამაბეჭლონოს მეტადოე კაკარდა და პაგონები ეჯავრებოდათ“?!

**შიშო.** (ხიცილით) მართლა, პაპაშა, აღარ გახსოვს, რომ შინ რუსის ხელმურითის სადღეგრძელოსა სვამდი, გარედ კი სოცია-ლისტებს აქებდი! ხა. ხა. ხა! შენც კი კაი ოსტატი ხარ, აი! (თვალს ჩაუკრავს)

**ნიკო.** (შიშით აქეთ-იძით მიათე მოიხედავ) სს.. ჩუმად! რას მიჰქარამ! აյ არავინ გაიგონოს.— პენციას წამართმევენ! (დაცინათ) შენი დიპლომი მაცხოვრებს, მე შენ გითხრა!

**შიშო.** (წყინით) საქმე დიპლომია?! მართალია, კურსები არ დამისრულებია, მაგრამ აბა ერთი ი უნივერსიტეტ დასრულებულნი წამომიღენენ წინ! რაც მე ვიცი, იმათ სიზმარშიც არ უნახავთ! ის სოციალისტები სულ წიგნს ჩასცერიან (აჯავობს) „ბა ბე-ბუ“!. და მეტი არაფერი!

**სოფო.** თუ ნასწავლი არიან, კუუიდან რაღად ირევიან, გადარიოთ ჩემმა გამჩენმა, ქვეყანას რაღად ამტუტებენ?..

**ნინო.** (მანს აძლევს) შენ ეგა თქვი! არა, გეთაყვა, არც სწავლა მინდა, არც სოციალისტი შვილი! ყველა სტუდენტი ქვეყნის ამომგდებია!

**შიშო.** რათა, ი სოციალისტები მე არ მოვატყუე?! (თვალს ჩაუკრავს) ხმ! ეშე კა! (სმინქმა) ი წერილი რო დაწერე და იარაღი ჩავაბარე, ისე დავუმევობრდი, რომ ყველაფერი გავიგე... და აკი სხედან. ხა, ხა, ხა! ზოუკა ვერ ვუყავ! ზოგი-მე ზოგიც — ადაშვილმა და... დოვოლენ!

**ყველანი.** (დართჩჩენი, შიშით აქეთ-იძით მიახე - მოიხედავენ) სს!. შშ!. არავინ გაიგონოს!. არ დაგვასმინონ!. სუ ამოგვწყვეტა-ვენ! ვინ იცის, ხვალზეგ რა ხდება, ვისკენ იქნება ძალა? აგერ, ახლაც გზები შეკრულია, ზაბ. სტოკეა... თურმე დიდი არეულობაა რუსეთში... თბილისშიაც.. ფრთხილად!!

**შიშო.** მაგისი დარდი ნუ გაქვთ! მე ისე გავაკეთე საქმე, რომ ეხლაც მეგობრათა მთვლიან.. ესენი კი პოისტაბას დამპირდენ! (ამაყაღ) მაშ, ბრჭი ვერა ვარ?! (თვალს ჩაუკრავს) ლოვკო, ჩერ? პაპაშა კი დურაკს მეძახის. (ისმის გარი).

**ნინო.** (წამოგვერა) მოვიდნენ, ჩენი სტუმრები, მოვიდნენ... (მიშნას) წადი, შვილო, მიეგებე, მე სანამ ჩაის დავამზადებ. (მი-შო გარმის, ნინო ფეხსფეხსებს).

## სურათი მეორე

ფარდა იხდება ასლანბეგოვიანთ სასადილო ოთაშში. ღამის თერთმეტი საათია. გრძელ მაგიდას, რომელზედაც გადაფარებულია თეთრი სუფრა და აწყვევა ბევრნაირ, ტკბილეულობა, შემოსხლომიან თვითონ ასლანბეგოვიანნი და მათი სტუმრები.

### გამოსვლა პირველი

(ნინო, ნიკო, სოფო, მიშო, გრიჭორ სტეფანიჩი, მისი შეულლე ანანა (თავდასურული), ექიმი ვასო ბარბაროვი („ზნაჩოვით“ გულზე), ადა შვილი და მისი მეუღლე ტასო).

ნინო. (სთავაბრძანს სფეროზე) მიირთვით, გენაცვალეთ, მიირთვით! რა თხოვნა გინდათ,— შინაურები ხართ!

ქატო. (ხუმრობით) ლმერთი გამიწყრეს, თუ შინაურულად როდისმე პეროვნი მეჭამოს! (ყველაზი იცხადან).

ანანა. (ხუმრი ბით,— ძოჭოლით) უი, შენ კი ამოვარდი, ახაანდე!

ქატო. (საცილით) რას მერჩი, ადამიანო? „პეტერბურეში“ რას იტკი ყვიან, მე რომ მოვქვდე და ამოვარდე?

ბარბაროვი. (ხუმრობით) ტრუბეცკოვისებ გიგლოვებენ!

გრიჭორ სტეფანიჩ. (ფაშის ღავრით) პა, პა, პა! რა ამბით დაუმარხავთ და! ჯერ მარტო ვენოკები რა დაუჯდებოდათ! ამბობენ: პირველი საცვიალისტი ეგ იყოვო! გავარაით, ვი ი მინოვათ ამინის ანანა ბუნთ!

სოფო. ხო... თ და, რაც ადრე და მალე გალაგდებია მაგისთანა ხალხი, მით უკეთესი! სიცოცხლე იყო მაგათგან ჩამწარებული! ლმერთმა უშველოს, ვინც ეს ნახალიკი გამოგვიგზავნა: ამან მოუგრიხა მაგათ კისერი!

ანანა. არა, ქა, ქალებიც რო მარაქაში ერევიან! (ძოჭოლით) იშ! მენი კი ჩავთხლიშე ი უნამუსო თავებში!

ქატო. (ღაცინვით) მაშა, ქა! ისინიც სისია-მექრამიტეები ბრძანდებიან! ასეთია, ხორ-ხორი გაუდით ციხეში!

ხოფო. წმინდა წყლის ქალები იქნებიან და ატიტუდის! ანანა. (ყრთვმაღ) ქვას ქვეშ მაგისთანა ქალები! ქარ-შეზრდა! ნინო. ცა! ჩემი რომ იყვნენ, ზედ შუაზე გავგლი-ჯავდი!

ტახო (დაცინვით) რა ჰქნან საშულებმა, —გათხოვდებიან მაინც!

კატო. (თრაპიტოვანად) გათხოვება რად უნდათ, ქა! ყველაფერში ერ-თობაა!

ანანა. (სუმრობით უწინდინად) უი, შე არ დასარჩენო, შენაი უ... უ! ლერთიც გიშველის, გაგვაცინე! (ვაჟიმის გრესით) ი... იპ, გენაცვალეთ! ძლივს ისევ არ გვეღირსა თვალის გახელა! ამ არეულობისაგან ადამიანი კი ველარ მიღიღდა ერთმა-ნეთთან! დავნატრულდი ჩვენ ჩაუუსუნებულ ლოტოს?

აქეთ-იქიდან. (ძალების სმენი) მეცა, მეცა, შენ არ მომიკვდე! დაჩვე-ულობა რას ნიშნავს! რაც მე მაგათა ვწყევლიდი!

კატო. ქა, თანაც რომ კინაღამ ნალოგი დაგვადეს! „ვინც ქალალდს ითამაშებს, ამდენ-ამდენი უნდა გადაიხადოს კომიტეტი-სათვისაო“ (სიცილით სელს ჩაპერტაჭა ანარჩიკ) უჩურჩულეთ ანანასა: სუ ასიგნაციებს არ გადაუწყობდა!

ანანა. შხამიდ და ცეცხლად შეერგოთ! ისე კი ცოტა აგვაძრეს?

აქეთ-იქიდან ხმები. მაშა! მაშა! სამყოფი არ ავროვეს?

საკო. იადა უცხონდებათ, არც ერთ თუმანს არ ჩაიქისავდენ თავი-ანთ ჯიბეში! სახელი კამატეტისა იყო, სახრავი კი იმათი!

აქეთ-იქიდან ხმები. იმდონი იცოცხლე! მაშ არა და, მართლა ხალ-ნის ჭვლები ადგათ!

გრიქორ სტეფ. თვითონ ი ასისთავებმა კი ხელი დაიწვეს, ცოტა იზურგულეს? ყაჩილი, ჟათოკეები! არა, რომელი სუდია-პრაკურორები იყვნენ, რომ ხუთას-ექვსას თუმნის მამულ-ზე ხელი დამაბანიეს და თანაც შტრაფი გადამახდევინეს.. (ყალაბი სიცილით აპონირები: „საწყალი გრიძორტა!“) „არ-შათა გაქვს შეძენილი, ვისიც არი, დაუბრუნეო! კაცო, თუ კი არ ამი იყო, მაშ სუდმა და პალატამ რაღად მო-მანიჭა?! რამდენი ხნის დავიდარობა მეორედ გადაჩრი-ტეს და... (პირში თითო გამოიყოლებს) პუპლუ! პირცარი იყლი დამსვეს! არ მიმეცა? — ისეთ ალაგას მომასწრებდენ, რომ, მგონი, ზიარებაცა ველარა მღირსებოდა!



ყველანი. (მარს აბლაზენ) მაშა, მაშა! კიდევ ეგ არი ცეცხლი!  
ანანა (ჰელიშის გრუპით) ი..იპ, გენაცვალეთ, რას ბრძანებთ! გენაცვალეთ!

გავტყავდით, რაღა, გავტყავდით! კიდევ კარგი, რომ  
პირში სული მაინც შეგვინარჩუნეს! უნდა საჭირავი და-  
უკლა წმინდა გიორგის, ვენაცვალე იმის მაღლსა! (სხვამ-  
თან ერთად პირჯვარს იშვრა) ამ ზაფხულს შეუთქვი — ოლონდ  
გვეყანა დაწყნარდეს მეოქი.

აქეთ-იქიდან (ძალაშის ხმელი) მეცა! მეცა! მე ჭედილა მყავს მზათა!  
მე სანთლები გადავდე! მაშ ერთად ავიდეთ, ვილოცოთ  
ბარბაროვი (სიამთხნების ნაშინდ ხელაშის სრუსით) Hy-c, ეხლა კი, რაც  
ჩვენი პატარა ქალაქი, ნაკონეც-თი, დამშვიდდა, შეგვიძ-  
ლია ძველებურად ვიქეიფოთ, არა, გრიქორ სტეპანიჩ? ქუ-  
დი ჭერში ვკრათ! ხა; ხა, ხა! (თვალს უჭირებდ და თთის  
ძრვით) ვიცი, ვიცი, რომ იმ ხალხის დაჭერა ყველაზე ძა-  
ლიან თქვენ გიხარიანთ!

გრიქორა. (ღორბლმორული) აი, ევ საციმბირ ეები, ეგენი!  
Плавешвіт нада энта соцвілист-мерзвавица! (ყველანი  
იცინიან).

ანანა. (შინით აქეთ-იქით მიასეგ-მოისევაჯ და ვალთას დაცემას ქმარს) სსუ... კაცო... სსუ...! ჩუმად! არავინ მოგვრას ყური!

გრიქორა. (ძალაშინად) ვიღა არის, ვინ უნდა მომკრას? როგორც  
ნაგავს, ისე მოუსვეს ხელი! ვერ გადახდათ ჩემი ცოდომი!  
ლმერთს სამართალი არა ჰქონია? ისეთ ლრუბერნია-  
ში უკრეს თავი, რომ მგონი, თავის დლეშიაც ვეღარა  
ნახონ აქაური ჰაერი! ვენაცვალე ყაზახებსა! იმათმა მარ-  
ჯვენამ იხაროს! მართალია, არც ისინი მაყრიან ხეირსა,  
— დუქანს მიკლებენ, მაგრამ რათ მიღირს რო სლაბოდნათ  
ამოვისუნთქე? ეხლა მინდა ამ პრიკაშჩიკ გავაგდებ, მინ-  
და — იმას. ჩემი ურჩი შვილიც არ მეკნაჭება! როგორც მე-  
ჭეიფება, ისე გავცემ ფულსა! ჩემ სარჩისთან ვის რა და-  
ვა აქვს? ავიდე სოფელში! — ჯერ შარშანდელი სარ-  
გებელიც არ მოუციათ! ზუკუცის სუსხი ვუჩვენო! მგო-  
ნი, თვითონვე მივაბეგვინო, იერთობის მომგონნი! (ყველანი  
რეჟისურით შარს აბლაზენ) „ოხ... ოხ!“ ნეტა არ იქნება“!

**გარბაროვი.** (საქცე ჭირით ხელში) მაშ ალლავერდი თქვენთან! ეს ლეიქუ-  
თმა ის აკოცხლოს, ვინც ეს ბუნტები დაამშვიდი უკიდურეს  
**ყველანი.** (საქცე ჭირით და დღიურით) ამინ! ამინ! დიდი გაძინ  
ეკუთვნის ჩვენგან იმაა!

**კატო.** ამინ და კრიალოსანი! (ვითომ ხემრობით) არეულობა რომ არ  
ჩამქრალიყო, ხომ აქაც ვერ მოვიდოდი და სამ აბაზს  
ვერ მოვიგებდი ლოროში! ლერთიც უწველის ახალ ნა-  
ჩალნიკსა — ხორცის ფული გამიჩინა! (ყველანი იცინან).

**გარბაროვი.** (ვითომ ხემრობით) მეც კაი საქმე მომივიდა: ხუთი მანა-  
თი ჩავიქისე! ხა, ხა, ხა! ვითომ ავადყოფთან ვყოფილეარ,  
— ორი ვიზიტის ფულია. ჩიცე, ი თო ხლებ!

**კატო.** (ჩემად ანანა) რა ჰქინას საწყალმა, დახამებულია პრაქტიკას!  
რომ არავინ იწვევს! — ყველის აპარჭიკებს, მუცლის  
გვრემას ტვინის ანოებას ეძახის!

**ანანა.** (ჩემად ანანა) მა რა იქნება, ქა! — ერთაგად ქალებში ზის და ჭო-  
რაობს. ლოტოშიაც რო ჩაერევა ხოლმე. ი...იშ! მეხი კი  
ჩავათხლიშე მაგის დოხტერობას! ფრჩხილს კი ვანდობ  
მოსარჩენათა?! ზნაჩონაც რომ არ იშორებს გულიდანა!  
ფიი! (არიანი ჩემად იცინან).

**ნინო.** ეს კი სუ იმ ბლუზიან ბიჭ-ბუჭების ამბები იყო, აი!

**კატო.** კიზიროვებიანისა! სუ ჯგუფ ჯგუფად ისტუმრებენ! გუშინაც  
დაიჭირეს მთელი ხროვა!

**აქეთ-იქიდან ხმები.** ახია, ახი! ეგრე უნდა, ეგრე! ისიც დასაჭერია  
— გაზეთებში სწერს! ეს სულ პროტესტანტია: იმ დღეს —  
ნაჩალნიკს ქუდი არ მოუხადა! ამას ხომ სულ წითელი  
პლუზა აცვია!

**სოფო.** არა, ღმერთმანი, მაინც რა მინდაო? ხელმწიფე უნდა გადმოს-  
ვან ტახტიდან და თვითონ დასკუპდენ?

**აქეთ-იქიდან ხმები.** ღმერთმა ნუ დაასწროთ! სანამ ნუ რა ჭამონ-ჩა!  
რუსეთში ბევრი ჯარია! მისამარას თავიანო ქერქში ეყა-  
რონ, თორე...ე!!!

**გრიქორი.** კაცო, სუყველაფერი ხომ ერთბაშათ არ იქნება? ჯერ-  
ჯერობით ხომ გულისწადილი ავესრულეს — გასუდარ-  
სტენი დუმა დანიშნეს... მოსაგალს მოცდა უნდა! მაგათ  
ყველაფერი, ფაფასეებ ერთ დღეს ნებავთ!

სოფო. წამწყმიდა დახედულობიამა: მაგათ მიხედვით, პატარიქებული  
უარესსა სჩადიან! თურმე აღარც ისინი სწავლობენ:  
ანანა. მაშა, გენაცვალეთ, მაშა! ერთიერომანეთსა ჰბაძავენ, თორე  
ჩემმა უსუარმა შეიღლმა რა იცის, ბუნტი რას ნიშნავს? ეს  
მეორე წელიწადია ამაოთ ვაძლევ გემნაზიაში ფულსა!  
ი...იპკ, რას ბრძანებდა! რაკ ჩენ ზარალი მოგვივიდა!

კათო. აგერ, ჩემი დისტული შაქრო კი არ არის, რომ ფეხით მოვი-  
და თბილისიდან! სწავლა რომ არ არი რა! შკოლებიც  
პოვზდივით ჩაკრიტილია!

გრიქორია. (დეაბულე) რას ამბობ, კაცო, დავიღუპე, რაღა, სულით-ხორცამდე დავიღუპე! ყელი გამო მჭრა ამ დემოკრატია-ნობამ! და კუსკამ ვარეზილ!

კატ. (ჰიდროლიგი) გრიქორ სტეფანიჩი, ეგ რუსული არ გაგიცივდეს.  
(ყველანი იცინაან).

**ადაშვალი.** ვინ მოსწავლეები, ვინ გაფიცვა?! სუ გასატყავებლები არიან ეს სტუდენტები! Бить их надо, бить! (დანარჩენი შემს აძლევენ) „სულ ითნის სახრითა“) აბ რა მაგათი ტოლები არიან. ვიღაც ხარაზები, სტალარები, პრიკაშჩი-კები?

გრიქორ სტეფ. ო...ოპ, ალექსანდრ ივანიჩ! შენ სიკეთებს თავის დღე-  
ში ვერ გადავიხდი! (თვალს უმჯრება) გავიგე, გავიგე, რა  
შტრუკც უყავით მაგ თოკიდან ახსნილებს! (დამზალო და  
მისი ცოლი — ფასო შეკრთხმიან და შიშით აძირ-იძით მა-  
ისედ-მოისედაჭრ) მაშ კაცი არ ვიქნები, თუ შენ გალავათ  
არ აგარჩევინე!

აქეთ-იქიდან სმიგი. უთუოდ, უთუოდ! ამაზე უკეთესი ვიღა გვყავე? (აღმართ და მისი ცლი სიამოვნებით იღ იმებიან და ყვალას თავს უკრავა).

ტახო. (პრანქვით) ფუ...იფ! ჩემი ქმარი თავის დღეში მალიჩშების  
ტოლი არ ხდებოდა და კიდეც იმიტომ აითვალისწუნეს!  
რა ხმას არ უყრიან! შპიონობაც კი დასჭამეს!

შიშო. (თავს მოისაწყლებს) აი, მეც ეგრე, Представьте себе!

**გრიჭორა.** (მისთვის) ეგეც გავიგე! (თვალს უშვიბა) შენთვისაც კაი ფეხება-  
ში მაქას (მისთვის არ ყამება იღრინება) ვა! მეკი არსად  
ვიტყვი, რისა გეშინიან, ან რადა გწყინს? ცოდოა მაგის-

თანა კატორენიკების გაბმა?! (აძეთ-იძედან სმიში: „შელტოვა უკანონობა არა მაღლია!“) თქვენ ოლონდ ჩვენი ქალაქი გაასუფ-  
თავეთ!

**ადაშვილი.** (ზელიძის გამლით) იმილუйтე! მოსვენება აღარ იყო მა-  
გათვან! ვინც მაგათ აზრს არ ეთანხმებოდა, ვინც თავად  
აზნაურობას და ვაჭრებს არ ემტერებოდა, იმწამსვე ჰქ-  
ლავდენ! მეც ავდექი და სამსახურს თავი დაგანებე! Hy,  
ნიგ ც ნიმი, სოვთ! მაშ ჩემი ცოლშვილი ვიღას შე-  
ენახნა?

**სოფო.** ბერა, ამ საწყლებმაც რა ჰქნან?! ესენიც ორ ცეცხლს შუა  
არიან! მართლა მუქთად კი არ იძლევა ხელმწიფე ჯამა-  
გირს!

**ტახო.** თქვენ ეგა ბრძანეთ! ჩვენ კი ჭამა არ გვინდა?

**გრიქორია.** (აჯაშრებს) „წმინდა საქმეს ვემსახურებითო!“ ისე მამა უც-  
ხონდებათ! ვისაც ვისი ჯავრი სჭირს, ეხლა იყრის!

**ჭმები.** სწამთ კი წმინდანები, გაგიწყრათ, იმათი მაღლი-თქო?!

**მიშო.** ვით დურაკი! კაცის-კვლა რა წმინდა საქმეა?

**ბარბაროვი.** არა, ჩემ პრიფესიასთან რაღა ესაქმებოდათ, თორე კი-  
დევ ჰო! რეები არ მომიგონეს, რა არ ჩამიწერეს გაზეთ-  
ში! (მჩარე ღიამღია) ბალნიცას. ჭუჭყიანად ინახავსო. ჰმ!  
ავადმყოფებს უყურადღებოდ ეპყრობაო... არაფერი ეს-  
მის და პაციენტებს კი ევაჭრებაო... ხა, ხა, ხა! ბურულაა,  
გლეხებს არყავებსო. ნეტა კაპიკს ვართმევდე!

**კატო.** (ჩემად—ძნენა) დიახ, რა კაცია! შაგს არ გადადგამს უფუ-  
ლოდ! ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაჟყოფს?

**ანანა.** (აგრძელებს ჩემად) რას ამბობ! ერთი—ნავსი, უბედური! — ახაო  
ჩაუ ერეს!

**ნიკო.** (შირშიაროვ) აბა კიდეც ი რედაქტორები არიან, გასატყავებ-  
ლები რომ დაბახანად გაუხდიათ თავიანთი გაზეთები!

**ნინო.** (შანს აძლიერებს) თან კი მთავრობას პირს აბდლვნიან „სვაბოდა  
სლო აო“! მაგაზე მეტი სვაბოდა რაღა უნდათ, გეთაყვა-  
ნეთ, ყოველდღე ლაფში გვსვრიან!

**მიშო.** მეტადრე ჩვენი ქართული გაზეთები! ნამდვილი პროკლამა-  
ცია! (ისმის სმიში: „ნეფე ისინი რაღას მიჰყარამენ?! იმა-  
თაც ერგოთ?!“)

სოფო. რაც, უნდათ არახუნონ! — „ძალლი ჰყეფს და ქარს მუშაქსო!“  
(ბართ).

კატო. (წამოაცემა) ეს ჩემი დისტული შაქრო იქნება, ჩემ წასაყვანად  
მოვიდოდა! (სათა ღამედავს) უი, ქა! თორმეტი შესრულე-  
ბულა! (ღამარტინი სცენმრებიც წამოცვიდან და ამობონ); —  
ჩვენ აქ ლაპარაკში გავებით და ხანი კი გაგვეპარა! (ამ  
ღრმის გამომხმარებლი სათა შემოტოის შაქრო—17 წლის  
გიმნაზიული).

### გამოსცლა მეორე

იგინივე და შაქრო

შაქრო. (აღდგანებული ჭრში ძეგლს ისვრის) გაუმარჯოს ოავისუფლებას!  
Да здравствует свобододы! (თან ხელში პროკლამაცია უჭირავს).

ყველანი. (შევრთებით, უკან ღამებული, შიშით აძლი-იძლით მისხვ-  
დებული) სს! შშ! ისთორожно! ჩუმად, გეთაყვა! ქუჩაში გა-  
დის ფანჯრები... ექ ჩვენც არ აგვწიონ!..

კატო. (შეუცემა ღისტელს) თოქში! თოქში! რა მოგივიდა?! ახალი ნა-  
ხადი ლვინო ხომ არ გადაგიკრავს?!

შაქრო. (მედი-მუჭო სისარულისაგან გულამოვარდნილი) ჩქარა... გაფი-  
ცვებმა გასკრეს! მანიფესტი გამოსულა! (ეს სიცყვები ყველას  
თავშიარე ღაცეცებს).

ყველანი. (თვალებატყაცილნი) ა... ა... ა!... (უსიცყვო სცენა).

შაქრო. (განვერტომს ჩქარა-ჩქარა) ეს არის ეხლა გავიგე... თბილისი-  
დან ფრხით ჩამოიტანეს პროკლამაცია... აი! (გადაუგირდებს  
პროკლამაციას, ყველანი მისცვიდან, ერთმანეთს ჰალაჯი) კუ-  
ელაფრის თავისუფლება... სიტყვის კრების...

ყველანი. (ცყვადნავრავს ვათ) მოკვლისაც?!!

შაქრო. (პილის ძრევათ) ე... ეხე თქვენ სულ სიკვდილისა გეშინიათ!  
შპიონებს, კონეცნო, არ აპატიებენ! (ყველანი უბრძლივთ  
გადასევებულ გაფიცერებულ მიშოს და ადამიალს, რომელიც ძლიერ  
ივაზებულ თან) ჯერ მოვიდენ ამხანაგები, თვითონ ისინი  
გაუსწორდებიან ყველას!

ყველანი. (ელდანავრავნი) განა უშვებენ?

შაქრო (სისარულით) მაშ! მაშ! ამნისტია გამოუცხადეს!



**ყველანი.** (ერთმანეთს — ჩუმად) ვაი ჩვენი ბრალი ეხლა! უარეს კარგი შემცირებული გიშვილი იქნა!

**შიშო.** (იძით) კიდევ კარგი, რომ ვერ მოვასწარ პრისტავად შესვლა ყველანი. (აძით-იძით კუთხეში ერთმანეთს ეჩურჩილებიან) გენაცვალეთ, თუ მითქვამს რამე, არა წამოგცდეთ რა, ჩემი ცოდო არ დაიღოთ!

არც ჩემი გჯიდეს, შვილები ნუ დაგეხოცება! იჯალუისთა! არ გამოქვათ, თორე ამათი თავი ვისა აქვს? რას ბრძანებთ, ამისთანა ხალხს სუ უნდა ვეფეროთ და წითელი ვაშლი უგოროთ!

**ზაქრო.** რა ამბავია, რას ჩურჩულებთ? (დაცინჯით) არ გიამათ?. (იძით) რა საგილიოტინე მასალაა!

**ყველანი.** (გთნის მოაღლობ და ფარისებულებრად მოჰყებიან) ნურა აამოს-რა მამაზეციერმა, ვისაც იმათი დაჭერა უხაროდა! იცის ლმერთმა, როგორ ვიტანჯებოდით იმ საცოდავებისათვის! ბეჩა, ენა ადვილად იტყვის! ი...ი... რას ბრძანებთ, გენაცვალეთ, იმათი დედის ცოდვით ვიწვოდი! ან ისეთი რა დააშავეს, გეთაყვანეთ, რომ უსუსურ ბავშვებს ციმბირისაკენ თავი უკრესე?

**შიშო.** რათე იესო ქრისტესევე, ხალხისათვის თავი დასდეს (ხმები: „სახელი გაუწყევით მათ მწვალებლებს!“).

**ნიკო.** მაგ ოხერმა ნაჩალნიკმაც შეტის შეტად აუჭირა და არც ეგრე იქნებოდა! ბავშვების წვალება და დამწყდევა გაგონილა...

**ყველანი.** (გთნის აბლუზე) ეგა ბრძანე! ნეტა ისე კარგები მაინც არ ყოფილიყვნენ! სუ ერთმანეთზე უკეთესები! ზრდილები, წყნარები! პირში რძე ამოსდიოდათ!

**ფახო.** და, და! სულ ჭკვიანები, ნასწავლები. იზ ნის მოგლი ვიჩი გენიალუნის ლიდა!

**ნინო.** ნეტა ისე არ შემყვარებოდენ! დასწყველა, რა გული მაქვს! (დანარჩენები — მეცა, მეცა!)

**გრიჭორა.** (მარტო აზე) რას ამბობს, კაცო, იმითთანა რაზეიტოები ვიღა დარჩა აქა?! ე მაგაზე იტყვიან: „ბედაურები დაიხოცნენ—ვირებს დარჩათ ქვეყანაო!“! ვიღაა ჩვენი პატ-რონი?



**ადაშვილი.** Помилуйте, лучший цвет молодежи! ჩვენი იმუდრებმაც  
მაგალი, საქართველოს ბურჯი! ვისაც სამშრბლო უყ-  
ვარს, იმათი განთავისუფლება უნდა უხაროდეს. (ხმები:  
„მარტილია, მარტილი!“)

Гаев. (Задыхаясь) Миря, Кирим гимнасийский училищный фестиваль!  
Задыхаешься. (Задыхаясь) Так значит, наша взяла,  
молодой человек! (Быстро выходит из зала) Ну с, я буду знать, наконец-то, таинственное дело  
наконец-то, таинственное дело я знаю, Шерлок Холмс, я  
знаю, Стюарт Уоррен! Стюарт Уоррен! Ты знаешь, что  
я знаю, Стюарт Уоррен! Ты знаешь, что я знаю, Стюарт Уоррен!  
Слышу я, Стюарт Уоррен, что я знаю, Стюарт Уоррен!  
Слышу я, Стюарт Уоррен, что я знаю, Стюарт Уоррен!  
Слышу я, Стюарт Уоррен, что я знаю, Стюарт Уоррен!  
Слышу я, Стюарт Уоррен, что я знаю, Стюарт Уоррен!

შიშო. გospoda, გლეხებსაც ნუ დავივიწყებთ! ეს ღმრთმა ის აცოც-  
ხლოს, ვისი მარჯვენითაც ვცხოვრობთ! (ყველანი შანს  
აძლევენ და საგადი აიღებს სცლიან).

ვრიგორა. აი, ეგ არი კარგი! რაც მართალია, მართალია! (ჩემად — შავრთს). მე ესე ნუ კი მიცეკვი! — ისეთი ჩუმი საცვია-ლისტი ვარ! რომ! მაშ! ამ მამაძალმა ყაზახებმა ამიკლეს, ნეტა ერთი ჩქარა გამაცალოთ! როცა იმ ხალხისთვის ფუ-ლი გინდოდეს, ჩემთან მოღი ხოლმე! ვსემ сердцом и душом! (ყველ სმადგროვა) შპიონებსაც მე მიხასჭავლი! (იძიოთ) თუ ჩემი მტრები არ ამოვაწყვეტინე, მაშ კაცი არ ვიქნები!

მიშო. (მცლავში ხელს გთებრის შპტნის, აჯანცერის კუნძულში მოიცვანს დღ — სმადამლა) კიცო, მასწავლე მაინცა, რომ კნიაზი აღარ ვიყვე! С какой статьи! ყველანი თანასწორები ვართ და არამ და ქვეს ჩამომავალნი.

ნინო. (შიგა შათოან და სმიდამლა) რა ამბავია: ჩევოლუცია როდის  
დაიწყება? ზევიდან ჩამოივლის, თუ კვეიდან? გენაცვალე,  
სწორე მითხარი, ჩვენც გაგვიტანს?. აი ეს ორი მანეთიც  
ქომიტეტს გადაეცი ჩემ მაგივრად (ფულა აძლევს შადროს).

**ადაშვილი.** (მცლავში სერს გრძელის შპრტს და აკადემიურის მეორე კუთხის—  
ში გადაიყვანს, — ჩიტჩილით) უნდა როგორმე მოვახერ-  
ხოთ რომ იქაური ციხიდან გამოუშვან ტყვევი. ნეტა ეს

„გალავა“ რას აკეთებს?! ა..ახ! მე ვყოფილიყავი — აქუთობაშე  
ავიკლებდი, სანამ არ გამოვაშვებინებდი, მაგრამ აბა ეხ-  
ლა რა შემიძლიან? ისედაც ცალი თვალით მიცემონა...  
Собственено, ჩეмი რწმენის გამო დამტოხოვეს სამსახური-  
დან! ტუზემცებიც არ უყვართ!.. ბიუროკრატები რო მე-  
ჯავრებოდნენ — ცუდი ხმებიც დამიყარეს... Но это по-  
лицейская утка! მე მაგათ ვაჩვენებ! ხვალვე მიტინგი უნ-  
და გაგმართო.

**ჭახო.** (ტობელიც მოუძღვება ადამიალს) ო..ოქ! ჩემი ქმარი თაკი  
красны! ისე უყვარს პერედავოი ხალხი! ძლიეს წამოვიყ-  
ვანე აქა... (ჰითღით) ნეტა, რა დროს ლოტოა? იქ ხალხი  
იტანჯება, იქ სიმართლისათვის თავსა სდებენ და ჩემ  
აქ უნდა ციმხიარულოთ? (ჰითღით) ღმერთს გეფიცები,  
გული მერევა ამათში, მაგრამ რას იზამ, — провинция, სად,  
ვისთან წახვალ?. Честное слово, ზვილები რომ არა მყ-  
ავდნენ, პირველი მე გავიტან წითელ ბაირალს! Ax, კა-  
კა დუშკა ყოფილია Софья Перовская! прелест!

**ბარბაროვი.** (უცარის შედტოც) молодой человек! აბა დავიწყოთ  
მარსელიეობა... ნამდვილად კი იცით, რომ მანიფესტი  
გამოსულა? (შადტოც იცინის) რა ვიცი, იქნებ ყალბია  
ეს პროკლამაცია?

**დანარჩენებიც.** ჯერ ნამდვილად გაიგეთ, გენაცვალეთ, მართლა თა-  
ვისუფლებია?! აქ არაფერი შეგვემთხვევს! — პატრულე  
ბი დაღიან!

**შაქრო.** (იცინის) გეუბნებით მანიფესტი გამოსულა მეთქი, 17  
ოტომბრის მანიფესტი! მაშ მე დავწერე ეს პროკლამა-  
ცია?! Вот люди!

**ჭველანი.** რა გაჭირვება გვადგია, გენაცვალეთ, ხვალისათვის.  
გადადოთ სიმღერები!

**ბარბაროვი.** (დამშვიდებელი) Нет, ხელს არ გვახლებენ... რახან  
პროკლამაცია გამოსულა, მართალი იქნება. (დაიწყებს  
ბრუნატ) Отречемся от старого ми...ра.

(ადამიალი, მისი ცოლი, შეძრო, მიშო, — მანს აძლევენ,  
დანარჩენი ფანჯრებთან მიირბენ და მაგრად სურაზენ განჯო-  
ნებს, თან შიშით ცაცეპასებენ. სანამ ფარდა დაწვერება ისმის-  
მარტივლით სიმღერა.



## ՅԱՌ ԿԱԼՑՈՒՏԵՑԱՆ! <sup>1)</sup>

(კომედია ერთ მოქმედებათ)

2 3 8 8 6 0 3 0 6 6 0:

|              |    |                                  |
|--------------|----|----------------------------------|
| ლადო ზარაძე  | 27 | წლის—მწყრალი.                    |
| თედო         | 58 | წლისა, ქვრივი—მისი მამა.         |
| ბარბარე      |    | შუაბნისა—ლადოს მამიდა.           |
| ტატე         | 50 | წლისა—ჩარჩი—თელის მოვალე.        |
| კოტე         |    | ახალგაზრდა კაცი, ლადოს მეგობარი. |
| თავ. დალაური | 28 | წლისა—უსაქმო ჩიხოსაი.            |
| მაგდანა      | 60 | წლისა—ლადოს გამდელი.             |
| ლექა         | 16 | წლის ბიჭი—ზარაძინთ მსახური.      |

ენცოდება პირველი

ლადოს კაბინეტი. სცენა ჭარმოადგენს პატარა ოთახს.—ლადოს კაბინეტის იატა-  
კი დაფუნილია ფარდაგით. შუა კიდევლთან სდგას საწყრი ბაგრდა. მარჯვნივ—  
მინებიანი შეაფი, გატენილი წიგნებით. მარცხნივ—პატარა ტ.ხტი თავის მუთა-  
ქებით, ცოტ, მოშორებით,—ავანსცენისკენ,—რგვალი მ.გილა, დაფუნილი ხავერდის  
სუფრით,—რომელზედაც აწყვავა: რუსული და ქართული უზრნალ-გაზეობა, ლამაზა,  
საფერფლე. ოთახში აქა-იქ სდგას რამდენიმე ხალის სკამი, კედლებზე ჩამოქიდე-  
ბულია სურიოდე სურათი გამოჩენილ მწერლებისა. სცენას აქვს ორი კარი და  
ორი ფარჯარა. მარცხნია კარები გადის დერეფანში, მარჯვნა—დანარჩენ ოთახებ-  
ში. დილის ათი საათია. სცენას არიან ბარბარე და მაგდანა. ჟუანას სკელი მტვრის  
საწმენდით ავეჯვულობას ასულთავებს).

გვარის ვლა პირველი

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରା ମହିମା

ბარბარე (ფასცეზ ჰია) ფულის ხელები ხო არა გაქცეს, აღამიანო რი-  
გიანად გადაუსვი ე სტოლსა! ქალალდები აიღე და  
თითო-თითო დაწმინდე.

<sup>1)</sup> დაწერილია რუსეთ-იაპონიის ომის დროს 1905, წ.



**მაგდანა.** (ხელიშეს გათაცაცანებს) არა, გეთაყვა, მე სტოლს გურუ მომუშავდე  
კარები! სუ ამას ჩაგვჩიჩინებს: „ჩემს ნაწერებს არავინ  
ახლოს ხელიო“. საღავიდარაბო საქმე რად გავიხადო?  
სტოლისა თითონ იცის!

**ბარბარე.** ეგ ტილო აქ მოიტა (გამოსცაცებებს) ათასიც რო იხტუ-  
ნაოს, მე ჩემ სისუფთავეს მაინც არ დავიშლი! (შეტყვავს  
და ახუფთავებს ნაწერ ძალადაღებს, რვეულებს) აფსუს,  
ქალალდო და მელანო, აფსუს! ახი არ არი, რო ეხლა  
სუ ლუკმა-ლუკმად ვუძციო?

**მაგდანა.** (უვალებელობდ). ახლა მაგაზე გააბოროტე! გეთაყვანეთ,  
სუ ჯიბრში კი უდეგანან და...

**ბარბარე.** შენ წადი, გააღვიძე ისა—ჩაი გალელეჩა-თქო,

**მაგდანა.** ჩაი კი არა, ქვეყანაც რო გადაბრუნდეს, მე ეხლა იმის  
ტკბილ ძალს არ დავაფრთხობ! წუხელის მალიყიყილამ-  
დის წერა-კითხვაში ჩაიწყალა თვალები და ეხლაც ცოტა  
ხანს არ მოისვენოს?

**ბარბარე.** (პირჯარს იწერს). დიდება შენდა, ღმერთო! სუჟველა-  
ფერში უკნაური რად არი?! ძილის დროს ძილი არ  
იცის, ფხიზლობისას — ფხიზლობა, მიმსვლელ და მომ-  
სვლელს ხო აღარა კითხულობს!

**მაგდანა.** (სიყვარულით) ენაცვალოს გამდელი! როცა წერა-კითხვაში  
გართულია, აღარაფერი აგონდება!

**ბარბარე.** (ძორლით). ი, კაი მოგივიდეს, კაი გაზდილი შენა გყავ!  
ჩემი საკოდავი ძმა მაგან დააბერა უდროოდ! ცისა და  
დედამიწის შუა ერთად-ერთი შვილი ეგულებოდეს ადა-  
მიანსა და ისიც უხეირო! —განა მაგაზე უბედურობა კი-  
დევ შეიძლება რამე?

**მაგდანა.** უჰ, უჰ, უჰ! გეთაყვანეთ! ყბად კი აიღეთ საკოდავი ბავ-  
შვი და, მართლაც, რა არი, რა კოდვის კითხვაა! რო-  
მელ ერთს გავიძლოთ: შინაურსა თუ გარეულს? ყბა გაუ-  
წვრილდეს მაგის ავათ მასხენებელსა, ხო და აი, ასრე!

**ბარბარე.** „კაი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო“, ჩემო მაგდან, მოი-  
ქცეს რიგიანათა, ე ხალხის ლანძლვასა და ბლაჯნას თავი  
დაანებოს და ყველას საყვარელი იქნება!

**მაგდანა.** ნეტია ვიცოდე, თუ ეგრე გულსკბენს, რასა სწერი ჩემი მართვას უველას პილპილივით გედებათ და ცერცივითა ხტით?!

რა ვიცი, ერთხელ ქი ვერა წავაკითხვინე რა და...

**ბარბარე.** (ხელის ძრივით) რას ამბობ, აღამიანო, ყველას პამპულათა ხდის, გაზეთში სჭიმას! ქვეყანა გადაგვამტერა თავი კალმითა! სალამს აღარავინ გვაძლევს! მე და ჩემი ძმა ქუჩაში ვერ გავსულვარო შიშითა: აქეთ-იქიდან ძალ-ლებივით გვესევიან და გვლანდავენ! ნაცნობი, მოყვარე და მეზობელი აღარ შეგვარჩინა, ყველას ნიორ-წყალი-ვით გადაესხა!

**მაგდანა.** ი... ი... იჭ, შე გასახარელო! ე მაგისგან რა უნდა მეწყინოს: ჯერ ისევ ბაეშვია, გიემაჟიდ, სისხლი უდუღს. აი, როცა დავაკორწილებთ, წერასაც მოიშლის და მასხარობასაცა. მაგისთანები ყოფილან, რო ცოლ-შვილის ხელში მორჯულებულან?

**ბარბარე.** (ხელის საჭირო) მერე ვინ მისკემს ქალსა ცარიელ-ტარიელ კაცსა, ვინ?! რომელ სამსახურში ეგ არი, რო ოჯახი არჩინოს! მაგის ნაბლაჯნი შეინახავს სახლსა?

**მაგდანა.** ღმერთი მოწყალეა, მშიერი არ მოკვდება! იცოცხლოს, ჯან-სალად იყვეს, ენაცვალოს გამდელი, თორე კაი მზითვიანი ქალი არ დატეკეობა! მე შენ გითხრა, ლამაზი, კოხტა ვერ არი, თავს შემოევლოს მაგდანა!

**ბარბარე.** (დაცინვით) ჟო, მაგ იმედითა ბრძანდებოდე! (მიღის ღა მარჯვენა კარტეს აკვეყნებს) ბიჭო! ლადო! არ გესმის?! აქამდინ უნდა ეგდო ლოგინში?! აღარ ადგები?!

**მაგდანა.** უჰ, უჰ, უჰ! გეთაყვანეთ! (კარტეს იდიდან ისმის ლადოს სბა): „აი, მოვდივარ, მოვდივარ, მამიდო“!.

**ბარბარე.** წამო, მართა, ჩაი შემოუტანე. ერთი აგაოხრო და ავაშავო ი სამოვარი! (მარცენა კარტებიდან გადიან. ცოდნას უკან მარჯვენა კარტებიდან შემოღის ლადო).

ბამოსვლა მეორე

ლადო (მარტო)

**ლადო.** (ტბებალ მაგიდასთან მიზა, ძართელ გაბეჭას აიღებს ღა სინჯავას) ოპო! დაუბეჭდიათ კიდეც! (ვითსელობს, თან იცინის) ხა, ხა, ხა, საოცარია, რო მევე მაცინებს ჩემი ნაწერი (ვით-



სულომებს და იცინის) ხა, ხა, ხა! ახლა კი უფრთხოების  
ლადო ზარაძე! ლანძღვა-გინება დღეის იქით ნახე, თო-  
რემ აქამდის რა გიჭირდა! (პითელომებს) ხა, ხა, ხა!  
„რჩილი“... სახელიც რომ ჰელვამოჭრილია!

გამოსვლა მისამე

მაგდანა და ლადო

**შაგდანა.** (ჭიჭით შემოადგეს ჩავთ) აბა, გენაცვალოს მართა, ტყუილად კი  
არ გემდეურება მამიდაშენი! ეხლა უნდა დგებოდეს ვაუ-  
კაცი? გაიხედე მაინცა, მზე სადამდინ ჩაიწვერა!

**ლადო.** (ეხვევა და ჰკოცნის თან აჯღრუვს). ნუ ჯავრობ, ნუ ჯავრობ,  
ჩემო ძიძა მე და შენ ხომ მეგობრები ვართ!

**შაგდანა.** (სულომის ძრევით), უი, უი, უი! გამიშვი, გენაცვალე! სადა  
მაქეს შენი თავი! მე რაღა სადლებებილივით გაქან-გამო-  
ქინება მინდა, თავად მტრედივით მიცემს გული!

**ლადო.** (ხელომით). ეგ იმის ნიშანია, რომ ახალგაზრდობისას არ-  
შეიყი ყოფილხარ!

**შართა.** ისემც გაუშედება კაცებს სახელი, შენ გარდა ყველასა! (ლა-  
ღო იცინის) ჩემი პატრონიც თვალის დასანახავად მეჯავ-  
რებოდა, არა თუ სხვა შემეყვარებინა! არა, გეთაყვა,  
ჩვენს საგვარეულოს ეგრეთი სისხლი არა ჰქონდა. სუ-  
ყველანი ნამუსის შონები ყიყავით. აბა რა, ჩგ-ღა უნ-  
დოდა ჩემს ცოფიან ქმარსა!

**ლადო.** (ჩაის სფრაბი) სწორე სოჭვი, ძიძა: ხშირადა გცემდა ხოლმე  
ქმარი?

**შართა.** საცემარ საქმეს როდი ვიხდიდი, თორე, გაგიხარიან, ყვე-  
ლაზე ხელი ექავებოდა! ისეთი უცხვირბირო იყო ცხო-  
ნებული, რო დილასაღამომდინ წარბს არ გაშლიდა!  
(ამოთხევით) ე... ეხ! არც გასამტყუნარი იყო ი საცოდავი!  
ისეთი ღვთისცებული ბატონი ჰყავდა, რა სხვა უიმისო,  
წყალში გადაყარდებოდა! (პაუზა) რა, ახლა ეჩც გინდა  
ასწეროჩ!

**ლადო.** (სიცილით). მაშა, მაშა ჩქარა წადი, თორემ აგწერ!

**შაგდანა.** (მუსლიმი სულის ჩაიკვრავს) უხ! თავს მოვიკლამ, პურს აღარა  
გჭამ! რა შენალვლება?! ოლონდ კი სხვებს მოეშვი და

შე, თუ გინდა, ე ჩემი დაგლეჯილი კაბით, თავშორებული ხამლინ ამწერე! გაუთხოვარი კი არ დავრჩე, საქმროშ კი არ დამიწუნოს!

**ლადო.** (სიცილით) კარგი, კარგი, ქადაგად ნუ დაეცი! წაიღე ე ჭიქა და წალი. გაზეთი უნდა ვიკითხო, არა მცალიან (შინჯავს გამოტკ).

**ვაგდანა.** მერე მე კი მაშეენს გავიგო, რას იწერებიან მაგ გაზეთებში? მადლი არ არი, რო გამოყრულებული დედაკაცი გამართო! ან ამ მთისა თქვი რამე, გენაცვალოს მაგდანა, ან იმ მთისა, და მეც ამიხილე თვალი! რაო, როდემდინ უნდა ულიტონ ერთმანეთი? შერიგებას აღარ აპირებენ? გეთა-ყვანე, ბუზებივით კი სწყვეტენ ხალხსა, დანდობა კი აღარ არი ადამიანისა და! წარლენა მოვა, მა რა ჯან-დაბა იქნება!.. „ბუნტები“<sup>1)</sup> რალასა შერებიან? ი დალო-ცვილმა ხელმწიფემაც აილოს და მისცეს, რასაც სთხო-ვენ!— სამყოფი დიდება არ შერჩება!? (პაზგა) ნეტა ვი-ცოდე, თუ ე გაზეთები საიდან შოულობენ შაგდენ ახალ ამბებსა, რო ყოველდღე ზეწრის ოდენა ქალალდს აჭრე-ლებენ?! მაგათმა თავის სიცოცხლემა, არც ერთ ტყუილს ჩაურევენ, ფულებს კი კენჭებივითა ხვეტენ! თუ ჭორებში ფასი არ მივე, მე შენ გითხრა, მუქთათ კი ცოტაა? (ლადო იცინის) აბა რა! (ამ ღრთს ღრმულიდან ისმის შარ-ბარებს მრისხანება): „მაგდან! მაგდან! სად ხარ, დედა-კაცო? მაგდან!“

**ვაგდანა.** ჰა, ჰა, მაგდანა ვარ, რა გინდა?! გეთაყვანეთ, ფეხს კი არ ჩააკეცინებს ადამიანსა და... (აიღოს ჭიქას და ბუცმულით გადის).

**ლადო.** (აშოთსუნთქავს) უხ! ღმერთიც უშველის მამიდასა, რომ გამა-შორა, თორემ დღეს ვერაფერს დაწერდი... (ორთავ ვა-რებს შემთიკეთქვს, პაპინრთუს მოუკავდებს და დაფიქრებული გადა-ბამდოვლის, მეტე მაგიდანთან დაჯღერს და გაჩიძარებული სწერს, და სამინდლად ღელაქ, სანდახან იღიმება, იცინის. ცოდა სანს უკან ღრმულიდან ისმის შარბარებს მრისხანება სმა): ბიჭო, ლუ-

1) მაშინ უკვე იწყებოდა 1905 წლის რევ. მოძრაობა.



კა! ე რა ხურდა მოგიტანია, შე არ დასარჩენოს უსურიანი ხელი  
ხედავ, გალესილი აბაზია?! არა დაგანახოს რა ღმერთმა,  
თვალები სადა გქონდა“?!

**ლადო.** (აღმფოთებული კალამს დაგრძეს და წამიცემა) ოხ, ოხ, ოხ!  
ერთი აბაზისთვის რა ამბავი აქვს! მეშანკა! (მივა მარ-  
ცხენა კარტონ და გასძახებს) რა არის, მამიდო, რასა  
ყვირი! ხომ იცი, რომ ვწერ—ნუ მიშლი!

**ბაჩბარე.** (ღერძენიდან) რა ვქნა, რო წერ! იმიტომ ხო პირზე კლი-  
ტეს ვერ დაგვადებ?! ქა, ლაპარაკსაც გვიშლი... ი? ეს  
კაი ამბავია, თქვენმა შზემ!

**ლადო.** (გამოცრაილება), აბა რა ვუთხრა?! (მივა მაგიდასთან, კალამს  
დაღებს და ისევ დაგრძებს) რაღა დავწერო, აზრები დამე-  
ფანტა, ხალისი დამეკარგა! ყორთ, ვნაეთ ყოთის ტაქე-  
(პარიტონის წევით აღლუმებული დაღის სცენაბზე. მეტე, როცა  
დამშვიდებება. ისევ დაჭრება მაგიდასთან და გაფაცებით სწერს.  
ამ ღონს ღერძენიდან მარცხენა კარტებს თეღდ აწყება).

**თედო.** (ღერძენიდან) გააღე ე კარები! რას ჩაგიკეტია, ამ შუადლისას  
ვინ გიგარდება?!

**ლადო.** (გაცთებული კალამს მაგიდაში დამაზეთქმულს და თავშე ჰელს წაივ-  
ლებს). ოხ! ლმერთო ჩემო, ლმერთო ჩემო! მე ესენი ჭკუ-  
დან შემშლიან!!!

**თედო.** (ღერძენიდან, დაცინვით). გაქვს კი თავში?!

**ლადო.** (მოუმჯობარე). რა გინდა, მამა, რა გინდა?!

**თედო.** (ღერძენიდან) შენი ნაცვამი ხალათი! გააღე საქმე მაქვს.

**ლადო.** რა საქმე? არ მცალიან, ვწერ!

**თედო.** (ღერძენიდან დაცინვით). სწერ! მე შენ გითხრა, სენატში აპე-  
ლაციის არზებს ამზადებ! გააღე მეთქი, არ გეყურება?!

### გამოსცვლა მიოთხე

**თედო.** (საჩერ მაგიდას ღრჯით გადახედავს) მაინც არ ისვენებ, მაინც  
არ იშლი ე მესტვირეობასა?!

**ლადო.** (ჩამცინებს. ჰმ! „მესტვირეობა“! ამოთხვებით) ე... ეხ! შენ რა  
უნდა გელაპარაკო! (კუთხებზე შიჯღება გაბრიანათ).

**თედო.** („კუთხებაში“ ჩამცება) იმდენი დლეგრძელობა მე, რო ნაგა-  
ვის ზიდვაცა სჯობიან მაგ ხელობასა! (ლადო იცინის). რას-

იცინი, რა, ტყუილს ხო არ ვამბობ? მენაგვე ფრთხოებულ  
გროშს მაინცა შოულობს, შენსეეფ მაინც არავის აწყერ-  
ნებს! (პარეზ) ახლა რაღა დაგიწერია, რო მთელი ქალაქი  
ყავყავებს?! „რჩილი“ ვისთვის დაგირქმევია!?

**ლადო.** (მოუთმენლად). ვისაც დავარქვი, დავარქვი! რა შენი საქმეა?  
მე ანგარიშს არავის ვაძლევ.

**თედო.** ბიჭის! როგორ თუ ჩემი საქმე არ არი?! შენი შხამიანი  
კალმისთვის კინალამ: ბურვალზე გამიბურთავეს და....

**ლადო.** (დღიულობული). როგორ?! შენთან რა ხელი აქვთ!

**თედო.** შენ ისეთი რამ გამიჩნდი, შვილო, რო მეშინიან, მალე სახლ-  
შიაც არ შემომიხტნენ! ავი შვილი დედ მამის მაგინებე-  
ლია! ხვალ რო გადავბრუნდე და მოვკვდე, ერთი არავინ  
წამოდგება და ცხონებას არ შემომითვლის! შენი ლახტი  
მეცა მხვდება! ყველას ჯანი გავარდეს და, ე ღვდლებთან  
რაღა გესაქმებოდა, შე საციმბირევ, შენა?! (ლადო იცინის)  
მაგათი წყევლა შენ ხუმრობა გვინია, კეთილს დაგა-  
ყრის?! შენ რომ ღმერთი არა გწამდეს, შე „საცია-  
ლისტო“ შენა, მე რალას მეტჩი, მეც უნდა წამწყმინდო,  
ჯოჯოხეთის წერა გამზადონი?

**ლადო.** (სიცილით) სამოთხეში ჯერ უნდა თითონ შევიდნენ, რომ  
შენც შეგიყვანონ!

**თედო.** რას იღრივები, რას მიჰქარამ, რას მიედ-მოედები? შენ,  
მგონი, წერას აუტანიხარ! ახლა მიბრძანდი და ნახე,  
ჩინოვნიკებსა და პრისტავებს რა ამბავი აქვთ, როგორ  
იმუქრებიან?— „წერა როგორც უნდა, ჩენ ვასწავლითო!“  
რა გინდა, შვილო, რა გინდა, რო მიყოჩი! რატო შენ  
ქერქში არა დგები?! სახლიდან ხო ვერ ამყრი?! (ლადო  
იცინის) კეკელუასეეფ, სუ რა კბილებსა ჰყრი? სახუმაროა  
პოლიციის აკვიატება, მეტადრე ეხლანდელ დროში?

**ლადო.** ხა, ხა, ხა! მოდი და ნუ გაიცინებ! მე საერთოდ ვწერ, ცალკე  
პირი არავინ გამომიყვანია.—იმათ რა? თუ პატიოსნები  
ბრძანდებიან, რად მოედოთ?

**თედო.** მამალმა სთქვა: „მე კი მიყივლიაო და“... თუ შენ რა მოგი-  
ვიდეს ახლა, აჲა, ეს ულვაში ძალლის იყვეს!



**ლადო.** შენ ჩემთვის ნუ სწუხარ, მე არავისი მეშინიან. გადა და და  
ღერებუნიდან ისმის შატმარეს სმა): მანდეთ მიბრძანდით,  
მანდეთ, თედო მანდ გახლავს.

### გამოსვლა მახუთი

#### ივინივე და ტარე

**თედო.** (ნამალაღები ღიმილით) ო... ოხ! ტატე, ტატე! გამარჯობა!  
რისგან არი? (იძით) რიღასთვის იქნება, თუ არ სარგებ-  
ლისთვის?!? (ფაცეს) დაბრძანდი, აი, აქეთ მობრძანდი.

**ტარე.** (წარმმარებული, მკაფედ). მე დასაბრძანებლად არა მცალიან!  
(ღოიანჯით) ჩემი ფული მამე!

**თელო** (შეწევებული სმით) კარგი... მიქელ-გაბრიელი ხო არა ხარ,  
რო დამახრჩო და...

**ტარე.** მე ეგეები არ ვიცი! (სცოლჭი ხელის მტახურთ) ჩემი ფული,  
ჩემი ფული-თავნიცა . და სარგებელიც, თორე ხეალვე  
„ისპოლნიტელნი ლისტს“ — ავიღებ და ესე (თითს ამშერს)  
გაგიშვებ! (ლადო, რომელიც საწერ შაგიდასთან რწყელებს  
ათვალისწის, მომრუნდება და გაცემით, თან ჰიბრიდი,  
უცძრება).

**თედო.** (ელდანაკრავი გაცემით). რა იყო, რა დაგემართა? თითქო  
ხაორს მიწევდი და თავნს მაცლიდი?

**ტარე.** რაც დაგიცადე, ისიც მივქარე, ისიც თავი ქვას ვახალე  
თქვენზე ყველაფერი არამია! (ლადო წამოსცება) თქვენ  
განა სიკეთის დაფასება იცით?!? (ლადო წინ წამოსწერს).

**თედო.** (ფაცეს) რათა, კაცო, რა დაგიშავე?! არ იტყვი? ხათაბალაა!

**ტარე.** ეგ მაშინ უნდა გეფიქრა, როცა ე შენ შვილს არიგებდი:  
„ტატე ასწერეო“! (ლადო და თედო, პირგაღღიშებულნი და თვა-  
ლებ დაჭყაფილი, გაცემით ერთმანეთს გადასედაფა).

**თედო** } როგორ?! რაო?

**ლადო** } **ტარე.** (აჯანტება) „როგორ, რაო?! „აქ თავს ნუ იკატუნებთ, მამა-  
შვილობასა და! მე „ფოკუზნიკობის“ თავი არა მაქვს!  
თქვენი ოსტატი ჩემი შაგირდი იყო! (გადალ-გამოივლის)  
„რჩილი“ რო დაურქმევია! „გლეხობის სახრჩობელას“

რო მეძახის! (შეღება) აბა, კიდეც თქვენგან არი ფრთხოები  
ბული სოფელიცა და ქალაქიცა! ეს იცოდეთ, თუ მარტინი  
ამიტრინდა, სულ ამისგან! (ლადოსკერ თითს იშვებს) შენ  
გვონია, რაკი სახელს გამომიცვლიდი და ტარეს მაგივ-  
რათ ანდუყაფარს დამარქმევდი, ვერ მივხვდებოდი, ჰავ!  
ჩემ პათორეტს მე ვერ ვიცნობდი? რაღა? უკაცრავად, ვერ  
მოგაროვეს! მე ვერავინ მომატყუილებს! რაც ქვიყანაზე  
ეშმაკებია, სულ დათვლილი მყავს! (ლადოს უცმად ხიცილი  
წაცვერა) ხო, გაიცინე, გაიცინე, და, აი, მამულებს რო  
ტორგიდან გაგიპრადალებთ და დედიშობილა დაგაგ-  
დებთ, ზოგიც მაშინ იხიოხითე!

**თედო.** (ძლივ-ძლივ გამოლოდება, გაცოლებული ვადასებაზე შვილს და თავის  
ძრვით) ა... აბ! შე ჩემი ცოდვით სავსევ, შენა! ამასაც  
გადასწვდი?!

**ლადო.** (ხიცილით). ვინა, რას ამბობს?! არცკი ვიცნობ, პირველადა  
ეხედავ!

**ტატე.** ხო და მეც მაგას მოგახსენებ, რო ამან გამიკეთა რეკამენდა-  
ცია, თორე შენ რა იცი, რამჯენს ვიღებ სარგებელსა:  
ათ შაურსა, თუ სამ აბაზსა? (თაღოს) ახია ჩემზე რომ მა-  
ნათი არ აგაძრევ!

**ლადო.** (გაცინვით) ა... ა... ა! ახლა კი გაგიცანით! მაშ ათ შაურსა  
და სამ აბაზს ილებთი? ხა, ხა, ხა! თავის ცოდოს თვი-  
თონვე აღიარებს!

**ტატე.** (გაცოლებული) ეხ! თვალიც გამოგძვრებათ! (კარგისკერ მიღის,  
თერთ გამოუღვება), მე უფრო გიუა ვარ, რო აქ შემოველ  
და პირდაპირ სულებნი პრისტავი არ მოგიგზავნეთ!

**თედო.** (კალთას უჭირს). მოიცა, კაცო! ამ სულელს რა ყურს უგდებ!  
(ლადოს) ა... აბ! შე სათოვევ, შენა! ეწყამ მოდი და ბო-  
დიში მოიხადე, თორე ან მე და ან შენა!

**ლადო.** (გაცინვით) როგორ არა, მუხლის ჩოქვით ვემთხვევი ვიღაც  
წურბელას!

**ტატე.** (გორბულმდებული, მუძარათ). წურბელას გაჩენებ მე შენა! თუ  
ჩემ მოჯამაგირებს კარგა არ მიგაბეგვინე, მაშ კაცი არ  
ვიქნები! (სეღსა ჰვავაზე თეღოს) ერთი, მომწყდი თავი-  
დანა და! რას მექონწიალები?! (მიმაჯალა, ღერძნიდან)



დღესვე ჩემი ფული დამიმზადე, თორე ციხეში მომდევნობა  
პობ, ციხეში! მიყურეთ, რა უნარი გიყო! მე ტატეს მე-  
ძახიან.

**თედო.** (მისმახის). ტატე, კაცო, ტატე! თუ ხათრი გაქვს, დაბრუნდი,  
(გამოფრიალება და ორთვე სელებს თავში წაიღის) ვაიმე, ვაიმე, ახლა კი დავიღუპე!

**ლადო.** (ამშვიდება) მოიცა, დამშვადდი, რა არი...

**თედო.** (გაცეფებული). იქით დამეკარებ! გადი, გადი ჩემ სახლიდანა!  
(საფურდლების გვარის). ამ ღრმას შემორბის კაცე).

### გამოსილა მემშვე

იგინივე და კოტე

**კოტე.** (ჩძარა-ჩძარა). რა იყო, რა ამბავია, რევოლუცია ხო არ  
დაიწყოჩი (ლადო) სატირიკოსს ვახლავარ! მშვენიერება  
არის შენი ახალი მოთხრობა! — ყველა მუქთა-ხორას მა-  
რახივით მოხვდა!

**თედო.** ი მათრახები, მე ვიცი, თვითონ მაგისა მოჰვედება! (ლადო და  
კოცე იცინაან) მაგის რალა ზაქეზება უნდა, ისედაც ლამის  
მთელი ქვეყანა ნარდათ აიღოს!

**კოტე.** რაზე ხართ გაბრაზებული, თადეოზ ალექსეიჩ? თქვენც ხომ  
არ აგწერათ ლადომა?

**თედო.** ნუ გეშინიან, მეც ბევრჯერა ვყეფარ მასხარათ აგდებული!  
(კოცე და ლადო იცინაან) განა მაგის ვინმე გადარჩა აუწე-  
რავი? იმთავით ამთავამდინ მოუსვეხარი იყო და არი!  
საცა კი მივაბარე სასწავლებლად, ყველგან უჩიტლები  
და დირექტორები უპრაგონოო სწერა და ხატა, ხატა  
და სწერა! მე კი ფულებს ვხარჯავდი! რა ვიცი, ვთქვი:  
ადგაკატი გამოვა და კაცი გახდება-მეთქი. ის კი არა, და  
ლანძლვის მწერალი გამობრძანდა! (კოცე და ლადო იცინაან).

**კოტე.** თადეოზ ალექსეიჩ! ადვოკატები წელიწადში ათასობით იბა-  
დებიან, ნიჭიერი მწერლები კი იშვიათად.

**თედო.** მწერალიც არის და მწერალიცა! საქმე ის არი, ყველას ქება-  
დიდება შეასხას, ყველას გული მოიგოს, თორე მორი-  
ელივით კბენას მე კი ვერ მოვახერხებ?

კოტე. (ლადოს) ნეკრასოვის ლექსი მაგონდება!.. თუ გახსოვს  შენისთანებზე ესეა ნათქვამი:

Его преследуют хулы,  
Он ловит звуки одобренья  
Не в сладком шопоте хвалы,  
А в диких криках озлобленья<sup>“ 1 )</sup>

(თუღოს) ე... ეხ! თადეოზ ალექსეიჩ! „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო!“ თქვენ რომ იცოდეთ, ვინ არის ესა (ლადოსკერ ხელს იშვირს) რა ნიჭის პატრონია!..

თედო. (ღადარღვევა) ეხ! მე გიუების თავი არა მაქვს! (იძით) ერთი ხეირიანი შვილი ეს კი არ არი, აბა!

კოტე. (ხუმრობით; თან ლადოს თვალს უწვრება) მარტო ის რათა ლირს, რომ თქვენი გვარი განეთში იძექდება! (ჩუმრა — ლადოს) ნახე, როგორ მოვალობ!

თედო. განეთებში ქურდებსა და კაცის მკვლელებს კი არ აცხადებენ? (ლადო და ვლაც იცინიან)...

კოტე. (განაგრძობს) ახლა რომ მოკვდება, ყველგან ამის სურათებს გამოჰკიდებენ და, საცა ლადოს მოიხსენებენ, თქვენც არ დაგივიწყებენ, რომ შესანიშნავი კაცის მამა იყავით! (ლადოს. ჩუმრა) მგონი, მოიკავი!

თედო. (ღაცინჯით). ღმერთმანი? ე მე კი დამეხსნან და თავში ქვა უხლიათ, რაც უნდათ, მიჰქარონ!

კოტე. (განაგრძობს). ახლა რა რეჩებსა და ტელეგრამებს წაუკითხავენ...

თედო. ამისეუც უსაქმურები? აფსუს ი დეპეშის ფულები!

კოტე. (განაგრძობს) რა ძეგლს დაუდგამენ, რა გვირგვინებს გამოუგზავნიან! (ჩუმრა, ლადოს) არც ეხლა სჭრის?

ლადო. (სათკალს არ მქონდა კაბაო, მკვდარსა ჩამაცეს ფარჩაო!) ი ვენოკების ფასი აზირ ეხლავე შისცენ? მაგ საცოდავს სამი შაური არ უჭირავის ჯიბეში!

კოტე. (ღაცინჯით) სამაგიეროო, მუქთ საფლავში რომ ჩააწვენენ, ეგ არაფერია!

<sup>1)</sup> „გაბრაზებული, გაცეცხლებული, მუდამ ჰყიცხავენ, უყვირიან შას, მაგრამ კიცხვაში, ასეთს გმობაში, ხშირად ჰპოულობს მოწონების ხმას“.



**თელო.** ერთ ადლ მიწას პირუტყვები კი არა შოულობენ! მარტინ გრინი  
რითი გინდა აძიხვით თვალები?!

**კოტე.** (ლადოს). მართალი რომ სოქვას კაცმა, აქაც მარქსის აზრი  
მართლდება—ეკონომიკური დამოკიდებულება... აბა ერთი  
უცხოეთის მწერლებივით ისუქებდე ჯიბესა! (შემოდის ლუპა).

**ლუკა.** (ლადოს) ვიღაც კნიაზია—„ლადო ზარაძე მინდაო“.

**თელო.** შენი რისხევა არა მაქვს, იმასაც ასწერდა! (ლადო და კლფა  
იცინდან).

**ლადო.** (ლუპას) სთხოვე, მოვიდეს (ლუპა გადის).

**კოტე.** „მკლავაძე“ იქნება ვინმე! (შემოდის თავადი ღულაგზო, თავით-  
აფხაზებინ შედარდებული).

გამოსვლა მაჟილი

იგინივე და თავ. დელაური

**თალო.** არა, გოსპოდა, ვი ნაკარა ეგრე ამბობთ! გივირებაო; (სასორენ; ეჭილებით) ნეტა წინდაწინ მაინც ვიცოდე, საიდან ჩამოიგლის ე რე-  
ვოლუცია, რომ დროზე დავიმალო! შაქრო, შენს ქაზარმა-  
ში დამმალე! Ты у нас такой храбрый!

**შაქრო.** Не беспокойтесь, ма Губан! Кроликами узел дасძნავთ! გარება  
ტო კაზახები ეყოფათ! (ბემდები ელენი, ასალი ვანაც).

**შაქრო.** (თოთების ფრაგმენთი) Страшно шикарно, чорт возьми!

**თალო.** (თალღმის ლორძევით) Шаრмаб, Шаრмаб! როგორ ეტუმბა, რომ  
ფან-ის<sup>1)</sup> Шეკერილი კაბაა! Сколько изящества, шика,  
шарма!

**ოთარ.** (კვადრონის ლიმილით) მშეკრიცხბაა!

**ივლიტე.** (აღდაღული) დახატული წარ, გენაცვალოს მამაშა! (თალღმის  
გადალილაჟს და ნეცარებით) Камергер..ша! Ея высокопре-  
восходительство мадам Гаври...и...лова!

**ელენე.** (სიმღერით ცეკვაზე) За красоту я получила первый приз!

Все мужчины исполняют мой каприз!

Эта маленькая ручка...

Так изящна и мила...

**უველანი.** (ფანის კვრით) „браво! браво!“

**ივლიტე.** ერთი „ტანგო და ფოქტსროტიც“ ითამაშეთ შენ და შა-  
ქრომა, გენაცვალოთ მამაშა! თალო, დაჯექ, დაუკარ.

**თალო.** (რა გაათავაშს დავარას, წამოდგენა და ელენის) Воображаю, რა  
უსპეხი გეენება პეტროგრადში! (სუმრობით ჩიტენ-ჭაბუ). Шель-  
ма-девица!

**შაქრო.** (ელენის) საშინლად გავხარ ლულუსა.

**ელენე.** (საცილით) ლულუ ვიღა არის?

**შაქრო.** ერთი ჩემი ნაცნობი შანსონეტკაა...

**ელენე.** (ღაცინვით) спасибо за комплимент!

**გართა.** (შემთვარებელი) მოვიდა, მოვიდა!

**ივლიტე.** (რომელიც ყველაგა მუცევდ ლილაჟს) ელენე, შენ ზალაში შედი,  
იქ დახვდი. (ელენი გადის). ობარ, შაქრო, ჩადით პადიეზ-  
ლში და იქ მიეგებდეთ (მადლო და თარ გა-დაბან).

**თალო.** (თითონაც აღილავეშელი) ნუ ლელავ, ივლიტე, ნუ ლელავ! ბანტი  
გაისწორე!

**ივლიტე.** პუდრი მოიშენდე წამშამებიდან, ზაჩესკა გაისწორე (სპირ-  
ტონს) სპარდონ, შემოვიდეს თუ არა მდაბლად თავი დაუ-  
კარ... (თალოს) Во дворце так принято...

<sup>1)</sup> „Фани“—მაშინდელი გამოჩენილი მკერავი ქალი.

გავრილოვი. (ღერეფანში, თთარს) Ничего особенного, князь <sup>უკავშირი</sup>  
Bac! маленький бунт, который будет подавлен на днях-  
же, как в 1905 году.

თალო. (ივლიფებს) ხო გითხარ, რაღაც მომხდარა! (შემოიაბ გვერდ-  
ოვა, თთარ და შატრო).

ივლიტე. (მოწიწებით) Добро пожаловать!

გავრილოვი. (ნამდაღელი ღიამილით, ყცყობა რაღაც დატვი და ფიქრი აწყ-  
საბს) А... а, княгиня! (თალოს) И Вы здесь, княгинюшка!  
(ორივეს ხელში გოცხავს, ქვები ვთავს).

თალო. (მხეარული ღიამილით) Вы прямо цветете, Кузьма Никитич!  
(თთარ უძრის და უშმაური) „ლამურ, ლამურ“, всему ви-  
ною ты!

გავრილოვი. Что-ж, княгиня, „Любви все возрасты покорны, ея  
порывы благотворны!“

კველანი. Как остроумно, какая прелесть!

გავრილოვი. А где-же наша пташечка?

ივილტე. (ღიამილით) Она с нетерпением ждет Вас в зале.

თთარ. (უჩვენებს სურათებს) Это мой дед, Ваше Высокопревосход-  
ительство, награжден покойным лაშდარებ Николаем I,  
—царство ему небесное! (ცალაბი პირჯვაზე იტრებს) за Крым-  
скую кампанию Георгием I степени и золотым оружием,  
а вот мой отец — получил Анну и Владимира на шее,  
а это дядя... Августейший дед ныне благополучно Цар-  
ствующего монарха пожаловал ему...

გავრილოვი. Читал, читал в летописях...

ივლიტე. (უანინად კალთას ღასტებს თთარს და წასჩურებულებს) ჩემი  
პრედკებიც უჩვენებ, ჩემი პრედკებიც!

გავრილოვი. Да все Ломгуладзе, к чести их сказать, служили  
Русскому престолу верой и правдой! (დებირაბ ბთავას  
„მარსელიობა“ სიმღერა „Вы жертвою пали в борьбе  
ржковой“ და ლოტუნგები: „გაუმარჯოს დამფუძნებელ  
ქრებას“, „საყოველთაო თხეფორმიან არჩევნებს“, „ძირს  
სისხლიანი ნიკოლოზი! ძირს თვითმპურობელობა. გაუმა-  
რჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, „ძმობა, ერთობა,  
თავისუფლებას“.



**ყველანი.** (მისცვავებით დანჯრებით) ე რა ამბავია?! რეგოლუცია  
ბუნტები დაიწყო! რამდენი ხალხია! უჯას! უჯას (ზოთოლი  
ბაირაღები დანჯრიდანაც ჩანს, ისმის ცვიტილი).

**გეგჩილოვი.** И здесь началось! узнали!.. (ηρωოდ დაწვერა სავარბელში)  
სპირდონა. დედა, დედა, დედა! რა ბუნტია! (გარშის ძებიაში).

**სალომე**

**და**      }    { მეორედ მოსვლაა, გენაცვალეთ!! (მუსლიმში იშანებ)  
**მართა**

**პალიკო.** (შემორმის სისარტყოთ) Отречемся от старого мира (ჭერ  
ისჯრის ჭერში) Ура...а! Мтавробадзе скончался!

**თალო.** ლადო სად არის, ლადო? ის გვიშველის!

ფ ა რ დ ა.

## მოძღვანელი შემოწმება.

მოძღვანელი პირი მეორე მოძღვანელისა: იმ პირთ გარდა, რომელიც პირველზე  
არიან,—მეორეში გამოდიან შემდგენიც:

გა ლაქტიონ პაჭიტაძე—27 წლისა, ლადო ჭიჭიკაშვილის მდივანი.

კოწია—გალაქტიონის მეგობარი.

პეტრუშ ივანიჩ ხუბაროვი, 60 წლ., სომები მდიდარი ვაჭარი, იმ სახ-  
ლის პატრიონი, რომელშიაც ლომგულაძეები ცხოვრიბენ.

მასწავლებელი ქალი

გიგო—მუშა

თავშეხვეული ინტელიგენტი

ხამხედროვანი

მთხოვნელები ლადოსთან.

მენშევიკური ბობოლა მოხელენი (პორტფელებით)

უცხოელი: ინგლისელები

ფრანგები

იტალიელები

რომელიც დადიან ლადოსთან საქმიანე

ყველანი თავისებურ ტანისამოსში.

მეორე მოძღვანელი სწარმოებს სამი წლის შემდეგ 1921 წ. დასაწყისში. ფარ-  
და ინდება ლომგულაძიანთ იმავე პატარა სასტუმროში, რომელსაც ამ წნის გან-  
მალობაში არავითარი ცვლილება არ დასტყობია, გარდა იმისა, რომ კედლები-  
დან „წარჩინებული“ მამა-პაპათა სურათები ჩამოულიათ. საღამოს 5—6 საათია,  
სასტუმრო და დერეფანი უხვათ არის გაჩაღებული ელექტრონით. ფარდის ახდის  
დროს სასტუმროში შეკრებილა ლომგულაძების ოჯახი. სცენის სიღრმეში, აგუშ-  
გუშებულ ბეჭართან, სხედან: ერთ მხარეს სალომე (კუ ზეტყაზე „პარისს“ შლის)  
მეორე მხარეს—ოთარი, რომელსაც მუნდირი ჩინჩხე შეუცვლი; ოთარი კითხუ-  
ლობს მაშინდელ დროის (ნაციონალისტურ) გაბეთ „Грузия“-ს. ავანსცენაზე სდგას  
მაგიდა, საჭერ ნივთებით მოწყობილი. მის გარშემო სხედან: იღლიტე, თალო,  
ელექტ მათ წინ, აკანსცენაზე, დადის პალიკო და წიგნით ხელში ქართულ ენას  
ასწავლის ყოფილ კრეიინებს.

როცა ქუჩიდან ავტომობილი სღრიალი მოესმება,—ლადოს  
კაბინეტიდან ფიცხლავ გამოვარდება ხოლმე მისი მდივანი  
გალაქტიონ პაჭიტაძე—ტიპიური ხამი“. ეს ვაჟბატონი რამ-  
დენათაც ამაყი და მიუკარებელია უბრალო მთხოვნელთა-  
თვის, იმდენად ოთხად მოკაკული და თაფლიანია ბობოლა  
მოხელეებთან და უცხოელებთან.

## ბამოსცლა პირველი.

უკრაინული  
გიგანტური მუსიკა

**პალიკო.** აბა დასწერეთ: ბაყაყი წყალში ყიყინებს...

**ოთარ.** (ცუკრის გაძლიერებით) „კრეჭიათ“ კათელობა, საწყალი აპალონოვი! ისიც დაუხვრეტიათ ბოლშევიკებს? ღმერთმა აცხონოს, მუკდენის ბრძოლაში მიიღო გიორგი მეორე სტეპენი. რა...ო? კადეტ ჰუპლეტოვიც?.. ამია მაგათზე! სუ მაგათ აშალეს ეს ამბავი, სუ მაგათ მოახდინეს ე რევოლუცია...

**პალიკო.** გაიმეორეთ!

**თალო**

**ივლითე** } ბაყაყი წყალში ყიყინებს.  
**ელენე**

**პალიკო.** ხო..ო, ეგრე. ბაყაყი და არა ბაკაკი, როგორც თქვენ ამ-ბობდით აქამდინ. ახლა დასწერეთ პოლი—იატაკი,—სპიჩა—წუმწუმა.

**თალო.** (ივლითე; გესმის? სპიჩა თურმე წუმწუმა ყოფილა. ვით კუ-რეხე! (ივინია ჩუმჩუმად)

**ივლითე.** ნეტა საიდან სჩერეკავენ ამ სიტყვებს? წადი და ისწავლე ქართული ენა!

**სალომე.** ე...ეხ, „ნუ დაპკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგო-ბარსოთ! დაგჭირდათ თუ არა ისევ საქართველო? ე ბუნ-ტები რო არ მომხდარიყო, განა ესენი ქართულ წიგნ-გა-ზეთებში—კი ჩაიხედავდნენ?

**პალიკო.** ვაშა, ბაბო, ვაშა! აი, ნამდვილი ქართველი მანდილოსანი. Последняя из магиканш!

**თალო.** არა, ღმერთმანი, მე ყოველთვინ დიდი პატრიოტეა ვიყავი!

**ოთარ.** შენ გვინია, რაკი შენსავით არ ვლრიალებდი, იმიტომ ნა-კლები პატრიოტი ვარ?.. მე-კი არა მტკიოდა გული, როცა ჩემი საშობლო, პატარა საქართველო, იჩავრებოდა დიდი რუსეთისაგან?.. მაგრამ აბა მაშინ რას გააწყობდი რუსის სალდათთან?—

**თალო.** ხო, ხო! Они — страшно грубый народ! კიდევ კარგი, რომ ჩამოვშორდით, თორემ ის დღე დაგვადგებოდა, რაც იმათ არისტროკრატიას.



**ბალიკო.** „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

**თალო.** მართლა, რა სეირია: ამ სიბერის დროს რომ შეკლაშიც  
მივებარეთ!

**ივლიტე.** რა გაეწყობა, როცა რუსული ენა უპразდნილ!

**ელენე.** მამა! კიდევ რუსული?..

**ივლიტე.** მერე მამა-კი რუსული არ არი?

**ელენე.** ხო, მართლა. სოვემ ვანილა! (იღინიან)

**თალო.** (იჯლიფებ) თქ ვამეაშვ, რაც ლადო ვაუნი შიშეა გახდა,—  
შენი ქალი დიდი პატრიოტკაა. ხუმრიბა ხომ არ არის.—  
მინისტერშა! ვაი რომ ხვალ ზეგ ბოლშევიკები შემო-  
ვიდნენ?

**უკელანი.** ღმერთმა დაგვითაროს!!!!... (პირჯგატს ისახავენ)

**ბალიკო.** რა გაწუხებთ, კუნინა, თქვენ ისეთი ბოხერხებული ბრძან-  
დებით, რომ ბოლშევიკებთანაც კარგად მოეწყობით...

**ელენე.** მაშინ იმათ კომისრებთან ივახშებთ ქლუბებში!

**თალო.** ა თქ ვი დუმალა: ბოლშევიკები — კი კაცები არ არიან?  
ო..ო, თქვენ მასწავლით! მუჯჩინი ყოველ რეჟიმა —  
одинаковы! სტოიტ ს ნიმი პიკითნიან არ არიან! (ხითხითებს).

**ხალოშე.** ბარაქალა, ბარაქალა! უსირცხვილო პირით რომ თვითონვე  
აღიარებს თავის ცოდვებს!

**თალო.** მა რა ვქნა, ბაბო, როგორ მოვრჩეთ ამ უბედურ დროს?!  
Честное слово, რომ შემეძლოს პარტიაშიაც ჩავეწე-  
რებოდი!

**ელენე.** ვთხოვთ ლადოსა, რომ ჩაგწეროთ?

**თალო.** ეხლა აღარ ღირს: თუ მართლა ხვალ ზეგ ბოლშევიკები მო-  
დიან, სჯობიან პირდაპირ იმათ პარტიაში შევიდეთ!  
რაღა ჩაწერვა და ამოწერვა. არა, კრომე შუთო, ბალიკო,  
ერთი ვინმე ვიდნი ბოლშევიკი გამაცანი, ჩა ვსახულო საკართველოში გა-  
ნოვსკი ქუჩიდან ნახალოვკაში გვიკრან თავი?

**ხალოშე.** უწინ სათო და დღე გაუქრეთ, რომ საქართველოში ფეხის  
შემოდგმა არ ეღირსოთ!



## გამოსხლა მიორე

ცისოციანული  
შემოსილებელი

იგინივე და შაქრო. (ახლა ჩერქეზულათ გამოწყობილი).

შველანი. ო...ო, შაქრო, შაქრო! სადა ხარ, საღ დარბიხარ? როგორ  
მიდის შენი კოშბინაციები?შაქრო. (ხელში ჰკოვნის თალოს) ო...ოპ, მა ტანტ! (პელიკოს) გამარ-  
ჯობა, მენშევიკ-ფედერალისტ-ანარხისტ—დომხალისტ!

პალიკო. ბყალი კიავე, როგორ ბრძანდები?

შაქრო. ი ბყალი ი ნასიაში! რა-კი შენი სოციალისტები დეკ-  
რეტებს გამოსცემენ, იმიტომ მე კნიაზობა ჩამომერთვა?!  
Чорта с два! Шиш с маслом!

შველანი. ყოჩაღ შაქრო, მილი შაკრო!

ივლითე. მაგ დეკრეტებით სისხლსაც ხომ ვერ გამოგვიცვლიან?

ხალომე. „მღვდელს ჭილობშიაც იცნობენო!“

ოთარ. „აქლემი ისე არ დავარდება, რომ ვირის ოდენაც ველარა  
ზიდოს!“თალო. Конечно! Шеф გგონია, რომ порода ничего не значит? მაშ  
თუ აგრეა, რატომ თქვენი მენშევიკები თავიანთ დემო-  
კრატიულ დამებს არ აჩენენ, როცა ანგლიჩნებს და ნემცებს  
რაუტებს უმართავენ ხოლმე? ჩვენ რაღათ გვეხვეწებიან  
„მობრძანდით დლა представительства-ო!“ივლითე. როგორ გამოაჩენენ, რომ დანა-ჩანგლის დაჭერაც არ  
იციან თურმე!თალო. რას ამბობ, ს ტრაურными ногтями, ს სალფეტკუ სმორავს!  
(იციანან)ელენე. ისეთი სუნი ასდით ხოლმე, როცა იმათთანა ვზივარ! Такое  
амбрэ! (ცხვირშე ხელს იფარებს)

ივლითე. ვინარები, ბალშევიკური დამები რაღა იქნებიან!

პალიკო. აი თუ შემოვიდნენ, გაჩვენებენ სეირს!

შველანი. Не дай бог, ужас! ღმერთმა დაგვითაროს! Боже, сохрани!

ხალომე. ხო და, თუ ჭკუა გაქვთ, ისევ ამ მთავრობას ეფერეთ, ამა-  
თი ღმერთი იფაცეთ! „ავია თუ კარგია, ქალო, შენი  
ქმარიაო!“ ამათ პირში სული მაინც შეგვინარჩუნეს, შეიდ-  
შვიდი დესეტინა მაინც დაგვიტოვეს,—არა გვხვრეტავენ  
მაინც!

V

**თალო.** Что вы говорите, они вегетарианцы в сравнении С ~~ხელვაცითი~~ <sup>ხელვაცითი</sup> виками! а ну зи ეტყობა, тუ აქ რევოლუცია შოხდა! Совсем, как при старом режиме! маრтლა, პალიკო, რა ამბავია, რითი გათავდა ის ინციდენტი სომხეთთან? Я так волнуюсь, господа, ხუმრობა ხომ არ არის, რომ маრტლა ბოლშევიკები შემოვიდენ აქაც!

**ოთარ.** რა გიცი, დიდი იმედი აქვთ თავიანთი სახალხო გვარდიელებისა და...

**პალიკო.** აი ლადოს უნდა გკითხო, დღეს ელოდენ პასუხს. (აღინდს) არის ვინმე ლადოსთან?

**ელენე.** წამო გნახოთ, მეც საქმე მაქვს. (პალიკო და ელენე გადაბან).

### გამოსვლა მესამე

სალომე, ოთარ, ივლიტე, თალო და შაქრო.

**შაქრო.** პალიკოსთან არ გითხარით: სამოცი ფუთი შაქარი და ბრინჯი ვიშოვე!

**ივლიტე**  
და { რას ამბობ?! ყოჩალ!

**თალო.** საქმე ის არის, კაი ფასებში გაყიდო, არ მოგატყუონ.

**შაქრო.** შაქარს კი აზერბეიჯანში გავიტან, მუშტარი კიდეცა მყავს, რაზრეშენიასაც ლადო მომცემს,— მაგრამ ბრინჯს რა ვუყო?

**თალო.** Не беспокойся, Шаქრო, ბრინჯს მე გაგიყიდი, მხოლოდ законный ათი პროცენტი—მე. შენც მოიგე, მეცა. Господа, вообщем, тут кто-нибудь რა-м-г-ж-н-д-е-т გасасы-д-о, пожалуйста, мё შემატყობინეთ. Представь себе, ивли-ტე, гუშიб ბა-ბალეს კოლიე და ხალიხა наконец-то გავასაღე! Семь тысяч я заработала на этой комбинации! (იცინას).

**ივლიტე.** კერენკები რაღა პქენი, გადაახურდავე?

**თალო.** Какой там! ვერც კერენკები, ვერც დანსკო ფული.— კურსი დაცემულა. Зато иностранная валюта в ходу!

**შაქრო.** ხო, ძიებ, Фину! (უცვენდს) Ада თქვენც გაშინჯეთ... по моему კაი სორთისაა. (უჩვენდს შაქრისა და ბრინჯის ნიმუშებს).

**ივლიტე.** მშევნიერი სორთისაა!



ოთარ. უხარჯო, სუფთა ბრინჯია.

თალო. И песок великолепный! Бамбуко ли руслули პესოკია, и, по-  
нимаяешь, мშრალიც არის. კაი ფასებში გაიყიდება... აბა,  
ბაბო, გაშინჯეთ, თქვენ უფრო შეატყობოთ...

სალომე. (გამოით) თქვენც შეგარცხვინათ და მაგის გამშინჯველიცა!  
რა თავადიშვილის საქმეა ალეშ-მელეშობა და ჩარჩობა?  
✓ „რაც არ ექნას მამა შენსა, ნურც შენ დახვე მარმაშებ-  
სა“-ო! ~~გუშინ~~ წკიპურტს არ იქარებდით, უულს ხელს არ  
ახლებდით, სანამ დუხებია და ადეკალონებს არ გადავ-  
ლებდით, დღეს კი სასწორი და ორშინი დაგიჭერიათ?  
სომხის ვაჭრებს დასცინოდით და ეხლა თქვენ დაგიწყიათ  
იმათი ხელობა? ~~შეორე~~ პეტრუშა მომინველი აქა?! (შავრო  
გადის).

ივლო თე. ჩვენც წავიდეთ, აქ აალაგონ... (ესენი გადიან, ცოცახანს უკან  
შემოვიახ ივანე და მართა და ალაგონი). მაგიდას

### გამოსილი მიობეს

ივანე და მართა.

ივანე. რაო, მართა, ვითომ რასა სწავლობენ?

მართა. ქართულსა, ქართულსა, გაიკე და შაიტყე, შე გამოყეყეჩებუ-  
ლო! რაც ი რუსი ხელმწიფე ტანტიდან გაღმოაბრძანეს,  
ქართული ენა მეტად გაუტებათ!

ივანე. მერე, ქართულს რა სწავლა უნდა, ერთი მითხარი? სამი წლის  
ბავშვმა კი არ იცის ქართული? სწავლა გამეგება ფრან-  
გულისა, ლემენცურისა, შენ ხარ ჩემი ბატონი, რუსუ-  
ლისა...

მართა. მოდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ! ლორის ქონითა გაქვს ე ყბები  
მოქმნილი! — ე სტოლი ამიწიე...

ივანე. პა, პა! რა სასწაული დატრიალდა და! პირდაპირ საგაზე-  
თო საქმე მოხდა! თრიატში რომ წარმოადგინონ, ვინ  
თავმკვდარი ფულს არ გამოიმეტებს და პირველ ილაგს  
არ გამოიჭიმება! ეკენი ლადოსა სწუნობდნენ... გლეხის შვი-  
ლია, ჩვენი ნაყმევის ჩამომავალია, ვის ეკადრებაო...

მართა. მაშა! ჯიშაც კი არჩევდნენ! — გალანცუი ქათამი სხვა არი, უბ-  
რალო ქათამი სხვაო! ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ მაგ

შენმა აბუჩიალ აგდებულმა უბრალო ქათამშა ოქროს კვერცხ-  
ცხი დასდო, დღეს პირველი ალაგი უჭირავს!.. გიგანტების  
იფანე. ეი, ფიუ! (უაფაფებ) მინისტრია, მინისტრი! ეხუმრები? ახტო-  
მობილიდან არ გამომდას! ხედავ, რა პირები მისდევენ  
და მოსდევენ? ანგლიჩნის, ლემენტის, ფრანცუზის ლენერ-  
ლები და მინისტრები! (სწორებ ამ ღრმა ლადოს კამიძლფში  
შედიან უცხოულნი) ცხოვრებაც ხომ იცი, როგორი აქვთ,  
რა აკლიათ ჩვენ ბატონებს?—ისევ ის დაჩები, ვანები...  
სულ ლადოს წყალობით არ არის? დახე, ჩვენი სოფლელი  
გიგას ბიჭი რა ბეღში ჩავარდა ე ბუნტებისგან?!

შართა. ხო და, ი გალანცი ქთამშა კი, ი ვიღაც ნამესნიკის პოპოჩ-  
ნიკს რომ ეტმასნებოდნენ...

იფანე. რას ამბობ, მე მათევენინე იმის ამბავი! ვიღაც აქაური გოგო  
აუთრევია, გესმი... ის?—ზურავი გაუმაგრებია, ხელი არ  
მახლონ, რუსეთში არ გამგზავნონ—ბოლშენიკებისა ეში-  
ნია—და საში თვალი დუქანი გადაუჭიმნია!... იმ დღეს  
შევედი, ლილა ვიყიდე—ვაი დედი ჩემის ღმერთისა ნამეს-  
ნიკის პოპოჩნიკო, დიდი შეძლების პატრონო!

შართა. კარგი, ხო, ენათ ნუ გაიკრიფე! წამო სამოგარი დადგი, სა-  
კა ჩაის მოიკითხავენ (შემთხვევა სპილიოღნი) არა, შე შე-  
ჩვენებულო, ი რა პური მოგიტანია ჩაისთვის, პირში ჩა-  
საშებია?

სპირიდონა. მთელი ქალაქი დევიარე და მაგაზე უკეთესი ვერ ვიშო-  
ვე... ვით!—ეგეც ქე გოუძვირებიათ...

იფანე. არა, მართა, ტყუალია: ჩვენი ბატონები მაგ პურის არ მიეკა-  
რებიან. ქეინა ბულქს ვერ ინელებს და მაგ ტალახს ჩაუ-  
შვებს პირში?

სპირიდონა. „ბატონები“—კნეინა! არა, შე კაცო, თუ კი რაბოჩი ხალხი,  
პროლეტარეტი მეინელებს, შენი ბატანები ვითომ რაღაი  
ბძანდებიან?.. ამ ბატონ-პატრონობა სადღაა ახლა, სადღა?!.  
უ დეიფსო თქვენი თავი!

შართა. უყურებ ამ ჭადი ხრიკა იმერელსა?!. ი... იჲ, მენი კი ჩაგათ-  
ხლიშე, მეხი მაგ ბატისტვინა თავში! მამა გიცხონდება,

რაკი შენისოანა ტრგულები ბრძანებენ, იმიტომ დიდი  
ლომგულაძეები ბატონიბილან ჩამოვარდებიან ჩამოვარდებიან  
იგანე. ნეტა რას ელაპარაკები ამ ცინგლიანსა, ყულაშიდან ჩამო-  
თრეულსა...

**სპირიდონა.** „კულაშიდან ჩამოთრეულს“ გაჩვენებ, თქვენა! ერთი აქა-  
ნეც შემევიდნენ ბოლშენი ები! თქვე ბურჯუებო, თქვენა!  
თქვე კონტრ რევოლუციონეებო! თფუ! (გადის).

**მართა.** ი... იჭ, შენ-კი მენაცეალე შენა, მაგ ფერად-ფერადი სიტყვე-  
ბით, თუთი ყუშივით რომ გაგიზეპირებია! ეგ არ დასარ-  
ჩენი, ეგა! ნეტა რილასთვის უგდიათ, პურის საჭმელად კი  
ლირს!.

**იგანე.** მაშა! მერე ამ სიძვირეში, ცეცხლის კადებაში! მტკნარი ბალ-  
შენიკია, მართა, მტკნარი ბალშენიკი! ერთაგად რაღაც  
საუზებში და კამიტეტებში დაეთრევა და, გადათხლეში-  
ლი, გაზეაებს კითხულობს...

**მართა.** ეგეც მენაცეალოს და მაგი ბალშენიკ მაშენიკებიცა! რაც ჩემ-  
გან წაილონ — დაითვალონ! (გადიან იპობა ხმები კარგიდან).

**გალაქტიონ.** (რომელიც გამოღის ლადას თანასინა) მინისტრი დეილალა,  
ვეღარავის მივრებთ... ხვალ სამინისტროში მიბრძანდით,  
თორმეტიდან ორამდე.

**მუშა-გოგი.** სამინისტროში ისეთი ჯერია, რომ ვინ მიგვიშვებს  
ახლო?!

**მასწ.** ქალი. ჩეენ მიგვიღებს, თქვენ მხოლოდ მოახსენეთ: მასწავლებ-  
ლების დელეგაციაა, ძაან საჭირო საქმეზე თქო...

**გალაქტ.** არ შეიძლება! ამდენჯერ უნდა გითხრათ\*!.

**მასწ.** ქალი. გაიგე და შეიტყოთ, შიმმილით ვიხოცებით! მეტის  
მოთმენა აღარ შეგვიძლია! საპ-სამი თვე უჯამავიროდ  
გურივართ!

**გალაქტ.** რა ვუყოთ, რევოლუციაა...

**თავშეხვ.** ინტ. ან უნდა მინახულოს, ან აქვე თავს მოვიკლავ!

**გალაქტ.** რა იყო, რაშია საქმე, რაიზე იქლავ თავს?

**თავშეხვ.** ინტ. უყურებთ ამას? (უჩვეული შესვეულ თაქს).

**გალაქტ.** მერე მინისტრი რა შუაბია, თქვენ რომ ჩეცბში თავი გა-  
გიჩეხოს ვინმემ?

**თავშეხ.** ინტ. როგორ თუ ჩეუბშე, ვის ვეჩეუბები? ჰკითხეთ ჩემს მე-  
ზობლებს, მოჩეუბარი ვარ? მე ჩემთვის ვიყავ, როცათვეუ-  
ნი პრეტორიანების...

**გალაქტ.** (სიცავას აწყუფინებს) ვინ პრეტორიანების, რას ბოდავ?..  
ვისხედ ამბობ?

**თავშეხ.** ინტ. ვიზე და ოქვენ საყვარელ გვარდიელების უფროსზე!  
თავის ხელქვეითით სახლში შემომიხტა და ცოლშვილი-  
ანად გარედ გამომიძახა! თანაც თავი გამიჩეხა, რაკი ჩემი  
ნებით არ დავუთმე ბინა!

**გალაქტ.** მიმართეთ სასამართლოს, ეგ სასამართლოს საქმეა!

**თავშეხ.** ინტ. გმადლობთ დარიგებისათვის! კანონებს თვითონ გვარ-  
დიელები სცემენ და იმათვე მივმართოთ?.. ცხვარმა მგელ-  
თან იჩივლოს?

**სპირიდონა.** (იძათ) დედა, დედა! (გულშე ხელს იცემს) პირდაპირ სა-  
გაზეთო სიტყვებია!

**გალაქტ.** შენ ერთ! ფრთხილად სახალხო გვარდიელებზე, თორე... ე?  
(სპირიდონა) რა გაცინებს შე ბალშვერ კო, შენა?! ჩაკეტე  
ემ წუთში კარები! მიბრძანდით, საიდანაც მობრძანებულ-  
ხარ! ეგ საბინაო განყოფილების საქმეა და არა მინის-  
ტრისა!

**თავშეხ.** ინტ. საბინაო განყოფილების „ამოსაცხობი“ რომ მქონდეს  
ხომ აქაც არ მოვიდოდი, — ახალ ბინას ვიშვოვნიდი!

**ხმა.** (კარგებს იძადან) ოქროები გამოსდის პირიდან, ოქროები!

**გალაქტ.** (მუძარით) ოქვენი გვარი? კარგა მოპკურცხლე! ხომ არა გნე-  
ბავს, ასობი ატრიადში გაგასეირნოთ?! (მუშა გიგლს) თქვენ.  
რალა გინდათ, ამხანაგო?

**მუშა.** შენ ამხანაგობას აღარა მიკლია რა! ერთი შენ ტანისამოსაც  
დახედე და ჩემ ჯლანებასც! აპა, თქვენი თვალით მაინც  
დარწმუნდით, — ტანზე პერანგი არ მაცვია! (გულს იღებან)

**გალაქტიონ.** რა უყოთ, რევოლუციაა, უნდა მოვითმინოთ!

**მუშა.** შე დალოცვილო, მოვდლებიც ხომ სულ მაგას ჩაგრიჩინებდენ:  
„მოითმინეთ, საიქიოს მოგეცემათ სამოთხეო.“ „მოითმი-  
ნეთო“! რატომ თქვენ კი არ ითმენთ? შამფანცკებსა და  
მოხრაკულებს მე მივირთმევ, თუ თქვენა? ინგლისელებთან  
და ფრანგებთან მე ვქეიფობ კლუბებში, თუ თქვენა? რა

ხელს იკვრევინები?! დამიცადეთ, გული მაინც მოვიყენოს! დოკორეცებაში მე ვარ გაჭიმული, თუ თქვენა?! სპილეოთის  
სპირიდონა. (იძით) რა სწორე სიტყვებია დედა, დედა, დედა! ამან  
ამომყარა ამათი ჯირი!

**გალაქტიონ.** გადი ემწამს აქ დან, თორე მილიციას დევიბარებ.

**მუშა.** აი, გამიშურეს თქვენი დემოკრატობა, თქვე ფარისევლებო,  
თქვენა! სუ რომ მუშა და პროლეტარი გაკერიათ პირზე,  
ეს არის პროლეტარის სიყვარული და პატივისცემა! ეს  
არის თქვენი დაპირება?!

**ხმა.** (კარებს იძირდნ) სახელი ჩვენია. სახრავი მაგათი!

**გალაქტიონ.** იყბეჭეთ, იყბეჭეთ, სანამ ყბები არ მოგელალებათ!

**მუშა.** (გარებან) მაცალეთ, მაცალეთ! თქვენი განკითხვის დღეც მო-  
ვა! როგორც წამოგასკუპეთ და ზურგზე აგაძვრინეთ,  
ისეც გადმოგისვრით! ერთი ბალშევისებმა გარმარჯვონ!

**გალაქტიონ.** (გამოუღება) შენი გვარი... ი? გაჩვენებ მე შენ ბალშე-  
ვიკებს! მამა შენსა აქვს ცხონება, ისინი გაგძლებენ, ან  
მაგდენს გალაპარაკებენ! ჩიკა და შენი ჯანი!

**კოშია.** (სემოიაჩრიდაჭა) მე ვარ, მე... ღმ საქმეზე...

**გალაქტიონ.** ო... ო, კოშია, შე... ენ? (სპირიდონას) გოულე, ბოშო,  
გოულე... ეს ჩვენია.

**სპირიდონა.** (იძით) აი, მუდამ ასთეა!— თვისიანებისთვის კარები ღიაა!

**სმები.** { I. ჩაგისთვა კარგ, მოცალა მინისტრმა!

II. ხედავთ, ნათლი-მამობა რას ნიშნავს!?

III. ყველგან პროტექციაა, მა რა ვეგონათ!!!

**გალაქტიონ.** რა ნათლი-მამობა— რა პროტექცია? ეს კაცი სამსახუ-  
რის თაობაზეა მოსული.

**სმები.** ვიცით, რა სამსახურის თაობაზეა: ხელი ხელსა ჰებანს.

**გალაქტიონ** (კორიან) მაითმინე... (სპირიდონას) უთხარ, ვანა დოუმზა-  
ლონ მინისტრს.

**სპირიდ.** (ყვირის და ისე გადის) ვანა-მინისტრს, ვანა მინისტრს...

**კოშია.** რა ქენი, გაარიგე?

**გალაქტიონ.** შენ პირობაზე რავა ხარ?

**კოშია.** ხო გითხარ, კაცო, ოცი პროცენტი—შენ... სხვა რაღა ვინდა  
— არ გემეგება!

გალაქტოონ. იჯარა შენ დაგრჩება... გუშინ მეველაპარაკე, ისეთი  
რეკომენდაცია გაგიკეთე, რომ უ... უძ! რაზდენი მთხოვ-  
ნელი იყო! ეხლავ შევალ, დაკლადს გრუეთება... მერე შენ  
შედი, დოკუმენტები უჩვენე (კონფიდენციალური დოკუმენტები). ალ... ლო. ო?.. ოხ, დომენტი, შენ?...  
ა... ა? გამარჯობა შეტი, კაცო! რავა ხარ?! ბიცოლაც ჩა-  
მევიდა... ა? თავის ხაბაკით და გოჭ-ინდაურით, სულგუ-  
ნით და სვირულით? გმადლობთ, რაიზა სწუხდები თქვა.  
მესმის, მესმის. Я паддэржу тваиу кандытатуру, კაცო,  
пoddэржу! ხო გიოხარ! აპა, სხვა რაღაი გინდა, ბოში?  
პარტიაში ჩეეწერე კაცო, პარტიაში, თვარა ისთვ რავა  
გინდა გარიგდეს საქმე? ტელეფონით ყოლითერს ვერ გე-  
ტყვი... კარგი, კარგი, საღამოზე შემევივლი. რა... ა? ბი-  
ნა... ა? ერთ ალაგას სამი ოთახი მეგულება, ისეთი ვანა  
აქეს, რომ გამოსვლა ალარ მოგინდება! სევერიანს ვეტყვი  
რეკვიზიცია მოგიხდინოს ტანისამოსისა და ფეხსაცმელე-  
ბისა ნუ გედარდება! ჭიჭიკო დამპირდა, ძან პარტია მოსვ-  
ლიათ ამ დღეებში კოოპერატივში. აპა, მე საღა მცალიან,  
შე კაცო, ერთავად რაუტები, პრიომები, პარადები! მე  
და მინისტრი პირდაპირ ვიხრანიბით საქმეებში. არც აგ-  
რე ადვილი ყოფილა. სახლმწიფოს მმართვაზე მდგრაბა.  
რა... ა? ჩემი ავტომობილი? აბანოში... ი? ბიცოლაც მო-  
დის, ეფროსინე... ეც? აპა იმათ რავა დოკუავებ, ჩე კ ცო,  
ავტომობილს? მხოლოდ ჩეარა დამიბრუნეთ... კი ბატო-  
ნო... კი ბატონო ნაზვამდის!

კოშია, ეს ძალ საქმე გავარიგეთ... აშენდა შენი ოჯახი!

გალაქტიონ. მა... აშ, ბეჭი ვარ და! ახლა ნახვამდის. ერთ საათს უკან  
შენთან ვიქნები. მართლა, დაბავიშვდა. ვალიკოს გადაეცი:  
ფრთხილად იყოს, ამ დღეებში რევიზიის უპირებენ.

გორია. ვინ გოუკეთა დანოსი?

გალაქტიონ. რა ვკეთ, ყორთ ეს ვნახეთ! მინისტრი სპეციალურ გაბრა-  
ზებულია! (გადაად. ცოცავანს უკეთ შემთხვევა ლავშ და  
ულური).

## გამოცვლა მაცეთი

ლადო და ელენე

**ლადო.** არა, ელენე, თავი დამანებე. მე მაგ ალაგზე მაგისთანა აშკარა კონტრ-რევოლუციონერს ვერ დავნიშნავ.

**ელენე.** იочему კონტრ-რევოლუციონერს? რავი კნიაზია, რაკი— ბყალი იშვიათი?

**ლადო.** ერთი სიტყვით, გადაჭრით გეუბნები ვერ დავნიშნავ! (დადის სცენაზე აღილებული).

**ელენე.** იმიტომ, რომ არ გიყვარვარ!

**ლადო.** ა... ახ! ერთი და იგივე, ერთი და იგივე!—მომბეჭრდა! თავად ბევრი დარდი მაქს...

**ელენე.** ხო... ხო!.. ძალიან კარგად ვიცი, ვინც მოგწონს ეხლა. გვერდზეც რომ მოისვა ი რემენკტონისტკა! ვათომც საქმეებს აკეთებენ.

**ლადო.** (გათცემით) ვინა... ა? რემენკტონისტკაო? არც კი ვიცი რა სახისაა! ის აქეთ ოთახში ბეჭდავს, მე იქით ვმუშავობ, ჩემს კაბინეტში.

**ელენე.** „სოციალისტებს სადა სკალიანთ არშიყობისთვისაო, ეგ ბურგუების წესია გარყვნილება და რამდენიმე ცოლიო“... თვითონ კი, გახდნენ თუ არა მინისტრები,— მეორე ცოლიც გაიჩინეს! ეშე რა უსის ბურжуазნი პრივატი, მოხარული ხავიდინე!

**ლადო.** ვისზე ამბობ მაგეებს? ჩემზე?.. არა გრცხვენიან?.. შენ არ შიყვარხარ, შენა... ა?.. რომლის გულისთვისაც ამდენი კომპრომისები ჩავიდინე!

**ელენე.** უ... უხ, ნადიელი! კომპრომისები და კომპრომისები! ინტერესი, რა კომპრომისებზე ლაპარაკობ? რომ გრაფდანსკი ბრაჟზე არ დავთახმდი და საყდარში დავიწერეთ ჯვარი? სულ მაგას არ მაყვედრი?

**ლადო.** ჯერისწერა თავის-თავად... ეგეც დიდი შეცდომა იყო ჩემის მხრივ... აბა შენვე სთქვი, ელენე: ი და სოციალისტები საყდარი! სასაცილოა თუ არა?

**ელენე:** სოციალისტი, სოციალისტი... ისე მომაბეჭრეს თავი, რომ გотовა ვიცარალ მაცეთის გლაზა!

**ლადო** (მიუხელოვება ღმილით) რომელი უქმები სოციალისტი იქნება, რომ დიდი სიამუვნებით არ მიიღოს ამ შემა თითებით უმჯოცრესი სასჯელიც კი (უცნების თითებს)

**ელენე**. თორე არა! განა არის ისეთი კაცი, რომ უსიარავი მოიხ ყაჩა? ეკ ერთი შენა ხარ ეგეთი კერპი (ყურადღების უწყვეტებელი)

**ლადო**. არა, ელენე, არ შემიძლიან....

**ელენე**. (ყილები ეცვლა) არ მილი, დიდი, ვინა ბრილიანტის არ გავიშვებ, სანამ ჩემ თხოვნას არ აასრულებ! (თაქ ლოდები დადგება) ჩემი ბიჭი, ბიჭუა (თმაზი დება ასხაბა) ა ხочу, чтобы от Вас, господин министр, пахло моими духами! „Пориган“ Котик и-социалист! (ღვიძია).

**ლადო**. ხო, კარგი, თავი დამანებელი! - მხოლოდ უკანასკნელად იყოს ესა... (სიცილით) ნამდვილი დალილა ხარ! (ეცვლა და ჭირდია)

**ელენე**. დალილამ, ნასილი მне известна, თმა შე ჭრა საუსონს..  
აბა მე რა გიყავ კარგის მეტი: ввела вас в приличное общество.

**ლადო**. ძალიან პრილიჩნოე თბშესტვო არ არის! მარტო შენი მმა - შაქრო და ძალუა თალო რად ღირს! უ... უხ, როგორ მომაბეჭრეს თავი ათანაირი თხოვნებით!

**ელენე**. Болшое дело, рюмка на здоровье супруга! Скажите, пожалуйста.

**ლადო**. შველაც-შველაა! შიათ, სწყურიათი.. სპეცულიაციის წაქეზება შველაა? ძთელი ქალაქი მაგათხე ლაპარაკობს! თბოზიციური გახეთების პირში ჩამაგდეს! სირცხვილია, სხვა არა იყვეს რა! მაგათოვის ხომ არ მოხდა რავოლიუცია? თავათ ბოლშევიკები სოციალ-გამყიდველებს გვეძნიან...

**ელენე**. მერე, იმათ ყბედობას ყურს უვდებ? ან რატომ არ მიუკურთვი გახეთებს? ისინი ალაპარაკებენ ვისმე რუსეთში?

**ლადო**. ასეა თუ ისე, ძალიან ცუდად არის საჭმე...

**ელენე**. (შაქრთება) რას ამბობ!.. შენ რაღაც იცი და მიმალავ... Hy, მილი...

**ლადო**. დასამალი რაღა არის! ძალიან გამშვავდა სომხეთთან დამოკიდებულება... მეშინიან, რომ რუსეთიც არ ერიოს ამ საქმეში...



**ელენე** (თაჭმიარდაცემული) აქაც მოდიან ბოლშევიკები?..  
**ლადო.** ჯერ არ არის გამორკვეული, დღეს ველი ცნობებს (გარეან  
 მოისმის აკცომობილის ღრიალი). გული დაიმშვიდე, ელენე,  
 არცეგრე საშიშია... მაინც და მაინც თუ გაჭირდა საქმე ..  
 (ამთვა ღრეულიანი ხამსებრო პირა, ლადო ფიცხლავ ღრეულიანში  
 გავა).

**ლადო.** (საღის ართმწეს) როგორი ცნობებია, კარგი თუ არი?  
**სამხ.** პირი. (მოღრუმლო ხასიათ) მოგახსენებთ... (შეგიან ლადოს კა-  
 ბინეცვი).

**ელენე.** (ელენ ყურა შიადებს კარგებს) უ... უ! Противные, а рече я ему  
 я смили. (გ. გის. შემოდიან თათო და პეტრებ ივანები).

**ოთარი.** შობრძენდით!

**პეტრ.** იგ. არა, კნიაზო, რას ბრძანებთ, ჯერ თქვენ მიბრძანდით!

### ჩამოსვლა მიეჩვე

#### ოთარ და პეტრუს

**ოთარ.** დაბძანდით; ჩისგან არის გასჯილხარო?

**პეტრ.** იგ. რასა ძრდნებთ, კნიაზო, იიგუბაით, სისხმი იიგუბაით! პირ-  
 დაპირ უქუდოთ ჩამოვირბინე ჩორნი ხოდიდან... თუ მი-  
 შველით თქვენა, თუ არა და ცოლშვილიანად მტკვარში  
 უნდა გადავვარდე!

**ოთარ.** რა იყო, რაშია საქმე? კიდევ ხომ გადასახლებას არ გიპი-  
 რობენ?

**პეტრ.** იგ. არ მისვენებენ, კნიაზო! წამ და უწუმ ასობი ოტრიადის  
 კაცები თავეს მადგან ასასიძით: „ან ერიგანში უნდა გა-  
 დასახლდე, ან წამოდი შენი შვილებით ჸეშა დასჭერ  
 ტყეშიო“. გაგონილა. გაგონილა. ა? ამ ცივ ზამთარში  
 ტყეში რა მინდა, კნიაზო?.. ჩემ გაჩენაში ცული არ ამი-  
 ლია ხელში..”

**ოთარ.** მუდამ სუ ანგარიშის ჩოტკი გეჭირა, არა?..

**პეტრ.** იგ. მახლას! „ჭიუას წააგებს რეგუენი,—ფათერაკს დააბრალებ-  
 სო“. მთელი ჩემი შეძლება, მთელი ჩემი ნაამაგარი ამ  
 ქალაქში ჩავყარე, ხუთ-ხუთი ეტაერიანი სახლები გადავჭი-  
 მე, სოფელში ხოდაბუნები და ვენახები შევიძინე და ბო-

ლის კი ჭიტლაუყ უნდა მკრან და ერევანში გადამის-  
როლონ? ეთი რაზი სправедливოს, ვაში სიათელსტვი?!.  
ოთარ. რატომ, პეტრუშ ივანიჩ, ყველამ უნდა თავის სამმობლო მო-  
ნახოს.

პეტრ. ივ. რასა ბრ სანებთ, კნიაზო, აქ დაებადებულვარ არა თუ მე,  
—მამა ჩემი, პაპა ჩემი, პაპის პაპა... რა მინდა იქ, ერი-  
ვან ში, რა დამკარგვია?

ოთარ. მართლა, მომილოცავს, თქვენი დამოუკიდებლობაც ხომ  
იქნეს... უცხოელებმა

პეტრ. ივ. (იძით) ჯერ თქვენ შეგერგოთ და მერე ჩვენ მოგვილო-  
ცეთ! (ოთარს) რის დამოუკიდებულობა, კნიაზო, რის ნეზა-  
ვისიმოსტრი? რაში მეტითხება იქ, სასომხეთში, რა ხდება?..  
აქ, ამ მიწა-წყალზე ჩავაპნიე მთელი ჩემი დოვლათ! (თავ-  
ში შემოიკრაა) აი, დაგიდგეს თვალი პეტრუშა!

ოთარ. ახლა ცარიელი ანგარიშით ხომ არ იქნება, პეტრუშ ივანიჩ,  
ცხოვრება? იი, ჩვენ, ქართველ თავად-აზნაურობაშიც ცო-  
ტა რამ დაეკარგეთ, მაგრამ...

პეტრ. ივ. თქვენ რა გიჭირთ, კნიაზო! თქვენ რაღა გქონდათ, რა  
უნდა დაგეკარგათ?. წარსულში მაინც იქეიფეთ, წარ-  
სულში მაიც მიირთმევდით შამფანცკებსა და მოხრა-  
კულებს! ბალ-ვეჩერებში და დვარეცებში არარებით  
დროსა! ვაი ჩვენი ტატუცი თავის ბრალი, რომ ჩენ ამ  
დროს წელებზე ფეხს ვიდგამდოთ, კაპიქს-კაპიკზე ვაკო-  
წიუბებდით, ცარიელ მწვანილ და პურზე გადავდიოდით..  
თქვენ ჯურო ჭკვიან ბი გამოდექით, მე და ჩემმა ლმერთმა!

ოთარ. თუმცა გიუ-ვრაცებს კი გვეძახოდით!

პეტრ. ივ. რის გიუ ვრაცები, ვიჩინ ვუმნი ხალხი გამოდექით!—  
ერთბაშად ნეზავისიმოსტი გამოაცხადეთ და დაგირავე-  
ბული მამულებიც უკან დაიბრუნეთ, სახლებიც და  
ყველაფურიც! (შეამჩნეს თარს სიცილს და-იძით) თა-  
ნაც რო დაგვცინიან! (ოთარს) რა დამიშავებია, კნიაზო?  
შევდასი თუმანი ნაღდი-კაკალი ოქრო დაგითვალეთ ცი-  
ნის ჯვარში, ი რუსი ლენერალზე რო ათხოვებდით  
ქალსა...

ოთარ. ნახევარი საჩეკელშივე დაიჭირე!

პეტრ. ივ. მე აღარც ნახევარი მერგო და აღარც მეასედი! თქვენმა იმერლებმა ციხის ჯვარიც ჩამომართვეს და სხვა მამულებიცა!

ოთარ. ჩვენც ეგრე გვიყვეს, არხეინად იყავი!

პეტრ. ივ. არა, კნიაზო, თქვენი კოჭი სულ „ალჩუსა“ ჯდება! თქვენ ისევ ის ძალა გაქვთ, რაც წინათა! თქვენთვის ჯერ არ დაწყებულა ლევალუცია!

ოთარ. კიდეც მაგიტომ გვემდურებით!

პეტრ. ივ. (იძით) ოიხ, ნეტა არ იქნება თქვენი ჯავრი ამომყარონ! (თეატრს) არა, კნიაზო, ვინ თავმკვდარი! რა თავში სახლე-ლად გვინდა,—ჩვენ რაღა ხეირს დაგვაყრიან?

ოთარ. წამო, პეტრუშ ივანიჩ, ერთი სტიქანი ჩაი მიირთვი...

პეტრ. ივ. რა მეჩაიება, კნიაზო, დანა დამცე—სისხლი არ გამომივა!

ოთარ. მაგაზედ არხეინად იყავი, ხელსაც არავინ გ.ხლებს... დღესვე ჩემ სიძეს მოველაპარაკები... აქაურ სომხებს არ ერჩიან...

პეტრ. ივ. აბა თქვენ იცით, ვაშა სიატელსტვო! (გადის. (შემოღიან მართა და იჯანე).

შართა. (იჯანე) მოახსენე ბატონებს ჩაი მზად გახლავსთთქო. (თრივენი გადიან).

### გამოსვლა მისამ

ლადო და სამხედრო პირი (დერეფანში)

ლადო. ხვალე მობილიზაცია უნდა გამოცხადდეს. ამაღამვე დაბეჭ-დეთ ეგ ჩემი წერილი და დილაალრიანვე გააკარით ყველგან.

სამხ. პირი. გისმენთ!

ლადო. გვარდიელების სულიერი განშეყობილება როგორია?

სამხ. პირი. მაქს პატივი განშეყოთ, რომ უაღრესად ალფროვანე-ბული და პატრიოტულად განშეყობილი! ერთსულოვნად შემომზეულის, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ საყვარელ სამშობლოს და დემოკრატიული მთავრობის დასაცავად!

**ლადო.** ყოჩილ! სხვანაირად არც შეიძლება მოიქცეს ნამდვილი ჯარი. თუმცა მე მაცნობეს, რომ იმათშიც დაძრწიან გადაცმული ბოლშევიკები...

**სამხ.** პირი. ისინი უკვე ციხეში სხედან!

**ლადო.** თვალი ადევნეთ ყველას, მეტადრე არა ქართველებს... ფრთხილად კონსულებთან ... უკიდურესი სიფრთხილე გვჭირდება ეხლა,—ჩვნი განკითხვია დღე დგება! დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ მაზრებსაც, სადაც ამას წინადან ბოლშევიკურ გამოსვლებს ქონდა ადგილი.

**სამხ.** პირი. ისე დავჭევიანეთ, რომ, ვგონებ, თავის დღეში თითხსაც ალარ გაანძლევენ! (გამოჯორი საცდებროში: შავრო, თაღო, ივლოცე, ჰალივა, ლაზე, რთახა).

**ყველანი.** სს... მოიცა. (ყურადღების გარეშე და სამსახური პირს).

**ლადო.** კვ! რუსეთის მაჩანჩალები! სამშობლოს გამყიდველები! (გაშლის პროკლამაციას და მწარები) პარმენ ძოწაძეც! —ერთ დროს ჩემი უგულითადესი მეგობარი, დღეს-კი, —მოსისხლე მტერი! ბევრგან დააბინიეს ეს პროკლამაციები?

**ყველანი.** (საცდებროში) გესმი... ირ? სს.... ზშ...

**სამხ.** პირი. უმეტესად ჯარში, მაგრამ დროზე მოვასწარით და ჩაუფუშეთ მათი გეგმები...

**ყველანი.** რაღაც მომხდარა... სს... ზშ!..

**ლადო.** ეს მერამდენჯერ, ეს მერამდენჯერ! მაშ ეგრე! ყველანი სადარაჯოზე, ყველანი თავის პოსტზე! მე ეხლავე ამხანაგებს ვინახულებ... (სამსევრო პირი გადის, ლავო-პროკლამაციით ხელში, შემთხვის საცდებროში).

### გამოსტლა მეცხრი

ხალომე, ოთარ, ივლიტე, თალო, ელენე, შაქრო, პალიკო და ლადო

**ყველანი.** (მისცდავან) რა ამბ ვია, ლადო? გვითხარი, რას გვიმალავ! Hy, пожалуйста! კიდეც მოლიან?.. Надо же уложитьтесь!

**ლადო.** დასამალი ალარაუერია! სოფლები აჯანყდა, გაპკ-ვიან: თავადების მომხრე ხართ, ნამდვილი მუშურ-გლეხური მთავრობა გვინდაო.



შველანი. ჩას ამბობ!! (თავზეთტრალუმიულნი არიან).

ლადო. არა, როგორ მოვწონთ, რომ კომისარები კიდეც აუტჩევიათ!  
აი, წაიკითხეთ: შულავერში გამოუკიათ... (ყველანი ზის-  
ცვიანი, ყრობანის ჰელჭერ პოვლამაციანს). ხვალვე დამფუ-  
ძნებელ კრებაში საგანგებო სხდომა უნდა მოვიწვიოთ, და  
ყველა მანდ ჩამოთვლილი პირნი სამშობლოს მოღლატე-  
ებად უნდა გამოვაცხადოთ!

**პალიკო.** დედა შეერთოს ცოლადა, ვინც სახლში დარჩეს და თავი  
არ შესწიროს სამშობლოს!..

ოთარ ამინ, ამინ! არც მე დავტები შინა, ნუ გეშინიათ!

ଶାକ୍ରାନ୍ତ. ଖୁବି, ମାଗୁଟାଣି... (ମଧ୍ୟଭାଷା ଦର୍ଶନଙ୍କୁଳା).

**ლადო.** (სპირიდონის, რომელიც გარდა სმიტი შემოვა) შოთერს უთხარ,  
ავტომობილი დამიმზადოს.

ପ୍ରକାଶକ- { ଲା ଉନ୍ଦା ଗ୍ରନ୍ଥାତୀ?।  
ପ୍ରକାଶକ- { ସାଠିଟ ଗାସିଫେରିବୁ?!!

პალიკო. ქალიან-კაციანათ ბრძოლის ველზე! ხელი ხმალს, ქარ-  
თველზნ!

ଅତାର୍. ହେଲାମ୍, ହେଲାମ୍ ଫାକୁଲ୍ଟେସନ୍!

შაქრო. მაგათი სისხლი... (ხარჯალს იძრობს).

**ხალომე.** (ზელაპეტრომილი, საცოდებით) ოქტ, მამაო ძისაო და დედაო  
ღვთა-სმბობელო! თქვენ მიხედეთ ჩვენ ტანჯულ, მურამ  
წამებულ ტურფა ქვეყანას და გადააფარეთ თქვენი კურ-  
თაეული, მაღლიანი კალთა!!! (ცტემლებს იწმენდს ცხვირსა-  
სცვლით).

თალო. (პროკლამაციას შინჯავს და თან ამბობს) ნეტა ეს რომელი პარ-  
მენ ძოშაძეა? კაჟესა, ვიცნობ? მინახავს ლადოსთან... На-  
до разузнать.

ગુજરાત સરકાર ગુજરાત

ეს მოქმედება სწარმოებს თვენაზეურის შემდეგ, 19-ი ჭ. თებერვლის მიწურულ-ში. მოდის უფრატა თოვლი. დღის 2-3 საათია. ს კენა წარმოადგენს დართო მოყდანს, რომლის ირგვლივ სამ—ოთხ სართულიანი სახლებია, თავის პატარ-პატარა აივნებით, საიდანაც ხალხი ითვლება (მეუწილად—ქალები და მოუცეცული მ-მა-კავები) მოედახი, მეტადრე სიღრმეში, გატენილი ხალხით: ქართველი, სომები, რუსი, მცსულმანი, ებრაელი—ირლევა ერთმანეთში. საბლების ქვეითა სართულებ-ში—მაღაზები (მეტწილად სომხებისა) ქართული ზედწარწერებით. მარჯვენა მხარეს, პირდაპირ მაყურებლებიდნ, სდაგას უზარმაშარი, ხუთ-ექვე სართულის სახლი პეტრუს ივანიჩ ხუბაროვისა, ავ საბლის ერთ-ერთ საუკთხესო სართულის ფართო აივანზე დგანან და სხედან, თბილ პალტო-შალ-წამოცხულონი, ლო მგულაძეების ოჯახის წევრები, დანარჩენ აივნებზე—ამ სახლის სხვა მდგმურები. ხალ ის შუა ადგილას, ძირს, ქუჩაში, სდგას ტრიბუზა, სადაც ლადო ჭიჭიკაშვილი ითვებს თავის სიტყვას. ისმის ტაში: „ვაშა“, დიდება“, მუსიკა.

**ლადო.** (ცრიმუნაშვილი) დიახ, მარტონი არა ვართ! სრული იმედია, რომ  
ეკრანის დემოკრატია, რომელსაც ჩვენ მოვმართეთ ჩეორე  
ინტერნაციონალის სახით, გულხელლადაკრეფილი არ დარ-  
ჩება და არ დასტოებს ჩვენ ხმას უდაბნოში მღალადებლად!  
**ხმები.** გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს მეორე  
ინტერნაციონალის!

**ლადო.** (განაგრძობს) აქ, საღაც ჩვენ ამ აბობოქრებულ ზღვის ერთად-  
ერთ ნავთსაყუდარში, ერთად-ერთ ოაზისში დაგამყარეთ  
სრულიად თავისუფალი დემოქრატიული საქართველო, აქ  
ჩვენ მიერ აყვავებულ კუნძულთან, გაითხოვან სამარეს ეგ  
თავხელი, ეგ აღმოსაცლეთის ფანატიკოსები, რომელთა  
სახით სოციალიზმის და კომუნიზმის ნილაბქვეშ გვევლი-  
ნება იგივ რუსეთის ტლანქი ქუსლი, იგივ რუსეთის იმპე-  
რიალიზმი!

შველანი. ძირს იმპერიალიზმი, ძირს, ძირს...

გავრილოვი. (ჩემად, ბერტ გადამზღვი რესის აფიცენს) Что это ку-  
курузная республика ораторствует про нашу мату-  
шку Россию?

**ჭუბ.** ოფიცი. (აკრეთუ ჩუმად) ისკაი პროიორტვუ! **Не долго**  
этим грузинским-головятам царствовать!

საქართველო  
შემოქმედი  
სახელმწიფო

**ლადო.** (განაგრძობს) აქ მოელებათ ბოლო, მაგ ამ დროის ატილლებს,  
რომელთაც შიმშილის მეტი არა მოაქვთოა თანა! აქ დაი-  
მტკრევენ კბილებს ეგ თავხედნი, აქ იპოვიან თავის  
სედანს.

**შჩები.** ვერდენს!

**ლადო.** (განაგრძობს) არცერთი ადლი მიწა მტერს! არცერთი ნაბიჯი  
უკან! ყველანი თავის პოსტზე, ყველანი სადარაჯოზე!  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკედილი სახელოვანი!“  
(ლადოსთან მიღია ათავი ხრამლაშვილი)

**პოეტი** ხრამლაშვილი. ეს ჩემი მუხის ნაყოფია, წუხელის დავწერე  
ექსპრომტად... გუხოვთ მიიღოთ მცირე ძღვნად: (ვაჟე-  
ლობს) „ო...ოხ საძშობლოვ, ტურფა სამშობლოვ! შენ გყავს  
ბელადი...“

**ლადო.** შესანიშნავია, გმადლობთ, მე თვითონ წავიკითხავ. (ასლა  
ბეცნიარი ჰამაძე ელაძუება ლადოს)

**შეცნიერი** ზაბაძე. მე დარწმუნებული ვარ, რომ მენევიკების ხელ-  
მძღვანელობით საქართველო შეასრულებს თავის უდიდეს  
მისრას და გადაარჩენს ევროპის კულტურას ჩრდილოე-  
თის ბარბაროსებისაგან! მე დავიწყე მეცნიერული შრომა,  
სადაც თქვენი ლვაწლი...

**ლადო.** გმადლობთ, გმადლობთ... (ასლა პეტრუ ივანიჩი მოდის)

**პეტრ.** ივ. ზამეჩატელნი ჩეჩი იყო, ზამეჩატელნი! ერთი კარგა ამოუ-  
გალეთ ცხვირი მაგ სათოკეება!.. (სალსიან გამთიყვანს  
და ლადოსთან მიიყვანს თავის შვილ ს. როს და მმისწერელ არ-  
ფაშვილს). ესეც ჩემი შვილი სეჩელ და ჩემი მმისწული არტა-  
შეს... ხომ იცნობთ, აბა ესნი არიან მამალი სოცელის-  
ტები, რო, რო, რო, ო, ო!..

**ზერგო და** **არტაშეს.** { გულით და სულით თქვენთანა ვართ (ხელს ართმულენ ლა-  
ღოს). ჰაოსი და ქართლოსი მუდამ ძები იყვნენ!

**გაგრილოვი.** Спасибо, спасибо за Вашу горячую речь!

**რუსი ოფიცერი.** Отомстите хоть вы за нас этим... (ლადო გამოწეულება  
და შიდის თავისიანებთან)

**ლადო.** (შინაგანი) ბარგი ჩალაგებულია? ჩქარა, ჩქარა! ამაღამვე უნდა  
წავიდეთ... ცუდათ არის საქმე... გვარდიელები აშიშვლე-  
ბენ ფრონტს, მტრისკენ გადადიან...

**ხალომე.** ო...ოხ! ყოვლად შეძძლებელი მაცხოვარო, შენ მოგვხედე და  
დაიფარე ჩვენი ტანჯული და წამებული ქვეყანა ამ განსა-  
ცდელისაგან!

**ფლიტე.** ისევ ჩვენი თავადიშვილები, თორემ გლეხებისა და მუშე-  
ბის იმედი ტყუილად აქვთ!

**თალო.** Ещё-бы! განა იმათ პატრიოტიზმისა ესმით რამე? რა კა-  
нья—в апельсина! თურმე გამორბიან და იძახიან: „ბალ-  
შევიები ჩვენი ძმები არიან, გასაყოფი რა გვაქვს იმათ-  
თანაო“. რა ტებე ირავითს?

**თავდაწურული მანდილოსანი.** (ააგანბე) მამა გიცხონდებათ! თქვენ  
ბარგი ბარხანა შეკვარით გრანიცაში გასაქცევათ, ჩვენი  
შვილები კი სასა კლაოზე გაგზავნეთ! ერთი, თქვენ დაგვა-  
ყარეთ ხეირი, თქვენმა თავის გახეთქამა!

**შოხუცი ჩოხოსანი.** (ააგანბე) რას ამბობ, თამარ, მტერი ვაზიანში შე-  
მოსულა თურმე, ეგენი კი ამ სროლას „უპრაენენიას“  
ეძახიან!.. ვის უნდა აუხვიონ თვალები?!?

**თალო.** (ივლიფა, ბევრთ ააგანბე) Ты знаешь, какой ужас! თურმე  
ქალების სოციალიზაციაც გამოუცხადებიათ ბალშევიებს!||  
Кроме шуток! ბაქოში „ნედელია ლიუბვიც“ ყო-  
ფილა!

**ფლიტე.** სეირი არ იქნება, შენ ერთს ვისმე ვახმისტერს შიგიგდონ!

**ხალომე.** (ააგანბე პიტჯარს იწერს). აღა მაპმად ხანის დროა, ნამდვი-  
ლად! ლმერთო, რა შეგცოდე ისეთი, რომ ცოტა ადრე არ  
ამომართვი სული?! (იცრებლება)

**თალო.** (ფიტილის ხმით) Боже мой! რა უხდა უყო ივლიტე, ჩემ ბე-  
ლიოს და ბრილიანტებს, ვის მივაბარო? თურმე თითო  
პერანგის მეტს არ უტოვებენ...

**ფლიტე.** მე უველავერს ელენეს ვატან ზაგრანიცაში. მართლა, შევი-  
დე, უშველო ჩალაგება.. (შედის)

**შართა.** (ივანეს) ერთი შეხედე ი საჭმელს: არ ამოშრეს, პლიტიდან  
გადადგი.

**ივანე.** ეჭ, რაღა საჭმელისა სცხელათ ჩვენ ბატონებს!.. რაღა შორს წა-  
ვიდეთ, მართა, ერთი მტერი სახლში კი არ გვეჯდა! გა-  
რეულს რა დავემდუროთ, როცა შინაური უარესს გვი-  
შვრება?

**შართა.** ვინა, სპირიდონა?

**ივანე.** ხო, პირწავასდნილი ბანშენიკი აბა ის იყო, თორე!.. ეჭ, აშკა-  
რაა, რომ იმათვენ გადაია!

**შართა** წასული მენახოს და მოსული ალარა! (შეღიან)

**განო.** (საძოს) ნახე ინტერნაციონალისტი, სოციალ დემოკრატი, რო-  
გორ აღიზიანებდა ისეთაც აპილბილიბულ მასსას! ერთ  
დროს რებს ქადაგობდა და სწერდა, დღეს კი...

**საქო.** კაცო, სომეხი არა ვარ? თუ მე ქართველი ძმასავით არ მიყვა-  
რდეს და მტრობა მქონდეს იმისი, ცოლშვილიანათ ამო-  
გწყდე! რა ვაცი, ჩვენს სოფელში კი ტკბილათა ცხოვრო-  
ბენ სომხები და ქართველები და აქ რა ღმერთი უწყრე-  
ბათ ნასწავლ ხალხსა? ლამის მუშებიც წაგვეიდონ ერთმა-  
ნეთსა!.

**განო.** პირდაპირ ჰაერიც კი მოწამლულია შოვინიზმით! მერე რამ-  
დენ ნაირით და! - ქართულით, სომხურით, რუსულით...  
(ჩაღლიან. შინებება. იშვება მეორე სურათი)

**გატერინე.** (ფარგლებად) ეგრე, გენაცვალოს დედა, ეგრე! აიარჩაიარე!  
ვითომ ქალაქს ყარაულობ.. რა უშავს, გენაცვალე, ახლა  
ბალშევნიკების პარტ-აში შედი!..

**შვილის** ხმა. წითელი ლენტი არსად გაგულება?

**გატერინე.** ერთი ძველი საბანი მიგდია, ჩავხევ. გენაცვალე, და ეხლავ  
გაგიკეთებ! (ამოდი, (შვილი შეღიან))

**შარბარე.** სულ სტუუიან! თორმიტ საათზე გადაკუიათ ქალაქი... ვაი  
ჩენი ბრიალი ეხლა... ისე მეცოდები, კატერინე, გიგა  
არ მომიკედეს, რო...

**გატერინე.** შესაცოდი რა მაჭეს, გენაცვალე?.. რაც სხვასა, - ის ჩენა!

**შარბარე.** არა, რაც უნდა იყვეს, შენი შვილი მენშევიკებთან მსახუ-  
რობდა, იმათი დიდი ავან-ჩავანი იყო...

**გატერინე.** რის ავან-ჩავანი? ლუკმის გულისთვის მსახურობდა, მაგ-  
რამ გულში კი ჩუმი ბალშევნიკი იყო!

**ბარბარე.** (იძით) ისემც ღმერთი გაგიშეყრებათ, ყოველთვის რომ მარჯვე

ღდვომო კვერცხივით იღებდებით!

**კათერინე.** ვიღა არ მსახურობდა? მაში მშიერი ამოვშევეტილიყავით? სამსახურს რა ელალატება?

**ბარბარე.** ვინ ამბობს ქა...ა? (გუსლიანად) ერთ დროს, მგონი, აკალო-ტოჩინი ნაზირატელათაც იყო შენი შვილი, არა?! ხელმწიფის დროს, კინალამ რო კიდეც მოგიკლეს საცვიალის-ტებმა?

**კათერინე.** წადი, გენაცვა, და მიართვი ლაპორტი ბალშევნიკებს, რახან პირში სულიცა გშურს ჩენენთვინა! (ფანჯარას მიაშრახულებს)

**ბარბარე.** ი...იხ, მეხი კი დაგეცა, მეხი მაგ თავში! უსირცხვილო პირით რომ თვითონვე ილანძლება!. ერთი გაგიგონ ბალშევნიკებმა, როგორ ხვეტავდა შენი შვილი თოი ხელითა! (ესეც მოხურავს ფანჯარას)

**სერგო.** (აივანში, მეორე სართულში) В один прекрасный день мы про-  
снулись... большевиками, ხა, ხა, არტაშეს?

**არტაშეს.** (ლადოს აჭარებს) ვერდენ, ვერდენ!

**განო.** ნეტა ვინ არის ასე სიცილის გუნებაზე ამ დილააღრიან?

**საქო.** სს... ჩვენი სახლის პატრონის შვილი და ძმის წული... ორივენი  
მამალი დაშნაკელები... ყური დაუგდოთ.

**სერგო.** Вот дураки! რუსეთს უნდა ესენი მორევოდნენ?

**არტაშ.** უ...უხ! ძლიერ არ მოგრჩათ მაგათ შოეინიზმა!

**საქო.** რა მამაძალლია! ვითომ თვითონ კი ნაკლები შოეინისტია!

**განო.** წამო, ერთი ქალაქი დაგათვალიეროთ ამ ისტორიულ მომენტში... ამისთანა სცენებს ჯერ კიდევ ბევრს წავაშედებით! (ჩაივლიან)

**არტაშ.** მე კომუნისტურ პარტიაში ვეწერები, ბარექიანი თავდებად მიღება...

**სერგო.** (გაღიერებული) ბარექიანციც გაბალშევიკებულა?! Чорт знает, что такое!

**არტაშ.** ბოლშევიკებს თან მოჰყვა... გინდა შენც ჩაგწეროს პარტიაში?

**სერგო.** მერე, მიმიღებენ? მდიდრის ხმა გვაქვს გავარდნილი, ბურ-ეუბს გვეძახიან, ისიც მიკვირს რომ შენ მიგიღეს. ალბად შენი სტატიები არ იციან, „აშხატავორში“ რომ სწერდი.

**არტაშ.** Глупости не говори! Мэ умноголюдноис მემარცხენებს მაგრა  
თვნოდი, мэ ძველი ხინჩაკისტი ვარ... Левые же эс-эрв  
они признают? რა გაცინებს? მენშევიკებთან სხვანაირი  
წერა შეიძლებოდა?

**სერგო.** Конечно, ах! Меняйте! У вас: Кто заслужил меня? Страна, где  
ты счастлив? Мэ артистка Татьяна Кузнецова?... Ура-  
Танцовщики! Тама Мария...

**არტაშ.** ეგ ძალიან კარგი აზრი მოგსვლია! Искусство — самая верная  
цитадель! Мწერლებსა და არტისტებს დიდ პატივსა სცე-  
ნებ ბალშევიკები! აღარც სახლს ჩამოგართმევენ, აღარც  
ავეჯს, იქნება პენსიაც დაგინიშნონ, იუბილეუც გადაგი-  
ხადონ... გენიალური აზრი მოგსვლია, Вот мошенник!  
(გამოვლენ გურუდა და კარაბერა)

**კარაბერა.** „ხაზეინ“, კიბე მოვიტანე...

**გეორგია.** Ах да კარაბერ, ეგ კიბე აქ მოიდგი და ეს ვივესკა გადმოა-  
ბრუნე, ქართული აღარ არის საჭირო...

**კარაბერა.** მესმის. ახლა რუსული უნდა გამოჩნდეს, არა? მთელ აშ  
რიადზე ეგრე ქნეს... წუხელივე აალაგეს მაღაზიები,  
ცარიელი სპიჩები, სემიჩეა და საპნები-ლა დატოვეს  
დუქნებში...

**გეორგია.** ხა, გახსოვდეს: ქრინტი-ხმა არავისთან!

**კარაბერა.** რასა ბრძანებ, ხაზეინ, ხუთმეტი წელიწადია აქა ვდკევარ  
და შეგინიშნიათ რამე? დედაკაცი ხომ არა ვარ, ვიჭორი-  
კანაო? უ... უხ! რა მძიმეა, მკლავი მომწყდა! (მათრევს  
მაღაზიიდან კალთას)

**გეორგია.** ხო-და, მეც ცარიელს არ გაგიშვებ: ისეთს კანიაკს და არაუს  
გიფეშქაშებ, რომ ყირამალა იარო! შენ მხოლოდ ყველას  
ასე უთხარი: ჩემი ხაზეინები პეტრუშა და გეორგია სხვა  
ხაზეინს არა ჰგავს,—ღარიბი ხალხი ძალიან ებრალება-  
თქო... პაპიროსი არ გინდა? მიირთვი, მიირთვი, ნუ მე-  
რიდები. შენთვის ერთი კაი პერანგიცა მაქეს... შეიკარ  
ე საყელო, არ შეგცივდეს, ხუმრობა კი არ არის..! დღეს  
სადილად ჩემთან ამოდი.

**კარაბერა.** მადლობათ, ხაზეინ, რაზე სწუხდებით? (იძით) რა პატივში  
ჩამაგდეს ბალშენიკებმა! (პულტუბა გამოდის აჯანმა)



**პეტრუშ.** გეურქ, შე...ენ? რას აკეთებ ამ ლამეში?

გეურქა. ჩამო, კაცო, ჩამო! რა დროს ძილია, აქ ასეთი ამბები მდებარება!

**პეტრუშ.** ეხლავ, ეხლავ...

გეურქა. პეტრუშ, მომილოცავს ახალი მთავრობა!

**პეტრუშ.** შენც ეგრე, ჩემო! გეურქ, შენც ეგრე! წაბრძანდენ, ეს მინისტრიანი? რვა ოთახში რომ მწვანილის ფასსაც არ იხდიდენ! (მუშავი უძინვს ბეჭითა საართოლს)

გეურქა. ახლა ხომ სულაც ჩამოგერომევა სახლი, ჩემო პეტრუშ?

**პეტრუშ.** რა ვუყოთ, რაც სხვასა, ის ჩვენა. სომეხ—ქართველის გარჩევა მანც ალარ იქნება, მაგათა ჯიბრი ხო ამოვიყარეთ!

**კარაპეტ.** (ჩამდის ვიბინად) მზად გახლავს. (გურია და პეტრუშ ვივერებას უფრო მეტად გამოისახავთ რეზულაცია): Гострономический магазин Геурка Зарекяна)

**პეტრუშა.** ი..ი..ით!, ლაზათ! ძლივს არ ველირსეთ ისევ რუსულსა, ძლივს არ მოვრჩით იმერლების ბატონობასა!

**კარაპეტა.** რათა, ხაზეინ, ქართველები ურიგო ხალხი არ არიან! ღმერთმა დღეგრძელობა მისცეთ, ისე არ დამასაქმებენ, რომ კარგა არ დამასაჩუქრონ და ლვინო არ გადამაკვრევინონ! ძან ჟურიადი ხალხი არიან!

გეურქა. ოლონდაც, სხვის სჩოტზე ძალიან დარდიმანდები ბრძანდებიან! !

**პეტრუშა.** (კარაპეტა) შენ რა გაქვავია—რაში უნდა დაემდურო? ნაფუზვრის თავები ჩაგიჭრეს, მე შენ გითხრა! ან ეხლა, რასაც არ მოიგებ, რას დაპკარგავ? ვაი ჩვენი ბრალი თორე...ე!

გეურქა. ბარე კარგი იყო, რომ ბალშევიკების მაგიერათ დენიკინი მოსულიყო, მაგრამ მახლას! სხვა რაში გვაქვს სომხებს ბედი, რომ ეგ იმედი გაგვმართლებოდა?

**პეტრუშა.** ან დენიკინი, ან უდენიჩი! მოსკოვთან იყო მისული, მოსკოვთან, კაცო, გესმი...ი...ის? მწა...ა...ახ! (ხინანულით თავს აქვევს)

